ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
არქეოლოგიის ინსტიტუტი

სადოქტორო პროგრამა: არქეოლოგია

ნინო ქობალია

ოქრომჭედლობა წინარეანტიკური ხანის კოლხეთში

არქეოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
სრული პროფესორი, ვახტანგ ლიჩელი

თბილისი
2023

აბსტრაქტი

დღეისათვის, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე უძველესი ოქროს ნივთები ძვ. წ. III ათასწლეულით დათარიღებულ ადრეყორღანულ კულტურაშია (აღმოსავლეთ საქართველო) აღმოჩენილი. ამ პერიოდიდან მოყოლებული, განვითარების გარკვეული ეტაპის შემდეგ, ოქრომჭედლობა აღმავლობის პირველ პიკს, თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურაში აღწევს. ძვ წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში, ქართული ოქრომჭედლობა გარკვეულ დეგრადაციას განიცდის, რის შემდეგაც მისი ხელახალი აყვავება ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში, ახლა უკვე ამიერკავკასიის დასავლეთ ნაწილში, კოლხური კულტურის წიაღში იწყება და ძვ. წ. V-IV სს-ში განვითარების მეორე პიკს აღწევს.

ძვ. წ. I ათასწლეული პირველი ნახევარი კოლხური ოქრომჭედლობის ისტორიაში ის მნიშვნელოვანი ეტაპია, როდესაც საფუძველი ეყრება კოლხური ოქრომჭედლობის სახელით ცნობილ უნიკალურ საიუველირო სტილს, რომელიც, ოდნავ მოგვიანებით, კოლხეთის სამეფოს პოლიტიკური გაერთიანების არსებობის ფარგლებში, წარჩინებულ პირთა სამარხებში აღმოჩენილი შედევრების შექმნის წინაპირობაა.

აღნიშნულ ქრონოლოგიურ მონაკვეთში აღმოჩენილი ოქრომჭედლობის ნიმუშების შესწავლა და შესაბამის არქეოლოგიურ კონტექსტში განხილვა მნიშვნელოვანია, რადგან: 1) კოლხური კულტურის ისტორიაში ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი ის მნიშვნელოვანი ეპოქაა, როდესაც ხდება ამ რეგიონის პირველი მოხსენიება ასირიულ, ურარტულ და ძველბერძნულ წერილობით წყაროებში; 2) დროსა და სივრცეში იგი შეესაბამება არგონავტიკის პირველ ვერსიებს და ახლოს დგას იმ რეალიებთან, რაც მითის ამ ვერსიებშია ასახული.

კოლხეთის უძველესი ოქრომჭედლობის ნიმუშები ადრეულ წლებში მხოლოდ შემთხვევითი აღმოჩენების, განძების სახით იყო ცნობილი და შესაბამისი არქეოლოგიური კონტექსტის არქონის გამო, მათი კულტურული და ქრონოლოგიური კუთვნილების არგუმენტირებულად განსაზღვრა ვერ ხერხდებოდა.

წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის გამოვლენისა და შესწავლის საქმეში გადამწყვეტი როლი ითამაშა უკანასკნელი ორმოცდაათი წლის მანძილზე სისტემატიური არქეოლოგიური კვლევა-ძიების საფუძველზე შესწავლილმა

არქეოლოგიურმა ძეგლებმა, რომელთა უმეტესობა კოლხური ტიპის კოლექტიური ორმოსამარხებია.

უკანასკნელ წლებში დაგროვილმა მასალამ, რომელიც საკმაოდ მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან ნივთთა ჯგუფებს აერთიანებს, შექმნა ნიადაგი, წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობა, მთელი რიგი ინდივიდუალური ნიშნებით გამორჩეულ, განსხვავებულ ფენომენად წარმოგვეჩინა.

წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით თავი მოვუყაროთ წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშებს და განვიხილოთ ისინი კულტურულ-არქეოლოგიური, ტიპოლოგიური, სიმბოლურ-იკონოგრაფიული და ტექნოლოგიური კუთხით.

კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშების ქრონოლოგიური დიფერენცირებით შევძლებთ უფრო მკაფიოდ გავადევნოთ თვალი ამ პერიოდში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებსა და ინტერკულტურულ გავლენებს შედარებით ვიწრო ქრონოლოგიურ მონაკვეთებში.

დღევანდელი მონაცემებით, წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშები აღმოჩენილია სამი ტიპის ძეგლზე: სამაროვნებზე, ნამოსახლარზე და განძებში.

ვხვდებით სხვადასხვა ტექნოლოგიით (გრანულაცია, ფილიგრანი, ფურცლოვანი ოქრო და ინკრუსტაცია) დამზადებულ განსხვავებულ ნივთთა ჯგუფებს: საყურეებს, სასაფეთქელებს, საკიდებს, მძივებს, რგოლებს, სამაჯურებს, დიადემებს/საკისრე რკალებს, დუგმას, ბეჭდებს, ინსიგნიას, მრავალფეროვან დეკორატიული დეტალებს.

<u>მადლიერება</u>: წინამდებარე ნაშრომის შესრულებაში ხელშეწყობისთვის და დახმარებისთვის მადლობას ვუხდი: სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელს, პროფ. ვახტანგ ლიჩელს; საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენ. დირექტორს, პროფ. დავით ლორთქიფანიძეს; ამავე მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელწიფო მუზეუმის ძვირფასი ლითონების ფონდის კურატორს, მ. ჯალაბაძეს; მეცნიერებს: დარეჯან კაჭარავას, ნანა გოგიბერიძეს; ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმის დირექტორს ბ-ნ. დავით ოყუჯავას. ამავე მუზეუმის ფონდის თანამშრომლებს: მარინა ქობალიას, მერაბ ქვაჩახიას.

Abstract

The earliest golden items appear on the territory of eastern Georgia during the 3rd millennium BC, in the so-called Early Barrows Culture and after a certain stage of development it reaches its first pick in the Trialeti Great Culture (mid-2ndmillennium BC).In the second half of the 2nd millennium BC Georgian goldsmithing undergoes some kind of degradation, after which it starts its re-flourishing by the beginning of the 1st millennium BC in the western part of Georgia and reaches second pick of development in the context of Colchian culture in the 5th-4thcenturies BC.

The 1st millennium BC in the history of Colchian goldsmithing is that important stage when the foundation had been laid for a unique style of jewelry known as Colchian goldsmithing and which, somewhat later, within the framework of the existence of the political union of the Kingdom of Colchis, became the prerequisite for the masterpieces found in the tombs of noble men.

The study of jewelry samples dated to this period and their study in the appropriate archaeological context is important because: 1) this is the time when Colchis is mentioned for the first time in Greek literary sources and Urartian cuneiform inscriptions; 2) In time and space it corresponds to the first versions of "Argonautics" and is close to the realities depicted in these versions of the myth.

At first, samples of ancient Colchian jewelry were known only as casually found hoards, therefore due to the lack of an appropriate archaeological context, their cultural and chronological affiliation wasn`t reasonably determined.

Archaeological sites studied on the basis of systematic archaeological research over the past 50 years, most of which are collective burial pits of the Colchian type, played a decisive role in the revealing and standing of pre-Classical period Colchian goldsmithing.

The material accumulated in recent years, which unites quite numerous and diverse groups of objects, has created the ground for presenting the Pre-Classical Colchian goldsmithing as a separate phenomenon, distinguished by a number of individual features.

In this work, we will try to collect samples Colchian goldsmithing of pre-Classical period and study them by taking into account cultural-archaeological, typological, symbolic-iconographic, and technological details.

By studying the samples of the oldest Colchian goldsmithing in a relatively narrow chronological framework, we can more clearly follow socio-economic changes and cross-cultural influences of this period.

At present, examples of pre-classical Colchian goldsmithery have been found in three categories of sites: at cemeteries, settlements in hoards.

Various techniques are used for the decoration of Colchian goldsmithing: granulation, filigree, sheet gold and in-setting of stones. By function, we have identified different types of groups: earrings, temple rings, pendants, beads, rings, bracelets, diadems/torques, hooks, fingerings, insignia and different sort of decorative derails.

Acknowledgements: for their support and assistance in the execution of this work I would like to thank: Prof. Vakhtang Lichel, the supervisor of the thesis; Prof. David Lordkipanidze, general director of the Georgian National Museum; Dr. Mindia Jalabadze, curator of the precious metals' repository at the S. Janashia Museum of Georgia; researchers: Dr. Darejan Katcharava, Dr. Nana Gogiberidze; Mr. Davit Okujava, director of Zugdidi Dadian Palaces Historical-Architectural Museum; the repository employees of the same museum: Marina Kobalia, Merab Kvacakhia

ოქრომჭედლობა წინარეანტიკური ხანის კოლხეთში

შინაარსი

შესავალი ---------- 1-9

თავი I. ბუნებრივი რესურსები და გეოგარემო---------- 10-15

თავი II. არქეოლოგიური კონტექსტი ---------- 16-60

თავი III. წინარეანტიკური ხანის ოქრომჭედლობის ნიმუშების კლასიფიკაცია- 61-124

& 3.1. საყურეები/სასაფეთქლეები ---------- 61-88

& 3.2. საკიდები---------- 88-94

& 3.3. მძივები ---------- 94-104

& 3.4 რგოლები ---------- 105-111

& 3.5 სხვადასხვა მცირე ჯგუფები ---------- 111-124

თავი IV. სტილი და რელიგიური ასპექტები წინარეანტიკური ხანის საიუველირო ნაწარმში---------- 125-143

თავი V. წინარეანტიკური ხანის საიუველირო წარმოებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური დეტალები---------- 144-163

თავი VI. ოქრომჭედლობის განვითარების ისტორია და საერთაშორისო კულტურული კონტექსტი ---------- 164-173

დასკვნა---------- 174-179

დანართი I (ცხრილი)---------- 180

დანართი II (ცხრილი) ---------- 181-190

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 191-209

ტაბულები ---------- 210-236

შესავალი

ადამიანი ოდითგანვე თავისი მხატვრული, სოციალური და სულიერი ღირებულებების გამოხატვას სამკაულის სახით ახერხებდა - იგი ბუნებით, მისი ევოლუციის ყველა ეტაპზე, ავლენდა განსაკუთრებულ ინტერესს მისთვის უცხო საგნების მიმართ, მიდრეკილი იყო, ექცია ისინი ვიზუალურად მიმზიდველ ატრიბუტებად და მათი საშუალებით გამოეხატა თავისი სულიერი თუ რელიგიური წარმოდგენები.

ოქრო, როგორც მარადიულობის, ღვთაებრიობის, სიმდიდრისა და ძლიერების სიმბოლო, მისი პირველი აღმოჩენიდან (ძვ. წ. V ათასწლეული) დღემდე ადამიანთა მუდმივი ლტოლვის საგანია. მისგან დამზადებული ერთი მცირე ნივთიც კი შეიძლება გადმოსცემდეს მისი შემქმნელი საზოგადოების მხატვრული, სულიერი და სოციალური ღირებულებების ისტორიას. შესაბამისად, ამ ჯგუფის ნაწარმის კვლევას საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოცემა შეუძლია როგორც კონკრეტული რეგიონის, ისე ინტერკულტურული ურთიერთობების რეკონსტრუქციის კუთხით - მისი პორტატულობიდან, იშვიათობიდან და მაღალი მოთხოვნადობიდან გამომდინარე, იგი არის არტეფაქტი, რომელიც არაერთ სამყაროს/რეგიონს/ცივილიზაციას აკავშირებს ერთმანეთთან.

სამწუხაროდ, ოქრომჭედლობის ისტორიის კვლევას ბევრ პრობლემასა და წინაღობასთან მივყავართ, ამიტომ მისი შესწავლისას არაერთი საკითხის გათვალისწინებაა საჭირო. გამომდინარე იქიდან, რომ ყველა ეპოქაში ადამიანს ახასიათებდა „ოქროს წმინდა წყურვილი“ (ვერგილიუსი), იგი მუდმივად იყო ხშირი ძარცვის საგანი, შესაბამისად, ძველი საზოგადოებების მიერ შექმნილი ნიმუშები მხოლოდ მცირე რაოდენობით არის ჩვენამდე მოღწეული და ისიც, ე. წ. „შავი არქეოლოგიის“ დამსახურებით, ხშირად უკონტექსტოდ, რაც კიდევ უფრო ართულებს აღნიშნული ნაწარმის კულტურულ იდენტიფიკაციას.

მკვლევარი ჯონ ბორდმანი სამკაულის კვლევისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მის ისტორიულ კონტექსტში განხილვას, რაც, ვფიქრობთ, საკმაოდ მართებული მიდგომაა. მისი აზრით, ისტორიული კონტექსტი არის ხიდი მატერიალური მონაცემების, მხატვრული ღირებულებებისა და კულტურის სხვადასხვა ასპექტებს შორის

ურთიერთობის აღსადგენად (Bordman 1996). გამომდინარე იქიდან, რომ სოციალური, ეკონომიკური, რელიგიური და პოლიტიკური ფაქტორები ხშირად, ჩვენდა შეუმჩნევლად, გავლენას ახდენენ მხატვრული ნაწარმის და გემოვნების ჩამოყალიბებაზე, სამკაულის ფორმებსა და დეკორში, ზოგადეპოქალურ ტენდენციებთან ერთად, ხშირად ასახულია ამა თუ იმ კულტურაში გავრცელებული ეროვნული თავისებურებები, რაც არა მხოლოდ ერთი კონკრეტული ჯგუფის ნაწარმზე, არამედ მატერიალური კულტურის სხვა ძეგლებზეც აისახება (კერამიკის და ბრინჯაოს ნაწარმი და სხვ.) და რომელთა შორის კავშირის დაჭერა, შეიძლება მისი კულტურული კუთვნილების განსაზღვრისთვის საუკეთესო მონაცემი გახდეს. ამ ფაქტორს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამკაულის კვლევისას, რადგან ზოგჯერ ძვირფასი ლითონის შექმნის ადგილი და დრო არ არის იდენტური არქეოლოგიური კომპლექსის, შესაბამისად მისი წარმომავლობის დადგენა სხვა არაერთი ფაქტორის გათვალისწინებას მოითხოვს (იგი შეიძლება იყოს თაობებს გადაცემული საგვარეულო ნივთი; ნადავლის სახით ან ვაჭრობის გზით ერთი რეგიონიდან მეორეში ტრანსპორტირებული და ა. შ.). აღმოჩენის კონტექსტი უბრალოდ არის პლატფორმა, საიდანაც შეიძლება დავინახოთ კვლევის პერსპექტივა და მთავარი შემეცნებითი შეზღუდვები (Rudolph 1996).

ყველა დროის სამკაულში მეტნაკლებად შეინიშნება ზოგადი ეპოქალური ტენდენციების შერწყმა შიდა კულტურულ მოვლენებთან, რომელთა იდენტიფიკაციაც, საშუალებას გვაძლევს, ვიკვლიოთ მათი წარმომავლობა, დანიშნულება და ინდივიდუალიზმი. უძველეს ცივილიზაციებში სამკაულის მთავარი ფუნქცია სტატუსის გამოხატვა და სულიერი სამყაროს წარმოჩენა იყო, რაშიც ერთიანდებოდა მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებული ტრადიციებიც. ღვთაებების პატივსაცემად ერთ-ერთი ყველაზე სასურველი მასალა იყო ოქრო, რომელსაც თავისი გარეგნული და ფიზიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, ყველა დროის საზოგადოებაში ჰქონდა უნივერსალური სტატუსი: ეგვიპტელებს სწამდათ, რომ ოქრო არამიწიერი ელემენტი იყო და მოდიოდა მზისგან, შესაბამისად ატარებდა მზის ენერგიას, ხოლო შუმერებს იგი ღმერთების საკუთრებად მიაჩნდათ. ოქროს მარადიულობა (უჟანგაობა) ეგვიპტელებმა ძველთაგან დაუკავშირეს იმქვეყნიურ, მარადიულ ცხოვრებას. ისინი ოქროთი განასახიერებდნენ ღმერთებს და ფარაონებს (რომლებიც ასევე აღქმული იყვნენ ღმერთებად). სწორედ მარადიული

ცხოვრებისკენ განსაკუთრებულმა სწრაფვამ და სულიერი სამყაროს ღრმა რწმენამ ეგვიპტელებს და შუმერებს შეაძლებინა თავიანთი საიუველირო საქმე უმაღლეს დონეზე აეყვანათ. მათ შემოიღეს დამუშავების საკმაოდ რთული ტექნოლოგიური ხერხები, რომლებიც ათასწლეულების მანძილზე უცვლელი რჩებოდა, და რაც მომავალში არაერთი ცივილიზაციის კულტურული ატრიბუტიც კი გახდა.

ოქრომჭედლობის კვლევა განსაკუთრებით დაწინაურდა გასული საუკუნის შუა წლებიდან, როცა სისტემატური არქეოლოგიური გათხრების შედეგად, არაერთ კულტურულ არეალში, სხვადასხვა სახის (საკულტო, ნამოსახლარი, სამაროვანი) არქეოლოგიური ძეგლები შეისწავლეს. შედეგად, დაგროვდა საკმაო რაოდენობით ძვირფასი ლითონის ნაწარმი, რამაც მეცნიერებს შესაძლებლობა მისცა ემსჯელათ ძველი მსოფლიოს საიუველირო საქმეზე არქეოლოგიურ და ისტორიულ კონტექსტში, გამოეყოთ მათი გეოგრაფიული, კულტურული და ეპოქალური თავისებურებები. ამასთან ერთად, ოქრომჭედლობის შესწავლის ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ინტერდისციპლინარული კვლევების დანერგვამ, რისი მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა კონკრეტული არეალის ბუნებრივი რესურსების დადგენა, ნივთების კონკრეტულ საბადოებთან იდენტიფიცირების მცდელობა, ნივთის დამუშავების ტექნოლოგიური ხერხების რეკონსტრუქცია და სხვ.

ძველი მსოფლიოს საოქრომჭედლო ცენტრების შესწავლის საკითხში საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძეგლები მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია. ოქროს ფენომენი სამხრეთ კავკასიასთან ჯერ კიდევ ადრებრინჯაოს ხანიდანაა დაკავშირებული. აქ, ძვ. წ. III ათასწლეულიდან კარგად იცოდნენ, როგორ მოეპოვებინათ ოქრო და საკუთარი უნარებისა და ფანტაზიის დახმარებით, შეექმნათ მისგან მაღალი ესთეტიკური ღირებულების ნივთი, რომელიც გაჯერებული იქნებოდა საერთაშორისო და ადგილობრივ რწმენა-წარმოდგენებზე დაყრდნობით შემუშავებული იკონოგრაფიული სახეებით.

როგორც ძველი კულტურის არაერთ მკვლევარს აღუნიშნავს (ბ. კუფტინი, ალ. ჯავახიშვილი, ოთ. ლორთქიფანიძე, ოთ. ჯაფარიძე, ი. გაგოშიძე, ნ. ლორთქიფანიძე და სხვა), საქართველოში აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლისას, კარგად ჩანს, რომ საქართველო მუდამ იყო ცივილიზებული სამყაროს ორგანული ნაწილი, რისი ერთ-ერთი ნათელი დასაბუთება ქართული ოქრომჭედლობაცაა - მისი განვითარების ყველა საფეხურზე კანონზომიერად

შეინიშნება ეპოქალური ნიშნების ჰარმონიული შერწყმა ეროვნულ თავისებურებებთან, რომელიც ერთი მხრივ, გარკვეულ ინდივიდუალიზმს სძენს აღნიშნული ჯგუფის ნაწარმს, მეორე მხრივ კი, საშუალებას გვაძლევს დავინახოთ მათი გენეტიკური კავშირები წინა და მომდევნო ეპოქებთან და შევძლოთ კულტურათაშორისი ურთიერთობების იდენტიფიცირება.

საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი ოქროს ნივთების აღმოჩენა დაკავშირებულია მტკვარ-არაქსის კულტურის აყვავების ხანასთან. სიმბოლურია, რომ საქართველოში აღმოჩენილი უძველესი ოქროს ნივთები, საჩხერის ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩენილი სპირალისებური სასაფეთქლეები, ასახავს კიდეც ქართული ოქრომჭედლობის განვითარების ზოგად სახეს - ისინი მომდევნო ეპოქების (ადრეყორღანული კულტურა, თრიალეთის კულტურა და სხვ.) საიუველირო ხელოვნებაში სახეცვლილად, მაგრამ უწყვეტად განაგრძობენ არსებობას ათასწლეულების მანძილზე და ამავდროულად აკავშირებენ სხვადასხვა კულტურული არეალის საიუველირო ნაწარმს ერთმანეთთან.

ძვ. წ. III ათასწლეულის მიწურულს, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდება „თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურა“, რომლის დროსაც ოქრომჭედლობა განვითარების პირველ პიკს აღწევს. მოგვიანებით, გვიანბრინჯაოს ხანაში, იგი გარკვეულ დეგრადაციას განიცდის, თუმცა ეს ზოგადეპოქალური მოვლენაა და ამის ტენდენცია არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა მოწინავე საოქრომჭედლო ცენტრებშიც შეიმჩნევა. ამის მიზეზი, მკვლევართა ვარაუდით, გარკვეულ სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცვლილებებშია საძიებელი.

დღევანდელი მონაცემებით, თრიალეთის ბრწყინვალე კულტურის შემდეგ, ოქრომჭედლობის ხელახალი აყვავება უკვე კოლხური კულტურის წიაღში იწყება და ქრონოგიურად ემთხვევა კიდეც მისი განვითარების პიკს. საქართველოს ისტორიაში ეს არის მნიშვნელოვანი პერიოდი, როცა, მაღალგანვითარებული მატერიალური კულტურის საფუძველზე, პირველად ვლინდება სახელმწიფოებრიობის ჩანასახები, რაც ლოგიკურად არის ასახული თანადროულ წერილობით წყაროებში ამ რეგიონის მოხსენიებით. კოლხური კულტურის აყვავების და დაწინაურების წინაპირობები კომპლექსურია და ძირითადად მოიცავს გარემო/გეოგრაფიული ფაქტორების, ატქიური საგარეო ურთიერთობების და სხვადასხვა სახის ტექნოლოგიური მიღწევების შედეგად მიღებულ დაწინაურებულ ეკონომიკას.

მაღალგანვითარებული ეკონომიკის მქონე მჭიდროდ დასახლებულ რეგიონში სოციალურად განსხვავებული ფენის არსებობა, ბუნებრივია, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. წინარეანტიკური ხანის კოლხეთში აღმოჩენილი ოქროს ნივთები, სხვა ნაწარმთან ერთად, სწორედ ამ მაღალი ფენის სტატუსის გამომხატველი უნდა ყოფილიყო, რაც აუცილებლად შერწყმული იქნებოდა თანადროულ რწმენა-წარმოდგენებთან და საკულტო ტრადიციებთან.

დიდი ხნის განმავლობაში წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობა ცნობილი იყო მხოლოდ შემთხევით აღმოჩენილი განძების სახით, ყოველგვარი არქეოლოგიური კონტექსტის გარეშე, თუმცა არაერთი მკვლევარისთვის (ალ. ჯავახიშვილი, ბ. კუფტინი. ი. გაგოშიძე და სხვა) ესეც საკმარისი იყო, რომ ამ პერიოდის კოლხეთში განვითარებული საოქრომჭედლო ცენტრის არსებობა ევარაუდათ.

ეს მოლოდინი არქეოლოგიურად დადასტურდა თანამედროვე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელი ორმოცდაათი წლის მანძილზე ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციების შედეგად - მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია თ. მიქელაძის ხელმძღვანელობით და საფუძვლიანი კვლევა-ძიების ობიექტი სხვადასხვა ხასიათის ძეგლებთან ერთად გახდა კოლექტიური სამარხი-ორმოები. ოქროს ნივთების უმეტესობა სწორედ ასეთ ორმოსამარხებშია აღმოჩენილი. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ რეგიონში არქეოლოგიური კვლევები ნახევარ საუკუნეზე მეტია მიმდინარეობს, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლების დიდი ნაწილი, ჯერ კიდევ შეუსწავლელია. ეს კი მომავალში კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენის მოლოდინს გვიქმნის.

დღევანდელი მონაცემებით, წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობა უკვე იმ რაოდენობის ნივთთა ჯგუფს შეიცავს, რომ უკვე თამამად შეგვიძლია ვიმსჯელოთ მასზე, როგორც განსხვავებულ ფენომენზე, რომელსაც აქვს ინდივიდუალური, წინარე და მომდევნო ეპოქებისგან განსხვავებული სტილი, მაგრამ ამავე დროს იდეოლოგიურად მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, რაც კარგად გამოიხატება მათ შორის არსებული გენეტიკური განგრძობითობის მთელი რიგი ნიშნებით.

ძველი ქართული ოქრომჭედლობის შესწავლას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამ მხრივ, პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ექვთიმე თაყაიშვილის სახელს

უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ ეს დარგი არასდროს ყოფილა მკვლევარის ძირითადი სამეცნიერო მიმართულება, მან მისი შესწავლის ისტორიაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა (იხ. აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის შრომათა ბიბლიოგრაფია. თბილისი 1963 წ.) ე. თაყაიშვილის ნაშრომებში წამოყენებულია ძალიან საინტერესო მოსაზრებები ქართული ოქრომჭედლობის განვითარებაზე, ადგილობრივი ნედლეულისა და სახელოსნოების არსებობაზე და ა. შ. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი დებულება ოქრომჭედლობის კავშირის შესახებ კულტურის განვითარებასთან - *„არაფერი ისე არ ახასიათებს საზოგადო კულტურის აყვავებას და დაცემას, როგორც ოქრომჭედლობის ევლუცია“* (თაყაიშვილი 1937) ეს სიტყვები ჯერ კიდევ იმ დროს არის ნათქვამი, როცა არ იყო აღმოჩენილი ძველი ქართული ოქრომჭედლობის შესანიშნავი ნიმუშები (ჭყონია 2007:265).

გასული საუკუნის 40-იან წლებში, შალვა ამირანაშვილმა გამოაქვეყნა ნაშრომი „ქართული ხელოვნების ისტორია“ (ამირანაშვილი 1944), რომელშიც მიმოიხილა წინაფეოდალური ხანის ქართული ხელოვნების განვითარების მთავარი მიმართულებები და ძირითადი ეტაპები. ეს იყო პირველი ნაბიჯი საქართველოს მხატვრული ხელოსნობის ფუნდამენტური კვლევის საკითხში, რის საფუძველზეც, მომავალმა თაობამ ნათლად დაინახა ამ მიმართულებით კვლევის განსაკუთრებული აუცილებლობა ჩვენი ქვეყნის ისტორიის რეკონსტრუქციის საკითხში.

მოგვიანებით, როცა უძველესი ხელოვნების ძეგლების რიცხვი სისტემატური არქეოლოგიური კვლევების საფუძველზე საგრძნობლად გაიზარდა და დაინერგა ინტერდისციპლინარული კვლევების პრაქტიკა, კიდევ უფრო იმატა ინტერესმა ამ მიმართულებით.

ალ. ჯავახიშვილი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც, მიუხედავად იმ დროს არსებული ძეგლების ფრაგმენტული და სპეციფიკური ხასიათისა, მაინც შეძლო მნიშვნელოვანი სიტყვა ეთქვა უძველესი საიუველირო ხელობის კვლევის საკითხში. იგი მხატვრულ ხელოსნობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ოქრომჭედლობის ძველ ხელოვნებას და აღნიშნავდა: *„აქ უფრო მრავლად იჩენს თავს ამა თუ იმ დროის მხატვრული მოთხოვნილებები, მათი შესაბამისი შეხედულებები, თავისებური გამომხატველობითი ხერხები და მისთანანი“* (ჯავახიშვილი 1955). იგი, ჯერ კიდევ იმ დროს არსებული მატერიალური სურათის საფუძველზე, ფიქრობდა, რომ არსებული მონაცემებით ცალკეული საკითხების კვლევა, არა თუ შესაძლებელი,

აუცილებელიც იყო, ვინაიდან ეს იყო გზა მხტვრული შემოქმედების მამოძრავებელი ძალის ამოცნობისა, ამიტომ უძველესი ქართული ოქრომჭედლობის ტექნიკისა და მხატვრული სტილის ზოგიერთი საკითხის თუნდაც წამოჭრა, მნიშვნელოვან ნაბიჯად მიაჩნდა, რაც მომავალში შექმნიდა პერსპექტივას, ახალი აღმოჩენების საფუძველზე, მეცნიერებს განსაკუთრებული ყურადღება გაემახვილებინათ ამ მიმართულებით.

ოქრომჭედლობის ისტორიასთან მიმართებაში ალ. ჯავახიშვილი სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ძვირფასი ლითონის კვლევასთან დაკავშირებული საკითხების იზოლირებულად შესწავლა არ იყო მართებული და იგი განხილული უნდა ყოფილიყო ერთობლივად, ლითონწარმოების განვითარებასთან.

მკვლევარი ი. გაგოშიძე ფეოდალური ხანის ოქრომჭედლობის საოცრად განვითარებულ დონეს ოქრომჭედლობის და, ზოგადად, მელითონეობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების არსებობას უკავშირებს. იგი ოქრომჭედლობის ისტორიაში აფიქსირებს აღმავლობის ოთხ ძირითად ეტაპს: 1) თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების, 2) პირველი ქართული სახელმწიფოების ჩამოყალიბების, 3) ქართლის სამეფოს ძლიერების ზენიტის და 4) ფეოდალური მონარქიის არსებობის (X-XIII სს) პერიოდებს (გაგოშიძე 1976).

თრიალეთის ბრწყინვალე კურტურასა და პირველი ქართული სახელმწიფოების ჩამოყალიბების პერიოდებს შორის ოქრომჭედლობის ნიმუშების არარსებობა მრავალი წლის განმავლობაში მკვლევართა ამოუხსნელი ამოცანა იყო, თუმცა, ალ. ჯავახიშვილი ყოველთვის გამოთქვამდა იმედს, რომ ამ პერიოდის ძეგლები მომავალში აუცილებლად იქნებოდა გამოვლენილი.

ამ ამხივ გარდამწყვეტი აღმოჩნდა გასული საუკუნის ადრეულ ეტაპზე, საქართველოს ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილი განძები, რომლებზეც ყურადღება პირველად ბ. კუფტინმა გაამახვილა და ისინი სრულიად მართებულად მიიჩნია ძეგლებად, რომელთა საფუძველზეც დაიწყო კოლხური ოქრომჭედლობის აყვავების პირველი ეტაპი საქართველოში (Куфтин 1941:172-178).

კოლხური ოქრომჭედლობის მოდელის - მისი თავისებური სტრუქტურისა და მხატვრული სტილის განსაზღვრის საქმეში უაღრესად დიდია პროფესორ ოთ. ლორთქიფანიძის წვლილი.

კლასიკური პერიოდის კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშების მრავალმხრივი შესწავლის საქმეში, ნივთების ქრონოლოგიური და ტიპოლოგიური კლასიფიკაციის

შემუშავების საკითხში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი მკვლევარ ა. ჭყონიას. მან, ვანის არქეოლოგიური მასალების შესწავლის საფუძველზე, გამოყო კლასიკური ხანის ოქრომჭედლობის ძირითადი საფეხურები და ოქროს ნივთების ფუნდამენტური კვლევით საერთაშორისო სამეცნიერო ასპარეზზე სხვადასხვა მნიშვნელოვანი კუთხით წარმოაჩინა ,,ოქრომრავალი კოლხეთის“ ძვირფასი ლითონის ნაწარმი.

ასევე, ძველი კოლხური ოქრომჭედლობის შესახებ მნიშვნელოვანი მოსაზრებებია გამოთქმული ნ. ლორთქიფანიძის ნაშრომში „ძველი ქართული სამკაული“ (ლორთქიფანიძე 2012), სადაც სხვადასხვა ეპოქებში „მოგზაურობით“, თვალსაჩინოდ წარმოჩინდება ამიერკავკასიაში სამკაულის განვითარების მთელი რიგი საინტერესო და საკვანძო დეტალები.

კოლხეთის უძველესი ოქრომჭედლობის მნიშვნელობის შესახებ არაერთხელ გაუმახვილებია ყურადღება თავის ნაშრომებსა და მოხსენებებში რ. პაპუაშვილს (პაპუაშვილი...2015; პაპუაშვილი...2022 და სხვ).

მეთოდოლოგია:

წინამდებარე ნაშრომში კოლხეთის უძველესი საიუველირო ნაწარმი წარმოჩენილია სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით, რომლებიც თემატურად, ცალკე თავებშია განხილული:

თავი I. ბუნებრივი რესურსი და გეოგარემო - თავმოყრილია ყველა ის ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორი, რამაც კოლხეთში ოქრომჭედლობის ჩამოყალიბებაზე იქონია გავლენა;

თავი II არქეოლოგიური კონტექსტი - მოძიებულია კოლხური კულტურისა და მისი ინფილტრაციის ზონაში შემავალი ყველა კომპლექსი, სადაც დასავლეთ ამიერკავკასიაში მოქმედი საიუველირო სტილის ძვირფასი ლითონის ნაწარმია დადასტურებული. ძეგლები დაჯგუფებულია ქრონოლოგიური პრინციპით ოთხ ქრ. ჯგუფში. თითოეული კომპლექსი გაანალიზებულია ძეგლის ტიპის და მასში აღმოჩენილი ინვენტარის მიხედვით.

თავი III. წინარეანტიკური ხანის ოქრომჭედლობის ნიმუშების კლასიფიკაცია - აღნიშნულ ნაწილში მოცემული ნივთების კვლევა ეფუძნება კლასიფიკაციის ინტეგრირებული სქემის მოდელს. ჩვენ შემთხვევაში თითო კატეგორიის ნივთზე შემუშავებულია მაქსიმუმ სამსაფეხურიანი სქემა, რომელიც მომავალში უფრო დეტალურად შეიძლება დანაწევრდეს. პირველ ეტაპზე სამკაული დაყოფილია ათ

ფუნქციურ კატეგორიად. ესენია: 1) საყურეები და სასაფეთქლეები; 2) საკიდები, 3) მძივები, 4) რგოლები, 5) სამაჯურები, 6) დიადემა/საკისრე 7) დუგმა, 8) ბეჭედი, 9) ინსიგნია, 10) დეკორატიული დეტალები. კლასიფიკაციის მეორე და მესამე ეტაპზე ნივთებში გამოყოფილია ქვეკატეგორიები როგორც ფორმის, ისე დეკორატიული დეტალების გათვალისწინებით.

ტიპოლოგიის დახასიათების თეორიულ ნაწილში სამკაულის თითო ტიპის ანალიზი მოიცავს: თვითონ ნივთისა და მისი წარმოების მეთოდის მოკლე აღწერას, ქრონოლოგიურ თუ ტერიტორიულ გავრცელებას, კულტურულ წარმომავლობას და მახასიათებლებს.

თავი IV. სტილი და რელიგიური ასპექტები - აღნიშნულ თავში კოლხური კულტურის სხვადასხვა კატეგორიის ძეგლებზე არსებული კვლევების შეჯერებით მის ფარგლებს გარეთ არსებული კულტურების სტილისტურ-იკონოგრაფიული დეტალებთან, განსაზღვრულია უძველესი კოლხური ოქრომჭედლობის სტილი და რელიგიური ასპექტები.

თავი V. ძვირფასი ლითონის დამუშავების ტექნოლოგია - დახასიათებულია ყველა ის ტექნოლოგიური ხერხი, რომელიც წინარეანტიკური ხანის კოლხეთის საიუველირო სკოლაში აქტიურად გამოიყენებოდა.

თავი VI. წინარეანტიკური ხანის ოქრომჭედლობის განვითარების ისტორია და საერთაშორისო კულტურული კონტექსტი - განხილულია ოქრომჭედლობის ჩამოყალიბების ისტორია უძველესი პერიოდიდან მოყოლებული, დახასიათებულია ის საერთაშორისო კულტურული ფონი, რომელიც კოლხური ოქრომჭედლობის ჩამოყალიბებაზე ყოველთვის ახდენდა გარკვეულ გავლენას.

თავი I. ბუნებრივი რესურსები და გეოგარემო

ყველა დროში კულტურისა და ცივილიზაციის ჩამოყალიბებას და განვითარებას, უპირველეს ყოვლისა, საფუძვლად უდევს მისი გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი რესურსები. დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე არსებული მთა, დაბლობი, მდინარეები და საკმაოდ ვრცელი ზღვის სანაპირო ზოლი უძველესი პერიოდიდანვე ქმნიდა ყველა იმ პირობას, რომელიც მაღალგანვითარებული კულტურის ჩამოყალიბებას ესაჭიროებოდა. როგორც ეს არაერთხელ ყოფილა აღნიშნული, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომლის გამოც აქ მცხოვრები საზოგადოება მუდამ ექცეოდა გარე სამყაროს ყურადღების ცენტრში, იყო რკინის, სპილენძის, ოქროს, ვერცხლის, ტყვიისა თუ ანტიმონის მდიდარი ბუნებრივი რესურსი და ის ცოდნა, რომელიც ლითონწარმოების კომპლექსურ პროცესებთან იყო დაკავშირებული. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხეთში, ნამოსახლარებსა და მათზე გამართული სახელოსნოებისთვის შერჩეული ადგილები ნათლად მეტყველებს, რომ აქ მოსახლე საზოგადოების ეკონომიკას, ძირითადად, სწორედ განვითარებული მეტალურგიული წარმოება განსაზღვრავდა.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის დასავლეთ ამიერკავკასიაში არსებულმა ზომიერმა კლიმატმა, ნოყიერმა ნიადაგმა, მრავალფეროვანმა მადნეულმა, ფლორისა და ფაუნის მრავალსახეობამ, მაღალგანვითარებულმა მესაქონლეობამ და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მდიდარმა ჰიდროლოგიურმა რესურსმა, ეს რეგიონი აქცია ზონად, სადაც ადგილობრივი და საერთაშორისო კომპონენტების სინთეზით, საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდებოდა ის ინდივიდუალური სახის მქონე კულტურა, რომელიც ყოველთვის მიმზიდველი იყო ამ რეგიონის გარეთ მყოფი საზოგადოებისთვის. კულტურული ეპიცენტრები, გარემო-გეოგრაფიული და ისტორიული ფაქტორების გათვალისწინებით, სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული იყო და მონაცვლეობდა დასავლეთსა (კოლხეთის დაბლობი) და აღმოსავლეთ (მდ. მტკვრის ხეობა) რეგიონებს შორის.

საქართველოში მაღალგანვითარებული კულტურის პირველ ცენტრს მის აღმოსავლეთ ნაწილში ვხვდებით. საყოველთაოდ მიღებული მოსაზრების თანახმად, იგი დაკავშირებულია ამ რეგიონში სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მომდინარე მაღალგანვითარებული კულტურული იმპულსების ინტენსიურ გავრცელებასთან. ამ

პროცესებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა აქ არსებულ ბუნებრივ გარემოს - სახმელეთო და სამდინარო გზების არსებობას. მკვლევართა ვარაუდით, მოგვიანებით, სწორედ სამიმოსვლო გზების დარღვევა გახდა სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის კულტურების დაცემის მიზეზიც (შანშაშვილი... 2016).

მომდევნო ეპოქაში, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, საერთაშორისო ურთიერთობებზე დაფუძნებული კულტურული ეპიცენტრი უკვე დასავლეთ ამიერკავკასიაში ინაცვლებს და მაღალგანვითარებული კოლხური კულტურის სახით გვევლინება. ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი დიდი ინტერკულტურული ურთიერთობების ქსელის გაბმაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს აქ არსებული მრავალფეროვანი ჰიდროლოგიური რესურსი (გამყრელიძე 2019:13). დასავლეთ საქართველოში არსებული დიდი მდინარეები - რიონი, ენგური, ჭოროხი და სხვ. (ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ კოლხეთის მდინარეების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ცნობილი იყო ბერძნულ სამყაროში. იგი მოხსენიებულია არაერთ ბერძნულ და რომაულ წყაროებში) და ზღვა, კოლხეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის საჭირო სააღებმიცემო ურთიერთობებს გაცილებით მარტივად და სწრაფად უზრუნველყოფდა. საზღვაო კავშირებმა გააღრმავა დასავლურ სამყაროსთან აქტიური მიმოსვლა, რის შედეგადაც, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი და მისი მიმდებარე რეგიონები ჩამოყალიბდა ზონად, სადაც საუკუნეთა განმავლობაში ხდებოდა დასავლური და აღმოსავლური ცივილიზაციების მუდმივი თანხვედრა.

ამ რეგიონისადმი მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის ინტერესს ყველაზე ნათლად ასახავს სტრაბონის ფრაზა, - „კოლხეთის სიმდიდრე ოქროთი, ვერცხლით, რკინითა და სპილენძით გვიხსნის იმ მიზეზებს, რისთვისაც განხორციელდა არგონავტების ლაშქრობა“ (1.2.39), შესაბამისად, საყოველთაოდ მიღებული მოსაზრების თანახმად, ძველ ბერძნულ წყაროებში ნახსენები „ოქრომრავალი“ კოლხეთი არა მხოლოდ ოქროთი მდიდარ რეგიონს ასახავს, არამედ სხვა ბუნებრივი რესურსის სიმრავლეზეც მიანიშნებს.

საქართველოში სხვადასხვა სახის ლითონის მადნის და მინერალური რესურსის ექსპლუატაციის ფაქტი უკანასკნელ წლებში ჩატარებული ინტერდისციპლინარული გეოარქეოლოგიური კვლევებით ნათლად დასტურდება. აქ, მთისა და მთისწინა ზონის გეოგრაფიულ სივრცეში, მეტალურგიულ და ლითონწარმოებასთან დაკავშირებული პირველხარისხოვანი ძეგლები მრავლად არის გამოვლენილი. აფხაზეთის, სვანეთის,

რაჭის, აჭარის, გურიის, კახეთის და ქართლის მთიან ზოლში აღმოჩენილია სპილენძ-ბრინჯაოსა და ოქროს წარმოებასთან დაკავშირებული სამთო-მეტალურგიული კომპლექსები (ინანიშვილი 2014:6). ამ პერიოდში, სპილენძისა და ოქროს დასამუშავებელი სახელოსნოები, სავარაუდოდ, ერთი უნდა ყოფილიყო. ამაზე მეტყველებს როგორც სხვა თანადროული კულტურული ცენტრების სახელოსნოების მაგალითები, ისე ბრინჯაოს, ვერცხლის, ოქროსა თუ კალისგან დამზადებული სამკაულის მსგავსებები; ასევე, ოქროს, ვერცხლის და სპილენძის ზოდების ერთად აღმოჩენის ფაქტები.

რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ოქროს რესურსს, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ოქროს საბადოები ცნობილია სვანეთში (მესტიის რაიონში სვანეთის ქედის ჩრდილოეთ განშტოება, მდ. ენგურის და მისი შენაკადების ზონაში), აჭარა-თრიალეთში (მდ. ხრამის შენაკადების სათავეები და მდ. გუჯარეთის წყლის ხეობა) და მთიან რაჭაში (ზოფხითოსა და ხვრელიეთის მადანგამოსავლები - აქ ოქრო და ვერცხლი გვხვდება როგორც მადნის, ისე თავისუფალ ზონაში - ინანიშვილი 2014:35-36, სურ. 2.3).

დღევანდელი მონაცემებით, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხეთში, ოქროს სამთო წესით მოპოვების ფაქტი არ დასტურდება (ჯერ ამ კუთხით სათანადო კვლევებიც არ ჩატარებულა), თუმცა არაერთი ფაქტი მიუთითებს, უძველესი დროიდან აქ არსებული ალუვიური/ქვიშრობული ოქროს მოპოვების წესის/ტრადიციის არსებობაზე.

დღეს არსებული არქეოლოგიური მონაცემები ნათლად მეტყველებს, რომ ძველი კოლხეთის მოსახლეობა საფუძვლიანად ერკვეოდა ალუვიურ/ქვიშრობული ოქროს მოპოვება-დამუშავებაში. სპეციალისტების განმარტებით, დღევანდელი მონაცემებითაც კი, კავკასიონის სამხრეთ კალთებიდან გამომავალ მდინარეებში ქვიშრობული ოქროს არსებობის რესურსი საკმაოდ მაღალია. მაგ., მდინარე ენგურსა და მისი შენაკადების, ცხენისწყლისა და ხრამის აუზში არსებული ოქროს ქვიშრობები, ე. ი. ოქროს დანალექი მასა, შეიცავს 2-3 გ. ოქროს მარცვლებს, გვხვდება 40 გრამამდე ოქროს თვითნაბადებიც, იშვიათ შემთხვევაში, ისინი რამდენიმე ასეულ გრამსაც აღწევს (ინანიშვილი 2014:36).

კოლხეთში ადგილობრივი ოქროს ნედლეულის არსებობისა და მოპოვების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციაა დაცული ძველ წერილობითი წყაროებში. ამ მხრივ

მნიშვნელოვანია, რომ თითქმის ყველა ანტიკურ წყაროში კოლხეთი მოხსენიებულია „ოქრომრავალი“ სტატუსით. ეს კი ქმნის საფუძველს, სულ მცირე ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისისთვის კოლხეთში მდიდარი და განვითარებული სახელმწიფოსმაგვარი ერთობის არსებობა ვივარაუდოთ. ამ მხრივ საინტერესოა კოლხეთის ლეგენდარული მეფის, აიეტის ანტიკურ ლიტერატურაში შემორჩენილი ეპიტაფია: „ოქროთი მდიდარი კოლხების მეფე აიეტი ღმერთების ყოვლისშემძლე სვემ გააპატიოსნა“ (ურუშაძე 1964:293-294; ლორთქიფანიძე 2002).

კოლხეთში ოქროს მოპოვებასთან დაკავშირებით ძველ ბერძნულ და რომაულ წერილობით წყაროებში დაცული ცნობებიდან მოვიყვანთ რამდენიმეს: პლინიუსის თანახმად, კოლხეთის მეფის აიეტის შთამომავალ სავლაკს სვანთა მიწაზე და საერთოდ, ოქროს საწმისებით სახელგანთქმულ თავის ქვეყანაში დიდი რაოდენობით ოქრო და ვერცხლი მოუპოვებია (Латышев 1904: 197-198), მისივე ცნობით, „კოლხეთში გავრცელებული იყო ოქროს მოპოვების ალუვიური წესი და ამ გზით მოპოვებული ოქრო გაცილებით უფრო სრულყოფილი და დაწმენდილია“ (Pliny 1898:228). სტრაბონის ცნობით (XI, 2, 19): „კოლხეთში ზამთრის ნიაღვრებს ჩამოაქვს ოქრო, ხოლო ბარბაროსები აგროვებენ (ოქროს) დახვრეტილი ვარცლებით და ბანჯგვლიანი ტყავებით: აქედან მომდინარეობს მითიც ოქროს საწმისიან ვერძზე“ (ყაუხჩიშვილი 1957:126). ახ. წ. II საუკუნის მწერლის, აპიანეს მიხედვით: „კავკასიონიდან გამომდინარე მრავალ ნაკადულს უჩინარი ოქროს ქვიშა ჩამოაქვს. ადგილობრივი მაცხოვრებლები მდინარეში სქელმატყლიან ცხვრის ტყავებს დებენ და აგროვებენ ქვიშას, რომელიც ამ ტყავზე რჩება. ალბათ, ამგვარივე იყო „აიეტის საწმისიც“ („მითრიდატეს ომების ისტორია“ 103) (აპიანე 1959: 199; ლორთქიფანიძე 2002:199).

ანტიკური ხანის მწერალთა ცნობებს კოლხეთის მდინარეებში ოქროს მოპოვების შესახებს ადასტურებენ უფრო გვიანდელი ცნობებიც, კერძოდ, XVII ს-ში არქანჯელო ლამბერტი ოქროს არსებობას მიუთითებდა კავკასიის მთებსა და ოდიშში (სამეგრელო), (ლამბერტი 1938:189). XVIII ს-ის დასასრულისთვის ი. რეინეგსის ცნობით, ოქროს ეძებდნენ მდინარე ჰიპიუსის (ცხენისწყლის) ჭალებში (Reineggs 1797:138). გამბას მიხედვით, ოქროს მოპოვება ხდებოდა სოხუმის მიდამოებშიც (Gamba 1826:85). დიუბუა დე მონპერე აღნიშნავს, რომ სვანეთის მდინარეები, ძირითადად ცხენისწყალი და აბაშა, ოქროს შემცველნი არიან. XVIII საუკუნის იმერეთის მეფეების ქვეშევრდომნი ეძიებდნენ ოქროს „სილის რეცხვით“ (Montperreux 1839:18; ჭყონია

1981:96). XIX საუკუნეში ოქროს მოპოვებას ინტენსიურად მისდევდნენ მდ. რიონისა და მდ. ენგურის ხეობებში. ოთ. ლორთქიფანიძეს ამ ფაქტის დასაზუსტებლად მოჰყავს სანქტ-პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული, რუსი ინჟინრების, ტომილევისა და გილკევის მიერ 1850-1853 წლებში მდ. ენგურსა და მდ. რიონში ოქროს მოსაპოვებლად ჩატარებული კვლევის ანგარიში (ხელნაწერი, სათაურით „მდინარეების, რიონისა და ენგურის ხეობაში ოქროს არსებობის პირობები“). აქ აღნიშნულია, რომ ზოგიერთ ადგილზე ერთ ტონა ქვიშაზე საშუალოდ 5.3 გრამი ოქრო მოდიოდა, ზოგიერთი ოქროს მარცვლის სიდიდე კი ზოგჯერ სიმინდის მარცვალს აღემატებოდა. აღნიშნულია შემთხვევები თვითნაბადი ოქროს პოვნისაც (ლორთქიფანიძე 2002:199). ამ მონაცემებს ამყარებს ცნობა, რომლის მიხედვითაც, 1843 წელს თბილისის სახაზინო პალატაში მოუტანიათ სვანეთში, ენგურის მარჯვენა მხარეზე, სოფ. ელისთან ოქროს საბადოში ნაპოვნი თვითნაბადი ზოდი კვარცთან ერთად. კიდევ ერთი დიდი თვითნაბადია (470 გ.) ნაპოვნი სოფელ აცაასთან, ენგურისა და ცაიშის შესართავთან (ზუხბაია 1995:12-14).

ასევე არსებობს ეთნოგრაფიული ცნობები სვანეთში ოქროს მოპოვების შესახებ. მაგალითად, ლ. ბოჭორიშვილს სვანეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული აქვს ბერძენ მწერალთა მიერ აღწერილი ოქროს მოპოვების წესი: სვანი მთხრობელების თანახმად, აქ ოქროს ცხვრის ტყავის (ტუფის) მეშვეობით მოიპოვებდნენ - ფიცარზე გაჭიმულს და სხვაგვარი ხერხით გაშლილ ცხვრის ტყავს წყალში ჩააფენდნენ და სათანადოდ დაამაგრებდნენ ისე, რომ ტყავის ბეწვიანი მხარე ზემოთ მოქცეულიყო. „ბეწვი ოქროს დაიჭერდა, წყალი კი გადაივლიდა“, „სველი ტყავი ოქროს კენჭებს მიიწებებდა“, რადანაც ოქრო უფრო მძიმეა (ბოჭორიშვილი 1946). აღსანიშნავია, რომ სვანეთში ჩატარებული უახლესი გეოლოგიური მონაცემები, სვანეთის მდინარეებში ქვიშრობული ოქროს არსებობას დღესაც ადასტურებენ (Okrostsvaridze... 2014:122-128).

ოქროს ადგილობრივ მოპოვებასა და დამუშავებაზე ასევე პირდაპირ მეტყველებს წინარეანტიკური ხანის განძებში კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშებთან ერთად ზოდების აღმოჩენის ფაქტიც.

როგორც ვნახეთ, დღევანდელი მონაცემებით, უკვე მრავალი ფაქტი (წერილობითი, ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური, გეოლოგიური) ადასტურებს კოლხეთის მდინარეებში ოქროს შემცველობის ფაქტს (Иессен 1935:162; ლორთქიფანიძე 1996:114-

116). ალბათ, სწორედ ადგილობრივი ნედლეულის არსებობამ განაპირობა კოლხური ოქრომჭედლობის ასეთ მაღალ დონეზე განვითარება, რასაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ამ მხარის ჩართულობა გარე სამყაროს სავაჭრო ეკონომიკურ პროცესებში და ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ღრმა ტრადიციები.

თავი II. არქეოლოგიური კონტექსტი

ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისი, ზოგადად, ძვირფასი ლითონის კვლევის საკითხში, მთელი რიგი მიზეზების გამო, მეტნაკლებად ბუნდოვანებით მოცული პერიოდია, რისი ერთ-ერთი მიზეზიც, ბევრ რეგიონში, არქეოლოგიური კონტექსტის სიმცირეა. ოქრომჭედლობის ძეგლების სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, რომელიც ზოგიერთი ტექნოლოგიური ხერხის და დეკორის კონსერვატიულ ხასიათში გამოიხატება, ქრონოლოგიური და კულტურული კუთვნილების განსაზღვრისას, ისტორიულ-არქეოლოგიური კონტექსტი გადამწყვეტ ადგილს იკავებს.

წინარეანტიკური პერიოდის კოლხური ოქრომჭედლობის კვლევა, უკანასკნელ ათწლეულებამდე, სწორედ ამ მიზეზების გამო იყო გართულებული. XX საუკუნის 70-იან წლებამდე მოპოვებული ძვირფასი ლითონის ნაწარმი (ჭუბურხინჯის, ნოსირის, ცხინვალის, ფარცხანაყანევის, ყაზბეგის განძები), ძირითადად, არქეოლოგიური კონტექსტის გარეშე იყო წარმოდგენილი, შესაბამისად, მათი ქრონოლოგიური თუ კულტურული კუთვნილების არგუმენტირებული განსაზღვრა დიდი ხნის განმავლობაში ვერ ხერხდებოდა (თუმცა, ა. ჯავახიშვილის, ბ. კუფტინის მიერ ადრეულ წლებში მათ შესახებ გამოთქმული მოსაზრებები, მოგვიანებით, ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების ფონზე გამართლდა და დასაბუთდა).

წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი ინფორმაცია მივიღეთ ცენტრალურ კოლხეთში, არქეოლოგიური კვლევა-ძიების საფუძველზე გამოვლენილი კოლექტიური სამაროვნებიდან. აღნიშნულმა ძეგლებმა, მიუხედავად თავისი სპეციფიკური ხასიათისა (უმეტესობა მეორადი დაკრძალვის კოლექტიურ სამარხ-ორმოებს წარმოადგენს), მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვცა აქ დაკრძალული მოსახლეობის განვითარების დონეზე, სოციალურ მდგომარეობასა და ქრონოლოგიაზე.

წინამდებარე თავში, შევეცდებით თავი მოვუყაროთ კოლხური ოქრომჭედლობის განვითარების პირველი ეტაპის (ძვ. წ. V საუკუნემდე) ძვირფასი ლითონის შემცველ კომპლექსებს, განვსაზღვროთ მათი ადგილი დროში და დავაჯგუფოთ ქრონოლოგიური პრინციპით.

გამომდინარე იქიდან, რომ ქართული ოქრომჭედლობის განვითარების ამ ეტაპზე კოლხეთი იყო ამიერკავკასიისა და მის მიმდებარე რეგიონებში გავრცელებული საიუველირო სკოლის ერთ-ერთი ცენტრი, საჭიროდ ჩავთვალეთ თავი მოგვეყარა კოლხური კულტურის ელემენტების ინფილტრაციის ზონაში შემავალი ძეგლებისთვის, სადაც კოლხეთში არსებულ საიუველირო სტილის ნიმუშებია აღმოჩენილი.

* * *

დღევანდელი მონაცემებით, კოლხეთის უადრესი ოქრომჭედლობის ნიმუშები დადასტურებულია სამი კატეგორიის ძეგლზე, ესენია:

1. განძები: ნოსირი, ჭუბურხინჯი, ფარცხანაყანევი, ცხინვალი, ყაზბეგი, ბომბორა;
2. სამარხეული კომპლექსები: ერგეტას I, II, III, IV, ცაიშის, მუხურჩას, დღვაბასა, ურეკის, ნიგვზიანის, მახვილაურის კოლექტიური სამარხი-ორმოები; გორაძირის, ბრილის, სამთავროს, ნარეკვავის, ვანის, წითელი შუქურას, თლიას, დიღმის, ურბნისის, ვარსიმაანთკარის, თრელის, ყოღოთოს, კისტირიკის და აჭანდარას სამარხები;
3. ნამოსახლარი: ჩოლოქი, სიმაგრე,

განძები:

განძების ფენომენი, როგორც კოლხური ბრინჯაოს კულტურის ეთნიკური ნიშანი, ძველი კოლხეთის მოსახლეობის ქონებრივ-სოციალური დიფერენციაციის არაპირდაპირი მოწმობა და რელიგიური ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. ამიერკავკასიის რეგიონში მათი გავრცელება ევროპიდან შემოსულ იმპულსებს უკავშირდება (Lordkipanidze 1991:95–109; ლორთქიფანიძე: 2001:177-178). ევროპაშივეა აღმოჩენილი ძვირფასი ლითონისგან შედგენილი უძველესი განძებიც. ესენია ძვ. წ. V ათასწლეულის მეორე ნახევრით დათარიღებული ოქროსა და ვერცხლის დისკოებისგან შედგენილი განძები უნგრეთიდან, ტრანსილვანია-მიოგრადიდან და ტერიორლოვკადან (Hansen 2013:137-167).

განძების დანიშნულებაში მკვლევარები ორ ძირითად მიმართულებას გამოყოფენ: ვოტივურ/რიტუალურ და ეკონომიკურ/უტილიტარულს (Knapp... 1988:236). მისი ფენომენი მკვლევართა მიერ, კულტურული ვითარების გათვალისწინებით,

სხვადასხვაგვარად არის ინტერპრეტირებული. მაგ., კნაპის აღნიშნულ ნაშრომში ავტორები, გვიანბრინჯაოს ხანის კვიპროსში განძების მოზღვავებას სავაჭრო ცირკულაციის დარღვევასა და ეკონომიკურ დაღმასვლას უკავშირებენ (Knapp... 1988: 239), ეკონომიკური ვარდნის ინდიკატორად მიიჩნევს მას კლეტერიც (Kletter 2003:148); საპირისპირო მოსაზრებას აფიქსირებენ ა. გოლანი, ბ. სასი და ს. გიტინი - მათ ძვ. წ. VII საუკუნიეში ვერცხლის განძების გამოჩენა, ნეო-ასურული დასახლებების ეკონომიკური აყვავების ნიშნად მიაჩნიათ (Golani... 1998:62; Gitin... 2001:40-43).

კოლხეთში გავრცელებული ე. წ. „მელითონეთა“ განძების ვოტივური ხასიათი კარგად არის დასაბუთებული მათი აღმოჩენის კონტექსტისა და ევროპული პარალელების გათვალისწინებით (Lordkipanidze 1991:95–109; ლორთქიფანიძე: 2001:177-178; ჯაფარიძე 1991; Apakidze 2000, Apakidze 2009; ჯიბლაძე 2016). ჰ. მატეასი და გ. შუმახერ-მატეასი იყვნენ პირველები, ვინც ევროპაში აღმოჩენილი ამ ტიპის განძები ვოტივურ კონტექსტში განიხილეს და მათში მეტალურგიული წარმოების რიტუალური ასპექტი - მელითონეების შეწირულობები წარმატებული წარმოებისთვის - დაინახეს (Matthäus... 1986; Hall 2016:21). მიუხედავად ბრინჯაოს ხანაში გავრცელებული „მელითონეთა“ განძების გამოკვეთილი ხასიათისა, არ გამოვრიცხავთ, რომ ადრერკინის ხანის მოგვიანო ეტაპზე, როცა განძებში ძვირფასი ლითონიც იწყებს გამოჩენას, მათ გარკვეული უტილიტალური ფუნქციაც ჰქონოდა. ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, აღმოსავლეთის რეგიონებში (სირია, ეგვიპტე, ლევანტი და სხვ) ფართო მასშტაბით გავრცელებული სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის განძების მოზღვავება (იხ. Golani 2013), რომლებსაც, მკვლევარები ამ პერიოდში არსებული სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს მიაწერენ.

განძების შესწავლასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ მათი დიდი ნაწილი შემთხვევით არის აღმოჩენილი და დამაჯერებლად იმის განსაზღვრა, რასთან გვაქვს საქმე, განძთან თუ დანგრეულ სამარხთან, ხშირად შეუძლებელია. ასევე, პრობლემაა ის, რომ შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ინვენტარის მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით ეს ეხება ძვირფასი ლითონის ნაწარმს, აღმომჩენთა მიერ სრულიად ან ნაწილობრივ არის დატაცებული (ახვლედიანი... 2019: 86).

დღევანდელი მონაცემებით, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარიღებული ძვირფასი ლითონის ნაწარმი აღმოჩენილია ნოსირის, ჭუბურხინჯის, ფარცხანაყანევის, ცხინვალის, ყაზბეგის, ხაიშისა და ბომბორას განძებში. ეს ძეგლები, მასში შემავალი მაღალტექნოლოგიური ხერხებით დამუშავებული, საინტერესო იკონოგრაფიის ოქროს ნივთების გამო, არაერთხელ მოქცეულა სხვადასხვა მკვლევართა ყურადღების ცენტრში. ალ. ჯავახიშვილმა, ბ. კუფტინმა, ი. გაგოშიძემ და სხვ. აღნიშნული ნაწარმი, მისი აღმოჩენის პირველივე ეტაპზე სამართლიანად მიიჩნიეს წინარეანტიკური ხანის ოქრომჭედლობის ნაწარმად და ხაზი გაუსვეს მათი კვლევის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

სამარხეული კომპლექსები:

სამარხეული კომპლექსი გახლავთ ის მნიშვნელოვანი არქეოლოგიური კონტექსტი, რომელიც ერთ-ერთ ინფორმაციულ როლს თამაშობს მატერიალური კულტურის მთელი რიგი დეტალების განსაზღვრის საკითხში. დღევანდელი მონაცემებით, მსოფლიოში უძველესი ოქროს ნივთების აღმოჩენები სწორედ ამ ტიპის ძეგლთანაა დაკავშირებული - ბულგარეთში, ვარნას სამაროვანზე აღმოჩენილია ძვ. წ. V ათასწლეულის შუა ხანებით დათარიღებული ოქროს ნივთები (Avramova 2000).

კოლხეთში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხეული კომპლექსების შესწავლას არცთუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. გასული საუკუნის 70-იან წლებიდან, მას შემდეგ რაც კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ თეიმურაზ მიქელაძის, (შემდეგ რ. პაპუაშვილის) ხელმძღვანელობით დაიწყო სისტემატური არქეოლოგიური კვლევა-ძიება ცენტრალური კოლხეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვნებზე, ნათელი მოეფინა კოლხეთის ისტორიის აქამდე უცნობ არაერთ საკითხს, რომელთაგან, ერთ-ერთი სწორედ კოლხური ოქრომჭედლობაა.

კოლხეთის დაბლობზე გამოვლენილ ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულითა და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით დათარიღებულ სამარხ-ორმოებში (სამაროვანთა აგებულების და ქრონოლოგიის შესხებ იხ. პაპუაშვილის 1998; 2010), რომელთა შორისაა ერგეტას, ცაიშის, დღვაბას, ურეკის, პალურის, მუხურჩას, ნიგვზიანის ათობით კოლექტიური სამარხი-ორმო, აღმოაჩინეს ასობით ოქროსა და ვერცხლის ნივთი. ისინი მოქცეულია ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის სხვადასხვა ქრონოლოგიურ ჯგუფში.

კოლხეთის შიდა რეგიონში, ძვირფასი ლითონის ნაწარმს ვხვდებით ბრილის, თლიას და გორაძირის სამაროვნებზე. აფხაზეთის ტერიტორიაზე - მერხეულის, კისტირიკის, აჭანდარას, წითელი შუქურას, ყულანურხვას, გუადიხუს სამაროვნებზე.

კოლხური კულტურის გავრცელების ზონებიდან აღსანიშნავია: დიღმის, თრელის, ნარეკვავის, სამთავროს, ვარსიმაანთკარის, ყოღოთოს, ზემო რუთხას სამარხეული კომპლექსები. ასევე, კოლხეთში მოქმედი საოქრომჭედლო სტილითაა დამზადებული სომხეთში, ლორი ბერდისა და მეწამორის წინარეანტიკური ხანის სამარხეული კომპლექსების მთელი რიგი ნაწარმი.

კოლხური ოქროსა და ვერცხლის ექსპორტად მიგვაჩნია აზერბაიჯანში აღმოჩენილი კოლხური ტიპის ძვირფასი ლითონის ნაწარმი.

ძვ. წ. VII საუკუნის ნაწარმად მიგვაჩნია ვანის ძვ. წ. IV საუკუნით დათარიღებულ წარჩინებული კოლხი ქალის სამარხში აღმოჩენილი სამკუთხა საკიდი. ყოღოთოსა და ვარსიმაანთკარის ადრეანტიკური ხანის სამარხებში აღმოჩენილი საყურეები.

ნამოსახლარები:

ნამოსახლარი გახლავთ ძეგლთა ის კატეგორია, სადაც ძვირფასი ლითონის ნაწარმი იშვიათად დასტურდება. კოლხეთისთვის დამახასიათებელ სამოსახლო ბორცვებზე, დიხაგუძუბებზე (ნამოსახლართა აგებულებისთვის იხ. ჯიბლაძე 2005), ძვირფასი ლითონისგან დამზადებული სამკაულის აღმოჩენის სულ რამდენიმე შემთხვევაა გამოვლენილი - ჩოლოქის ნამოსახლარის IV კულტურული ფენის ლითონჩამომსხმელ სახელოსნოებში ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს და I ათასწლეულის დასაწყისში, როგორც ჩანს, მზადდებოდა ვერცხლის ვერძისთავიანი საკინძები და სადა რგოლები (ჯიბლაძე 2005:211, CVIII9, 10, 11); ძვ. წ. VI საუკუნით დათარიღებულ სიმაგრის ნამოსახლარის II კულტურულ ფენაში აღმოჩენილია ფილიგრანის წნულით მოჩარჩოებული სამკუთხა საკიდი.

ქრონოლოგია

ქვემოთ შევეცდებით ქრონოლოგიური დაჯგუფების პრინციპით თავი მოვუყაროთ ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარიღებულ ძვირფასი ლითონის შემცველ კომპლექსებს, წარმოვაჩინოთ მათი რაოდენობრივი და სტილისტური

გადანაწილებები სხვადასხვა ქრონოლოგიურ (ტაბ.28) და ტერიტორიულ (ტაბ.1) სივრცეებში.

ნივთების ქრონოლოგიური დიფერენციაციისთვის გამოვიყენეთ რ. პაპუაშვილის მიერ შემუშავებული ქრონოლოგიური სკალა, რომელიც დაფუძნებულია სხვადასხვა კატეგორიის ინვენტარის ფორმალურ-ტიპოლოგიურ ნიშანთა ერთობლიობასა და განსხვავებებზე, მათ თანაფარდობაზე ამა თუ იმ კომპლექსში და გვიანბრინჯაო-ადრერკინის სხვა კულტურის ძეგლებზე დადასტურებულ პარალელურ მასალაზე (პაპუაშვილი 1998; პაპუაშვილი 2010).

წინამდებარე თავში აღნიშნულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებს შევუსაბამებთ ამ ჯგუფის გარეთ მყოფი ძეგლებიც.

კოლხეთში, უძველესი კომპლექსები, სადაც ძვირფასი ლითონის ნივთებია დადასტურებული, ძვ. წ. II ათასწლეულს განეკუთვნება (ესენია: ბრილისა და თლიას სამაროვნები, ანაკლია II-ის და ჩოლოქის ნამოსახლარები), თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ სტილისტურად ისინი განსხვავებულ ჯგუფს ქმნიან, საჭიროდ არ ჩავთვალეთ მათი წინარეანტიკური ხანის ოქრომჭედლობის ნიმუშების გვერდით განხილვა.

<u>I ქრონოლოგიური ჯგუფი:</u>

აღნიშნული ქრონოლოგიური ჯგუფი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედით თარიღდება. ზოგადად, ოქრომჭედლობის განვითარების ისტორიაში მსოფლიოს წამყვან კულტურულ ცენტრებში, ეს პერიოდი საიუველირო საქმის ხელახალი აღორძინების ხანად არის მიჩნეული. საბერძნეთში, ე. წ. «ბნელი საუკუნეებით» გამოწვეული 150 წლიანი ინტერვალის მერე, ძვ. წ. VIII საუკუნის დასაწყისიდან, კვლავ იწყება ძვირფასი ლითონის მასობრივი გამოჩენა, რაც აღმოსავლურ სამყაროსთან კონტაქტების განახლებით არის ახსნილი. ამის გამო, პერიოდს ძვ. წ. VIII საუკუნის დასაწისიდან ძვ. წ. VII საუკუნის ბოლომდე, სამეცნიერო ლიტერატურაში ორიენტალისტური გავლენის ხანას უწოდებენ (Higgins 1980:94). წინარეანტიკური ხანის კოლხეთშიც, როგორც ჩანს, ძვირფასი ლითონისგან დამზადებული ნივთების მასობრივ გამოჩენაში მნიშვნელოვანი წვლილი აქ არსებულ ინტერკულტურულ ურთიერთობებს მიუძღოდა.

რ. პაპუაშვილის მიხედვით, აღნიშნული ჯგუფის სამარხების ქრონოლოგიური მარკერებია: რკინის ნივთები ჯერ კიდევ იშვიათია, კერამიკა მცირე ზომის ქოთნებით და სასმისებით არის წარმოდგენილი, ჯერ კიდევ ვერ ვხვდებით ყურმილიან ხელადებსა და ვიწროძირიან სასმისებს; მცირეა გიშრის მძივსამკაული; ვხვდებით სფერული ფორმის კარგად ნაპრიალები სარდიონის, ფაიანსის და მინის მრავალფეროვან მძივებს (პაპუაშვილი 2010:40-41; პაპუაშვილი 1998:45-46). აღნიშნული პერიოდით დათარიღებული ძირფასი ლითონის შემცველი სამარხეული კომპლექსებია:

ერგეტა I სამაროვნის N2 სამარხი-ორმო გაითხარა 1978-79 წლებში კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ. ძეგლი წარმოადგენს ცენტრალური კოლხეთისთვის დამახასიათებელ დიდ კოლექტიურ ორმოსამარხს მეორადი დაკრძალვის წესით. ძვირფასი ლითონიდან აქ ვხვდებით:

- ოქროს ფურცლის მძივის გარსაკრავს, 5 ც. მძივის (პაპუაშვილი... 2022:19, ტა 7[8]);

სამარხეულ კომპლექსში აღსანიშნავია სხვადასხვა მინერალისა და პასტისგან დამზადებული, დიდი რაოდენობით (2522 ცალი) მძივი, რომელთა შორისაა იმპორტირებული, ფიგურული სახეებით მოყვითალოდ ინკრუსტირებული შავი ფაიანსის მოზრდილი მძივები (პაპუაშვილი...2022:13-16).

მასალა ინახება ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში.

ერგეტა II სამაროვნის N1 სამარხი-ორმო გაითხარა 1980-81 წლებში კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ. წარმოადგენს ცენტრალური კოლხეთისთვის დამახასიათებელ კოლექტიურ ორმოსამარხს მეორადი დაკრძალვის წესით. ძვირფასი ლითონის ნაწარმიდან ვხვდებით:

- ვერცხლის სადა, გახსნილ რგოლს (პაპუაშვილი... 2022:40, ტაბ.30 [18]);

აღნიშნული სამარხის დიდი ნაწილი უინვენტარო იყო. ვხვდებით: ბრინჯაოს და რკინის ყუნწიან სატევრებს, კოლხურ ცულს, სეგმენტებს, აბზინდებს, ცხოველისთავიან სატევრისებრი ფორმის საკიდებს, რგოლებს, სამაჯურებს და დიდი რაოდენობით (365 ც.) სარდიონის, ოპალის, გიშრის, ქარვის, თიხის და პასტის მძივებს, მცირე ზომის ნაღვენთისებურ ზოდებსა (აღსანიშნავია, რომ ვერცხლის ორი ნაღვენთი აღმოჩენილია ამავე სამაროვნის საკულტო მოედანზეც - პაპუაშვილი... 2022:38, ტაბ

29[49-50]) და სარდიონის პატარა, მრგვალ საინკრუსტაციო თვლებს (პაპუაშვილი... 2022:39-40, ტაბ.30).

მასალა ინახება ფოთის გ. ჩიტაიას სახელობის კოლხური კულტურის მუზეუმში.

ერგეტა II სამაროვნის N2 სამარხი-ორმო გაითხარა 1982 წელს კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ. ძვირფასი ლითონის ნაწარმიდან ვხვდებით:

- ვერცხლის სადა, გახსნილ რგოლს (პაპუაშვილი... 2022:40, ტაბ. 31[24]);

კომპლექსი მასალის განსაკუთრებული სიმრავლით არ გამოირჩევა. ვხვდებით: ყურიან და სახელურიან ტოლჩებს, ყუნწიან სატევარს, სოლისებურყუიან და მინიატურულ კოლხურ ცულებს, სეგმენტებს, თოხს, რკინის დანასა და სატევარს, ხარის ქანდაკებას, სხვადასხვა სახით შემკულ აბზინდებს და მცირე რაოდენობით მომწვანო პასტის, სარდიონის, ოპალის, გიშრის, ქარვის, ქალცედონის, მინისა და თიხის მძივებს (პაპუაშვილი... 2022:40-41).

მასალა ინახება ფოთის გ. ჩიტაიას სახელობის კოლხური კულტურის მუზეუმში.

ერგეტა II სამაროვნის N10 სამარხი-ორმო გაითხარა 2016 წელს რ. პაპუაშვილის ხელმძღვანელობით. ძეგლი წარმოადგენდა შედარებით მცირე ზომის სამარხს, მცირე სამარხეული ინვენტარით. ძვირფასი ლითონის ნაწარმიდან ვხვდებით:

- ვერხლის სადა, გახსნილ რგოლებს (პაპუაშვილი 2022: 57, სურ 88);

სამარხეული კომპლექსი შედგებოდა: ბრინჯაოს ყუნწიანი და ტარიანი სატევრების, სეგმენტის, ხატისუღელის, ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურების, რკინის მცირე ზომის დანის, მოზრდილი ქვის სალესისა და მძივებისგან, რომელთა შორის უმეტესობა წარმოადგენს მუქი ფერიის სარდიონის კარგად ნაპრიალებ, მოზრდილ მძივებს. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები სამარხში არ დადასტურებულა (პაპუაშვილი... 2022: 57).

ვერცხლის რგოლები აღმოჩენისთანავე დაიშალა, დანარჩენი მასალა ინახება ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში.

ერგეტა III სამაროვნის N2 სამარხი-ორმო შესწავლილ იქნა 1984 წელს კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ. ძვირფასი ლითონის ნაწარმიდან ვხვდებით:

- ოქროს კოპებიან მძივსაკიდს;
- ვერცხლის სადა რგოლებს (ფრაგმენტების სახით);

სამარხეული კომპლექსი შედგებოდა: თიხის ჭურჭლის ფრაგმენტების, ბრინჯაოს ტარიანი და ყუნწიანი სატევრების, სეგმენტებისა და დანის, რკინის ყუნწიანი სატევარისა და დანების, ბრინჯაოს სხვადასხვაგვარი სამკაულის (საკიდები,

რგოლები, სამაჯურები და საკისრე რგოლები), კაჟის ისრისპირების, ქვის სალესის და მრავალფეროვანი მძივებისა და მძივსაკიდებისგან. აღსანიშნავია, რომ ბრინჯაოს მძივებში დასტურდება აქვე აღმოჩენილი ოქროს მძივსაკიდის ანალოგიური მძივი (მიქელაძე... 1984; პაპუაშვილი 2022:74-75).

მასალა ინახება ფოთის გ. ჩიტაიას სახელობის კოლხური კულტურის მუზეუმში.

ერგეტის IV სამაროვნის N2 სამარხი-ორმო შესწავლილ იქნა 1984 წელს კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ. ძვირფასი ლითონის ნაწარმიდან ვხვდებით:

- ვერცხლის სადა რგოლის ფრაგმენტებს;
- ოქროს საყურეს, გრანულებისგან შედგენილი სამკუთხა ფორმის საკიდით (პაპუაშვილი... 2022:85, ტაბ. 95[54] სურ.137);

სამარხეული კომპლექსი სამკაულის განსაკუთრებული მრავალრიცხოვნებით და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქ ვხვდებით: თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს, ბრინჯაოს ყუნწიან სატევრებს, გრავირებულ კოლხურ ცულს (ფანტასტიკური ცხოველის გამოსახულებით), მრავალფეროვან სამკაულს და ქანდაკებებს (ხარისა და ადამიანის), რკინის ყუნწიან სატევარსა და დანას, დიდი რაოდენობით მძივებს: სარდიონის (742 ცალი, მათ შორისაა კარგად ნაპრიალები, სფერული მძივები), მინის (190 ცალი), თიხის (2 ცალი), მთის ბროლის (2 ცალი), პასტისა და ფაიანსის სხვადასხვაგვარ, მათ შორის ინკრუსტირებულ იმპორტულ მძვებს (პაპუაშვილი 2022:85-86, ტაბ 95).

მასალა ინახება ფოთის გ. ჩიტაიას სახელობის კოლხური კულტურის მუზეუმში. ოქროს საყურე ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში.

დღვაბას სამარხი ორმო N1 მდებარეობს ხობის რაიონ თორსა დღვაბაში. სამაროვანი არქეოლოგიურად შეისწავლეს 1985-89 წლებში კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ: ექსპედიციის ხელმძღვანელლი თ. მიქელაძე, რაზმის ხელმძღვანელი ნ. ჩუბინიშვილი (Микеладзе…1991:64, 65; Микеладзе...1995:42,43; პაპუაშვილი... 2005:24). ძეგლი წარმოადგენს კოლექტიურ ორმოსამარხს მეორადი დაკრძალვის წესით. კომპლექსში აღმოჩენილი ძვირფასი ლითონის ნაწარმია:

- ოქროს ვოლუტებიანი ხვია;
- ელექტრუმის სადა, გახსნილი რგოლი;
- ვერცხლის სადა, გახსნილი რგოლი, 6 ცალი;

- ვერცხლის ორნამენტირებული რგოლი;

სამარხეულ ინვენტარში აღსანიშნავია: ბიკონუსური ფორმის ჭურჭელი გველის რელიეფური გამოსახულებებით (მას ალბათ, გარკვეული საკულტო-სარიტუალო დატვირთვა უნდა ჰქონოდა). აქვეა ბრინჯაოს ზოდები და სახვადასხვა სახის რკინისა და ბრინჯაოსგან დამზადებული იარაღი და სამკაული. ყველაზე მეტი რაოდენობით აღმოჩენილია ბრინჯაოს სეგმენტები, სამაჯურები და რგოლები (Микеладзе… 1991:64,65; Микеладзе… 1997:42).

მასალა ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ცაიშის სამარხი ორმო N2 შესწავლილ იქნა 2007 წელს რ. პაპუაშვილის ხელმძღვანელობით. სამაროვანი მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულში. ძეგლი წარმოადგენს ცენტრალური კოლხეთისთვის დამახასიათებელ, დიდ, კოლექტიურ ორმოსამარხს, მეორადი დაკრძალვის წესით. თავისი ზომების და ინვენტარის გათვალისწინებით, აღნიშნული სამარხეული კომპლექსი ძალიან გამორჩეულია: იგი გახლავთ 80 კვ. მ-მდე სიდიდის კოლექტიური სამარხი-ორმო, სადაც, ანთროპოლოგიური (ლ. ასლანიშვილი) გამოთვლით, 2000-მდე სხვადასხვა სქესისა და ასაკის (მათ შორის, ჩვილის და მოხუცის) ინდივიდი იქნა დადასტურებული (პაპუაშვილი... 2015:16-17).

აქ აღმოჩენილია 32 ერთეულამდე ძვირფასი ლითონის მაღალმხატვრული ნაწარმი (პაპუაშვილი...2015: 22, ტაბ.51$_{1\text{-}16,\ 17\text{-}25}$; 74$_{1\text{-}12,\ 14,\ 18\text{-}21}$; 75$_{1\text{-}4,\ 6\text{-}10}$; 85$_{1\text{-}4,\ 7\text{-}13}$), ესენია:

- სარტყლის ფრაგმენტები, ოქროსი, შემკული ნაკაწრ ხაზებს შორის მოქცეული წერტილოვანი ჭდეებით;
- ოქროსა და ოქროს გარსაკრავიანი ვერცხლის რგოლები მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი და გახსნილი ბოლოებით, 5 ც.;
- ვოლუტებიანი ხვია, ოქროსი 1 ც. და ვერცხლის რამდენიმე;
- სატევრის ფორმის ოქროს საკიდები, 4 ც.;
- ორმაგი, ტარიანი ცულის ფორმის საკიდები, 2 ც.;
- სამკუთხა ფორმის საკიდი, გრანულებით გამოყვანილი მეანდრული ორნამენტით;
- ხუთი სახის მძივები: 1) ბიკონუსური, სიგრძეზე ვერტიკალურად დაღარული, 5 ც.; 2) ფილიგრანის ჭვირული, 10 ც.; 3) ე. წ. ნესვისებური - 5 ც; 4) ფირფიტისებრი: წრიული, 4 ც. და რომბის ფორმის 1 ც.; 5) სფერული, სადა;

- ოქროს ფირფიტის ჩარჩოში ჩასმული თვლები;
- გაურკვეველი დანიშნულების ლენტისებური ფირფიტები;

სამარხეულ კომპლექსში ვხვდებით: მრავალფეროვან თიხის ჭურჭელს; ბრინჯაოს ჯამს პირთან ცხოველის თავის სკულპტურული გამოსახულებით; ქვის, ბრინჯაოსა და რკინისგან დამზადებულ საბრძოლო და სამეურნეო დანიშნულების იარაღს. მათგან აღსანიშნავია ბრინჯაოს მინიატურული, ვოტივური კოლხური ცულები, მინიატურული, ორნამენტირებულპირიანი და ქარქაშიანი სატევრები; საწაფები; სანაყები; კვირისტავები; სალესები; ბრინჯაოს, რკინის, ქვისა და ობსიდიანის საიუველირო/სახელოსნო დანიშნულების იარაღი; ბრინჯაოს სხვადასხვა ფორმის ქინძისთავები და სადა სარტყლები; ოქროსა და ვერცხლის სადა რგოლებთან ერთად ვხვდებით ანტიმონის, კალის, ბრინჯაოსა და რკინისგან დამზადებულ, დიდი რაოდენობით რგოლებს (85 ცალი) (პაპუაშვილი...2015:18, ტაბ. 32). აღსანიშნავია ბრინჯაოს კოპებიანი მძივსაკიდი (პაპუაშვილი...2015:19, ტაბ. 83_{30}), ანალოგიური ერგეტას III სამაროვნის N2 სამარხ-ორმოში აღმოჩენილი ოქროსა და ბრინჯაოს ნიმუშების;

საგარეო კონტაქტების იდენტიფიკაციის კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობისაა კომპლექსში დადასტურებული მომწვანო და იისფერი მინისგან დამზადებული ჩიტის ფორმის მძივ-ავგაროზები (პაპუაშვილი...2015:19, ტაბ. 53_{1-3}, $88_{4,5}$), რომლებიც ზუსტ ანალოგებს გვიან ვილანოვას, ადრეული ორიენტალისტური იტალიისა და ეგეოსური სამყაროს ძეგლებზე პოულობენ. იტალიაში მსგავსი მძივების გავრცელების თარიღი კარგად არის განსაზღვრული ძვ. წ. VIII საუკუნის შუა ხანებიდან ძვ. წ. VII საუკუნის დასაწყისამდე (Koch 2018:228), მაგრამ მათი წარმოშობის საკითხი - როდოსი, ეგეოსის ზღვა თუ იტალია - ჯერ კიდევ ღიად რჩება (Koch 2018:228-235). ო. ფრეის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, მსგავსი მძივ-ავგაროზების გავრცელების არეალი საკმაოდ ვრცელია - იტალიიდან ჩრდილო-დასავლეთ ირანამდე (Frey 1980:71). მიუხედავად ამ ტიპის მძვების ფართო დისტრიბუციისა, მათი საერთო რაოდენობა არც თუ ისე ბევრია: იტალიასა და ეგეოსურ სამყაროში ასეთი სახის მძივ-ავგაროზები მხოლოდ მდიდრულინვენტარიან სამარხებში დასტურდება და თითო კომპლექსში მათი რაოდენობა 1-დან 5 ერთეულამდეა (Koch 2018:228-132). აღსანიშნავია, რომ მსგავსი ამულეტები მხოლოდ

ქალებისა და ბავშვების სამარხებშია აღმოჩენილი და მაღალი სოციალური ფენის ატრიბუციას წარმოადგენს (Koch 2018:228-229).

გარდა ჩიტებისა, იტალიისა და ეგეოსურ სამყაროში გავრცელებულ გამჭვირვალე მინის ნაწარმთან პოულობს თითქმის ზუსტ ანალოგებს (როგორც ფორმის, ისე ფერის მიხედვით) ცაიშსა და კოლხეთის არაერთ ძეგლზე აღმოჩენილი სხვადასხვა შეფერილობის, მოზრდილი, სფერული და ბიკონუსური გამჭვირვალე მინის მძივები. ასევე, აღსანიშნავია, ჩიტის ფორმის ავგაროზებთან ერთად აღმოჩენილი შავი მინისგან დამზადებული ამულეტები ეგვიპტური ბესის (ოჯახის, ქალებისა და ბავშვების მფარველი ღვთაება) სქემატური გამოსახულებებით. ეგვიპტური სტილის ამულეტები ძვ. წ. VIII საუკუნიდან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონებში, სადაც იგი ადგილობრივ იწარმოებოდა და ფართო დისტრიბუციაზე გადიოდა. ზემოთგანხილული ამულეტები, ამიერკავკასიის ფარგლებს გარეთ გავრცელებულია კავკასიური ტიპის ბრინჯაოს ნაწარმთან (მხედარი ქალისა და ხარის ქანდაკებები, ზარაკები, აბზინდები, საკიდები) ერთად (მიქელაძე 1985; ლორთქიფანიძე 2002; პაპუაშვილი 2008; ლიჩელი 2018; Licheli 2008; ვაჩაძე 2018:102-122), რაც კიდევ ერთხელ ასაბუთებს და განსაზღვრავს აღნიშნულ პერიოდში არსებული საგარეო ურთიერთობების მასშტაბებსა და ხასიათს.

მასალა ინახება ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში

თლიას სამაროვანი მდებარეობს შიდა ქართლში, ჯავის მუნიციპალიტეტში. ძეგლის არქეოლოგიური შესწავლა დაიწყო 1955 წელს ბ. ტეხოვის ხელმძღვანელობით, და სხვადასხვა წლებში გამოქვეყნდა კიდეც მისივე ავტორობით (Техов 1957: 36-148; Техов 1971:149-218; Техов 1980; Техов 1981; Техов 1985; Техов 2002). სამაროვანი საკმაოდ დიდი ქრონოლოგიურ ჩარჩოს - გვიანბრინჯაოს, ადრერკინის და განვითარებული რკინის ხანას - მოიცავს. ბ. ტეხოვმა აქ აღმოჩენილი სამარხები რამდენიმე ქრონოლოგიურ ჯგუფად დაყო, რომელიც, მოგვიანებით, არაერთი მკვლევარის მიერ (ლ. ფანცხავა, ჯ. აფაქიძე, ნ. სულავა ...) გადაისინჯა და გადათარიღდა.

დღემდე დისკუსიის საგნად რჩება თლიას კულტურული კუთვნილების საგანიც. ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, მართებულია ჯ. აფაქიძის დასკვნა. იგი დასავლეთ საქართველოში, ყობანის ლოკალურ ვარიანტებსა და თლიაში გავრცელებული მატერიალურ ძეგლებს ერთ კულტურას აკუთვნებს, რეგიონებს შორის არსებულ

განსხვავებებს კი (იხ. Панцхава... 2003), გარკვეული რეგიონალური თავისებურებებით ხსნის (აფაქიძე 2002:25-27).

აღნიშნულ ნაშრომში, თლიას სამაროვნის თარიღებთან დაკავშირებით ვიზიარებთ ჯ. აფაქიძის მიერ შემოთავაზებულ ქრონოლოგიას.

სამაროვანზე ძვირფასი ლითონის უადრესი ნიმუშები ძვ. წ. XIII-X საუკუნეების მეორე ნახევრით განსაზღვრულ (აფაქიძე 2002:30-31) კომპლექსებშია აღმოჩენილი და მეტნაკლებად იმეორებს ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში გავრცელებულ ნაწარმს.

აღნიშნულ ქრონოლოგიურ ჯგუფში ვაერთიანებთ თლიას სამაროვნის ძვ. წ. IX - ძვ. წ. VIII საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ სამარხებს. ჯ. აფაქიძის განმარტებით, ამ პერიოდის ქრონოლოგიური მარკერებია: ხმარებაში შემოდის შუა ნაწილში მოქლონებით შეკრული ბრინჯაოს სიტულები, აბზინდები, რომელთა ზედა შუა ნაწილში ცხოველის თავის გამოსახულებაა მოცემული; გრავირებაში, გეომეტრიული სახეების გვერდით, გვხვდება ცხოველსახოვანი გამოსახულებები; შედარებით მცირე რაოდენობით გამოჩენას იწყებს რკინის ნივთები (სატევრები, შუბისპირები, დანები), რომლებიც იმეორებენ ბრინჯაოს ნივთების ფორმებს) (აფაქიძე 2002:40-41). ამ ჯგუფის სამარხებში ძვირფასი ლითონის ნაწარმია:

- ფურცლოვანი ოქროს მძივების გარსაკრავები: სამარხები **N76** (Техов 1980: 23, ტაბ.55 $_{11}$), **N109** (Техов 1981: 8), **N233** (Техов 1981:13, სურ.67$_{7}$), **N252** (Техов 1981:15 სურ.72$_{7}$), **N263** (Техов 1981:16, სურ.74), **N271** (Техов 1981:17, სურ.77), N**273** (Техов 1981:18, სურ.78), **N278** (Техов 1981:19, სურ.81), **N302** (Техов 1981:21-22, სურ.86$_{4}$), **N408** (Техов 2002: ტაბ 81);
- 1.5-იანი სასაფეთქლეები, მოოქრული: სამარხები **N123** (Техов 1981:9, სურ.57) და ვერცხლის - **N252** (Техов 1981:15 სურ.72$_{7}$), **N355** (Техов 1981:311, ტაბ.32$_{1}$), **N408** (Техов 2002: ტაბ 81$_{2}$); ელექტრუმი - **N355** (Техов 1981:311, ტაბ.32$_{1}$);

ვფიქრობთ, ამ პერიოდის ოქრომჭედლობის ნიმუშს წარმოადგენს 1982 წელს **ღების მიმდებარედ, ადგილ ფიცრიხულაზე** აღმოჩენილი

- რელიეფურად ამოშტამპული მართკუთხა ფორმის ოქროს გარსაკრავის ფრაგმენტი (გადაკრული ყოფილა ბრინჯაოს ნივთზე).

როგორც ძეგლის გამთხრელი, გ. გობეჯიშვილი აღნიშნავს, აქ გამოვლენილია სხვადასხვა პერიოდის სამარხები შუა ბრინჯაოს ხანიდან ძველი და ახალი

წელთაღრიცხვის მიჯნამდე. სამწუხაროდ, აქ არსებული ძეგლები სხვადასხვა დროს იძარცვებოდა ან სტიქიის მიერ იყო ჩამოშლილი, ამიტომ რაიმე სახის კომპლექსის იდენტიფიკაცია ვერ მოხერხდა.

მასალა ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

<u>II ქრონოლოგიური ჯგუფი:</u>

მომდევნო, ძვ. წ. VIII საუკუნის მეორე ნახევრითა და ძვ. წ. VII საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებული ჯგუფის სამარხები ინვენტარის მეტი სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით ხასიათდება (რ. პაპუაშვილის ქრონოლოგიურ შკალაში ეს პერიოდი შეესამაბმება III ქრ. ჯგუფს). ეს იგრძნობა არა მარტო მასალის სიუხვესა და მრავალფეროვნებაში, არამედ თვითონ პროდუქციის დახვეწილობასა და სინატიფეში (პაპუაშვილი 2010:40; პაპუაშვილი 1998:45-46), რაც, ასევე, ძალიან შესამჩნევია ძვირფასი ლითონის ნაწარმისთვისაც. ამ პერიოდიდან, ოქრომჭედლობაში გამოჩენას იწყებს ცხოველსახოვანი სტილის ნიმუშები და რგოლები გრეხილური ფილიგრანის წნული ღეროებით.

რ. პაპუაშვილის მიხედვით, ამ ჯგუფის ქრონოლოგიური მარკერებია: სატევრების უმეტესობა რკინისაა, მაგრამ იმეორებენ ბრინჯაოს ფორმებს; ცულები, თოხები და სეგმენტები ბრინჯაოსგანაა დამზადებული; გამოჩენას იწყებს ყურმილიანი ხელადები და ცილინდრულტანიანი სასმისები; ბრინჯაოსთან ერთად სამკაულის დიდი ნაწილი დამზადებულია რკინისგან; ვხვდებით ბრინჯაოს ორნამენტირებულ სარტყლებსა და კალის ჭვირულ, დისკოსებურ საკიდებს; მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან სარდიონის მძივებთან ერთად, გამოჩენას იწყებს დიდი რაოდენობით გიშრის, ტალკის და ფაიანსის რთული გეომეტრიული ფორმის მძივები; ზოგადად, სამარხებში არ იგრძნობა რკინისა დეფიციტი, მაგრამ შესამჩნევია რკინის დამუშავების, ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობა (პაპუაშვილი 2010:40-41; პაპუაშვილი 1998:45-46).

აღნიშნულ ჯგუფის ყველაზე გამორჩეული და მდიდრული კომპლექსია **ცაიშის N1 სამარხი-ორმო.** ძეგლი არქეოლოგიურად შეისწავლეს 2005 წელს რ. პაპუაშვილის ხელმძღვანელობით. იგი წარმოადგენდა მოზრდილ (40 $მ^2$) სამარხ-ორმოს, 800-მდე ინდივიდის ნეშთით (პაპუაშვილი...2015:10-11). ძვირფასი ლითონის ნაწარმიდან აღმოჩენილია:

- წნულღეროიანი, ბურთულებით დაბოლოებული ოქროს რგოლი;

- სხვადასხვა ზომის ოქროს სადა რგოლები -12? ცალი;
- მოოქრული ვერცხლის რგოლები, 45 ცალი;
- ოქროს მძივები: ჭვირული, ბორბლისებური, ფუყე სფერული;
- საკიდის ფრაგმენტი (შესაძლოა იყოს საყურე) ოქროს ფირფიტის ბუდეებში ჩასმული ქარვის თვლებით;
- ოქროს საკიდის ფრაგმენტი;
- ე. წ. «კალათისებრი» ტიპის, გრანულაციით შედგენილი ჭვირული საყურეები, 2 ცალი;
- ე. წ. «კალათისებრი» ტიპის ინკრუსტირებული საყურეები, 2 ცალი;
- სამკუთხა ფორმის სხვადასხვაგვარი საკიდები, 6 ცალი;
- რომბის ფორმის ჭვირული საკიდი;
- სატევრის შესამკობელი, ოქროსი;
- ცვარათი და ინკრუსტაციით შემკული სატევრის ტარის ოქროს შემკულობები;
- ლენტისებური ნივთი (შესაძლოა ქარქაშის მორთულობა) ჭვირული, ჩარჩოში ჩასმული რომბებითა და სამკუთხედებით, ინკრუსტირებულია ქარვის თვლებით;
- ოქროს ყუნწი, სავარაუდოდ საყურის;
- გაურკვეველი დანიშნულების ნივთების ოქროს გარსაკრავები;
- ვერცხლის დუგმა, ბოლოებში ცხოველსახოვანი გამოსახულებებით;
- ვერცხლის ცილინდრული ფორმის მძივები, 5 ცალი;
- სატევრის ვერცხლის სალტე;
- თვლები, ვერცხლის, დაფანჯრული, ცვარათი შემკული, 2 ცალი;
- ვერცხლის საკიდი ცვარათი შედგენილი სამკუთხედით;
- ვერცხლის სხვადასხვა ფორმის საკიდის ფრაგმენტები;

სამარხეული კომპლექსი შედგებოდა 1300-მდე ნივთისა და 30 000-მდე მძივსამკაულისგან. ვხვდებით ქვის, თიხის, სპილენძის, ბრინჯაოს, რკინისა და კალისგან დამზადებულ სხვადასხვა სახის ინვენტარს - ჭურჭელს, საბრძლო და შრომის იარაღს, სამკაულს, ტუალეტთან და ტანსაცმელთან დაკავშირებულ აქსესუარებს, კულტთან და რიტუალთან დაკავშირებულ ნივთებს და ა. შ. (დაწვრილებით იხილეთ პაპუაშვილი... 2015).

ინვენტარში აღსანიშნავია საიუველირო დანიშნულების ნივთები: ბრინჯაოსა და რკინისგან დამზადებული მახათები, ნემსები, ყაისნაღები, სატეხები, საკაწრები,

საფხეკები, ბურღი, მინიატურული ჩაქუჩი, ობსიდიანის ანატკეცები და სხვა (პაპუაშვილი... 2015:13, ტაბ. 12; 69), რაც კიდევ ერთხელ ამყარებს აზრს, საიუველირო ნაწარმის ადგილობრივ წარმოებაზე.

ასვე, აღსანიშნავია ნივთები, რომლებიც ფორმებით იმეორებენ ძვირფასი ლითონისგან დამზადებულ ნაწარმს: ბრინჯაოს კოპებიანი მძივი (პაპუაშვილი... 2015:ტაბ. 72[9]), ბრინჯაოს მტევნისებურსაკიდიანი საყურეები (პაპუაშვილი... 2015:ტაბ. 19[24]).

იარაღის ინკრუსტაციისთვის უნდა ყოფილიყო გამოყენებული აქ აღმოჩენილი წრიული, ნახევარსფერული, ტრაპეციული, ცრემლისებური და სხვა ფორმის ოპალის, სარდიონისა და ქარვისგან დამზადებული თვლები. ამ პერიოდში მსგავსი დეკორატიული ელემენტებით, ძირითადად, რკინის სატევრის ტარები ფორმდებოდა.

მასალა ინახება ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში.

ერგეტის I სამაროვნის სამარხი-ორმო N4 გაითხარა 1980 წელს. წარმოადგენს კოლექტიურ ორმოსამარხს მეორადი დაკრძალვის წესით. ძვირფასი ლითონის ნაწარმიდან ვხვდებით:

- ოქროს წნულღეროიან, სფერული დეტალებით დაბოლოებულ რგოლს;
- ვერცხლის სადა რგოლს;

მიუხედავად იმისა, რომ N4 სამარხი-ორმო საკმაოდ მცირე ზომის იყო, მასში საკმაოდ მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა აღმოჩნდა (პაპუაშვილი... 2022:20). ესენია: 50-მდე თიხის ჭურჭელი, რომელთა შორისაა ყურმილიანი ხელადები და დეკორატიული ჭურჭელი; ბრინჯაოს სეგმენტები და სამკაული, რკინის სამაჯურები, დანები, ყუნწიანი და ტარიანი სატევრები, სარდიონისა და ოპალის სფერული, კარგად ნაპრიალები მძივები. ასევე, მინის, პასტის თიხისა და გიშრის მძივების სხვადასხვაგვარი ნიმუშები (პაპუაშვილი... 2022:20-21, ტაბ. 9).

მასალა ინახება ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში

ერგეტის I სამაროვნის სამარხი-ორმო N5 1981-1982 წლებში შეისწავლა კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციამ. წარმოადგენს კოლექტიურ ორმოსამარხს, მეორადი დაკრძალვის წესით. ძვირფასი ლითონის ნაწარმიდან წარმოდგენილია:

- ოქროს წნულღეროიანი რგოლი, დაბოლოებული სადა ფირფიტისგან დამზადებული სალტეებით, 2 ცალი;
- ოქროს მძივები: მილაკისებური , 11 ცალი; ცვარას ბურთულებით შედგენილი, 7 ცალი;
- ვერცხლის, ან ელექტრუმის სადა რგოლი, 7 ცალი;
- ვერცხლის საყურე სამკუთხა ფორმის საკიდით;
- ვერცხლის სამაჯურის ფრაგმენტი, 2 ცალი. მათგან ერთის ბოლოები გველის/ცხოველის თავის სტილისტურ გამოსახულებებს წარმოადგენს.;
- რკინის სატევრის ტარის ვერხლის გარსაკრავები, მათგან ნაწილი გაფორმებულია სარდიონის ნახევარსფერული თვლებით;

სამარხეული კომპლექსი განსაკუთრებული მრავალფეროვნებით და სიმრავლით ხასიათსება. ესენია: თიხის 50 ერთეულამდე სხვადასხვაგვარი ჭურჭელი (ყურმილიანი ხელადები, მინიატურული კოლხური სასმისები და სხვ); ბრინჯაოს ნაწარმი: ცულები (მათ შორის მინიატურული და ბრტყელი ვარიანტები); ყუნწიანი და ტარიანი სატევრები, ისრისპირები, დანები, თოხები და სეგმენტები, რგოლები, სამაჯურები, საკისრე რგოლები, აბზინდები, ცხოველსახოვანი საკიდები (მათ შორის დათვის ბელის გამოსახულებით), დუგმები, ხვიები, ღილები, ფიბულები, ზარაკები, ჯაჭვები, სარტყლები; ორნამენტირებული ჩქიფები; რკინის ნივთებიდან გვაქვს: ყუნწიანი და ტარიანი სატევრები (მათ შორის ერთი ვერცხლის სალტეებით და სარდიონის თვლებით გაფორმებული), დანები, ჩქიფი და სხვადასხვაგვარი სამკაული; განსაკუთრებული მნიშვნელობისაა წრიული ფორმის კალის ჭვირული, დისკოსებრი საკიდები, რომლებიც აღმოსავლურქართულ კულტურაში, სომხეთისა და დასავლეთ ირანის ძეგლებზე გავრცელებულ ორნამენტულ დისკოებს (ფიცხელაური 2005) მოგვაგონებს.

ასევე, დასავლეთ ირანული კავშირების ამსახველია კოლხეთის სამაროვნებზე მრავლად დადასტურებული, ე. წ. ახლოაღმოსავლური ტიპის სატევრები, რომლებიც პარალელებს ჰასანლუს IV კულტურულ ფენაში აღმოჩენილ სატევრებთან პოულობს (Haerink... 2004:31-70; Licheli 2013:169). შესაძლოა რკინის სატევრების ოქროს, ბრინჯაოს და ვერცხლის გარსაკრავებით შემკობის ტრადიციაც სწორედ ამ რეგიონიდან შემოსულ იმპულსებს უკავშირდებოდეს - ჰასანლუს ამავე ფენაში აღმოჩენილია ოქროს სალტეებით გაფორმებული რკინის სატევრები (მაგ. იხ.

Thornton… 2011:164), თუმცა ძვირფასი ლითონით შემკულ სარიტუალო იარაღს ვხვდებით როგორც ევროპულ, ისე ეგეოსური სამყაროს ძეგლებზეც და ესეც, ალბათ გარკვეული სახის ორიენტალიზებულ ტენდენციად უნდა მივიჩნიოთ.

კომპლექსიდან, ასევე, აღსანიშნავია კალის ჭვირული რომბის ფორმის საკიდი, ლაბირინთისმაგვარი მეანდრის ორნამენტით, რომელიც კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშებიდან რომბისებური ფორმის საკიდებსა და სამკუთხა საკიდების რევერსზე გამოსახულ მეანდრის ორნამენტულ სახეებს უკავშირდება.

სამარხში განსაკუთრებით მრავალფეროვან და მრავალრიცხოვან კოლექციას ქმნის მძივები. ვხვდებით: მაღალი ხარისხის, ერთფეროვანი სარდიონისგან დამზადებულ, კარგად ნაპრიალებ სფერულ და ცრემლისებურ მძივებს. გიშრისა და სხვადასხვა შეფერილობის გამჭვირვალე მინის მრგვალ და ბიკონუსურ ფორმებს, ქარვის ტრაპეციულ, ბრტყელ და მართკუთხა ნიმუშებს, ქალცედონის, ოპალის და ტალკის დომინოსებურ მძივებს, სხვადასხვა ფერის ფაიანსის მრავალფეროვან, მათ შორის ინკრუსტირებულ (სავარაუდოდ იმპორტულ) ნიმუშებს (პაპუაშვილი... 2022:21-26, ტაბ. 11-15).

საკიდებს შორის აღსანიშნავია ქარვისგან დამზადებული ცხოველის თავის გამოსახულებიანი საკიდი (პაპუაშვილი... 2022: 26, სურ. 23) და მინიატურული სასმისის იმიტაციები. ჭურჭლის იმიტაციები, როგორც ჩანს გავრცელებული ფორმა იყო თანადროული პერიოდის კოლხურ ძეგლებზე – ბრინჯაოსა და თიხის ჭურჭლის ფორმის საკიდები კოლხეთში აღმოჩენილია ბრილის ამავე ხანის კრემაციულ მოედანზე. ეგეოსურ სამყაროში მათ ვხვდებით ბერძნულ სამყაროში (სამოსსა და როდოსზე) ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის სამლოცველოების ვოტივურ ნივთებში (Verger 2012:32-33; Licheli 2013: 168-172; Papuashvili 2012).

ძვირფასი ლითონის ნაწარმი ინახება სიმონ ჯანაშიას სახელობის თბილისის სახელმწიფო მუზეუმში; დანარჩენი მასალა, ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში.

ერგეტის II სამაროვნის სამარხი-ორმო N4 შეისწავლეს 1997-1998 წლებში. წარმოადგენს კოლექტიურ ორმოსამარხს მეორადი დაკრძალვის წესით, სადაც 250-მდე ინდივიდის იდენტიფიკაცია მოხერხდა (პაპუაშვილი... 2022:42). ძვირფასი ლითონიდან წარმოაგენილია:

- ოქროს სადა, გახსნილი რგოლი;

- ვერცხლის სადა, გახსნილი რგოლები, ოქროს გარსაკრავით, 40 ცალი;
- ოქროს მძივები: მოზრდილი, კოპებიანი, 5 ცალი, მცირე ზომის, სფერული, 2 ცალი;

სამარხში აღმოჩნდა 30-ზე მეტი დასახელების 696 ნივთი (მძივების გარდა). აღნიშნული კომპლექსი არაერთი უნიკალური ნიმუშით არის გამორჩეული, რომელთა შორის აღსანიშნავია სამარხის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩენილი კალის მიკრო ზომის (დიამ 1-1.5 მმ) მძივები, რომელიც კალის წვრილი მავთულის მილიმეტრიან მონაკვეთებად დანაწევრებისა და მექანიკურად გახვრეტის გზით არის დამზადებული (Prange… 2001:188-191). მათი ანალოგები დღეისათვის, უცნობია. სამარხში ისინი აღმოჩნდა კალის შედარებით მოზრდილ (740 ცალი) მძივებთან ერთად.

ასევე, ვხვდებით ბრინჯაოს სიტულის ზოომორფულ ყურს, დიდი რაოდენობით სეგმენტებსს (74 ცალი), ბრინჯაოს გრავირებულ (პაპუაშვილი...2022: სურ.54) და მინიატურულ (პაპუაშვილი...2022:ტაბ.35[3,7-12]) ცულებს; ბრინჯაოს ბიმეტალურ და მთლიანადსხმულ სატევარს, გრავირებული ტარითა და გრეხილორნამენტული ქედით (პაპუაშვილი...2022:44, სურ.55).

სამკაული წარმოდგენილია ტანსაცმელთან დაკავშირებული აქსესუარებით და სხვადასხვა დანიშნულების მრავალფეროვანი ნივთებით (პაპუაშვილი...2022:44, ტაბ 40). მათგან აღსანიშნავია: ინკრუსტირებული ღილები (პაპუაშვილი...2022:45, სურ.59), ჭვირული დისკოსებრი საკიდები გეომეტრიული ორნამენტით (პაპუაშვილი...2022: 45. სურ.61), ბრინჯაოს ცხოველსახოვანი სტილით გრავირებული სარტყლის ფრაგმენტები (პაპუაშვილი...2022:45. ტაბ 42[11]), ბრინჯაოს სარკე (პაპუაშვილი...2022: ტაბ. 42[12]) და ხის სავარცხელი (პაპუაშვილი...2022:47 სურ 71).

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სამარხში აღმოჩენილი კალის ნივთების რაოდენობა და ფორმები. მათ შორის აღსანიშნავია სხვადასხვა სახის გეომეტრიული ორნამენტით გრავირებული, სარდიონისა და ქარვის თვლებით ინკრუსტირებული ნივთები (პაპუაშვილი...2022:46-47, სურ. 63, 64), რომლებიც სტილისტურად თითქოს წააგავენ ათენში აღმოჩენილ უცნაური ფორმის საყურეებად (ან თავსამკაულის დეტალებად) განსაზღვრულ ნივთებს ხვეული ღეროთი და კონუსური, ან დისკოსებური დაბოლოებით (Higgins 1980:pl. 14). აქვე ვხვდებით კალის სამკუთხა ფორმის საკიდებს, იმიტირებული ცვარას ორნამენტით, სეგმენტისებრი ფორმის სვასტიკებიან საკიდებს, სოლარულ სიმბოლოებად განსაზღვრულ ბორბლისებურ

საკიდებს, ტყვიისგან დამზადებულ, რთული გეომეტრიული ორნამენტით (რომბების ჩარჩოში მოქცეული სვასტიკის გამოსახულებით) შემკულ ჭვირულ, დისკოსებრ საკიდს (პაპუაშვილი...2022:46-47, ტაბ 40-42);

აღსანიშნავია, რომ ოქროს ფუყე 4 ცალი მძივი სამარხში დადასტურდა გიშრის 6 ცალ სფერულ მძივთან კომბინაციაში.

მასალა ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურ საცავში.

ერგეტის II სამაროვნის სამარხი-ორმო N9 შეისწავლეს 2014-2015 წლებში რ. პაპუაშვილის ხელმძღვანელობით. სამარხში დაახლოებით 30-მდე მიცვალებული იქნა იდენტიფიცირებული (პაპუაშვილი... 2022:55). ძვირფასი ლითონის ნაწარმიდან ვხვდებით:

- ოქროს წყვილ, სადა, მასიურ, გახსნილ რგოლს;
- მოოქრული ვერცხლის სადა, გახსნილ რგოლებს, 2 ც.;
- ვერცხლის სადა, გახსნილ რგოლებს (ღმოჩნდა დაშლილი სახით);
- რკინის სატევრის ვერცხლის სალტეებს, ქარვის თვლებით;

სამარხეულ ინვენტარში აღსანიშნავია: ბრინჯაოს ახლოაღმოსავლური ტიპის ტარიანი სატევარი, გრავირებული კოლხური ცული, მუქი ფერის სარდიონისგან და ოპალისგან დამზადებული კარგად ნაპრიალები სფერული მძივები, შავი, ლურჯი და იისფერი მინის მძივები, გიშრის სფერული, ქარვის ტრაპეციული და რომბისებური მძივები, მაღალი ხარისხის სარდიონისგან დამზადებული წვეთისებური, ბიკონუსური და სარისებური მძივსაკიდები და საინკრუსტაციო თვლები (პაპუაშვილი... 2022:56).

აღსანიშნავია, რომ ძეგლის თარიღი გერმანიაში, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში, განსაზღვრულ იქნა რადიოკარბონული მეთოდით ძვ. წ. VIII საუკუნით (პაპუაშვილი... 2022:56).

მასალა ინახება ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში.

ერგეტის II სამაროვნის სამარხი-ორმო N12 შესწავლილ იქნა 2016 წელს რ. პაპუაშვილის ხელმძღვანელობით. სამარხში 20-მდე მიცვალებულის იდენტიფიკაცია მოხერხდა (პაპუაშვილი... 2022:65). ძვირფასი ლითონიდან აღმოჩენილია:

- ოქროს ფუყე, მცირე ზომის მძივები, 3 ც.;

სამარხეული ინვენტარი არც ისე მრავალრიცხოვანია. ვხვდებით: ბრინჯაოს ყუნწიან სატევრებს, სეგმენტებს, სამაჯურებს, გრავირებულ აბზინდებს (მათ შორის სვასტიკის გამოსახულებებით), ჯვრისებურ საკიდს, რკინის სატევრებს, დანებსა და სამაჯურებს, მინის, პასტის, სარდიონისა და ქარვის მძივებს (პაპუაშვილი... 2022:66-67).

მასალა ინახება ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში.

ურეკის სამაროვანი მდებარობს ზღვიდან 200-ოდე მეტრის დაშორებით. სამაროვანზე არქეოლოგიური სამუშაოები 1976 წლიდან მიმდინარეობდა თ. მიქელაძის ხელმძღვანელობით (მიქელაძე 1985:3). ძეგლზე შეისწავლეს საკულტო მოედანი, 3 კოლექტიური სამარხი-ორმო და 69 ინდივიდუალური სამარხი, რომელიც ასევე კრემაციული უნდა ყოფილიყო. აღნიშნულ ქრონოლოგიურ ჯგუფში ერთიანდება **სამარხი-ორმო N3**. აქ აღმოჩენილი ძვირფასი ლითონის ნაწარმია:

- ოქროს წნულღეროიან რგოლები, დაბოლოებული ურჩხულის თავის სკულპტურული გამოსახულებებით, 2 ცალი;
- ოქროსი მძივ-მილაკი, ცვარას ბურთულებით შემკული;
- ოქროს თხელი ფირფიტის გარსაკრავი;
- ოქროს მრგვალი მძივი;
- ვერცხლის სადა, გახსნილი რგოლები, 11 ცალი;

სამარხეული კომპლექსი შედგება: სხვადასხვაგვარი თიხის ჭურჭლის (14 ცალი), კვირისტავების, სეგმენტების, ჰარპუნის, თოხის, ლაგამის, უმბონის, ბრინჯაოსა და რკინის ცულების, რკინის სატევრების და შუბისპირების, ბრინჯაოს ყუნწიანი და სკვითური ტიპის ისრისპირების, ლურსმნების, სალესი ქვების, ბრინჯაოს ზოომორფული და ანთროპომორფული ქანდაკებების, ბრინჯაოსა და რკინის პინცეტების, ხატისუღლების, სამაჯურების, დიდი რაოდენობით რგოლების, ბეჭდების, საკინძების, დუგმების, ზარაკების, ძეწკვების, ხვიების, სარდიონის (68 ც.), ქალცედონის (36 ც.), პასტის (60 ც.), ძვლის (22 ც.), ქარვის (6 ც.), გიშერის (70 ც.), ქვის (1 ც.) მძივებისა და მძივსაკიდებისგან (მიქელაძე 1985:102-104, ტაბ. IX-XVIII).

მასალა ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

გორაძირის სამაროვანი არქეოლოგიურად შესწავლილ იქნა 1967-1968 წლებში ე. გოგაძის ხელმძღვანელობით. **N4 ორმოსამარხში** აღმოჩენილია:

- ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი სამაჯური, დაფარული ოქროს თხელი ფურცლით, შუა ადგილას განივად დაღარული;

სამარხში ინვენტარი კომპაქტურად ელაგა მიცვალებულის კრემირებული ძვლების მცირე ნატეხებთან ერთად. ძეგლის გამთხრელები არ გამორიცხავენ, რომ ესეც, ცენტრალური კოლხეთის სამაროვნების მსგავსად (პალური, მუხურჩა, ნიგვზიანი, ურეკი და სხვა), კოლექტიური ორმოსამარხის ნაწილი იყოს (გოგაძე... 1981:5-8). სამარხში აღმოჩენილი მასალის მიხედვით (კერამიკა: ქილები, ქოთნები, კოჭბები, ჯამები, კეცები, სასმისები, ტოლჩები; ბრინჯაოს 9 ცალი და რკინის 1 სატევარი, ბრინჯაოს აბზინდა ცხენის გამოსახულებით, სარდიონის, სხვა მინერალების და ცისფერი პასტის სხვადასხვაგვარი მძივები) აღნიშნული სამარხის თარიღად ძვ. წ. VIII ს-ის დასასრული ან მისი მეორე ნახევარია მიჩნეული (გოგაძე... 1981:11-21).

ყულანურხვას სამაროვანი შეისწავლა 1948 და 1951-1952 წლებში მ. ტრაპშმა. ძვირფასი ლითონი აქ დადასტურებულია **N3 სამარხში** (ქალის სამარხია). ესენია:

- ვერცხლის რგოლები გაწვრილებული ბოლოებით, 2 ცალი.

სამარხში ისინი აღმოჩნდა მიცვალებულის საფეთქლებთან (Трапш 1970:107). აქვე იყო: თიხის სადა ჭურჭლის ნატეხები; ბრინჯაოს: მძივების დიდი ასხმა, ჯაჭვები, ფიბულები, სათვალისებრი სპირალური საკიდები, ჯვრისებური და ზოომორფულგამოსახულებიანი საკიდები, სპირალური მილხვია, სამაჯური და საკინძი; რკინის ნივთებიდან ვხვდებით ერთ ფიბულასა და ბეჭედს;

გამომდინარე იქიდან, რომ სამარხეული კომპლექსი შეიცავდა კოლხურ ბრინჯაოს ინვენტარს, ძეგლის გამთხრელი მ. ტრაპში მას ძვ. წ. VIII-VII ს-ის პირველი ნახევრით ათარიღებს (Трапш 1970:168). ნ. დოლიძეს №3 სამარხი ძვ. წ. VII ს-ით აქვს დათარიღებული (დოლიძე 1999:65).

აღნიშნულ ჯგუფში ვაერთიანებთ **თლიას სამაროვნის** ძვ. წ. VIII საუკუნის მიწურულითა და ძვ. წ. VII საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებული ძვირფასი ლითონის შემცველ სამარხებს (აფაქიძე 2002:43-44). ესენია:

- 3-იანი სასაფეთქლე ხვიები: მოოქრული - სამარხი **N124** (Техов 1981:35), ვერცხლი - სამარხი **N236** (Техов 1981:47, ტაბ. 131), **N372** (Техов 2002: ტაბ.48$_{2,3}$);
- 1.5-იანი ხვია, ვერცხლი - სამარხი **N124** (Техов 1981:35), **N375** (Техов 2002: ტაბ.51$_{7}$), **N380** (Техов 2002: ტაბ.56$_{17}$);

- ფურცლოვანი ოქროს მძივის გარსაკრავები: **N124** (Техов 1981:35. ტაბ. 104) 2 ც, სამარხები **N194** (Техов 1981:44-45, ტაბ. 122), **N270** (Техов 1981:48, სურ.132[4]); ვერცხლის - **N380** (Техов 2002: ტაბ.56[17]);

ამ ჯგუფის სამრხების ქრონოლოგიის ერთ-ერთი განმსაზღვრელ ნიშნებად მიჩნეულია რკინის მთლიანადსხმული, T-სებრთავიანი სატევრებისა და რკინის ფიბულების გამოჩენა (აფაქიძე 2002:44). კომპლექსებში აღმოჩენილ სხვადასახვა ლითონისგან დამზადებულ სასაფეთქლე ხვიებს ამ პერიოდში ბრტყელი ღერო და მკვეთრი ქედი ახასიათებთ.

აღნიშნული ქრონოლოგიურ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ასევე **ურბნისის ნაქალაქარის მე-16 უბანზე** გამოვლენილი სამარხის ნაშთის ოქროს ინვენტარი:

- ჭვირული მძივი;
- ინსიგნია;

ი. გაგოშოძემ აღნიშნული ნივთები მათი სტილისტური მახასიათებლების საფუძველზე სამართლიანად დაათარიღა წინარეანტიკური ხანით (გაგოშიძე 1976:25). კომპლექსის თარიღს, ძვ. წ. VII საუკუნეს, თვითონ ოქროს ნივთების სტილისტურ პარალელებთან ერთად, კარგად განსაზღვრავს აქ აღმოჩენილი შავად გამომწვარი და ნაპრიალები ზოლებით შემკული თიხის ლანგარი და ცალყურა ტოლჩა.

მასალა ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ურბნისის ფონდში.

დიღმის N2 ყორღანი გაითხარა 1970 წელს რ. აბრამიშვილის ხელმძღვანელობით. აქ აღმოჩენილია:

- ოქროს ჭვირული მძივი;
- ცვარას ბურთულებით შედგენილი მილაკი;
- ოქროს წახნაგოვანი მძივი;

სამარხეული კომპლექსი რ. აბრამიშვილს, აქ აღმოჩენილი თიხის ზოომორფული რიტონების საფუძველზე ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით აქვს დათარიღებული (Абрамишвили 1971:69).

თრელი, სამარხი N252. თრელის სამაროვანი მდებარეობს თბილისში, დიღომში. სამარხი გამოვლინდა 2012 წელს, მ. აბრამიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად.

კომპლექსი გახლავთ ქვაყრილიანი სამარხი, მარჯვენა გვერდზე დაკრძალული მიცვალებულის ნეშთით. ძვირფასი ლითონის ნაწარმის სახით ვხვდებით:

- ოქროს საყურეებს, ცვარათი შედგენილი სამკუთხა საკიდით, 2 ც.

სამარხეულ კომპლექსში ასევე აღმოჩენდა: შავად და მონაცრისფროდ გამომწვარი თიხის სხვადასხვაგვარი ჭურჭელი; ბრინჯაოს საკინძი, 5 ც., რკინის დანა, თეთრი და ცისფერი პასტის, სარდიონის, გიშრის და ძვლის მძივები და კაურები (აბრამიშვილი 2012: ინვ. N11-1:2012:107-125). განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს აქ აღმოჩენილი კალის მასიური რგოლი (დიამ - 15 სმ, ღეროს სისქე - 8 სმ), რომელსაც, შესაძლოა, ზოდის ფუნქციაც ჰქონოდა.

ოქროს ნივთები ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძვირფასი ლითონების ფონდში.

ოქროს ნივთების სტილისტური მსგავსებისა და ზოგიერთი სხვა ნიშნის მიხედვით, ამავე ქრონოლოგიურ ჯგუფში ვაერთიანებთ **ნოსირის განძს.** ძეგლი აღმოჩენილია 1929 წელს, სენაკის რაიონ სოფელ ნოსირში, ადგილობრივი მცხოვრების მიერ მიწის გადაბრუნების დროს.

აღმოჩენისას განძი შეიცავდა სარდიონის მძივებს (241 ც.), დაბალი ხარისხის ოქროს (ელექტრუმის) და ვერცხლის ნივთებს (ვერცხლის დაფანჯრულ ღილებს (8 ც) და დიდი რაოდენობით სპილენძის ზოდებს (ქორიძე 1965:48; გაგოშიძე 1976:13-14). ძვირფასი ლითონის ნივთებია:

- ელექტრუმის ფირფიტის ნატეხი, დაბალი რელიეფით გამოყვანილი ლომის თავის გამოსახულებით;
- წნულღეროიანი რგოლის თუ სამაჯურის გველ-ურჩხულის თავით დაბოლოებული ფრაგმენტი;
- წნულღეროიანი, ფირფიტებით დაბოლოებული ორი რგოლი;
- გავარსით დაფარული ფუყე, რგოლისებური საყურე;
- ელექტრუმის შვიდი ჭვირული მძივი;
- ელექტრუმის წვეთისებური მოყვანილობის ჭვირული საკიდი;
- სვასტიკის გამოსახულებიანი რომბისებური საკიდი;

ნოსირის განძის დათარიღებისთვის, თავიდანვე, გადამწყვეტი როლი ითამაშა სპილენძის ზოდებისა და სარდიონის მძივების ასხმამ. პირველად, სწორი თარიღი კოლექციას ბ. კუფტინმა განუსაზღვრა. მან, განძში ზოდების არსებობა, ჯერ კიდევ

ლითონური სახით ქონების დაგროვების ტრადიციად მიიჩნია და განძში შემავალ სარდიონის სფერულ მძივებთან ერთად (ბ. კუფტინმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ სარდიონის ასეთი მძივები კლასიკური და შემდგომი პერიოდის ძეგლებზე უკვე არ დასტურდება. Куфтин 1949:177), მნიშვნელოვან ფაქტად მიიჩნია ძეგლის თარიღის განსაზღვრისთვის. მუზეუმში ინახება სულ 13 ზოდი და ზოდის ნატეხი. ისინი, როგორც ი. გაგოშიძე უწოდებს, კოლხური ბრინჯაოს კულტურისთვის დამახასიათებელი სუფთა სპილენძის ჩვეულებრივი, ბრტყელი, დისკოსებური, ზოდებია, რომელიც მიიღება უშუალოდ მადნიდან სპილენძის გამოდნობის შედეგად. ზოდების დიამეტრი 120-130 მმ-ია, სისქე - 20 მმ (გაგოშიძე 1976).

როგორც აღვნიშნეთ, ძეგლის თარიღისთის, ასევე, გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია სარდიონის მძივების ასხმამ, რომელთა უმეტესობა მუქი მოწითალო-მოყავისფრო, ერთგვაროვანი შეფერილობის, მაღალი ხარისხის სარდიონისგან დამზადებულ, ოდნავ გამჭვირვალე და კარგად გაპრიალებულ, მოზრდილ, სტანდარტული სფეროს ფორმის მძივებს წარმოადგენს. ასეთი მძივები ამიერკავკასიაში, ძირითადად, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ძეგლებზე გვხვდება და მდიდრული სამარხების ერთ-ერთ დამახასიათებელ ატრიბუტს წარმოადგენს. მათი განსაკუთრებული მოზღვავება ძვ. წ. VIII-VII საუკუნეების ძეგლებისთვისაა შესამჩნევი, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს განძის თარიღის მართებულობაზე. მძივების სიმეტრიული ფორმა, კარგად გაპრიალებული ზედაპირი და წვრილი, ცილინდრული ფორმის ნახვრეტი, სარდიონის წარმოების მაღალ სტანდარტებზე მიუთითებს. ამიერკავკასიის ძეგლებზე მათ რაოდენობრივი და ტერიტორიული დისტრიბუცია და კოლხეთში (მუხურჩაში, ნოქალაქევში, ოჩხომურში, მარტვილის რაიონ.) შესწავლილი მძივების დასამზადებელი უნიკალური სახელოსნოები (Аракидзе 1991:44-48; აფაქიძე 1986; აფაქიძე 1985; ლომიტაშვილი 2003; Гогадзе 1977) ნათლად მეტყველებს მათ ადგილობრივ წარმოებაზე. მსგავსი სახის სარდიონი, როგორც ჩანს, კოლხეთის რეგიონის ყველა მდიდრული სამარხის აუცილებელი ატრიბუტი იყო. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ მსგავსი ფაქტურის, კარგად ნაპრიალები სარდიონის (სარდი) მოზრდილ, სფეროსებურ მძივსაკიდებს, ამიერკავკასიაში, ჯერ კიდევ ადრეყორღანების კულტურის ანანაურის დიდ ყორღანში ვხვდებით, ოქრომჭედლობის მდიდრულ ინვენტართან ერთად (მახარაძე... 2016). ზოგადად, სარდიონის მოპოვება და წარმოება, არქეოლოგიური და მინერალოგიური

მონაცემებით, საქართველოში დადასტურებულია (მეტრეველი 2022), თუმცა ამგვარი მაღალი ხარისხის სარდიონის მინერალოგიური რესურსი სამხრეთ კავკასიის რეგიონში, დღევანდელი მონაცემებით, შედარებით მცირედ არის იდენტიფიცირებული. მაღალი ხარისხის სარდიონის (სარდის) ყველაზე დიდი საბადოები პაკისტანსა და ჩრდილო ინდოეთის ხეობებს უკავშირდება, შესაძლოა ამ ტიპის მინერალი, ისევე როგორც კალა და ქარვა, ნედლეულის სახით შემოდიოდა და ადგილობრივ სახელოსნოებში მუშავდებოდა. საქართველოს ფარგლებს გარეთ, მსგავსი მძივები დადასტურებულია სირიაში, ურარტული ხასიათის ძეგლებზე სომხეთსა და ირანში, თუმცა რაოდენობრივი თვალსაზრისით ისინი ბევრად ჩამოუვარდებიან დასავლეთ ამიერკავკასიის ძეგლებზე აღმოჩენილ ნიმუშებს. ფორმით განსხვავებულ, მაგრამ სარდიონის ფაქტურით მსგავს (სარდის) ნაწარმს ვხვდებით გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის საბერძნეთის მატერიკულ მხარეში, პელეპონესსა და აღმოსავლეთ ეგეოსურ სამყაროში, სადაც ისინი, მინისა და ფაიანსის ნაწარმთან ერთად, ფუფუნების საგნად არის მიჩნეული და, ხშირად, ოქრომჭედლობის თანმხლებ ინვენტარს წარმოადგენს (Konstantinidi 2001).

აღნიშნული მძივების აღმოჩენა მდიდრულ სამარხებსა და ოქროს ნივთების შემცველ განძებთან ერთად, მათ განსაკუთრებულ ღირებულებაზე და სოციალურ არტიბუციაზე მიუთითებს.

განძის თარიღს, სარდიონის მძივებისა და სპილენძის ზოდების გარდა, ამყარებს თვითონ ოქროს ნივთების სტილისტური ნიშნებიც. აქ აღმოჩენილ ჭვირულ მძივებს ზუსტი პარალელები ეძებნება ამავე ქრონოლოგიურ ჯგუფში შემავალ ცაიშის N1 სამარხ-ორმოსა და ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით დათარიღებულ დიღმის N2 ყორღანში აღმოჩენილი ძვირფასი ლითონის სახით. ასევე, ამავე პერიოდის ცაიშის, ურეკისა და ერგეტის სამაროვნებზე პოულობს ანალოგებს ნოსირის განძში შემავალი რომბის ფორმის საკიდი, წნულღეროიანი რგოლები და ურჩხულის თავით დაბოლოებული რგოლისა თუ ხვიის ფრაგმენტი. ამრიგად, ძეგლის თარიღის განსაზღვრა ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

განძი ინახება სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ბომბორას განძი აღმოჩენილია გუდაუთის რაიონ სოფელ ბომბორაში, 1910 წელს, მიწის სამუშაოების დროს, ზღვის სანაპიროდან ერთი კილომეტრის დაშორებით, ბომბორას მინდვრის დასავლეთ ნაწილში, მიწის ზედაპირიდან 1.2 მ სიღრმეზე. განძში

შემავალი ნივთების ნაწილი ტექნიკის მიერ იყო დაზიანებული (დაწვრ. იხ. აფაქიძე 2006: 83). ძეგლი ე.წ. შერეული ტიპის განძების კატეგორიას მიეკუთვნება. მის შემადგენლობაში შედის სხვადასხვა დანიშნულების ბრინჯაოს, ოქროსა და მინის ნივთები. ოქროს ნივთებიდან აქ ვხვდებით:

- ოქროს თხელი ფირფიტისაგან გამოჭრილ ვიწრო, ღარისებრფრთიან "სამყურასებურ" ნივთს (თავსამკაულის ნაწილი?);

განძის კომპლექსში უმეტესად საკულტო ხასიათის ნივთებია წარმოდგენილი. იგი ბრინჯაოს მხატვრული ნაწარმის საკმაოდ მდიდარ კოლექციას შეიცავს - გამორჩეულია ბრინჯაოს სხვადასხვა ქანდაკებების (ცხენების, ძაღლების, თიკანის, ცხვრის, ფრინველის, სავარძელში მჯდომი ყანწიანი მამაკაცის, ბავშვიანი ქალის და სხვა) ფიგურული საკიდები, რომლებიც რგოლების მეშვეობით მიბმულია ჭვირულ ლენტებზე. ასევე, ვხვდებით მტაცებელი ცხოველის ბრინჯაოს თავს, პირში მომწყვდეული ბატკნით, ბრინჯაოს ვარდულებს (2 ც), ზარაკებს (3 ც), სხვადასხვა ტიპის სამაჯურებს (2 ც.), გამჭვირვალე, თეთრი და მოცისფრო მინის ორ სფერულ მძივს, რომელთაგან ერთ-ერთში გაყრილი წვრილი მავთული მოწმობს, რომ ისინი საყურის ფრაგმენტებად იყო გამოყენებული (Куфтин 1949: 236–241; სურ. 52-54,*2,* ტაბ. XXIII, XXIV; აფაქიძე 2006:82-83; წითლანაძე 2011:77-85; ტაბ. I-III; წითლანაძე 2013:108-109, ტაბ. VIII-XI; Воронов 1969:20; ტაბ. XLVIII, 3, 8-12).

ლ. წითლანაძე ოთ. ლორდქიფანიძის (ლორთქიფანიძე 2001) გამოკვლევაზე დაყრდნობით აკონკრეტებს ბომბორას კომპლექსის ვოტივურ შინაარსს და მას "რიტუალურ შეწირულობად" განსაზღვრავს (წითლანაძე 2011: 77–91; წითლანაძე 2013: 108). იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს განძში აღმოჩენილი ბავშვიანი ქალის ქანდაკებას, რომელიც კოლხეთის ტერიტორიაზე ფართოდ გავრცელებული „დიდი დედის" კულტთან დაკავშირებული ქალღვთაებაა (წითლანაძე 2013:108; Papuashvili 2012; Mikeladze 1995; Licheli 2008, Licheli 2013). სრულიად შესაძლებლია, რომ აღნიშნული განძიც ქალღვთაების სახელზე შეწირულ ნივთებს წარმოადგენდეს.

მკვლევარები ძეგლს ე. წ. განძების გვიანდელ ჯგუფს აკუთვნებენ და, ნივთების ხასიათის გათვალისწინებითა და პარალელურ მასალაზე დაყრდნობით, ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით განსაზღვრავენ (წითლანაძე 2013:104. ლორთქიფანიძე 2001:185. Воронов 1969: 20; წითლანაძე 2013:108).

III ქრონოლოგიური ჯგუფი

ამ ჯგუფის კომპლექსების თარიღად ძვ. წ. VII საუკუნის შუა ხანები და მისი მეორე ნახევარია მიჩნეული. რ. პაპუაშვილის მიხედვით, აღნიშნული ჯგუფის სამარხების დამახასიათებელი ნიშნებია: დიდი რაოდენობით საბრძოლო იარაღის, განსაკუთრებით კი რკინის სატევრების არსებობა, მათ შორის, ახალი ფორმების გამოჩენა; რკინის ცულები, სეგმენტები და თოხები იმეორებს ბრინჯაოს ცულების ფორმებს; გამოჩენას იწყებს რკინის სახნისები, დიდი ზომის მოხრილი, ე. წ. ურარტული დანები, ბრინჯაოს ორფრთიანი სკვითური ისრისპირები და აკინაკისებური რკინის სატევრები. რკინის სატევრები მხოლოდ ვადის მიხედვით უკავშირდებიან აკინაკებს, რომელთა გავრცელების თარიღად ძვ. წ. VII საუკუნე და მისი მეორე ნახევარია მიღებული (პაპუაშვილი 2010:34);

გარდა ზემოთმოყვანილი ნიშნებისა, ამ ჯგუფის სამარხები, სიმდიდრისა და მრავალფეროვნების კუთხით, ძალიან ჰგავს წინა ქრონოლოგიური ჯგუფის სამარხებს. მსგავსება შეინიშნება როგორც ოქრომჭედლობის ნიმუშების, ისე სამკაულის, კერამიკის, ქანდაკებებისა და ზოგიერთი სხვა დეტალების მიხედვით.

ერგეტის I სამაროვნის N6 სამარხი-ორმო 1982 წელს კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ შეისწავლა. ძეგლი წარმოადგენს მოზრდილ (ფართობი 62 $მ^2$-ს) სამარხეულ კომპლექსს მდიდრული, მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი სამარხეული ინვენტარით. ძვირფასი ლითონის ნაწარმიდან ვხვდებით:

- ოქროს წნულღეროიან რგოლებს, ბოლოებში მცირე ზომის სფეროსებრი დეტალებით, 2 ც.;
- ვერცხლისა და მოოქრული ვერცხლის სადა, გახსნილ რგოლებს, 41 ც.;
- ვერცხლის სადა სამაჯურებს, 2 ც.;
- ვერცხლის საყურეს;

სამარხეული ინვენტარი შედგებოდა: თიხის ჭურჭლის (130-მდე ერთეული), ბრინჯაოს სიტულის, რკინისა და ბრინჯაოს საბრძოლო და სამეურნეო (მათ შორის წალდი) იარაღის, ბრინჯაოსა და რკინის მრავალფეროვანი სამკაულის (რომელთა შორის გამოჩენას იწყებს დიადემები, გრეხილი რკალითა და დაბრტყელებული, ორნამენტირებული ბოლოებით) და მრავალფეროვანი მძივებისგან, რომელთა შორის სჭარბობს სარდიონის კარგად ნაპრიალები სფერული, წვეთისებური, წახნაგოვანი,

ტრაპეციული და სხვადასხვა სახის ფიგურული (ბალიშის, წერაქვისა და თევზის) ნიმუშები. გვხვდება გიშრის დიდი ზომის სფერული, კარგად ნაპრიალები მძივები, მათი ნაწილი სხვადასხვა სახის დეკორატიული სახეებით (ღარები, კონცენტრული წრეები, წიწვისებური ორნამენტი, რომბისებური ბადე) არის შემკული; ასევე, მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია ცისფერი პასტის, ოპალის, ქალცედონის, ქარვისა და მინის მძივები. აღსანიშნავია ლურჯი მინის თვალადი მძივის (მოყვითალო მასაში ჩასმული შავი ფერის თვლებით) აღმოჩენის ფაქტიც (პაპუაშვილი... 2022: 31-32).

მასალა ინახება ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში.

ერგეტის III სამაროვნის N4 სამარხი-ორმო 1990 წელს შეისწავლა კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ თ. მიქელაძის ხელმძღვანელობით. ძეგლი წარმოადგენდა მოზრდილ (ფართობი 100 m^2-ს) სამარხეულ კომპლექსს მრავალრიცხოვანი (500-ზე მეტი) სამარხეული ინვენტარით (პაპუაშვილი... 2022:76-79). ძვირფასი ლითონის ნაწარმიდან ვხვდებით:

- მოოქრული ვერცხლის რგოლებს ურჩხულის თავის სტილიზებული გამოსახულებით, 2 ცალი;
- მოოქრული ვერცხლის სადა, გახსნილ რგოლებს, 3 ცალი;
- მოოქრული ბრინჯაოს 1.5-იან ოვალურ ხვიას;
- ვერცხლის რგოლებს, 35 ცალი;
- ოქროს ფურცლის მძივის გარსაკრავებს (ცუდი შემორჩენილობის გამო რაოდენობის დაზუსტება ვერ მოხერხდა);
- სატევრის ტარის ვერცხლის სალტეს, ინკრუსტირებულს სარდიონის თვლებით;

სამარხეული კომპლექსი შედგებოდა: თიხის სხვადასხვაგვარი ჭურჭლის (59 ერთეული), ბრინჯაოს სამფეხა ჯამის, ბრინჯაოსა და რკინის იარაღის (მათ შორისაა კარგად გრავირებული კოლხური ცულები), მრავალფეროვანი სამკაულის, ქანდაკებების (მათ შორისაა ცხენზე გვერდულად მჯდომი ქალღვთაების ფიგურა და ხარის ქანდაკებები), ხის სავარცხლის და მძივების კოლექციისგან. მძივებში ვხვდებით სარდიონის, გიშრის, ქარვის, ტალკის, მინისა და პასტის სხვადასხვა ფორმებს. ნიშანდობლივი ნივთებია სარდიონის თვლები, რომლებიც, ალბათ, სატევრის ტარის შესამკობლად იყო გამოყენებული (პაპუაშვილი... 2022: 76-79)

მასალა ინახება ფოთის გ. ჩიტაიას სახელობის კოლხური კულტურის მუზეუმში.

ერგეტის IV სამაროვნის N1 სამარხი-ორმო შესწავლილ იქნა 1984 წელს კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ. ძეგლი წარმოადგენდა მოზრდილ (ფართობი 70 $მ^2$-ს) სამარხეულ კომპლექსს მრავალრიცხოვანი (400-მდე ერთეული, მძივების გარდა) სამარხეული ინვენტარით (პაპუაშვილი... 2022:81-83). ძვირფასი ლითონის ნაწარმიდან ვხვდებით:

- ოქროს სადა, გახსნილ, მასიურ რგოლს;
- ვერცხლის სადა, გახსნილ რგოლებს, 18 ცალი;

სამარხეული კომპლექსი შედგებოდა: თიხის სხვადასხვაგვარი ჭურჭლის (59 ერთეული), დიდი რაოდენობით ბრინჯაოსა და რკინის იარაღის და მრავალფეროვანი სამკაულისგან. აღსანიშნავია, ადორაციის პოზაში მყოფი ქალღვთაების ფიგურა. სწორედ მასთან დაფიქსირდა სამარხში აღმოჩენილი ერთადერთი ოქროს ნივთი, რგოლი (პაპუაშვილი...2022:82-83). მძივსამკაულში სჭარბობს პასტისა (900-მდე) და გიშრის (400 ც.) მძივები, არის სარდიონის (104 ც.), მინის (89 ც.), და სხვადასხვა მასალის (165 ც.) ნაირგვარი ნიმუში.

მასალა ინახება ფოთის გ. ჩიტაიას სახელობის კოლხური კულტურის მუზეუმში.

დღვაბას N2 სამარხი ორმო შესწავლილ იქნა 1987 წელს კოლხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციის მიერ. სამარხ-ორმოში დაფიქსირდა დაახლოებით 30-მდე ინდივიდის ნეშთი. ძვირფასი ლითონის ნაწარმიდან აღმოჩენილია:

- გიშრის მძივების ოქროს გარსაკრავები (რაოდენობის დაფიქსირება ვერ მოხერხდა, აღმოჩენისთანავე დაიშალა);
- ელექტრუმის სადა, გახსნილი, რგოლები, 5 ცალი;
- ვერცხლის სადა, გახსნილი, რგოლები, 4 ცალი;

სხვა ინვენტარში გვხვდება: თიხის და ბრინჯაოს ჭურჭელი, ბრინჯაოსა და რკინის თოხები და ცულები, ბრინჯაოს სატევრები, შუბისპირები და ისრისპირები, რკინის დანები, ბრინჯაოსა და რკინის ხატისუღლები, ბრინჯაოს რგოლები, სამაჯურები, საყურეები, პინცეტები, საკიდები, საკინძი, ზარაკები და ძეწკვები, მშვილდსაკინძები, ღილები, სარტყლები, პლასტიკური ფორმები და გაურკვეველი დანიშნულების ნივთები. მძივსამკაული წარმოდგენილია სხვადასხვა მასალისგან დამზადებული მრავალფეროვანი ფორმებით (Микеладзе... 1995: 42, 43)

მასალა ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში

მუხურჩის სამაროვნის ქვედა დასაკრძალავი მოედანის შეისწავლეს 1974-76 წლებში პროფ. ე. გოგაძის ხელმძღვანელობით. ძვირფასი ლითონის ნაწარმიდან აღმოჩენილია:

- სამაჯურის დაბოლოება, ურჩხულის სკულპტურული გამოსახულებით, ოქროსი;
- ბოლოებგახვრეტილი სასაფეთქლე რგოლები, ერთი რგოლის ბოლო დაბრტყელებულია, მეორესი არა, ოქროსი;
- ცვარას ბურთულებით შედგენილი მძივები, ოქროსი;
- ვერცხლის ფირფიტისგან დამზადებული ორნამენტირებული, ბეჭედი;
- ვერცხლისა და კალის მოოქრული რგოლები (Гогадзе... 1977: 63-64);

კომპლექსში (ქვედა დასაკრძალავი მოედანი) ასევე აღმოჩენილია: ბრინჯაოს: სეგმენტისებური იარაღი, კოლხური ცულები, ვიწროპირიანი თოხები, ფიბულები, სატევრები, შუბისპირები, ყუნწიანი ისრისპირები, სადა სარტყლები, პეპლისებური აბზინდები, პინცეტები, სადა და ორნამენტირებული სამაჯურები, ზარაკები, აჟურული საკიდები, ძეწკვები, ორმაგი ცულის ფორმის საკიდები, სათვალისებური დუგმები, სავარცხლები, ღილები და ქანდაკებები (მათ შორის ცხენზე გვერდულად მჯდომი ბავშვიანი ქალღვთაების); რკინის სატევრები; თიხის ჭურჭელი (ძირითადად წარმოდგენილია ბადისებური ორნამენტით, ვერტიკალური კანელურებითა და მარყუჟისებრი ყურებით) და მძივები: ტალკის, პასტის, სარდიონის, მინის და ქვის სხვადასხვაგვარ ფორმებს (Гогадзе... 1977:60-68, ტაბ. VI-X).

მასალა ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

მახვილაურის სამაროვანი გაითხარა 2015 წელს. წარმოადგენს კოლხური ტიპის კოლექტიურ ორმოსამარხს, მეორადი დაკრძალვის წესის გარეშე. ძვირფასი ლითონის ნაწარმიდან ვხვდებით:

- ოქროს სფერულ, თითო და წყვილად მძივებს;
- ვერცხლის სამაჯურებს შემსხვილებული თავებით (ცხოველის სტილიზებულ გამოსახულებებს უნდა გადმოსცემდეს), 2 ცალი;
- ვერცხლის სადა, მასიურ, გახსნილ რგოლებს, 4 ცალი;

სამარხეული კომპლექსი შედგებოდა მდიდრულად შემკული, დახვეწილი და გამორჩეული ფორმების თიხის ჭურჭლის, კვირისტავების, რკინისა და ბრინჯაოს ცულების, რკინის ტარიანი სატევრებისა და დანების, ქვის სალესების, კაჟის ისრისპირების, ორნამენტირებული, კონუსურთავიანი საკინძების, და სხვა

მრავალფეროვანი მასალისგან, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს აქ აღმოჩენილი ცხენზე გვერდულად მჯდომი ქალღვთაებისა და მძივების მდიდრული კოლექცია: მაღალი ხარისხის სარდიონის (სარდის) და გიშრის კარგად ნაპრიალები, მოზრდილი, სფერული, წვეთისებური და რომბისებური ნიმუშები; მოცისფრო, მოყვითალო და მომწვანო გამჭვირვალე და პოლიქრომული მინის სფერული და ბიკონუსური ფორმები; ინკრუსტირებული პასტისა და ფაიანსის სხვადასხვა გეომეტრიული მოტივით დეკორირებული მძივები (კახიძე... 2017:85-87).

დამათარიღებელი მნიშვნელობისაა აქ აღმოჩენილი რკინის ცულები, რომლებიც ფორმით იმეორებენ ბრინჯაოსგან დამზადებულ ნიმუშებს.

აღნიშნულ ქრონოლოგიურ ჯგუფში ვაერთიანებთ **ბრილის სამაროვნის** 1939 წელს შესწავლილ **N33 ქვაყუთს.** ძვირფასი ლითონის ნაწარმის სახით წარმოდგენილია:

- გომბეშოს ფორმის ვერცხლის საკიდი.

სამარხეული კომპლესი შედგება ბრინჯაოს: მასრაგახსნილი შუბისპირით, ნახევარსფერულთავიანი საკინძით, სადა რგოლით და მრგვალბრტყელი მძივებით; ნიშანდობლივია აქ აღმოჩენილი იასპის სფერული მძივები და ვიწროძირიანი, წითელკეციანი ჭურჭელი, რომელიც ანალოგებს წინარეანტიკური ხანის კოლხეთის დაბლობში პოულობს. აღნიშნული ნივთების გათვალისწინებით, სამარხეულ კომპლექსის თარიღად ძვ. წ. VII საუკუნე მიგვაჩნია.

სიმაგრის ნამოსახლარი მდებარეობს მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე, სოფ. საქორქიოში. ძვირფასი ლითონისგან დამზადებული ნივთები აღმოჩნდა II კულტურულ ფენაში, ესენია:

- ფილიგრანის წნულით მოჩარჩოებული ოქროს სამკუთხა საკიდი;
- ვერცხლის რგოლი, ჯვარედინად დატიხრული ორნამენტით;

ოქროს საკიდი აღმოჩნდა N2 ნაგებობის აღმოსავლეთ კედელთან. აღნიშნული ფენა ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანი მონაპოვრით გამოირჩევა. იგი შედგებოდა დიდი რაოდენობით ადგილობრივი და იმპორტული თიხის ჭურჭლის, ბრინჯაოს დანისა და ჩქიფის, რკინის შუბისპირების, თოხების, დანების, სასხლავის, ანკესის, ლაგამის, ქვის ხელსაფქვავების, კაჟის მასიური შუბისპირების, ძვლის მახათის, ხის სავარცხელის, ციცხვების, ჩოგნებისა და სხვადასხვა მინერალის, გიშრისა და მინის თვალადი მძივებისგან. სამარხეული ფენა ძვ. წ. VI საუკუნით არის განსაზღვრული (მიქელაძე 1978:58-62).

ძვ. წ. IV საუკუნის დასასრულით არის დათარიღებული **ვანის N24 სამარხი,** რომელიც წინარეანტიკური ხანის ოქრომჭედლობის გამორჩეულ ნიმუშებს შეიცავს. ესენია:

- ფილიგრანის წნულით მოჩარჩოებული ოქროს სამკუთხა საკიდი, 2 ცალი;

სამარხში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ძვირფასეულობა კარგად გამოხატავს აქ დაკრძალული პიროვნების სოციალურ სტატუსს და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ ტიპის სამკაულის მაღალ სოციალურ ატრიბუციას. საკიდისა და კომპლექსის განსხვავებულ თარიღზე მეტყველებს როგორც საკიდებზე არსებული ცვეთის და შეკეთების კვალი, ისე აქ აღმოჩენილი ადრეული ნივთი - ქალცედონის მესოპოტამიური საბეჭდავი, რომელიც ნეო-ბაბილონურ ეპოქასთან არის დაკავშირებული და ძვ. წ. 626-539 წლებით თარიღდება (Kacharava… 2008: 175-182; Kacharava…2009: 237-315)

ნარეკვავის სამაროვანი მდებარეობს მცხეთის შემოგარენში. სამაროვანი გაითხარა 1998 წელს მცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტის მიერ. ძეგლი შედგებოდა ქვაყრილიანი, ინდივიდუალური ორმოსამარხებისგან (აფაქიძე...1998: 3-4). აქ ძვირფასი ლითონის ნაწარმს ვხვდებით **N41 სამარხში**. ესენია:

- სხივანა საყურე, ოქროსი, წარმოადენს ბოლოებდაბრტყელებულ და გახვრეტილ სასაფეთქლე რგოლზე მირჩილულ, მტევნით დაგვირგვინებულ ღეროს;
- მძივები, ოქროსი, ფირფიტოვანი, მრავალნახვრეტიანი, იხვის ფორმის, 12 ცალი; (აფაქიძე...1998:108-109)
- მძივები, ოქროსი, ჭვირული, ბიკონუსური, 11 ცალი;

სამარხეულ კომპლექსში ასევე აღმოჩენილია: თიხის სასმისები, ბრინჯაოს მართკუთხა ბალთა გეომეტრიული ორნამენტით, ღორის ქანდაკება, გუმბათისებური ბუნიკი, სათასმე ბალთები, შტანდარტის თავი, უმბონი, ვადის სალტე, გარსაკრავის ნაწილები, სხვადასხვა ზომის მილაკები, ჩქიფი, ლურსმნები, გეომეტრიულორნამენტიანი სამაჯურები, ბურთულისებრთავიანი საკინძი, საკიდები თევზისა და ირმის სკულპტურული გამოსახულებებით, ღილები, ბრინჯაოს ორფრთიანი ისრისპირები. (აფაქიძე... 1999: 108-114). კომპლექსის თარიღი აქ აღმოჩენილი სამარხეული ინვენტარის გათვალისწინებით (განსაკუთრებით კი მაღალი ხარისხის სარდიონის კარგად ნაპრიალები, სფერული მძივები, ოქროს ჭვირული მძივებით) კარგად ისაზღვრება ძვ. წ. VII საუკუნით.

აღნიშნულ ქრონოლოგიურ ჯგუფში ერთიანდება ასევე **სამთავროს სამაროვნის N206** სამარხში აღმოჩენილი:

- ვერცხლის სამკუთხა ფორმის სასაფეთქლეები ფილიგრანის წნულით მოჩარჩოებული საკიდებით, 2 ც.;

სამარხეული კომპლექსი შედგებოდა თიხის მრავალფეროვანი, მათ შორის ზოომორფულყურიანი ჭურჭლის, ბრინჯაოს ისრისპირებისა და შუბისპირის, საკინძების, ოპალის, სარდიონის, შავი მინის და ძვლის მძივების, ნიჟარა კაურისა და გველის თავის გამოსახულებებიანი სამაჯურებისგან,. კომპლექსიდან აღსანიშნავია სარდიონის მძივი, რომელშიც ბრინჯაოს ღეროა შერჩენილი. შესაძლოა ისიც, აქ აღმოჩენილი ვერცხლის საკიდების ერთ-ერთ სასაფეთქლე რგოლზე დამაგრებული სარდიონის მძივის მსგავს დეკორატიულ დეტალს წარმოადგენს.

აღნიშნული სამარხი რ. აბრამიშვილს შეყვანილი აქვს რკინის ფართო ათვისების ქრონოლოგიურ ჯგუფში და ძვ. წ. VII-VI საუკუნეებით ათარიღებს (აბრამიშვილი 1957). მასალა ინახება ს. ჯანაშიას სახელობის თბილისის სახელმწიფო მუზეუმის სამთავროს ფონდში.

ფარცხანაყანევის განძი აღმოჩნდა 1986 წელს, სოფელ ფარცხანაყანევთან, ქუთაისის მახლობლად (Уварова 1902:NN2540-2547). განძში შემავალი ძვირფასი ლითონის ნაწარმია:

- ოქროს წნულღეროიანი ფილიგრანის ჭვირული მძივები, 3 ცალი;
- ოქროს დიდი ზომის სფერული, გავარსიანი მძივი;
- ოქროს სპირალური საკიდები;

განძი ასევე შეიცავდა: ბრინჯაოს ჭურჭლის ნატეხებს და სარდიონის სფერულ, კარგად ნაპრიალები მძივების (116 ცალი) ასხმას (ისეთივეს, როგორც ნოსირის განძშია). ბ. კუფტინისთვის სწორედ ეს მძივები გახდა საფუძველი, კომპლექსი ნოსირის განძის სინქრონულად მიეჩნია (Куфтин 1941:134).

ბრინჯაოს ჭურჭლის ნატეხები და ოქროს სპირალური ხვიები, სამწუხაროდ, შემორჩენილი არ არის, თუმცა კატალოგის აღწერილობიდან ირკვევა, რომ ისინი ჭუბურხინჯის, ბომბორას, ყაზბეგის და ყობანის ბოლოებდაბრტყელებული ხვიების ანალოგიურია (გაგოშიძე 1976:20-21). ამრიგად, ზემოთგანხილული ფაქტები, ოქროს ნივთების სტილისტურ მახასითბლებთან ერთად, კარგად განსაზღვრავს კომპლექსის თარიღს ძვ. წ. VII საუკუნით.

მასალა ინახება სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ჭუბურხინჯის განძი - აღმოჩნდა გალის რაიონ სოფ. ჭუბურხინჯთან 1880 წელს, გადმოცემის თანახმად, იგი ბავშვის მიერ იქნა ნაპოვნი ფურცლოვანი სპილენძისგან დამზადებულ, სამი ლურსმნით შეკრულ, სარქვლიანი, უძირო ჭურჭელში ჩაწყობილი ნივთების სახით. ძვირფასი ლითონიდან გვხვდება:

- ოქროს საყურე გრანულებით შედგენილი სამკუთხა ფორმის საკიდით;
- ოქროს 3-იანი სასაფეთქლე ხვია;
- ოქროს 1.5-იანი სასაფეთქლე ხვია;
- ოქროს მოგრძო, ოთხკუთხაგანივკვეთიანი, დამღიანი სამი ზოდი (შემორჩენილი არაა);
- ვერცხლის ოთხკუთხაგანივკვეთიანი, დამღიანი ათი ზოდი (შემორჩენილი არაა);
- ოქროს ორნამენტირებული ფირფიტის სამი ცალი ნატეხი (შემორჩენილი არაა);

კომპლექსი ასევე შეიცავდა: ექვს ცალ სპილენძის ზოდს - მათ შორის სამი ფირფიტის სახით; ბრინჯაოს ორ სეგმენტისებურ იარაღს და სადაფის ფრაგმენტს (გაგოშიძე 1976:20; აფაქიძე 2006:60; ბარამიძე 2013: ტაბ. XVIII). სამწუხაროდ, ვერცხლისა და ოქროს უნიკალური დამღიანი ზოდები აღმოჩენისთანავე იქნა მიტაცებული.

განძის თარიღი პირველად განსაზღვრა ა. იესენმა და ყობანური ბრინჯაოს საკიდების მსგავსი ოქროს ნიმუშების საფუძველზე, კავკასიის ბრინჯაოს ხანის მესამე ეტაპს მიაკუთვნა (Иессен 1935:126). აღნიშნული კოლექცია ნოსირისა და ფარცხანაყანევის განძების გვერდით განიხილა ბ. ა. კუფტინმა (Куфтин 1949:172); ი. ვორონოვმა იგი აფხაზეთის ბრინჯაოს ხანის ძეგლებს მიაკუთვნა (Воронов 1969: 307); ი. გაგოშიძემ კი, აქ აღმოჩენილი სპილენძის ზოდების საფუძველზე, ნოსირისა და ფარცხანაყანევის განძების თანადროულად მიიჩნია და მათი კოლხური კულტურისადმი კუთვნილება, აქ აღმოჩენლი სეგმენტისებრი იარაღის საფუძველზე დაასაბუთა (გაგოშიძე 1976:19-20).

მართლაც, ბრინჯაოს სეგმეტისებური იარაღი და ოქროს ხვიები ბევრ პარალელს პოულობს ადრერკინის ხანის კოლხურ და ყობანურ კულტურებში. განძში აღმოჩენილი ოქროს ორნახევარწრიანი სასაფეთქლე ხვიების ქრონოლოგიური და ტერიტორიული ჩარჩოები საკმაოდ დიდია. დღევანდელი მონაცემებით, ისინი გავრცელებულია ძვ. წ. II ათასწლეულიდან ძვ. წ. VI საუკუნემდე ამიერკავკასიის და

ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე, მაგრამ მათი აღმოჩენა სეგმენტისებურ იარაღთან, ზოდებთან, და თვითონ განძის ფენომენთან ერთად, საკმაოდ მკაფიოდ განსაზღვრავს ძეგლის თარიღს ძვ. წ. VII საუკუნით. თარიღს ამყარებს აქ აღმოჩენილი სამკუთხასაკიდიანი საყურე, რომლის ანალოგები ცნობილია თანადროული პერიოდის სხვა, კარგად დათარიღებული კომპექსებიდან (ცაიში).

ცხინვალის განძის აღმოჩენის ადგილის, დროსა და ვითარების შესახებ ინფორმაცია, სამწუხაროდ, შემორჩენილი არ არის. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში, მკვლევარმა ი. გაგოშიძემ ამ ძეგლის შესახებ ცხინვალის მუზეუმში ვერავითარ ცნობას მიაკვლია. როგორც გაირკვა, დოკუმენტაცია უნდა განადგურებულიყო 1939 წლის ხანძრის შედეგად, თვითონ განძი კი მუზეუმში მისი დაარსებიდან მალევე იყო შესული. მუზეუმის ძველ დავთარში N1108-ით ჩაწერილია 112.7 გრამი ოქროს ნივთები 28 ნატეხად. 1938 წლის აქტით, მათ შორის 15.3 გრამი არაა მიჩნეული ოქროდ. რაც შეეხება აღმოჩენის ადგილს, არსებობს საკმაო საფუძველი, რომ განძის აღმოჩენის ადგილად ცხინვალისავე მიდამოები ვივარაუდოთ. 1949 წელს ბ. კუფტინს უნახავს ეს განძი და ფოტოც გადაუღია, მაგრამ, აღმოჩენის ვითარების შესახებ ცნობები ვერც მას მოუპოვებია (გაგოშიძე 1976:22-23). კომპლექსში ძვირფასი ლითონის ნივთებიდან წარმოდგენილია:

- 3-იანი ოქროს სასაფეთქლე ხვია: ორს მხოლოდ ბოლოები აქვს გაბრტყელებული, ორს კი შუა ნაწილიც;
- ელექტრუმის 1.5-იანი სასაფეთქლე ხვია, გაბრტყელებული ბოლოებით, 5 ც.;
- ოქროს საყურე, სამკუთხა საკიდით;
- ოქროს ჭვირული, გავარსიანი მძივი, 5 ც.;
- ფილიგრანის ჭვირული ოქროს მძივი;

როგორც მკვლევარი ი. გაგოშიძე აღნიშნავს, ცხინვალის განძის სიახლოვე ფარცხანაყანევისა და ნოსირის ნივთებთან, საკმაოდ ცხადია. აქ აღმოჩენილი გავარსიანი მძივები ფარცხანაყანევის მძივის უახლოესი ანალოგებია, ხოლო სასაფეთქლე ხვიები - ფარცხანაყანევის, ჭუბურხინჯისა (გაგოშიძე 1976:22-25) და თლიას სამაროვნის მოგვიანო პერიოდის სამარხებში აღმოჩენილი ხვიების. ცაიშის სამაროვნის N1 სამარხ-ორმოში ეძებნება თითქმის იდენტური პარალელი აქ აღმოჩენილ სამკუთხა ფორმის საკიდს. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე,

ცხინვალის განძის თარიღის განსაზღვრა ძვ. წ. VII საუკუნით, ვფიქრობთ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

IV ქრონოლოგიური ჯგუფი:

აღნიშნული ქრონოლოგიური ჯგუფი განვითარებულ რკინის ხანას მიეკუთვნება და ძვ. წ. VII საუკუნის მიწურულითა და ძვ. წ. VI საუკუნით არის დათარიღებული. რ. პაპუაშვილის მიხედვით მისი ქრონოლოგიური მარკერებია: ჩნდება ახალი ფორმის რკინის საბრძოლო და სამეურნეო იარაღი, რომლებიც საკმაოდ დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი სამაროვნებზე; ხმარებაში შემოდის სკვითური ტიპის აკინაკები და ისრისპირები, რომლებიც, ტრადიციულად, ძვ. წ. VII საუკუნის დასასრულისა და ძვ. წ. VI საუკუნის პროდუქციად არის მიჩნეული (პაპუაშვილი 2010:33; პაპუაშვილი 1998:45-46).

ერგეტის II სამაროვნის N11 სამარხი-ორმო არქეოლოგიურად შეისწავლეს 2016 წელს, რ. პაპუაშვილის ხელმძღვანელობით. სამარხი წარმოადგენს 55 $მ^2$-მდე ფართის მქონე ორმოს, სადაც დაახლოებით 100 ინდივიდის და 300 ნივთის დაფიქსირება მოხერხდა. ძვირფასი ლითონის ნაწარმიდან ვხვდებით:

- მოოქრული ვერცხლის სადა, გახსნილ რგოლებს (რამდენიმე);
- ოქროს სადა, გახსნილი რგოლს;
- გიშრის მძივების ოქროს გარსაკრავებს, 8 ცალი;

სამარხეული ნივთების უმეტესობა რკინის ცუდად შემონახული ნაწარმით იყო წარმოდგენილი. მათი უმეტესობა თითქმის ამორფულ მასად იყო ქცეული, შესაბამისად, მათი რაოდენობის ზუსტი განსაზღვრა ვერ მოხერხდა. შემორჩენლ ინვენტარს შორის ვხვდებით: სხვადასხვა სახის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს (ყურმილიანი ხელადები, სასმისები, და სხვ); ათამდე ქვის სალესს; ბრინჯაოს სეგმენტებს და მინიატურულ კოლხურ ცულს; რკინის აკინაკებს, ყუნწიან და ტარიან სატევრებს, დანებს, თოხებს, სახნისებს, ცულებს, ბიმეტალურ ცულწერაქვას. მრავალფეროვანი სამკაულიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს გრეხილღეროიანი და ორნამენტირებულფირფიტიანი დიადემები და დიდი რაოდენობით სარდიონის, მინის, პასტის, ოპალისა და გიშრის მძივები (პაპუაშვილი...2022: 39-40).

ერგეტის III სამაროვნის N1 სამარხი-ორმო გაითხარა 1980-1981 წლებში კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ. სამარხის ფართობი 20 $მ^2$-ს შეადგენდა. ძვირფასი ლითონის ნივთებიდან აღმოჩენილია:

- თიხის მძივების ოქროს გარსაკრავები;
- ოქროს გარსაკრავიანი ვერცხლის საკიდი - წარმოადგენს ერთმანეთთან მარყუჟით დაკავშირებულ ოთხ ბურთულას;
- ვერცხლის მოოქრული, სფერული მძივი, 3 ც.;
- ვერცხლის სადა, გახსნილი რგოლები, ნაწილი მოოქრულია, 28 ცალი;

სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილი იყო თიხის, ბრინჯაოს, რკინის, პასტისა და მინის 500-მდე ნივთით. რკინის ნივთებში დიდი რაოდენობით იყო თოხები (140 ც.), სახნისები (19 ც.), ნამგლები (13 ც.), დანები (15 ც.), სეგმენტები (7 ცალი), სატევრები (6 ცალი) და აკინაკები (3 ცალი). დიდი რაოდენობით აღმოჩნდა რიყის ქვის სალესები (31 ცალი). ბრინჯაოს ნივთებიდან აღსანიშნავია მინიატურული კოლხური ცული, ბრინჯაოს სკვითური, სამფრთიანი ისრისპირი, ორნამენტირებულფირფიტიანი დიადემები (4 ცალი), ჩქიფები, სხვადასხვა სახის საკიდებიანი ჯაჭვები, ზარაკები, ფიბულები და დუგმები. საკმაოდ მრავალფეროვან და მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნის მძივებიც: გამოიყო 28 ჯგუფის სარდიონის (75 ც), იასპის (29 ც), ოპალის (36 ც), ქალცედონის (1 ც) თიხის (12 ც), ბრინჯაოს (1 ც), ძვლის (167 ც), გიშრის (19 ც), ქარვის (16 ც), მინის (49 ც.) და პასტის (111 ც.) მძივები (პაპუაშვილი...2022: 71-74).

მასალა ინახება ფოთის გ. ჩიტაიას სახელობის კოლხური კულტურის მუზეუმში.

ურეკის N1 სამარხი-ორმო შესწავლილ იქნა გასული საუკუნის 70-იან წლებში თ. მიქელაძის ხელმძღვანელობით. სამარხში აღმოჩენილი ძვირფასი ლითონის ნივთებია:

- ელექტრუმის სადა, გახსნილი რგოლები;
- ვერცხლის სადა, გახსნილი რგოლები;
- ვერცხლის საყურე, მტევნისებრი საკიდით;

სამარხეული კომპლექსი შედგებოდა: თიხის ყურმილიანი ხელადების, კვირისტავების, ბრინჯაოს სეგმენტების, რკინის შუბისპირის, დანების, ჩქიფის, უმბონების, აბზინდების, რკინისენიანი ზარაკების, ძეწკვების, სამაჯურების, დიდი რაოდენობით სარდიონის, ქალცედონის, პასტის, ძვლისა და ქარვის მძივებისგან (მიქელაძე 1985:101-102, ტაბ.VI-VII).

კოლექტიური სამარხი-ორმოების გარდა, ძვირფასი ლითონის ნაწარმს ვხვდებით: **საკულტო მოედანზე:** ვერცხლის 3 ც. რგოლს; ინდივიდუალურ **N3, N5, N17, N20, N28, N31, N34 სამარხებში**: თითო ვერცხლის რგოლს (მიქელაძე 1985). აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოთხსენებული სამარხი, ინვენტარის მიხედვით ქალის კუთვნილება უნდა იყოს.

ამავე ქრონოლოგიურ ჯგუფში ერთიანდება **ნიგვზიანის სამაროვნის** რამდენიმე კოლექტიური სამარხი-ორმო. ძეგლი შეისწავლეს 1970-იან წლებში თ. მიქელაძის ხელმძღვანელობით (რაზმის ხელმძღვანელი მ. ბარამიძე). გამოვლინდა 12 სამარხი-ორმო და "საკულტო მოედანი". წინარეანტიკური ხანის ძვირფასი ლითონის ნაწარმიდან აქ წარმოდგენილია:

- ვერცხლის რგოლი, ბოლოებში მტაცებელი ცხოველის თავების იმიტირებული გამოსახულებებით - **საკულტო მოედანი** (მიქელაძე 1985:84, ტაბ. XXXIII[1186]);
- ვერცხლის სადა, გახსნილი რგოლი - **სამარხი N6;**
- ვერცხლის სადა, გახსნილი რგოლი - **სამარხი N8;**
- ვერცხლის სადა, გახსნილი რგოლები, 6 ცალი - **სამარხი N12** (მიქელაძე 1985:115-121);

ბრილის სამაროვანზე ძვ. წ. VII-VI საუკუნეებით დათარიღებული ვერცხლისა და ელექტრუმის ნაწარმი საკმაო რაოდენობით არის წარმოდგენილი (გ. გობეჯიშვილის საარქივო მონაცემები და ხელნაწერი ნაშრომები), ესენია:

- ვერცხლის ერთსხივიანი საყურე და ვერცხლის 1.5-იანი სასაფეთქლე ხვია – 1940 წელს გათხრილი **N12 სამარხიდან** (აქვეა ბრინჯაოს 1.5-იანი ხვიაც, სარდიონისა და მინის მძივები):
- ვერცხლის წყვილი სასაფეთქლე რგოლი 1940 წელს გათხრილი **N13 სამარხიდან** (აქვეა ეგვიპტური სკარაბეოიდები, ორნამენტირებული მართკუთხა აბზინდა, ოთხწახნაგარკალიანი ფიბულა, ქარვისა და ცისფერი მინის მძივები);
- ელექტრუმის გრეხილი რკალის ნატეხი (შესაძლოა დიადემის) 1940 წელს გათხრილი **N15 სამარხიდან** (აქვეა ეგვიპტური სკარაბეოიდები და გველისთავიანი სამაჯურები);
- ელექტრუმის საყურე, წარმოადგენს რგოლზე მირჩილულ 1 და 2 ბურთულას – 1940 წელს გათხრილი **N30 სამარხიდან;**

- ვერცხლისა და ელექტრუმის ცალსხივიანი საყურეები 1948 წელს გათხრილი **კოლხური საკრემაციო მოედნიდან** (გ. გობეჯიშვილის მიხედვით კოლხურ საკრემაციო მოედნებად მიჩნეულია ძვ. წ. VII-VI საუკუნეების მასალის შემცველი კრემაციული ფენები - გ. გობეჯიშვილის ხელნაწერები);
- ელექტრუმის ცალსხივიანი საყურე 1948 წელს გათხრილი **N2 სამარხიდან** (აქვეა ბრინჯაოს პირამიდისებურთავიანი საკინძი, ბრინჯაოს თხელი ფირფიტისგან დამზადებული კასრისებური მძივები და თიხის კოჭის ნატეხი);
- ვერცხლის ბოლოებგახვრეტილი სასაფეთქლეები 1950 წელს გათხრილი **N23 სამარხიდან;**
- ელექტრუმის სხივანა საყურე 1950 წელს გათხრილი **N26 სამარხიდან;**
- საყურე, ელექტრუმის, ცალსხივიანი, სხივი მოტეხილი აქვს, 1950 წელს გათხრილი **N32 სამარხიდან;**
- რგოლი, ოქროსი, წვრილი მავთულის, გახსნილი, **კოლხური დროის კრემაციული სამარხიდან.** 1951 წელი;
- რგოლი, ოქროსი, 1951 წელს გათხრილი **N9 სამარხიდან;**
- მძივის დაშტამპული გარსაკრავები, ოქროსი, 4 მძივის. 1951 წელს გათხრილი **N9 სამარხიდან;**
- მძივის დაშტამპული გარსაკრავები, ოქროსი, **კოლხური დროის კრემაციული სამარხიდან.** 1951 წელი;
- დაშტამპული გარსაკრავები მოგრძო, ოვალური მძივების, ოქროსი, 3 ც. და ფრაგმენტები. **კოლხური დროის კრემაციული სამარხიდან.** 1951 წელი;
- სასაფეთქლე, ელექტრუმის, 1.5 ხვია, შესქელებული ბოლოებით, კოლხური **დროის კრემაციული სამარხიდან.** 1951 წელი;
- მძივის დაშტამპული გარსაკრავები, ოქროსი, **კოლხური დროის კრემაციული სამარხიდან.** 1951 წელი;

აღსანიშნავია, რომ რაჭის რეგიონში, არქეოლოგიური კონტექსტის გარდა, შემთხვევითი აღმოჩენების სახით, დიდი რაოდენობით არის დადასტურებული სხივანა საყურეების სხვადასხვა ვერსიები (მათ შორის ისეთები, რომელთა პარალელები სხვაგან უცნობია), რაც გვაფიქრებინებს, რომ ისინი ამ რეგიონში ადგილობრივ იწარმოებოდა და აქ მცხოვრები მოსახლეობის ერთ-ერთი მთავარი სოციალური მარკერი იყო.

რაჭის რეგიონში, კიდევ ერთი კომპლექსი, სადაც სხივანა საყურებით შემკული ქალი იყო დაკრძალული შესწავლილ იქნა 2015 წელს, ადგილ გორიმოზე (ონის რაიონი). **გორიმოს N2 სამარხში** აღმოჩენილია:

- ვერცხლის სხივანა საყურე ერთმანეთზე გადაბმული ოთხი სხივით და ვარდულებით (შესაძლოა იყოს ანტიმონი).

სამარხეული ინვენტარი, ასევე, შეიცავდა ბრინჯაოს ერთსხივიან საყურეებს, ყურმილიან ხელადას და მცირე რაოდენობით მძივებს. მასალა ინახება ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

პალურის საძვლე, სამარხი N24 არქეოლოგიურად შეისწავლეს 1969 წელს (ოქროპირიძე 1975). ძეგლი დათარიღებულია ძვ. წ. VII საუკუნის მიწურულითა და ძვ. წ. VI საუკუნით. ძვირფასი ლითონის ნაწარმიდან აღმოჩენილია:

- ელექტრუმის წყვილი საყურე რგოლი;
- ვერცხლის წყვილი საყურე რგოლი;

სამარხეული ინვენტარი შედგებოდა: ირიბკანელურებიანი კათხების, ყურმილიანი ჭურჭლის, ბრინჯაოს სატევრების, აბზინდის, თავჩახვეული საკისრე რკალის, მწოლიარე ცხოველის გამოსახულებიანი საკიდის, ბრტყელფირფიტოვანი და მრგვალგანივკვეთიანი სამაჯურის, რკინის ყუნწიანი დანის, მრგვალგანივკვეთიანი რკალის მქონე ფიბულისა და სარდიონის, მინის, გიშრის და პასტის მძივებისგან (ბარამიძე 1977:29-30).

მერხეულის სამაროვანი. სამაროვანი შესწავლილ იქნა 1969 წელს შავიზღვისპირეთის სადაზვერვო ექსპედიციის მიერ მ. ბარამიძის ხელმძღვანელობით. სამწუხაროდ, სამაროვნის დიდი ნაწილი მძიმე ტექნიკის მიერ იყო დაზიანებული. სამარხის დაუზიანებელი ფენების მხოლოდ მცირე ნაწილი შეისწავლა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ. ძეგლი წარმოადგენს სამაროვანს, მეორადი დაკრძალვის წესით. მ. ბარამიძის მიერ, აღნიშნული ძეგლი ძვ. წ. VI საუკუნით არის დათარიღებული (ბარამიძე 1977). ძვირფასი ლითონის ნაწარმიდან წარმოდგენილია:

- რგოლი, ვერცხლის, ბოლოებგაბრტყელებული და გახვრეტილი (ბარამიძე 1977:72, ტაბ.5);

- საკისრე რგოლი, ვერცხლის, ბოლოებისკენ გაწვრილებული (გველის/ფრინველის თავის სტილიზებულ გამოსახულებებს უნდა წარმოადგენდეს) (ბარამიძე 1977:72);
- საყურე, ვერცხლის, გაბრტყელებული თავებით, რკალი შემკულია წერტილების მწკრივით (ბარამიძე 1977:75);

სამარხეული ინვენტარში ვხვდებით: ყურმილიან დოქებს, ბრინჯაოსა და რკინის სხვადასხვაგვარ იარაღს (მათ შორის აკინაკებს და მოხრილ დანებს), ბრინჯაოს მრავალფეროვან სამაჯურებს, საკისრე რკალებს, პინცეტებს, სხვადასხვა სახის ამულეტებს, რომბულფირფიტიან დიადემებს, ბეჭდებს, ფრინველისა და ცხოველის ქანდაკებებს, საკინძებს, საყურეებს, ხვიებს, სარდიონის, კვარცის და ქარვის მძივებს.

წითელი შუქურას სამაროვანი შესწავლილ იქნა 1957-1959 წლებში მ. ტრაპშის მიერ. ძვირფასი ლითონის ნაწარმიდან ვხვდებით:

- ვერცხლის სასაფერთქლე რგოლებს, ბოლოებში ცხოველის თავის სკულპტურული გამოსახულებებით, თითოს **N26 და N29 სამარხებში;**

აღნიშნულ სამარხეულ კომპლექსებს მ. ტრაპში უფროსი ქრონოლოგიური ჯგუფის ძეგლებში აერთიანებს და VIII-VI საუკუნეებით ათარიღებს (Трапш 1969: 78-82), სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილია შემდეგი ნივთებით: თიხის დოქები, ქოთნები, ფეხიანი სასმისები, სამარხი ურნები; ბრინჯაოს: თასი, სიტულა, კოლხური ცულები, შუბისპირები, სკვითური ტიპის ისრისპირი, ყუნწიანი და მცირე ზომის სატევრები ფიგურული თავითა და გრავირებული პირით, სატევრისებური საკიდი, აბჯრის ფირფიტა არწივის გამოსახულებით, ცხენის საყბეურები და ლაგამი, რგოლები, კისრის რკალები, ფიბულები, სამაჯურები (მათ შორის გველისთავებიანი), ქინძისთავები, პინცეტები, ნახევარწრიული და მართკუთხა აბზინდები, ძეწკვები, სპირალები, ზარაკები, საკიდები, მძივები; რკინის სწორი და მოხრილი დანები, სატევრები, შუბისპირები, ცულები, ფიბულები; სარდიონის, ქარვის, მინის, გიშრისა და ბრინჯაოს მძივები (Трапш 1969:78-82).

გ. კვირკველიას ამ ჯგუფის სამარხები, აქ აღმოჩენილი ნიჩბისებური და გველისთავებიანი სამაჯურების, რომბისებური ან დაწახნაგებულთავებიანი საკისრეების, ცალყურა ქოთნების, რკინის ცულებისა და სკვითური ისრისპირების საფუძველზე ძვ.წ. VI-V სს-ებში გადმოაქვს (Квирквелия 1981:5-6). ვფიქრობთ, გამომდინარე იქიდან, რომ სამარხებში აღმოჩენილი ცხოველისთავიანი რგოლები

სტილისტურ სიახლოვეს კოლხეთის ძვ. წ. VII-VI საუკუნეების ოქრომჭედლობის ნიმუშებთან (ნიგვზიანი, ერგეტა) პოულობს, მათთვის ყველაზე ოპტიმალურ თარიღად ძვ. წ. VI საუკუნე მიგვაჩნია.

გუადიხუს სამაროვანი მდებარეობს ქ. სოხუმში. ძეგლი არქეოლოგიურად შეისწავლეს 1952-54 წლებში მ. ტრაპშის ხელმძღვანელობით. აქ ძვირფასი ლითონის ნაწარმი აღმოჩნდა **N23 სამარხში.** ძეგლი ძვ. წ. VII საუკუნის მიწურულითა და VI საუკუნით არის დათარიღებული (Трапш 1970:106-110). აქ ვხვდებით:

- ვერცხლის საკისრე რკალს გაწვრილებული ბოლოებით (Трапш 1969:68);
- ვერცხლის საყურეებს, გაწვრილებული ბოლოებით, რომლებზეც შემორჩენილია ფურცლოვანი ვერცხლის ფირფიტები, 2 ცალი (Трапш 1969:74);

კისტირიკის სამაროვანი მდებარეობს გუდაუთის რაიონში. გაითხარა 1979-80 წლებში. სამწუხაროდ, სამარხთა უმეტესობა დარღვეული იყო. გაითხარა მხოლოდ ერთი, ძვ. წ. VII-VI საუკუნეების ორმოსამარხი. აღმოჩენილია:

- რგოლი, ოქროსი, დაბოლოებული ურჩხულის თავის სტილიზებული გამოსახულებებით;
- საკიდი, ოქროსი, შედგენილი ოქროს სამი ფირფიტისგან.

სამარხი ასევე შეიცავდა: ბრინჯაოს ორ სამაჯურს, ბრინჯაოს სამ ფიბულას, ბრინჯაოს საკიდს, რკინის ცულის ფრაგმენტს, სარდიონის და მინისებრი პასტის ხუთ-ხუთ მძივს (Бжания...1982:13; ბარამიძე... 2013:158. ტაბ.XIX).

ზემო რუთხას N17 სამარხი შესწავლილ იქნა 1938 წელს ე. კრუპნოვის მიერ. აქ ძვირფასი ლითონის სახით ვხვდებით:

- ვერცხლის 1.5-იან ოვალურ სასაფეთქლე ხვიებს, სადა, მასიური ღეროთი;

სამარხის ინვენტარი წარმოდგენილია: ბრინჯაოს სარტყლის ფრაგმენტების, გრეხილრკალიანი ფიბულების, მასიური სამაჯურის, ქარვისა და ძვლის მძივებითა და ასტრაგალებით (Крупнов 1960:226).

ზემო რუთხაზე, წინარეანტიკური ხანის ოქროსა და ვერცხლის 15-ზე მეტი ნივთი აღმოჩენილია დანგრეული სამარხებიდან (Крупнов 1960:234-235, სურ.35), ესენია:

- ოქროს 3-იანი სასაფეთქლე ხვიები შესქელებული ბოლოებით და შუა ნაწილით;
- ოქროს ბრტყელფირფიტიანი სასაფეთქლე ხვიები გამოყვანილი ყუნწით, 2 ცალი;
- ოქროს მრგვალრკალიანი სპირალური სასაფეთქლეები;
- ოქროს სასაფეთქლე რგოლი, დაბრტყელებული და გახვრეტილი ბოლოებით;

- ვერცხლის სადა, გახსნილი რგოლები;
- ვერცხლის სპირალური მილხვია;
- ვერცხლის ერთსხივიანი საყურეები, 2 ც.;
- ვერცხლის სადა მავთულის საკისრე რკალის ფრაგმენტები;

აქ აღმოჩენილი ოქროს სასაფეთქლე ხვიები იმეორებენ ფარცხანაყანევის, ჭუბურხინჯისა და ცხინვალის განძში შემავალი ხვიების ფორმებს, რაც, გარკვეულწილად, მათ კულტურულ და ქრონოლოგიურ კუთვნილებაზეც უნდა მეტყველებდეს.

აღნიშნულ ქრონოლოგიურ ჯგუფში ასევე ერთიანდება **თლიას სამაროვნის** მოგვიანო, ჯგუფის სამარხებში აღმოჩენილი ძვირფასი ლითონის ნაწარმი, ესენია:

- 1.5-იანი სასაფეთქლეები, ვერცხლის - სამარხები: **N129** (Техов 1985:16 სურ. 124,3,), **N362** (Техов 2002: ტაბ.32$_{1}$), **N373** (Техов 2002: ტაბ. 49$_{2}$), **N392** (Техов 2002: ტაბ. 66$_{1,2}$); მოოქრული – სამარხები: **N129** (Техов 1985:16 სურ. 124,3,), **N240** (Техов 1985: 35-36, სურ.47), **N146ბ** (Техов 1985:23, სურ. 138,11); ელექტრუმი – სამარხები: **N92** (Техов 1985:13, სურ. 116,12);
- 3-იანი სასაფეთქლე ხვიები, ვერცხლი, სამარხები: N**N41** (Техов 1985: სურ. 104,13), **N110** (Техов 1985: სურ. 124,3,4), **N344** (Техов 2002: ტაბ.11$_{6}$); ელექტრუმი - **N349** (Техов 2002: 293 ტაბ. 18$_{8}$);
- ვოლუტებიანი სასაფეთქლე ხვიები, ელექტრუმის, – სამარხები **N348**, 3 ცალი (Техов 2002:292, ტაბ.17$_{8,9,10}$), **N339**, ვერცხლის 4 ცალი (Техов 2002:279, ტაბ.6$_{4,5,6,7}$);
- რგოლები, ვერცხლის და მოოქრული - სამარხი **N104** (Техов 1985:15, სურ. 121,3,7)
- ოქროს ფირფიტის მძივების გარსაკრავები, სამარხები: **N87** (Техов 1985:11, სურ., 113,6,8), **N282** (Техов 1981:19-20, სურ.82), **N339** (Техов 2002:279, ტაბ. 6$_{35-38}$), **N341** (Техов 2002:280, ტაბ.7$_{29}$), **N346** (Техов 2002:286, ტაბ. 13$_{7}$), **N348** (Техов 2002: 292. ტაბ. 17$_{11}$), **N349** (Техов 2002: 293 ტაბ. 18$_{8}$), **N350** (Техов 2002:294, ტაბ. 19$_{10}$);

ყაზბეგის განძი. ყაზბეგში განძის აღმოჩენის ფაქტები 1852 წლიდან მოყოლებული რამდენიმე ეტაპად არის დაფიქსირებული. წინარეანტიკური ხანის ოქრომჭედლობის ნიმუშებიდან აქ წარმოდგენილია:

- ელექტრუმის წყვილი დაცვარულრულბურთულიანი საყურე;
- ელექტრუმის ერთი ერთსხივიანი საყურე;

- ელექტრუმის სპირალური სასაფეთქლე ხვიები დაბრტყელებული ბოლოებით და შუა ნაწილით (წითლანაძე 1963:58; გაგოშიძე 1976:28);

განძი აღმოჩნდა გ. ფილიმინოვის მიერ, 1877 წელს, რუსეთის საიმპერატორო ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიის და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საზოგადოების დავალებით, მწერალ ალ. ყაზბეგის სახლის ეზოში. იგი წარმოადგენდა ლითონის ჭურჭელში ჩაწყობილ და ჯაჭვით შეკრულ ბრინჯაოსა და ძვირფასი ლითონების 200-მდე სარიტუალო-საპარადო დანიშნულების ნივთების კრებულს (წითლანაძე 2017:19-20).

რაც შეეხება განძის თარიღს, ალბათ, გამომდინარე იქიდან, რომ განძში თავმოყრილი ნივთები ერთ ქრონოლოგიურ მონაკვეთს არ უკავშირდება, მკვლევართა მიერ სხვადასხვა დროს, განსხვავებული მოსაზრებები იქნა გამოთქმული: ბ კუფტინმა განძი ძვ. წ. VI საუკუნით დაათარიღა (Куфтин 1944:32-33); გ. გობეჯიშვილმა - ძვ. წ. VI-V საუკუნეებით (გობეჯიშვილი 1959); რ. აბრამიშილმა - ძვ. წ. VII-VI საუკუნეებით (აბრამიშვილი 1987:132-135); დ. ქორიძემ - ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით (ქორიძე 1965:44); ე. ალექსეევამ კი ნივთების ეს ჯგუფი ძვ. წ. VI-IV საუკუნეების ნაწარმად მიიჩნია (Алексеева 1949:191-257).

განძში შემავალ ნივთებს, ძეგლის მკვლევარი ლ. წითლანაძე რამდენიმე ჯგუფად ყოფს: 1) კოლხურ-ყობანური წარმომავლობის ნივთებად, რომელთა ნაწილში იგი ხედავს ადრეული ბრინჯაოს, წინარებერძნულ და სკვითურ გავლენებს და 2) სამხრეთულ-ამიერკავკასიური, კერძოდ სამთავრული კულტურის ნივთებად, რომლებშიც ასახულია აქემენიდური ირანისა და ანტიკური სამყაროს გავლენები (წითლანაძე 1976).

აქ აღმოჩენილი ოქრომჭედლობის ზემოთჩამოთვლილი ნიმუშები, თვითონ განძის ფენომენთან ერთად, ალბათ უფრო კოლხური კულტურიდან შემოსული სტილის ელემენტები უნდა იყოს და მათი თარიღი ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოს არ უნდა სცდებოდეს.

თავი III. წინარეანტიკური ხანის

კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშების კლასიფიკაცია

აღნიშნულ თავში კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშები დაჯგუფებულია ფუნქციურად, კლასიფიკაციის ინტეგრირებული სქემის მიხედვით. თითო კატეგორიის ნივთზე მოცემულია კლასიფიკაციის მაქსიმუმ სამსაფეხურიანი სქემა, რომელიც მომავალში, სიღრმისეული შესწავლის მიზნით, უფრო დეტალურადაც შეიძლება დაიყოს.

პირველ ეტაპზე ნივთები დაყოფილია ათ ფუნქციურ კატეგორიად. ესენია: 1) საყურეები და სასაფეთქლეები; 2) საკიდები, 3) მძივები, 4) რგოლები, 5) სამაჯურები, 6) დიადემა/საკისრე რკალი, 7) დუგმა, 8) ბეჭედი, 9) ინსიგნია და 10) დეკორატიული დეტალები. აღსანიშნავია, რომ წინამდებარე სქემაში განხილული ნივთების ფუნქციური ატრიბუცია პირობითია, რადგან ხშირ შემთხვევაში ერთი და იგივე ნივთი შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო სხვადასხვა დანიშნულებით. კლასიფიკაციის მეორე და მესამე ეტაპზე გამოყოფილია ქვეკატეგორიები ფორმის და დეკორატიული დეტალების გათვალისწინებით.

&3.1. საყურეები და სასაფეთქლეები

ისევე როგორც სხვა მრავალი ტიპის სამკაულის შექმნა და ევოლუცია, საყურეების წარმოშობის უძველესი ფენომენიც ძველ აღმოსავლეთთან არის დაკავშირებული (ჭყონია 1981:17).

ძველ კოლხეთში საყურეები და სასაფეთქლეები თავსამკაულის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტიპი იყო. მათი რაოდენობიდან (განსაკუთრებთ საყურე რგოლების) გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისევე როგორც კლასიკურ ხანაში, წინარეანტიკური ხანის კოლხეთშიც, იგი არა მხოლოდ სარიტუალო, არამედ ყოველდღიური ცხოვრების ნაწილიც უნდა ყოფილიყო.

რადგან სამკაულის ეს ჯგუფი გამოიყენებოდა როგორც სასაფეთქლედ, ისე საყურედ და მათი ფუნქციური გამიჯვნა, ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელია, სამეცნიერო ლიტერატურაში ისინი, სიმარტივისთვის, საერთო სახელით, საყურეებად არის მოხსენიებული (ჭყონია 1981:17).

ფაქტი, რომ კლასიკური ხანის წარჩინებულთა სამარხებში გავრცელებული კოლხური ოქრომჭედლობის განმსაზღვრელი ნიმუშების დიდ ნაწილს: დიადემას, სხივანა, ჭვირულბურთულიან, დაცვარულბურთულიან საყურეებს და მძივსაკიდების ზოგიერთ ტიპს პროტოტიპები კოლხური ბრინჯაოს კულტურაში ეძებნება, გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ აღნიშნული ორნამენტული სახეები წინარეანტიკურ ხანაშიც დაწინაურებული სოციალური ფენის სტატუსის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ატრიბუტი იყო.

ნიშანდობლივია, რომ საყურეების სასაფეთქლედ გამოყენება ქრონოლოგიურად ემთხვევა გრეხილური რკალით და ფირფიტოვანი, ტრაპეციის ან რომბული ფორმის დაბოლოებებისგან შემდგარ, ე. წ. კოლხური ტიპის დიადემის პროტოტიპების გამოჩენას (ლიტერატორაში ხშირ შემთხვევაში მოიხსენიება ხატისუღლებად) და იდეოლოგიურად ასახავს ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში მიმდინარე სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების ადრეულ პროცესებს.

საყურე, ტიპი I. - საყურეები სამკუთხა ფორმის საკიდით. სამკუთხა საკიდებიანი საყურეები/სასაფეთქლეები წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ელემენტია, რომელიც კლასიკურ ხანაში იდენტური ფორმით აღარ განაგრძობს არსებობას. საკიდების გარკვეული ნაწილი დამაგრებულია ძვ. წ. VII-VI საუკუნეებში გავრცელებულ რგოლზე, რომლის გახვრეტილი და შესქელებული ბოლოები, გველის ან ფრინველის თავის სტილიზებულ გამოსახულებებს გადმოსცემს.

ძვირფასი ლითონის სამკუთხა საკიდები კოლხეთში რამდენიმე სახით არის წარმოდგენილი: **I.1.** ოქროს ფირფიტოვანი გარსაკრავებით დამზადებული საყურე საკიდებით; **I.2**. ფილიგრანის წნულით მოჩარჩოებული საყურე საკიდებით; **I.3.** ფილიგრანის ღეროთი მოჩარჩოებული საყურე საკიდებით; **I.4.** ცვარას ბურთულებით შედგენილი საყურე საკიდებით. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც ზომით, ისე რგოლზე დამაგრების ტექნიკით. მათი უმეტესობა რგოლებზე მოძრავადმიმაგრებულსაკიდიანი საყურის ტიპს ქმნის. უძრავია მხოლოდ ცვარათი შედგენილი სამკუთხასაკიდიანი საყურეები (ტიპი. I.4.).

დღევანდელი მონაცემებით, ძვირფასი ლითონისგან დამზადებული საყურეების ეს ჯგუფი საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზეა გავრცელებული - დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში (ქობალია 2021).

საქართველოსა და აზერბაიჯანში ამ ტიპის საკიდები რამდენიმე მოგვიანო პერიოდის კომპლექსშიც არის მოხვედრილი, თუმცა, ამ ჯგუფის ოქროსა და ვერცხლის საკიდების დამზადების ქრონოლოგიური ჩარჩო ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარს არ უნდა სცდებოდეს. ამაზე, გარდა მათი სტილისტური ნიშნებისა, მეტყველებს: 1) მოგვიანო კომპლექსებში მოხვედრილ თითქმის ყველა ნივთს აქვს ცვეთისა და დაზიანების კვალი; 2) მათი ოქროს, ვერცხლის, კალის, ანტიმონის და ბრიჯაოს ვარიანტების დიდი ნაწილი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევრით დათარიღებულ ძეგლებზეა აღმოჩენილი.

ამიერკავკასიაში სამკუთხა ფორმის საკიდების დამზადება ჯერ კიდევ გვიან ბრინჯაოს საწყისი ეტაპიდან შეინიშნება. როგორც ჩანს, ამგვარ ფორმას უძველესი რელიგიური ატრიბუციის კუთხითაც განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა. სამკუთხედებით შედგენილი ორნამენტული სახეების გვერდით, რომელიც პრეისტორიული ხანის კერამიკასა და ლითონზე ყველაზე ხშირად გამოყენებული მოტივია, მეორე ათასწლეულის შუა ხანებიდან, სამკუთხა ფორმის საკიდები ძალიან გავრცელებული სახე ხდება სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის ძეგლებზე (კვირაცხოველი, ჭითახევი, ბორნიღელე, დოღლაური). აქ ამგვარ საკიდებს ჯაჭვებიანი და ზარაკებიანი სამკაულის დეტალად ვხვდებით. მათთან მიმართებაში საგულისხმოა, რომ ხშირ შემთხვევაში, ისინი წნულის იმიტაციის ჩარჩოთი არიან გაფორმებულნი.

უშუალოდ საკიდად გამოყენებულ სამკუთხა ფორმის ფირფიტებს ვხვდებით თლიას სამაროვანის ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის სამარხებში (Техов 1981: ტაბ.102), ბორნიღელეს ადრერკინის ხანის სამაროვანზე (კვირკვაია 2009: ტაბ. XXVI12-13), ბრილში, მინგეჩაურის ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრისა და I ათასწლეულის დასაწყისის კომპლექსებში (Асланов... 1959: ტაბ. XIX), სომხეთში, ძვ. წ. VIII-VI საუკუნეებით დათარიღებულ ფენებში (Хачатян 1975: სურ. 92). როგორც ჩანს, ამ ტიპის ნივთები უფრო მეტად კავკასიის ცენტრალური და აღმოსავლეთი ნაწილისთვისაა დამახასიათებელი და ძველ კოლხეთშიც, დიდი ალბათობით, ამ რეგიონებიდან შემოდის.

ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგს, სამკუთხა ფორმის საკიდები წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახე ხდება და თანაარსებობს ბრინჯაოს, ანტიმონის და კალისგან დამზადებულ სხვადასხვა სახის

ნიმუშებთან. ნიშანდობლივია, რომ წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობა ამ ფორმას ითვისებს არა სხვა კულტურის ნიმუშებიდან, არამედ ადგილობრივი ბრინჯაოს მხატვრული ნაწარმიდან.

ძვირფასი ლითონისგან დამზადებულ ამ ჯგუფის სამკაულში გამოიყო რამდენიმე ტიპი, ფორმისა და დამზადების ტექნიკის გათვალისწინებით:

საყურე, ტიპი I.1. - ოქროს დაშტამპული ფირფიტებით დამზადებული საყურე საკიდები (ტაბ. 2). ამ ტიპის საკიდები დამზადებულია სხვადასხვა სახის გეომეტრიული მოტივით გაფორმებული ოქროს თხელი ფირფიტების განსხვავებული მასალის გულაზე მექანიკური გადაკვრის გზით.

ამ ტიპის საყურის ერთი ნიმუში წარმოდგენილია ცაიშის სამაროვნის N1 კოლექტიურ სამარხ-ორმოში. იგი დამზადებულია შემდეგნაირად: ოქროს ორი დაშტამპული სამკუთხა ფირფიტა, გადაკრულია გაურკვეველი მასალის (შესაძლოა ბრინჯაოს) სამკუთხა ნივთზე. საკიდს გვერდები მექანიკურად აქვს შემოკეცილი. გადაბმის ადგილას, გვერდებში, მეტი სიმყარისთვის, სიგრძივი ღარები აქვს დატანილი. საკიდის ზედაპირი გაფორმებულია ტვიფრით გამოყვანილი გეომეტრიული ორნამენტით: სამკუთხედის ფერდებზე ფართო წნულის იმიტაციაა. შიდა ნაწილში უფრო მცირე სამკუთხედია გამოსახული, რომლის ფუძე ემთხვევა დიდი სამკუთხედის ფუძეს. სამკუთხედების წვერებს შორის არსებულ დაშორებებში გამოყვანილია რომბის ფორმის ორნამენტი.

ამავე ტიპის სასაფეთქლეს მიეკუთვნება სამთავროს სამაროვნის ძვ. წ. X საუკუნით დათარიღებულ N51 სამარხში აღმოჩენილი ელექტრუმის (Au. 67.616%, Ag. 31.569%, Cu 0.815%) თხელი ფურცლისგან დამზადებული ფრაგმენტები. მათ სასაფეთქლეებად განსაზღვრის საფუძველს იძლევა ნივთების აღმოჩენის კონტექსტიც - აღმოჩენილია თავის ქალასთან (ჯალაბაძე... 2019:35, 211). ფირფიტების შიდა მხრიდან შემორჩენილი ნარჩენების ლაბორატორიული ანალიზებით დადგინდა, რომ ოქროს ორნამენტირებული ფურცლები ტყვიანარევი კალის გულაზე ყოფილა გადაკრული (ქებულაძე...2019:75-76).

სამთავროსა და ცაიშის ნიმუშები კოლხეთში არსებული ერთ-ერთი პოპულარული საიუველირო ხერხის - ოქროს ფურცლის გადაჭედვა განსხვავებული მასალისგან დამზადებულ გულაზე - კიდევ ერთი დემონსტრაციაა. კოლხური

ოქრომჭედლობისთვის დამახასითებელ დეკორატიულ ელემენტებს ასახავს მათი ორნამენტიც - წნულის ფორმის ჩარჩო, რომბი და კონცენტრული წრეები.

საკიდზე წარმოდგენილი ორნამენტი და გამოყვანის მანერა პარალელებს პოულობს ცაიშის სამაროვანზე და ზემო რაჭაში (ადგილი ფიცრიხულა) აღმოჩენილ ოქროს ფურცლის სარტყლისმაგვარ დეკორატიულ დეტალებთან, რითაც ისინი კოლხეთში გავრცელებული მხატვრული გემოვნების ნაწილად გვევლინება.

საყურე, ტიპი I.2. - ფილიგრანის წნულით მოჩარჩოებული საყურე საკიდები (ტაბ.3). საკიდების ეს ტიპი რგოლზე მოძრავად მიმაგრებული საყურეების ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ და მდიდრულ ჯგუფს ქმნის. საკიდი დამზადებულია ორი ერთმანეთზე მირჩილული და სხვადასხვა სახის დარჩილული ორნამენტული სახეებით გაფორმებული ფირფიტებისგან. ამ ტიპის ყველა საკიდი გრეხილური ფილიგრანით გამოყვანილი წნული სახის ჩარჩოში არის მოთავსებული. ფილიგრანის წნულითვეა გამოყვანილი საკიდების ყუნწიც. ამ ტიპის ნიმუშები წარმოდგენილია:

სიმაგრის ნამოსახლარი: აქ აღმოჩენილი ოქროს ერთი საკიდი დამზადებულია სამკუთხა ფორმის ერთმანეთზე მირჩილული ოქროს ფირფიტებისგან, რომელთა ქვედა კუთხეები და საკიდის ზედაპირი (ერთი მხარე) შემკულია გავარსით გამოყვანილი ხარის ათი თავით. ავერსის მხარეს, წნული ჩარჩო შემოსაზღვრულია გავარსის სამი ბურთულით შედგენილი სამკუთხედებით, ხარის თავებს შორის არეებშ მოთავსებულია გავარსის ოთხი ბურთულით შედგენილი რომბები, რომელთა გადანაწილებაში ოდნავ უსისტემობაც შეიმჩნევა; ცვარათივეა გამოყვანილი ხარის თავის ნაკვთებიც - თვალები, შუბლი და რქები, რითაც ფიგურა სარიტუალოდ შემკული ცხოველის იმიტაციას ქმნის. დინგი ფურცლოვანი ოქროთია გადმოცემული და გამოკვეთილად დიდი ზომისაა. ძეგლის გამთხრელის, თ. მიქელაძის აზრით, თვითონ საკიდის ფორმაც ხარის სახის გამოსახულებას წარმოადგენს (მიქელაძე 1985: 61-62). ზედაპირის მეორე მხარე შემკულია ცვარას ორი რიგით გამოყვანილი მეანდრის ორნამენტით. მეანდრის ცენტრში მოთავსებულია შედარებით მოზრდილი ცვარას ბურთულები (სულ 32 ც.). სამკუთხედის ფუძეს, კუთხეებში, საკმაოდ მოზრდილი შვერილები აქვს, რომლებზეც იდენტური ცხოველის თავია გამოსახული.

სიმაგრის საკიდის ანალოგიური ორი ნიმუში აღმოჩენილია ვანის ძვ. წ. IV საუკუნით დათარიღებულ N24 სამარხში. საკიდზე არსებული ცვეთის კვალი და ნივთის სტილისტური ნიშნები აშკარად მეტყველებს მათ ადრეულ თარიღზე (Kacharava…

2008; Kacharava... 2009; ლორთქიფანიძე 2012:196). ვანის საკიდები, სიმაგრის საკიდთან შედარებით, ოდნავ მცირე ზომისაა. საკიდის ავერსზე ოქროს ფირფიტებისა და გრანულების გამოყენებით შედგენილი თაგვის მსგავსი (?) შვიდი არსებაა დარჩილული. ისინი სტილისტური მანერით ძალიან ჰგვანან სიმაგრის საკიდზე გამოსახულ ხარის თავებს. საკიდის რევერსი ზუსტად იმეორებს სიმაგრის საკიდის ორნამენტს - გრანულაციით გამოყვანილ, ერთმანეთზე გადაბმული სვასტიკების რიგს. ვანის საკიდების სამკუთხედის ფუძის კუთხეებთან არსებული შვერილები, სიმაგრის საკიდისგან განსხვავებით, ნაკლებად მკვეთრია, თუმცა აქაც იმეორებს ზედაპირზე მოცემული ფიგურების სახეს.

ამ ტიპის საკიდის ვერცხლის ორი ნიმუშია აღმოჩენილი ამიერკავკასიის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ძეგლზე, სამთავროს სამაროვანზე. რკინის ფართო ათვისების ხანით დათარიღებულ N206 სამარხში (აბრამიშვილი 1957) ისინი წარმოდგენილია მათში გაყრილ ბოლოებგახვრეტილ სასაფეთქლე რგოლებთან ერთად (ამ ტიპის საკიდებს მსგავსი რგოლებით ასევე ვხვდებით ლორი ბერდის ერთ ნიმუშზე და ბრილის სამაროვანზე). ორივე საკიდი ანალოგიური ფორმით და დეკორით არის დამზადებული, თუმცა, განსხვავებულია მათი ზომები და მეორადი დეკორატიული დეტალები. ორივე საკიდზე ძირითადი დეკორატიული სახეებია: ავერსზე აღმოსავლურ (წინა აზია, სომხეთი და სხვ) საიუველირო ხელოვნებაში ფართოდ გავრცელებული მოტივი - წვერით ცენტრისკენ მიმართული სამკუთხედებით შექმნილი სოლარული სიმბოლო (ლორთქიფანიძე 2012:198), ხოლო რევერსზე - ცვარათი შედგენილი წვერით ქვემოთ მიმართული სამკუთხედები (მსგავსი ორნამენტი მოცემულია ლორი ბერდის სამკუთხა საკიდის ერთ ნიმუშზე). წინარეანტიკური ხანის კოლხურ ოქრომჭედლობაში ანალოგიური სტილით გამოყვანილი სოლარული სიმბოლო სხვა ნიმუშებზეც დასტურდება - ფარცხანაყანევისა და ცხინვალის მძივებზე, ურბნისის საკინძზე, ცაიშში აღმოჩენილ სატევრის ტარის დეკორატიულ დეტალებზე.

საინტერესო სახეს ქმნის ფილიგრანის სადა მავთულით გამოყვანილი წრეები, რომელიც სოლარული სიმბოლოს ცენტრად და ცალკეულ დეკორატიულ დეტალად (სამკუთხედის ფუძის კუთხესთან) არის გამოყენებული. სტილისტური მანერით იგი წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის ტრადიციების მატარებელია და კონკრეტული ეპოქის ერთ-ერთ მარკერსაც წარმოადგენს (შდრ. ცაიშის სამკუთხა

საკიდების დეკორი, ურბნისის საკინძზე წარმოდგენილი ფილიგრანის თვალბუდე). აღნიშნული დეტალები, სამთავროს საკიდებზეც, ალბათ, თვალბუდეებად იყო გამოყენებული და, სასაფეთქლე რგოლში მოთავსებულ სარდიონის თვალთან ერთად, ნივთების საოცარ ფერადოვნებასა და მდიდრულ იერს განაპირობებდა.

რაც შეეხება ორნამენტულ სახეებს შორის არსებულ განსხვავებებს, ისინი განსხვავებული ზომებითაა გამოწვეული და სივრცითი გადანაწილების შესაბამისია. მაგ., მომცრო ნიმუშზე: უფრო მცირეა წვერით ცენტრისკენ მიმართული სამკუთხედების რაოდენობა; მცირეა ჩარჩოსთვის გამოყენებული გრეხილური ფილიგრანის რაოდენობა; საკიდის პროპორციულად, უფრო წვრილია საკიდზე დამაგრებული სასაფეთქლე რგოლიც.

საინტერესო სახეს ქმნის სამთავროს სამაროვნის ერთ-ერთი საკიდის სასაფეთქლე რგოლზე (ბოლოებს შორის) მოთავსებული სარდიონის ქვა, რომელიც, ალბათ, სამკაულისთვის მეტი ფერადოვნების მინიჭების მიზნით, მასში საგანგებოდ თავსდებოდა. ვერცხლის მსგავსი ტიპის სასაფეთქლე რგოლს, ანალოგიურად მოთავსებული სარდიონის ქვით, ვხვდებით ბრილის სამაროვანზე (GNM N5-993:3187). ვფიქრობთ, ეს ფაქტები საკმარისია, რომ წინარეანტიკური ხანის კოლხეთში სასაფეთქლე რგოლების მსგავსი ქვებით საგანგებოდ შემკობის ტრადიცია ვივარაუდოთ. ასევე, შეიძლება საინტერესო პარალელი გამოდგეს აზერბაიჯანის ძეგლებზე აღმოჩენილი რგოლები და სამაჯურები მათში გაყრილი, ან ბოლოებს შორის მოთავსებული მინერალის მძივით (Садыхзаде 1971).

რაც შეეხება სამთავროს სამარხის თარიღს, სადაც ვერცხლის აღნიშნული ტიპის საკიდები აღმოჩნდა, რ. აბრამიშვილს იგი მოქცეული აქვს რკინის ფართო ათვისების სამარხების უგვიანეს ჯგუფში და ძვ. წ. VI საუკუნით ათარიღებს აქ აღმოჩენილი სამფრთიანი სკვითური ისრისპირების, პეპლისებურვადიანი აკინაკების და იმპორტული ნივთების სტილისტური ანალიზის საფუძველზე (აბრამიშვილი 1957:134).

ამ ტიპის საკიდის ბრინჯაოს ვარიანტს წარმოადგენს ბრილის სამაროვანზე აღმოჩენილი, ფრაგმენტების სახით შემორჩენილი სამკუთხა საკიდი (GNM N5-993:3715) (ტაბ. 3). მასზე გამოსახული ფილიგრანის წნულის ჩარჩოსა და გრანულების იმიტაცია შთამბეჭდავად იმეორებს სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი საკიდის ფორმასა და ორნამენტულ სახეს - მის ავერსზე გამოსახულია წვერით ცენტრისკენ

მიმართული სამკუთხედები - სოლარული სიმბოლო, ხოლო რევერსზე წერტილოვანი ბურცობებით შედგენილი (რომელიც ალბათ ცვარას იმიტაციაა) სამკუთხედები ან რომბები. აღნიშნული ფრაგმენტი მნიშვნელოვანია, რამდენადაც კარგად ასახავს ოქროსა და ვერცხლის რთული ტექნოლოგიის ბრინჯაოში გამეორების ცდას - კოლხური ბრინჯაოს კულტურის მხატვრული ხელოსნები იმდენად მაღალ დონეზე ფლობდნენ ბრინჯაოს წარმოების ტექნოლოგიურ ხერხებს, რომ სათანადოდ შერჩეული ლიგატურით თავისუფლად ახერხებდნენ ბრინჯაოში გადმოეცათ ისეთი რთული დეკორატიული დეტალები, როგორიცაა ფილიგრანი და ცვარა. ამ ნიმუშით კიდევ ერთხელ ვლინდება ძვირფასი ლითონის ნაწარმის სტილისტურ-იდეოლოგიური სიახლოვე ბრინჯაოს მხატვრულ ხელოსნობასთან (რაც, გარკვეული დოზით, ამ პერიოდის ოქრომჭედლობის სხვა ნიმუშებშიცაა გამოხატული).

ანალოგიური ტიპის ოთხი საკიდია აღმჩენილი ლორი ბერდის ძვ. წ. VII საუკუნით დათარიღებულ N3, N4 და N56 სამარხებში (Kalantaryan 2007:Ttab. CX-CXI). სტილისტურად ისინი იმეორებენ ზემოთ განხილული საკიდების ძირითად მოტივებს: ორ საკიდზე, ორივე მხრიდან, და ერთი საკიდის ავერსზე დატანილია ვანის საკიდზე წარმოდგენილი ფიგურების მსგავსი ხთონური არსებები (ისინი ზოგიერთ მკვლევარს ანთროპომორფულ ფიგურებად აქვს ინტერპრეტირებული - Lebeurrier 2007:139); ერთ საკიდზე, წვერით ქვევით მიმართული ცვარათი შედგენილი სამკუთხედებია წარმოდგენილი (ავერსზე ექვსი მარცვლისგან შედგენილი სამკუთხედებია გამოსახული, რევერსზე - სამი მარცვლისგან). რელიეფურად დარჩილული ნახევარსფეროების დეკორატული დეტალით, საქართველოში აღმოჩენილი საკიდებისგან განასხვავებულ სახეს ქმნის ერთი ნიმუშის რევერსი, რომელიც აღმოსავლურ ოქრომჭედლობაში გავრცელებულ საიუველირო სტილის ნაწილია.

რაც შეეხება ამ ტიპის საკიდების მთავარ განმსაზღვრელ დეკორატიულ ელემენტს, ფილიგრანის წნულ ჩარჩოს (საქმე ეხება ფილიგრანის იმ სახეს, რომელიც ერთმანეთზე გადახვეული ორი მავთულისგან მიღებული წნულების დაწყვილებითაა შედგენილი), ის გახლავთ ორიენტალისტური სტილის ოქრომჭედლობის წამყვან კულტურულ ცენტრებში გავრცელებული ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული დეტალი, რომელიც ფილიგრანის ტექნიკის ცოდნის საკმაოდ მაღალ დონეს მოითხოვს (ლორთქიფანიძე 2012). ქართულ ოქრომჭედლობაში ის პირველად ძვ. წ. III

ათასწლეულის ოქრომჭედლობის ნიმუშებში ჩნდება - წარმოდგენილია ანანაურის ყელსაბამის საკიდზე და მოგვიანებით თრიალეთის ოქროს თასის შემკულობაში.

ფილიგრანის წნულ ჩარჩოსთან ერთად, წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის სტილისტური მარკერია აღნიშნულ საკიდებზე წარმოდგენილი ზოომორფული სახეები - სამგანზომილებიან მოდელში წარმოდგენილი თეგვით გამოყვანილი ცხოველის სახის ნაკვთებისა და დეტალების გავარსითა და ფილიგრანით გამოყვანა, ასევე ცხოველის ყურების გამოსახვის მანერა. ისინი კოლხური კულტურის ფარგლებს გარეთ უკავშირდება საბერძნეთსა და ეტრურიაში მოქმედ საოქრომჭედლო სკოლებისთვის დამახასიათებელ ძირითად ელემენტებს (ლორთქიფანიძე 2012).

საყურე, ტიპი I.3. - სადა მავთულით მოჩარჩოებული საყურის საკიდები (ტაბ.4). ეს ტიპი სამკუთხა საკიდების შედარებით განსხვავებულ, მიკრო ზომაში წარმოდგენილ ვარიანტს ქმნის. სხვადასხვა სახის გეომეტრიული ორნამენტით გაფორმებული ამ ტიპის ექვსი ნიმუში აღმოჩენილია: ძვ. წ. VIII საუკუნის მეორე ნახევრითა და VII საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებულ ცაიშის N1 სამარხ-ორმოსა (5 ც.) და ძვ. წ VII საუკუნით განსაზღვრულ ცხინვალის განძში (1 ც).

საკიდები წარმოადგენენ სამკუთხა ფირფიტაზე ორივე მხრიდან მავთულით შემოსაზღვრულ ნიმუშებს. მავთულისავე ყუნწი ერთ შემთხვევაში ცალკეა დამზადებული და მირჩილული, მეორე შემთხვევაში ჩარჩოსავე მავთულის გადაგრეხვით არის გამოყვანილი. ფირფიტის ორივე ზედაპირი დაფარულია გრანულებით ან ფილიგრანით გამოყვანილი გეომეტრული სახეებით: წრეებით, სამკუთხედებით, სამკუთხედებში ჩასმული წრეებით, სვასტიკებითა და მეანდრის გამოსახულებებით. სვასტიკები და მეანდრის გამოსახულებები ყველა შემთხვევაში ცვარათია შედგენილი, ხოლო წრეები და სამკუთხედები რელიეფურად დარჩილული სადა მავთულებით არის გამოყვანილი. ისინი შესაძლოა საინკრუსტაციო თვალბუდეებსაც წარმოადგენდა.

ამ ტიპის ნივთების პირდაპირი პარალელები დღეისათვის უცნობია. რაც შეეხება მათ ორნამენტს, ცვარათი გამოყვანილი მეანდრის გამოსახულებები ერთ-ერთი წამყვანი მოტივია როგორც გეომეტრიული და არქაული ხანის საბერძნეთის, ისე ორიენტალისტული ოქრომჭედლობისთვის. წრეებისა და სამკუთხედების კომბინაციებს კი იკონოგრაფიული პარალელები ძვ. წ. VIII საუკუნის ატიკური

ოქრომჭედლობაში - ელევსსა და სპარტაში აღმოჩენილ, აღმოსავლური გავლენით დამზადებულ ნახევარმთვარისებურ საყურეებსა და ყელსაბამის ოთკუთხა ფირფიტოვან საკიდებში ეძებნება (Deppert-Lippitz 1985: Fig. 32, 35, 360; ლორთქიფანიძე 2012:197).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ცხინვალის განძის საკიდი ფორმით, დამზადების ტექნიკით და ორნამენტით იდენტურია ცაიშის სამაროვნის ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედით დათარიღებული ნიმუშის. შესაბამისად, დასაშვებია, რომ მისი დამზადების თარიღიც ძვ. წ. VII საუკუნეზე ოდნავ ადრეულიც იყოს. ვფიქრობთ, მცდარი არ იქნება, თუ სამკუთხა საკიდების აღნიშნულ ტიპს ფილიგრანის წნულით მოჩარჩოებული ნიმუშების პროტოტიპებად მივიჩნევთ, რადგან დამზადების ზოგადი პრინციპით (ფილიგრანით შემოსაზღვრული ორნამენტირებული სამკუთხა ფირფიტა) ისინი ახლოს დგანან წნულჩარჩოიან ნიმუშებთან და ქრონოლოგიურად წინ უსწრებენ მათ გავრცელებას.

საყურე, ტიპი I.4. - ცვარათი შედგენილი უძრავად მირჩილული სამკუთხა საკიდიანი საყურეები (ტაბ.5). სამკუთხა საკიდების კიდევ ერთი სახეს წარმოადგენს შედარებით მომცრო ზომის, გავარსის ბურთულებით შედგენილი, ან მისი იმიტაციით გაფორმებული ნიმუშები. ისინი გავრცელებულია ძვ. წ. VIII-III საუკუნეებით დათარიღებულ კომპლექსებში და მოიცავს როგორც დასავლეთ (ერგეტა, ცაიში, ჭუბურხინჯი), ისე აღმოსავლეთ საქართველოს (თრელი, ვარსიმაანთკარი, ყოღოთო) ტერიტორიას და აზერბაიჯანს.

საკიდების აღნიშნული ტიპი რამდენიმე ვარიანტით არის წარმოდგენლი: **I.4.a.** ერთ რიგად განლაგებული ცვარას ბურთულებით გამოყვანილი სამკუთხედი; **I.4.b** ცვარას ორი რიგისგან შედგენილი სამკუთხედი, რომელიც დამზადებულია სამკუთხა ოქროს ფირფიტაზე ორივე მხრიდან გრანულების მირჩილვით და **I.4.b.1** ცვარას ორი რიგისგან შედგენილი სამკთხედი, ფუძეში სამი შვერილით.

აღნიშნული ტიპის ყველა საკიდი რგოლზე უძრავად არის მირჩილული და უმეტეს შემთხვევაში დამაგრებულია კოლხური ოქრომჭედლობისთვის დამახასიათებელ ბოლოებგახვრეტილ სასაფეთქლე რგოლზე.

კოლხეთში აღნიშნული ტიპის საკიდები აღმოჩენილია: ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედით დათარიღებულ ერგეტა IV სამაროვნის N2 სამარხ-ორმოში (პაპუაშვილი 2010:32-42), ძვ. წ. VIII საუკუნის მეორე ნახევრითა და VII საუკუნის

პირველი ნახევრით დათარიღებულ ერგეტა II სამაროვნის N4 სამარხ-ორმოსა (პაპუაშვილი 1999:3-9) და ცაიშის N1 სამარხ-ორმოში (პაპუაშვილი... 2015: 114, 125; პაპუაშვილი... 2002:48-54), ჭუბურხინჯის ძვ. წ. VI საუკუნით დათარიღებულ განძში (გაგოშიძე 1976:18-20); აღმოსავლეთ საქართველოში მათ ვხვდებით თრელის ძვ. წ VII-VI საუკუნით დათარიღებულ კომპლექსში (აბრამიშვილი 2012) და ვარსიმაანთკარის ძვ. წ. V-IV საუკუნით დათარიღებულ ძეგლზე (Рамишвили... 1984:57-66); აზერბაიჯანში ისინი გვხვდება ძვ. წ. VIII-VII სს-ის (Гасанов 2016:44-54), ძვ. წ. V-III და ძვ. წ. I საუკუნით დათარიღებულ კომპლექსებში (Асланов... 1966:11-14, სურ. 1).

კოლხეთში ვხვდებით როგორც ოქროსა და ვერცხლის, ისე კალისა და ბრინჯაოსგან დამზადებულ ვარიანტებს. ცვარას იმიტაციით არის გაფორმებული ერგეტაში აღმოჩენილი კალისგან დამზადებული სამკუთხა ფორმის საკიდები და აზერბაიჯანში აღმოჩენილი რამდენიმე ოქროს საკიდი (Исмизаде 1973: 304).

საყურე, ტიპი I.4.a. - საყურე ერთ რიგად განლაგებული, უძრავად მირჩილული ცვარას ბურთულებით შედგენილი სამკუთხა საკიდით (ტაბ.5). წარმოადგენს სადა, მრგვალგანივკვეთიან, გახსნილ რგოლზე უძრავად დამაგრებულ, ათი მოზრდილი ბურთულისგან შედგენილ სამკუთხა საკიდს. საყურის ადრეულობაზე მეტყველებს ის, რომ მოგვიანო ვერსიებისგან განსხვავებით იგი არ არის მირჩილული დაბრტყელებული და გახვრეტილი ბოლოების მქონე სასაფეთქლე რგოლზე და დამაგრებულია თავებგადასულ, შედარებით მსხვილ, უხეშად დამუშავებულ მომცრო, სადა რგოლზე. აღნიშნული ფორმა ორიენტალისტურ სამყაროში გავრცელებული, ცვარას ბურთულებისგან შედგენილი მტევნისებურსაკიდებიანი საყურეებისგან (Maxwell-Hyslop 1976:115-116) განვითარებულ ფორმად მიგვაჩნია.

საყურე, ტიპი I.4.b. - საყურეები ორ რიგად განლაგებული ცვარას ბურთულებით შედგენილი საკიდით (ტაბ.5). საკიდის აღნიშნული ტიპი, ზემოთგანხილული საყურის უფრო რთული ვერსიაა. ისინი აღმოჩენილია ჭუბურხინჯის განძში, ცაიშის, თრელის, ყოღოთოს, ვარსიმაანთკარის სამაროვნებზე და აზერბაიჯანის სხვადასხვა პუნქტში.

ჭუბურხინჯის განძში აღმოჩენილი საყურე შედგება ოქროს მავთულის ოვალურ (ამჟამად დეფორმირებული), გახსნილ რგოლზე უძრავად მირჩილული, გავარსის ორი ფენისგან შედგენილი სამკუთხედისაგან. სავარაუდოდ, ფენებს შორის ოქროს ფირფიტა უნდა იყოს დატანილი. ცვარას თითოეული ფენა შეიცავს ოქროს

ბურთულების რიგებს - 11 ბურთულიდან ყოველ მომდევნო რიგში თითო ერთეულის კლებით ორ ერთეულამდე.

ანალოგიური სიზუსტითაა დამზადებული ცაიშის სამაროვანზე აღმოჩენილი ვერცხლის (შესაძლოა იყოს ელექტრუმიც) ნიმუში: გავარსის ორი ფენა შეიცავს ბურთულების 10 რიგს, ყოველ მომდევნო რიგში რაოდენობის თითო ერთეულით კლებით ორ ერთეულამდე. სამკუთხედის ფუძის კუთხეებთან არსებული ბურუთლებიშედარებით მოზრდილია და კუთხის აქცენტირებისთვის საგანგებოდ შერჩეულ დეკორატიულ სახეს ქმნის.

ჭუბურხინჯის და ცაიშის საკიდის ანალოგიურია ყოღოთოში, თრელზე და აზერბაიჯანში აღმოჩენილი ნიმუშები. მათი ფორმა და ზომა, ისევე როგორც ცვარას ბურთულების რაოდენობა და გადანაწილების პრინციპი, უცვლელია, განასხვავებულია მხოლოდ საკიდი რგოლი - აქ წარმოდგენილი საყურე რგოლების ბოლოები გახვრეტილი და შესქელებული დეტალებით წარმოჩენილი გველის/ფრინველის თავების სტილიზებულ გამოსახულებებით არის წარმოდგენილი.

აზერბაიჯანში, მსგავსი ტიპის საყურეები საკმაო რაოდენობით არის დადასტურებული ადრეანტიკური ხანიდან მოყოლებული ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრის ბოლომდე, თუმცა ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ გვიანდელ კომპლექსებში მოხვედრილი ეს ნიმუშები წინარეანტიკური ხანის ნაწარმია.

მინგეჩაურში აღმოჩენილი საკიდების ქრონოლოგიურ და კულტურულ კუთვნილებას კარგად განსაზღვრავს სასაფეთქლე რგოლების ბოლოებგახვრეტილი ვარიანტი, რომელიც აზერბაიჯანში აღმოჩენილი საკიდების უმეტეს ნიმუშზეა წარმოდგენილი.

აზერბაიჯანში აღმოჩენილ სამკუთხა ფორმის საკიდებს სპეციალური კვლევა მიუძღვნა ზ. ჰასანოვმა (Гасанов 2016). მკვლევარმა ისინი გრანულაციის ტექნიკის, სამკუთხა ორნამენტისა და საყურე რგოლზე უძრავად მიმაგრების პრინციპით გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის შუა აზიისა და ციმბირის რეგიონში აღმოჩენილ ცვარათი გაფორმებულ კონუსისებურსაკიდიან საყურეებს დაუკავშირა - ესენია ტუვასა და მთიანი ალტაის ადრესკვითური ხანის სამარხებში, ასევე აღმოსავლეთ ყაზახისტანში გავრცელებული საყურეები (Гасанов 2016:45). როგორც ჩანს, მისთვის უცნობი იყო ამიერკავკასიის აღნიშნული ჯგუფის ნაწარმი. მინგეჩაურის

ყორღანებთან დაკავშირებით, სადაც ჩვენთვის საინტერესო ტიპის საყურეებია აღმოჩენილი, საინტერესოა გ. კოსაკის მოსაზრება - იგი ძვ. წ. VIII საუკუნეში ამ სამარხების გამოჩენას უცხო ეთნოსის შემოსვლას უკავშირებს (Kossack 1998:74, 78). შესაძლოა სწორედ ეს მიგრაციები იყოს ამ ტიპის ნაწარმის გავრცელების მიზეზი აღნიშნულ რეგიონში.

ვფიქრობთ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ აზერბაიჯანში აღმოჩენილი ამ ტიპის ნაწარმის ამიერკავკასიაში მოქმედი საოქრომჭედლო სკოლის შექმნილია. შესაძლოა ოდნავ მოგვიანებით, ძვ. წ. VI-V საუკუნეებში მსგავსი ტიპის საყურეები ადრეული ნიმუშების მიბაძვით მართლაც მზადდებოდა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, მაგრამ მათი კოლხური ოქრომჭედლობიდან შეთვისება, ალბათ უდავოა. ამაზე მეტყველებს: 1) მათი უადრესი და არქაული პარალელები კოლხეთშია აღმოჩენილი. 2) კოლხეთშია აღმოჩენილი სამკუთხა საკიდის ყველა ტიპი 3) დასავლეთ ამიერკავკასიის ოქრომჭედლობისთვის დამახასიათებელი დეტალია რგოლი, რომელზეც აღნიშნული საკიდებია დამაგრებული, 4) წინარეანტიკური ხანის აზერბაიჯანში, სომხეთისგან განსხვავებით, ოქრომჭედლობა არ ჩანს ისე განვითარებული, როგორც კოლხეთში. აქ ძვირფასი ლითონის ნაწარმს ძალიან მცირე რაოდენობით ვხვდებით, ისიც, ძირითადად, ჩვენთვის საინტერესო ჯგუფის საყურეების სახით.

I.4.b.1. - ორ რიგად განლაგებული ცვარას ბურთულებით შედგენილი სამკუთხედი, ფუძეზე სამი შვერილით (ტაბ.5). ფორმით, ზომით, სასაფეთქლე რგოლითა და რგოლზე მირჩილვის პრინციპით იდენტურია მინგეჩაურსა და ვარსიმაანთკარში აღმოჩენილი ამ ტიპის საკიდები. ისინი ცვარას ბურთულების რაოდენობის და განლაგების მხრივ იმეორებენ ზემოთ განხილულ ტიპს, თუმცა განსხვავდებიან ერთი დეტალით - სამკუთხედის ფუძეზე, მის კუთხეებსა და შუა ნაწილში მათ აქვთ ცვარას სამი ბურთულისგან შედგენილი შვერილები. ამიერკავკასიაში აღნიშნულ ფორმას პარალელები ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან გავრცელებულ ბრინჯაოს სამკუთხა საკიდებში ეძებნება. ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში მათ ვხვდებით ერგეტას (პაპუაშვილი... 2022), ბრილის (GNM N5-993:3230), თლიას (Техов 1980; Техов 1981; Техов 1985; Техов 2002 და სხვა) სამაროვნებზე და სხვ.

ვფიქრობთ, ცვარას ბურთულებით შედგენილი საკიდების ეს ვერსია წინარეანტიკური ხანის გვიან ეტაპზე, შესაძლოა სამკუთხა საკიდიდან სხივანა ფორმაზე გარდამავალ პერიოდში იყოს შექმნილი. ამასვე მეტყველებს

ვარსიმაანთკარის ადრეანტიკური ხანის სამაროვანზე, აღნიშნულ ტიპის ნიმუშის სამსხივიან საყურესთან აღმოჩენის ფაქტიც - ისინი როგორც ოქროს ფაქტურის, ისე სტილისტური ნიშნებით ერთმანეთთან ახლო მსგავსებებს ავლენენ (Рамишвили და სხვ. 1984: 57-66).

მინგეჩაურში ამ ტიპის ნიმუშები აღმოჩენილია ძვ. წ. VII-V საუკუნით დათარიღებულ სამარხეულ კომპლექსებში (Исмизаде 1973:277-317, 303; Асланов...1966: 13, სურ. 1₁).

საყურე, ტიპი I.5. - საყურე, უძრავად მირჩილული სამკუთხა, ჭვირული საკიდით (ტაბ.5). აღნიშნული ტიპი ერთადერთი ნიმუშით არის წარმოდგენილი ძვ. წ. VIII საუკუნის მეორე - VII საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებული, ერგეტის I სამაროვნის N5 სამარხი-ორმოდან.

საკიდი დამზადებულია ვერცხლის მრგვალგანივკვეთიან, სადა რგოლზე უძრავად მირჩილული ვერცხლის სქელი ფირფიტისგან გამოჭრილი სამკუთხა ფორმის საკიდით. სამკუთხედი შუა ნაწილში სამკუთხა ფორმაზევეა ამოჭრილი. საკიდს ორნამენტის სახით კიდეზე გაუყვება თევზიფხური სახე - წნულის იმიტაცია, რომლითაც იგი პრინციპულ სიახლოვეს ავლენს კოლხური ოქრომჭედლობის ერთ-ერთი მთავარ სტილისტურ დეტალთან, წნულ ჩარჩოსთან.

II. სხივანა საყურეები (ტაბ.6, 7)

როგორც ეს არაერთ მკვლევარს აღუნიშნავს (ბ. კუფტინი, ალ. ჯავახიშვილი, ოთ. ლორთქიფანიძე, ი. გაგოშიძე, ა. ჭყონია, ნ. ლორთქიფანიძე და სხვ) ადრეანტიკური ხანა ქართული საიუველირო ხელოსნობის ისტორიაში გახლავთ ის მნიშვნელოვანი ეტაპი, როდესაც არსებობას იწყებს კლასიკური ხანის ოქრომჭედლობის ზოგი მნიშვნელოვანი ფორმა, რომელთა შორის ერთ-ერთი ე. წ. სხივანა საყურეა.

სხივანა საყურეები წინარეანტიკური ხანის კოლხეთში ჩამოყალიბებული სამკაულის ტიპია, რომელიც ადრეანტიკური ხანის კოლხურ ოქრომჭედლობაში, რიგ სხვა ნიმუშებთან ერთად (მაგ., კოლხური ტიპის დიადემა), განსაკუთრებულ ადგილს იკავებს წარჩინებული საზოგადოების სტატუსის განმსაზღვრელ მთავარ ატრიბუტებს შორის.

დღეისათვის არსებული მონაცემები უკვე გვაძლევს საშუალებას, ამ ტიპის საყურეების ვარიანტები, მათი ქრონოლოგიურ-ტერიტორიული გადანაწილების გათვალისწინებით, განსხვავებულად განვიხილოთ.

საყურე, ტიპი II.1. - ერთსხივიანი საყურეები (ტაბ.6). ამ ტიპის საყურის ძირითადი ფორმაა რგოლზე უძრავად მირჩილული ღერო დაბოლოებული ხუთი მოზრდილი ბურთულით შედგენილი მტევნით. მათში სხივის გამოყვანის რამდენიმე მანერას ვხვდებით: **II.1.a.** ცვარას ოთხი რიგით გამოყვანილი ღერო, **II.1.b.** მოზრდილი ცვარას ბურთულების ერთი რიგით გამოყვანილი ღერო; **II.1.c.** დაკეჭნილი მავთულით გამოყვანილი ღერო და **II.1.d.** ოთხი დაგრეხილი მავთულით მიღებული წნული სახის ღერო. ყველა ვარიანტისთვის საერთოა ხუთი მოზრდილი ბურთულისგან გამოყვანილი პირამიდისებური მტევანი.

არქეოლოგიური მონაცემების შეჯერებით იკვეთება, რომ ერთსხივიანი ვარიანტები სხივანა საყურეების ყველაზე ადრეული ფორმაა. ამაზე მეტყველებს როგორც ზოგიერთი სამარხეული კომპლექსის ინვენტარი, ისე თვითონ საყურის სტილისტურ-ვიზუალური ნიშნები - მაგ., სასაფეთქლე რგოლების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არ წარმოადგენს მოგვიანო პერიოდისთვის მეტად დამახასიათებელ ბოლოებგაბრტყელებულ და გახვრეტილ ვარიანტებს.

დღევანდელი მონაცემებით, ერთსხივიანი საყურის ერთ-ერთი ადრეული ნიმუში აღმოჩენილია ნარეკვავის სამაროვანის, ძვ. წ. VII საუკუნით დათარიღებულ N41 სამარხში, სადაც საყურის ქრონოლოგიური და კულტურული კუთვნილება კარგად არის განსაზღვრული კომპლექსში წარმოდგენილი წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის სხვა ნივთებით. აქ ოქროს ჭვირულ მძივებთან და იხვის ფორმის ფირფიტისებურ მძივსაკიდებთან ერთად ვხვდებით მუქი ფერის სარდიონის მოზრდილ, სფერულ, კარგად ნაპრიალებ მძივებსა და ბრინჯაოს ისეთ ნივთებს, რომლებიც კარგად განსაზღვრავენ ძვ. წ. VIII-VII საუკუნეების კოლხეთის მატერიალურ კულტურას.

ნარეკვავის N41 სამარხში აღმოჩენილი ოქროს სხივანა საყურე წარმოადგენს ბოლოებგაბრტყელებულ და გახვრეტილ საყურე რგოლზე უძრავად მიმაგრებულ ცვარას სამი მოზრდილი ბურთულისგან შედგენილ ღეროს, დაბოლოებულს ხუთმარცვლიანი მტევნით (აფაქიძე... 1998:108). სხივანა საყურის ამავე (ადრეულ) ვარიანტს მიეკუთვნება ნარეკვავის N59 ქალის სამარხში (ინახება მცხეთის

სახელმწიფო არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალში) აღმოჩენილი ელექტრუმის ორი საყურე - ესენია ცვარას წვრილი ბურთულების ოთხი რიგით გამოყვანილი მოკლე ღერო, ბოლოში ცვარას ბურთულების რაოდენობის ზრდით მიღებული შესქელებით. ისინი სტილისა და ტექნოლოგიური მანერით ძალიან ახლოს დგანან თრელის სამაროვანზე აღმოჩენილ ცვარათი შედგენილ სამკუთხასაკიდიან საყურეებთან - იგივეა საკიდი რგოლი, რგოლზე მირჩილვის პრონციპი და ცვარას ბურთულებით აგების მანერა.

ნარეკვავის N41 სამარხში აღმოჩენილი სხივანა საყურე ზუსტ პარალელებს პოულობს ბრილის სამაროვნის ნაწარმთან და კარგად განსაზღვრავს მათი გავრცელების ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს ძვ. წ. VII საუკუნით.

დღევანდელი მონაცემებით ელექტრუმის, ვერცხლისა და ბრინჯაოსგან დამზადებული ერთსხივიანი საყურეების გავრცელების ძირითადი არეალი რაჭის რეგიონს (ბრილში, ჯოისუბანში, გორიმოსა და შემთხვევითი აღმოჩენების სახით აღმოჩენილია სხივანა საყურეების ათობით ნიმუში - იხ. გობეჯიშვილი 1952) მოიცავს. ერთეულების ან წყვილის სახით ისინი აღმოჩენილია ყაზბეგში (გაგოშიძე 1976), ბეშთაშენში (GNM 169-64:36), ნახჩევანში, არგვეთის სამაროვანზე (დავლიანიძე 1983:36), ალგეთში (Тушишвили 1986:34-35, სურ. 80), ნიჩბისში (GNM N23-58-6), თიღვაში (GNM N99-975-16), დიგორიაში (Уварова 1900: ტ. XXXVI/8), ყობანში (Уварова 1900: ტ. XXXVI/8) და სხვ..

კავკასიის ფარგლებს გარეთ. ერთსხივიანი საყურეების ზუსტი ანალოგი ცნობილია ირანიდან (THE MET: N1984.175.34a,b). სამწუხაროდ, აღნიშნული ნიმუში არქეოლოგიური კონტექსტის გარეშეა, მაგრამ თარიღი განსაზღვრულია არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მსგავსი სტილის ნიმუშზე დაყრდნობით - ესაა ჰასანლუს ძვ. წ. IX საუკუნის ფენაში აღმოჩენილი საყურე, რომელიც რგოლზე უძრავად მირჩილული კონუსური დაბოლოების მქონე მოკლე ღეროთი (THE MET: N65.163.62a,b) ახლოს დგას ზემოთნახსენებ ერთსხივიან საყურესთან. აღსანიშნავია, რომ ჰასანლუს ადრერკინის ხანის ქალაქური ტიპის გამაგრებულ დასახლებაში აღმოჩენილია სხვა არაერთი არტეფაქტი, რომელიც მნიშვნელოვან მსგასებას პოულობს ამიერკავკასიის ნიმუშებთან, მათ შორის აღსანიშნავია ადრერკინის ხანის კოლხურ ძეგლებზე ფართოდ გავრცელებული მუქი სარდიონის დიდი ზომის, კარგად ნაპრიალები, სფერული მძივები (THE MET:

61.100.141), რომელიც აქ ძვ. წ. IX საუკუნით დათარიღებულ ფენაშია აღმოჩენილი. აღსანიშნავია, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში აქ მდებარეობდა სავაჭრო და მხატვრული ნიმუშების წარმოების ერთ-ერთი მთავარი ცენტრი, რომელსაც ძალიან ახლო კავშირი ჰქონდა თანადროული ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ ცენტრებთან (Muscarella 1966) და, ალბათ, ისევე როგორც სხვა მსგავსი ცენტრები, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ორიენტალისტრი სტილის დისტრიბუციის საკითხშიც.

კიდევ ერთ, შორეულ პარალელად შეიძლება დავასახელოთ ადრერკინის ხანის პალესტინაში გავრცელებული საყურეების ერთი ჯგუფი (Golani 2013:241, fig.11), რომელთაგან ყველაზე მეტ ვიზუალურ მსგავსებას ომანში, დიბას კოლექტიურ სამარხში აღმჩენილი ოქროს საყურე ავლენს (Genchi... 2018:108). კომპლექსი საინტერესოა იმით, რომ აქ აღმოჩენილი ოქრომჭედლობის სხვა ნიმუშიც - გრანულებით შედგენილი ცილინდრული და ჭვირული ბიკონუსური მძივი (Genchi... 2018: fig.7) - გარკვეულ სტილისტურ კავშირს ავლენს თანადროული პერიოდის კოლხურ ოქრომჭედლობასთან.

ჩვენი ვარაუდით, სხივანა საყურეების ერთსხივიანი ვარიანტების ზოგადი იდეა - რგოლზე უძრავად მირჩილული, კონუსური დეტალით დაბოლოებული ღერო ე. წ. ასურული ტიპის საყურეებს უკავშირდება (აშურნასიპალ II-ის რელიეფებზე გამოსახული ვარიანტები - Maxwell-Hyslop 1976:236. Fig. 126). ამ მხრივ, კოლხეთის სხივანა საყურის ფორმასთან ყველაზე ახლოს დგას ლურისტანის, ვარ კაბუდის ძვ. წ. VIII საუკუნის დასასრულითა და VII საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ სამარხში აღმოჩენილი ასურული ტიპის ვერცხლის საყურე - რგოლზე მირჩილული გრანულაციით შემკული გრძელი, ბოლოში შემსხვილებული ღეროთი (Maxwell-Hyslop 1976:264. Pl. 248).

ერთსხივიანი საყურეების რაოდენობრივი და ტერიტორიული გადანაწილებით ისახება სურათი, რომ ძვ. წ. VII-VI საუკუნეებში მათი წაროების ძირითადი ცენტრი კოლხეთის მთიან რეგიონში, რაჭაში მდებარეობდა. ამ პერიოდში, აქ მოსახლე საზოგადოების გარკვეული ჯგუფი, თავისი პრივილეგირებული სტატუსის წარმოსაჩენად ქმნის სამკაულის აღნიშნულ ფორმას, რომელსაც, ოდნავ მოგვიანებით, კლასიკურ ხანაში, კოლხეთის ადმინისტრაციულ ცენტრებში მოღვაწე წარჩინებული საზოგადოება სტატუსის განმსაზღვრელ აუცილებელ ატრიბუტად იყენებს. ძვ. წ. VI

საუკუნიდან იქმნება სხივანა საყურეების მრავალფეროვანი ვარიანტები - ორი, სამი, ოთხი და მეტსხივიანი ვარიანტები.

საყურე, ტიპი II.2. - ორსხივიანი ვარიანტი (ტაბ.7). დღევანდელი მონაცემებით, ორსხივიანი საყურეების აღმოჩენის არეალი მხოლოდ რაჭის რეგიონს უკავშირდება. რაჭის რეგიონში ვხვდებით ოქროს, ელექტრუმის და ვერცხლისგან დამზადებულ ათამდე ნიმუშს (გამომდინარე იქიდან, რომ სხივანა საყურეების დიდი ნაწილი დაზიანებული და ნაკლული სახითაა შემორჩენილი, შესაძლოა მათი რაოდენობა გაცილებით მეტიც იყო).

აღსანიშნავია, რომ საკიდის აღნიშნული ტიპიდან ყველა მირჩილულია სადა, მრგვალგანივკვეთიან რგოლზე (არ ვხვდებით ბოლოებგახვრეტილ ვარიანტებს). სხივები ორი ვარიანტით არის წარმოდგენილი- **II.2.a.** ცვარას ოთხი რიგით აგებული და **II.2.b.** მოზრდილი ბურთულების ერთი რიგით აგებული ღეროები. ღეროები, უმეტეს შემთხვევაში ერთმანეთთან ახლოს არის განლაგებული და მტევნებით ერთმანეთთან დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ საყურეთა დიდ ნაწილს ეტყობა ხმარების და ცვეთის კვალი.

საყურე, ტიპი II.3. - სამსხივიანი ვარიანტი (ტაბ.7). სამსხივიანი ვარიანტები სხივანა საყურეების ოდნავ მოგვიანებით, სავარაუდოდ, ძვ. წ. VI საუკუნის შუა ხანებიდან გავრცელებული ფორმაა. მისი ყველაზე მარტივი ფორმა აღმოჩენილია კამარახევის ძვ. წ. IV-III საუკუნით დათარიღებულ N74 სამარხში (მცხეთის სახელმწიფო არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი ინვ. N11-996:3). დამზადების მანერით - მოკლე სხივებითა და რგოლზე მირჩილვის პრინციპით, აღნიშნული საყურე ძალიან ჰგავს ნარეკვავში აღმოჩენილ ადრეანტიკური ხანის ერთსხივიან ვარიანტებს (ტაბ. 6), შესაბამისად, მისი დამზადების თარიღი სამარხზე უფრო ადრეულად მიგვაჩნია.

ბრილის სამაროვანზე ეს ტიპი მხოლოდ ერთი ნიმუშით არის წარმოდგენილი - ესა ვერცხლის წვრილი მავთულის ბოლოებგაბრტყელებულ და გახვრეტილ რგოლზე მიმაგრებული, რადიალურად გაშლილი, გრეხილური მავთულებით შედგენილი სამი ღერო, რომელთა ბოლოები ურთიერთგადაბმულია ორწყება მსხვილი გავარსის რკალით (GNM 133-975:55).

სამსხივიანი საყურის კიდევ ერთი ნიმუში ცნობილია შიდა ქართლში, ქლივანის სამაროვნის (გორის რ-ნი) ძვ. წ. VI საუკუნით განსაზღვრულ N3 სამარხში (Сланов 1977:222-223, ტაბ. XCVII[14]) - იგი წარმოადგენს სადა, მრგვალ რგოლზე მიმაგრებულ,

წნული სახის ღეროებით აგებულ, ერთმანეთთან შეერთებულ სამ სხივს ბოლოში მტევნებით.

სამსხივიანი საყურეების ოქროს ვარიანტები ასევე ცნობილია ჟინვალის სამაროვანზე - სამი ცალი (GNM N:3-985:2,5,6) და ფიჭვნარში - 2 ცალი (კახიძე 2016:314). მათი თარიღი ძვ. წ. V საუკუნის დასაწყისით არის განსაზღვრული.

როგორც ვნახეთ, სამსხივიანი ვარიანტები, სხივანა საყურის ყველაზე ნაკლებგავრცელებული ფორმაა, რომელიც კარგად ასახავს სხივანას ადრეული ფორმებიდან მრავალსხივიან, მდიდრულ ვარიანტებზე გარდამავალ ხანმოკლე ეტაპს. სამეცნიერო ლიტერატურაში ისინი ასევე მიჩნეულია წინარეანტიკური ხანის სამკუთხასაკიდიანი საყურეების ტრადიციების გამგრძელებელ ფორმად (ჭყონია 1981; ლორთქიფანიძე 2012).

ამიერკავკასიის ფარგლებს გარეთ, საყურე რგოლზე დამაგრებული რადიალურად გაშლილი „სხივების“ ზოგად იდეას, პარალელები არაერთ კულტურულ არეალში ეძებნება, თუმცა ამიერკავკასიის საყურეების იდენტური ფორმით, არსად. სამსხივიანი ვარიანტების ყველაზე ახლო სტილისტური პარალელებია: ლეფკანდიში, ძვ. წ. X-IX საუკუნით დათარიღებულ N5 სამარხში აღმოჩენილი წყვილი საყურე (Higgins 1980: pl. 171: 5,11; Laffineur 1998: Pl 1.2); სამხრეთ იორდანიაში, ტავილანის განძში (Ogden 1995: fig. 8.22; Golani 2013:240-241) აღმოჩენილი ვერცხლის ნიმუში; სხივების იდეას გადმოსცემს, ასევე, ელევსისის ძვ. წ. IX-VIII საუკუნეების სამარხებში აღმოჩენილი ორი სხვადასხვა სახის საყურე, დახვეული მავთულით გამოყვანილი სამი კონუსური სხივით (Despini 1996; Cultural Olympiad. 2003: N1094) და ირანში აღმოჩენილი ნიმუში, რომელზეც სხივები ცვარათი შეგდენილი სამკუთხედებითაა გადმოცემული (THE MET, 1984.175.33a).

საყურე, ტიპი II.4. - ოთხი და მეტსხივიანი ვარიანტები (ტაბ.7). ოთხი და მეტსხივიანი საყურეები ძვ. წ. VI საუკუნის დასასრულიდან გავრცელებული ფორმაა, რომელიც ძვ. წ. V საუკუნეში კოლხური საყურის ერთ-ერთ მდიდრულ და მაღალმხატვრულ ვარიანტს ქმნის.

მათ ყველაზე დიდი რაოდენობით ფიჭვნარის ადრეანტიკური ხანის კოლხურ სამაროვანზე ვხვდებით (27-მდე ერთეული). ა. კახიძე განიხილავს რა ამ საკიდების გავრცელების არეალს და მათ რაოდენობრივ გადანაწილებას ამიერკავკასიის მასშტაბით, რაშიც აშკარად ფიჭვნარი დომინირებს, ამ ტიპის საყურეების დამზადების

ერთ-ერთი მთავარ ცენტრად სწორედ ამ რეგიონს ასახელებს (კახიძე... 2004). ვფიქრობთ, სხივანა საყურეების მრავალსხივიან ვარიანტებთან მიმართებაში ეს მოსაზრება მართებულია, თუმცა დასაკონკრეტებელია პერიოდი და ტიპი, რადგან, მათში არ უნდა გავაერთიანოთ სხივანა საყურეების ის ვარიანტები, რომელთა გავრცელება სხვა პერიოდსა და რეგიონს უკავშირდება. დიდი ალბათობით, სხივანა საყურეების მრავალსხივიანი ვარიანტები კოლხეთის პოლიტიკურ ცენტრებში რაჭის რეგიონიდან ვრცელდება იმ მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობების ფონზე, რაც ამ დროს მთისა და ბარის რეგიონებს შორის ივარაუდება.

საყურე, ტიპი III.3. - მტევნისებურსაკიდიანი საყურეები (ტაბ.8). ბურთულებით შედგენილი მტევნისებურსაკიდიანი საყურეები კოლხეთში ერთი ნიმუშით არის წარმოდგენილი. იგი აღმოჩენილია ურეკის N1 სამარხ-ორმოში და წარმოადგენს რგოლზე ცვარას ბურთულებით შედგენილ მტევნისებურ ფორმას (მიქელაძე 1985:101).

სხვადასხვა ვარიანტებით წარმოდგენილი ამგვარი საყურეები ძველ სამყაროში ფართოდ გავრცელებული, ე. წ. ინტერნაციონალური ტიპის ნაწარმია. ძვ. წ. XVII საუკუნიდან მოყოლებული ისინი ერთ-ერთი ყველაზე პოპლარული სახეა სირია-პალესტინის საიუველირო ნაწარმში. ძვ. წ. XVI საუკუნიდან ფართოდ ვრცელდება კვიპროსზე (Higins 1960:pl. 12; Cultural Olympiad 2003:554). მკვლევართა უმრავლესობა თანხმდება, რომ აღნშნული ორნამენტული სახე ბერძნულ სამყაროში ორიენტალისტური ცეტრებიდან შემოსული ტრადიციაა; ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ამ სტილის ნაწარმი აღმოსავლეთისგან დამოუკიდებლად, კრეტის გავლენით იქმნება კვიპროსზე, და არაფერი აქვს საერთო სირია-პალესტინის ნიმუშებთან (Cultural Olimpiad 2003:554). ეს ფორმა პოპულარობას განაგრძობს მოგვიანო, გვიანბრინჯაოდან ადრერკინაზე გარდამავალ პერიოდშიც და ერთ-ერთი ამსახველი სახეა იმ კულტურული განგრძობითობის და სტილისტური ერთობის, რომელიც ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის სხვადასხვა კულტურის საოქრომჭედლო ცენტრებს აკავშირებს.

საყურე, ტიპი IV. - დაცვარულბურთულიანი საყურეები (ტაბ.8). წინარეანტიკური ხანის ფინალურ ეტაპზე, კლასიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ფორმა იჩენს თავს - საყურეები, გავარსით თითქმის მთლიანად დაფარული სფეროს ფორმის საკიდით. მისი ერთადერთი წყვილი ყაზბეგის განძის ელექტრუმისგან დამზადებული ნიმუშებით არის ცნობილი.

საყურე წარმოადგენს სადა, პირგახსნილი მავთულის რგოლზე მირჩილულ სფეროს. მირჩილვის ადგილას რგოლი საგანგებოდაა გაბრტყელებული საკიდთან უფრო მყარი კავშირის შესაქმნელად. საკიდის მთავარი ელემენტი წარმოადგენს ოქროს სფეროს, რომელიც ფირფიტისგან დამზადებული ცილინდრის საშუალებით მირჩილულია რგოლზე. სფეროს ქვედა მხრიდანაც ცილინდრი აქვს მიმაგრებული, რომელიც თავის მხრივ აკავშირებს მას გავარსის ხუთი პატარა პირამიდისგან შედგენილ ჭვირულ პირამიდასთან. ორივე ცილინდრის ბოლო შემოჩარჩოებულია დაკეჭნილი მავთულით. თვითონ სფერო დამზადებულია ორი ნახევარსფეროს ერთმანეთთან მირჩილვის გზით. სფეროს შუა წელზე, ნახევარსფეროების შეერთების ადგილას, რჩილვის ხაზი დაფარულია მავთულებით შემოჩარჩოებული ვიწრო ფირფიტოვანი სარტყლით, რომელზეც გავარსის 5-5 მარცვლისაგან შედგენილი 18 პირამიდაა დასმული. ორივე ნახევარსფეროს ზედაპირი დაფარულია ზედაზე ხუთ, ქვედაზე - ოთხ რიგად დაწყობილი გავარსის 3-3 მარცვლისგან შედგენილი სამკუთხედებით (გაგოშიძე 1976:28).

წინარეანტიკური ხანის ოქრომჭედლობაში საყურეების სტილისტურ პარალელად შეიძლება დავასახელოთ ილმაზლოში აღმოჩენილი, ოქროსგან დამზადებული წყვილი ე. წ. ასურული ტიპის საყურე (გოგოჭური 2013). მართალია იგი საკიდის ფორმით სრულიად განსხვავებულ ტიპს ქმნის, მაგრამ მსგავსებაა ისეთ პრინციპულ ელემენტში (რგოლზე მირჩილული დახურული ცილინდრი), რომელიც წინარე და ადრეაქემენიდური პერიოდის აღმოსავლურ ოქრომჭედლობას საკმაო დოზით ახასიათებს.

რაც შეეხება საყურის საკიდს - სფეროს, იგი წინარეანტიკური ხანის ნიმუშებში სტილისტურ გამოხმაურებას პოულობს ფარცხანაყანევსა და ცხინვალში აღმოჩენილ მძივებთან. მსგავსი საყურეები ადრეანტიკურ ხანაში გაცილებით მდიდრული ვარიანტებით არის წარმოდგენილი ვანის, საირხის, ითხვისის და ფიჭვნარის ოქრომჭედლობის ნიმუშების სახით (იხ. ჭყონია 1981).

კოლხური კულტურის ფარგლებს გარეთ, აღნიშნული ფორმა ყველაზე მეტ მსგავსებას ძვ. წ. IX-VIII საუკუნეების ურარტულ ძეგლებზე პანთოსში, მარლიკსა და ამლაშის რეგიონში (Maxwell-Hyslop 2007:198) აღმოჩენილ ე. წ. ბროწეულის საკიდებიან საყურეებთან პოულობს. ყაზბეგის საყურეები აღნიშნულ ნიმუშებს იმეორებს საყურის რგოლის, რგოლზე სფეროს დამაგრების, სფეროების ზედა და ქვედა ნაწილში

დატანილი ცილინდრების და გავარსით უხვად ორნამენტირების კუთხით. გამომდინარე იქიდან, რომ მარლიკისა და ირანის ძეგლებთან წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობისთვის დამახასიათებელ სხვა ნივთების მიხედვითაც შეინიშნება კავშირი (იხ. გაგოშიძე 1976), აღნიშნული საყურის შექმნისას აღმოსავლური იმპულსების გავლენა, ვფიქრობთ, უდავოა.

საყურე, ტიპი V. - კალათისმაგვარი ტიპის საყურეები (ტაბ.8). წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის დამახასიათებელი, დახვეწილი გემოვნებითა და ინდივიდუალური იმპროვიზაციის მანერით შემუშავებული სტილითაა შექმნილი ცაიშის სამაროვანზე აღმოჩენილი ორი წყვილი საყურე (სურ. 9), რომელთა პირდაპირი ანალოგები, დღევანდელი მონაცემებით, უცნობია.

ფორმის თვალსაზრისით, ისინი უკავშირდებიან ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, ფინიკიურ და ეტრუსკულ ოქრომჭედლობაში გავრცელებულ საყურეთა ტიპს, რომლებიც „კალათის“ან „ჩანთის“ („baule“) ფორმის საყურეებად არის ცნობილი (Higgins 1980:138-139).

ცაიშში აღმოჩენილი ორივე წყვილი საკიდი ღრუტანიანია, ზედა ნაწილში ღია, ისე, რომ ჩამოკიდებულ პოზიციაში კალათისმაგვარი ფორმის შთაბეჭდილებას ტოვებს.

როგორც დეკორის, ისე დამზადების მანერით, ორივე წყვილი ერთმანეთისგან განსხავებულია და ერთი ტიპის საყურის ორ, სრულიად განსხვავებულ ვარიანტს ქმნის.

საყურე, ტიპი V.1. - კალათისმაგვარი ტიპის ინკრუსტირებული ნიმუშები (ტაბ.8). საყურის ერთი წყვილი წარმოადგენს ოქროს ფირფიტებითა და ფილიგრანით გამოყვანილ ნაკეთობას, რომელსაც წინხედში წვერით ქვემოთ მიმართული სამკუთხედის ფორმა აქვს. საყურის ზედა ნაწილი ინკრუსტირებულია ფირფიტოვან ოქროს თვალბუდეებში ჩასმული მოზრდილი, მრგვალი თვლებით. დეტალები ერთმანეთზე დამაგრებულია რჩილვისა და მექნიკური გადაბმის გზით და მთლიანობაში აწყობილია ისე, რომ საკმაოდ მოცულობითი ნივთის შთაბეჭდილებას ქმნის. საკიდის ფერდებზე დატანილია ფილიგრანის სამი გრეხილისგან შედგენილი ორნამენტი, რომელიც უკანა ნაწილში, შიგნიდან მიმაგრებულ ორ მარყუჟს უერთდება. თვლების უკან, საკიდს კიდევ ერთი მარყუჟი აქვს დატანილი. საყურე კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშებისგან გამოირჩევა იმით, რომ მასზე არ არის გამოყენებული ამ პერიოდის შემკობის ყველაზე საყვარელი ხერხი, ცვარა და

ვხვდებით შედარებით ნაკლებდამახასიათებელ ელემენტებს - ინკრუსტაციას და მოცულობით სისადავეს.

ფორმითა და იდეით აღნიშნული საკიდი იმეორებს ცაიშში, დღვაბაში და თლიაში აღმოჩენილ ვოლუტებიან, ფირფიტოვან საყურე სასაფეთქლეებს (ტაბ. 9, ტიპი VII.3) - აქ, ხვიაზე არსებული გამჭოლი ღარები გრეხილური ფილიგრანის წნული ფორმის სალტეებით არის გადმოცემული, ხოლო სპირალების ნაცვლად გამოყენებულია ბუდეში ჩასმული ოპალის მრგვალი ქვები.

აღნიშნული ნიმუშის ადგილობრივი წარმოების სასარგებლოდ მეტყველებს ფაქტი, რომ საკიდის თვალბუდეებში ჩასმული საინკრუსტაციო ქვები იდენტურია იგივე სამარხეულ კომპლექსში დიდი რაოდენობით აღმოჩენილი მძივსამკაულის დასამზადებლად გამოყენებული მინერალის (ოპალი) ჯიშისა.

სავარაუდოდ, ამ ტიპის საყურის ფრაგმენტია ოქროს თვალბუდეებში ჩასმული წყვილი ქარვის თვალი, რომელიც ფორმით, ზომით და უკანა მხარეს მირჩილული მარყუჟით იმეორებს ზემოთ წარმოდგენილი საყურეების თვალბუდეებს. აღნიშნული დეტალი ცხადყოფს, რომ ამ ტიპის საყურეები არა მხოლოდ ოპალის, არამედ ქარვის და, შესაძლოა, აქ უხვად აღმოჩენილი მსგავსი ფორმის სარდიონის თვლებითაც ფორმდებოდა.

საყურე, ტიპი V.2. - კალათისმაგვარი ტიპის საყურეების გავარსით შემკული, ჭვირული ვარიანტები (ტაბ. 8). განსხვავებით წინა ნიმუშისგან, კოლხური ოქრომჭედლობის ტიპური მანერითაა წარმოდგენილი ცაიშის იგივე სამარხში აღმოჩენილი კალათისებრი ტიპის საყურის მეორე წყვილი. იგი დამზადებულია სამწახნაგა ნახევარსფეროს ფორმის ფირფიტაზე დარჩილული წყვილი გავარსის რიგებით გამოყვანილი, ცენტრალურ ნაწილში მეანდრული, ხოლო კიდეებში რომბის ფორმებით. ცვარათი გამოყვანილ ორნამენტს შორის არე, ცვარათი გამოყვანილი დეკორის დარჩილვის შემდეგ საგანგებოდაა ჩაჭრილი ისე, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს საყურე მხოლოდ ცვარას ბურთულების რიგებითაა აგებული. საყურის კიდეები და წახნაგები სადა, წვრილი მავთულითაა შემოსაზღვრული. საკიდს ერთ კიდესთან დამაგრებუული აქვს წყვილი მარყუჟი, ხოლო საპირისპირო მხარეს - თითო.

აღნიშნული ნიმუშები როგორც დეკორატიული, ისე ტექნოლოგიური მანერით იმეორებს ცხინვალისა და ფარცხანაყანევის განძებში აღმოჩენილ მძივებს. ასევე,

ნოსირის განძში შემავალი რგოლისებურ საყურეს - მხოლოდ, წინა ნიმუშებისგან განსხვავებით, აქ ჭვირულობა არ არის გადმოცემული.

კარგად დათარიღებულ სამარხეულ კომპლექსში მათი აღმოჩენის ფაქტი მნიშვნელოვანია, რამდენადაც იგი არგუმენტირებულად განსაზღვრავს ცხინვალისა და ფარცხანაყანევის სფერული მძივების კულტურულ და ქრონოლოგიურ კუთვნილებას და წარმოაჩნეს წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლების ერთ-ერთი დამახასიათებელ დეტალს - ცვარას ბურთულებით შედგენილი კომპოზიციის გამჭოლ სივრცეში გამოსახვის მანერას. სამკაულის დამზადების მსგავსი ტექნიკა - ჭრით მიღებული ჭვირულობა - გახლავთ შედარებით მარტივი და ადრეული ვარიანტი, მოგვიანებით, კლასიკურ ხანაში გავრცელებული ტექნოლოგიური ხერხის, რომელიც რომაულ სამყაროში ცნობილია ტერმინით Oppus Interrasile (ლორთქიფანიძე 2012:284). კლასიკური ხანის ოქრომჭედლობაში ამ ხერხის შესანიშნავი დემონსტრაციაა ვანის N24 სამარხში აღმოჩენილი თავსამკაულის ცენტრალური დეტალი - ჭვირული „კლიფსი“ (ლორთქიფანიძე 2012:283).

საყურე, ტიპი VI. - რგოლისებური საყურეები (ტაბ.8). ნოსირის განძში აღმოჩენილი რგოლისებური საყურე, ნივთის მთლიანი ზედაპირის ცვარათი შედგენილი გეომეტრიული ორნამენტით (მეანდრით) დაფარვის მდიდრული ტრადიციის კიდევ ერთი მაგალითია. იგი წარმოადგენს ოქროს თხელი ფირფიტისგან დამზადებულ და პირგახსნილ რგოლად მოხრილ, ბოლოებში ფირფიტოვანი დეტალებით დახურულ მილს, ზედ დარჩილული მავთულის პატარა ყულფებით (ამჟამად ბოლოები ნაკლულია). მილის ბოლოები შემოჩარჩოებულია ორი სადა და ორი გრეხილი მავთულისგან შედგენილი წნული სახის სალტით. ასეთივე ზოლები დაუყვება საკიდს გარედან და შიგნიდან, შუაში. საკიდის ტანი შევსებულია ცვარას ორმაგი რიგებით შედგენილი სამმკლავიანი სვასტიკებით გამოყვანილი მეანდრისებური ორნამენტით (გაგოშიძე 1976).

საყურის აღნიშნული ტიპი, სტილისტურ სიახლოვეს აღმოსავლური სამყაროს მხატვრული ხელოსნობის ნაწარმთან ავლენს. მაგ., მსგავსი ტიპის საყურე ცნობილია სომხეთში, ნერქინ-გეტაშენში (სოფელი სევანის ტბის სამხრეთით), შემთხვევითი ნაპოვნი ნიმუშის სახით (Kalantaryan 2007:XC). კოლხეთში აღმოჩენილი საყურისგან განსხვავებით მისი ზედაპირი აღმოსავლური ოქრომჭედლობისთვის

დამახასიათებელი დეტალებით, დარჩილული, ფუყე ნახევარსფეროებით არის შემკული.

ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან რგოლისებური ტიპის საყურეებს სხვადასხვა ვარიანტებით (ვგულისხმობთ ფუყე, რგოლისებურად მოხრილ მილს) ვხვდებით სირიული, ფინიკიური და ურატული ოქრომჭედლობის ძეგლებზე. ოდნავ მოგვიანებით, ისინი ვრცელდება მიდიაში ბაბილონსა და ლიდიაში. აქემენიდურ პერიოდში, მსგავსი ტიპის საყურეებს დამატებითი დეტალები უჩნდებათ რგოლის შიდა სივრცეში (შდრ. ახალგორის განძის საყურე).

საყურე, ტიპი VII. - სპირალური საყურე სასაფეთქლეები (ტაბ.9). სპირალური ფორმის საყურე-სასაფეთქლეები გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, ამიერკავკასიაში აღმოჩენილი სამკაულის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეა. საქართველოს ტერიტორიაზე ისინი გვხვდება სხვადასხვა ვარიანტით და მასალით - ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო და სხვ.

ზოგიერთ საკიდზე შემორჩენილი ნიმუშებიდან დასტურდება, რომ ისინი წვრილ მარყუჟზე იყვნენ ჩამოკიდებული, რომელზეც მაგრდებოდა სასაფეთქლე ან საყურე რგოლი.

საქართველოში სპირალური ხვიების დამზადების ტრადიციას ადრებრინჯაოს ხანის ოქრომჭედლობამდე მივყავართ. ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარის ძვირფასი ლითონის ნაწარმში ისინი სხვადასხვა ვარიანტებით არის წარმოდგენილი - ერთნახევარწრიანი, ორნახევარწრიანი და ოქროს ფურცლისგან დამზადებული, ვოლუტებიანი ნიმუშები.

საყურე, ტიპი VII.1. ერთნახევარწრიანი, ხვიები (ტაბ.9). წინარეანტიკური ხანის კოლხურ ოქრმოჭედლობაში ისინი ორი ვარიანტით არიან წარმოდგენილნი: **7.1.a** ერთნახევარწრიანი, ფირფიტოვანი ღეროებით, მავთულოვანი შუა ნაწილით **7.1.b** ერთნახევარწრიანი, შესქელებული ბოლოებით.

კოლხური კულტურის ფარგლებში მათი ვერცხლის, ოქროსა და ელექტრუმის ვარიანტები ცნობილია: თლიას (Техов 1980, 1981), წითელი შუქურას (Трапш 1969:110, ტ. IX), ბრილისა და ზემო რუთხას სამარხებიდან (ფანცხავა... 2001:39-490), ჭუბურხინჯის, ცხინვალის და ყაზბეგის განძებიდან. მათი გავრცელების ძირითადი არეალი კოლხეთის შიდა და მთიანი რეგიონებია.

დასავლეთ ამიერკავკასიაში 1.5-წრიან სასაფეთქლე ხვიებს არსებობის დიდი ქრონოლოგიური ჩარჩო აქვთ - მათ უადრესი პარალელები აფხაზეთის ძვ. წ. III ათასწლეულის მიწურულის დოლმენებში ეძებნებათ (Куфтин 1949:268-271, ტაბ. XXX; Цвинария 1990:78; ჯიბლაძე 2005:110-111). ძვირფასი ლითონისგან დამზადებული უადრესი ნიმუშები წარმოდგენილია საჩხერის, თრიალეთის (N4 ყორღანი), სამშვილდეს და სხვა ძვ. წ. III ათასწლეულის მიწურულის ძეგლებზე (გოგაძე 1972:20; Куфтин1941:101-102).

დასავლურ კულტურებში (ევროპა) მრგვალი და ოვალური ვერცხლის ხვიები ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულიდან (მორავია, მიკენის სამარხები) ადრერკინის ხანამდეა გავრცელებული (ჯაფარიძე 1961:177).

კოლხეთის დაბლობში, ბრინჯაოსა და ვერცხლისგან დამზადენული ერთნახევარწრიანი სასაფეთქლე ხვიები ჯერ კიდევ პროტოკოლხური პერიოდის ნამოსახლარებზე გვხვდება: ფიჩორის ცენტრალური ბორცვის VIII კულტურული ფენა, ანაკლია II (ჯიბლაძე 2005: ტაბ. XLIII31; CVIII3). მართალია ბრინჯაოს ხანის კოლხურ ძეგლებზე ისინი მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი, მაგრამ ამის მიზეზი უფრო ამ პერიოდის სამარხეული კომპლექსების არარსებობაა (ჯიბლაძე 2005:110).

მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ 1.5-წრიული ხვია წინა აზიიდან აღმოსავლეთ ევროპაში კავკასიის გზით ვრცელდება (Городцов 1916:160; ჯაფარიძე 1961:177). ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს წინა აზიის ტერიტორიაზე ამგვარი ხვიების უძველესი პროტოტიპების არსებობა (ჯიბლაძე 2005:110-111).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის ხვიები ნაკლებად დამახასიათებელი სახეა სომხეთისა და აზერბაიჯანის ძეგლებისთვის (ჯაფარიძე 2009:78). მათი ბრინჯაოს ვარიანტები ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრიდან გარცელებულია სამხრეთ (აწყური, ნული, ქვასათალი, წაღვლი, სტირფაზი, ზველის ყორღანები და სხვა) და ჩრდილოეთ კავკასიის ძეგლებზე. დიდი რაოდენობით ვხვდებით მათ დაღესტანში, ჩეჩენ-ინგუშეთსა და სამხრეთ ოსეთში (Марковин1960: 97).

საყურე ტიპი VII.2. - ორნახევარწრიანი ხვიები (ტაბ.9). ორნახევარწრიანი ხვიები წინარეანტიკური ხანის კოლხურ ოქრომჭედლობაში ორი ვარიანტით არის წარმოდგენილი: **VII.2.**a. ფირფიტოვანი ბოლოებით და შუა ნაწილით **VII.2**.b შესქელებული ბოლოებით და შუა ნაწილით.

მსგავსი სახის ოქროსა და ვერცხლის ნიმუშები აღმოჩენილია ძვ. წ. VIII-VI საუკუნეებით დათარიღებულ ფარცხანაყანევის, ჭუბურხინჯის, ბომბორას, ცხინვალისა და ყაზბეგის განძებში; თლიას, ბრილის, ნარეკვავის და ზემო რუთხას, სამაროვნებზე. სამარხეულ კომპლექსებში ისინი, ძირითადად, მიცვალებულის თავის არეში დასტურდება და წარმოდგენილია წყვილად. ვხვდებით ოქროს, ელექტრუმის, ვერცხლის და ბრინჯაოსგან დამზადებულ ნიმუშებს. მათი ბრინჯაოს ვარიანტები დიდი რაოდენობით არის ცნობილი ჩრდილო კავკასიიდანაც (Куфтин 1949: 172-173).

საყურე, ტიპი VII.3. - ვოლუტებიანი სასაფეთქლე ხვიები (ტაბ.9). საყურის/სასაფეთქლე ხვიის გამორჩეულ სახეს ქმნის ოქროს, ელექტრუმის ან ვერცხლისგან დამზადებული, ვოლუტებით დაბოლოებული სამკაული თლიას (Техов 1981, 1985), ცაიშისა და დღვაბას სამაროვნებიდან (პაპუაშვილი... 2015). ისინი დამზადებულია ზოგ ადგილას ქედიან ფირფიტებად დაბრტყელებული, სამად გადახვეული ღეროსგან, რომელიც იდეაში სამ ნაწილად დაყოფილ ნახევარსფეროს ქმნის. საკიდი ფასადის მხრიდან, ღეროს ბოლოებში, ერთმანეთის საპირისპიროდ ჩახვეული მავთულებისგან გამოყვანილი ვოლუტებით არის გაფორმებული.

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული ტიპის ხვიები დამზადების ტექნიკით, ფორმითა და სტილით, მეტ სიახლოვეს ევროპული (განსაკუთრებით მიკენური) ოქრომჭედლობის ნიმუშებთან პოულობს, მათი გავრცელება კოლხეთში, აქედან შემომავალ კულტურულ იმპულსებს უკავშირდება (ლორთქიფანიძე 2012).

ამიერკავკასიაში მსგავსი ხვიების ბრინჯაოს ვარიანტები ჯერ კიდევ ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანების ძეგლებზეა აღმოჩენილი - ნული, ქვასათალი, (ჯაფარიძე 2009, სურ. 13,3; 17,8). ისინი ცნობილია ინგუშეთში, ეგიკალეს სამაროვნის N2 აკლდამიდან - აქაც იგი მიცვალებულის თავის ქალასთან იქნა აღმოჩენილი (Чайлд 1956:246, სურ. XXVII). მათი მინიატურული მოდელები მრავლად არის გავრცელებული გვიანბრინჯაოს ხანის ბრილის, შილდას და სხვ., ასევე ჩრდილოეთ კავკასიის ძეგლებზე.

თლიას სამაროვნის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის, სხვადასხვა ქრონოლოგიური ჯგუფის სამარხებში ამ ტიპის ოქროსა და ვერცხლის 20-ზე მეტი ხვიაა აღმოჩენილი - მათგან უადრესია ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით დათარიღებულ სამარხებში (N108ა; N23) აღმოჩენილი ელექტრუმის ნიმუშები.

აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფის სამკაული, ძირითადად, ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსა და ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედისთვისაა დამახასიათებელი. ძვ. წ. VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ისინი უკვე აღარ გვხვდება.

ვოლუტებიანი სასაფეთქლე ხვიის ფორმა და იდეა მაღალი ოსტატური იმპროვიზაციის მანერით არის გადატანილი ძვ. წ. VIII საუკუნის მეორე ნახევრითა და VII საუკუნით დათარიღებულ ცაიშის სამარხეულ კომპლექსში აღმოჩენილ, ე. წ. კალათისებური ტიპის ინკრუსტირებულ საყურეებში (ტაბ. 8, ტიპი V.1)- ისინი ვოლუტებიანი ხვიის მსგავსად, სამ ნაწილად დაყოფილ ღრუტანიან სივრცეს ქმნიან, მათზე ფილიგრანით გამოყვანილი ვოლუტების ადგილი ინკრუსტირებული, წრიული ქვებით არის გადმოცემული, ხოლო ღარები გრეხილური ფილიგრანის წნული ტიხრებით.

ამ ორი, ფუნქციურად და ქრონოლოგიურად განსხვავებული ნიმუშის ვიზუალურ მსგავსებაში კიდევ ერთხელ კარგად იგრძნობა როგორც კოლხური ოქრომჭედლობის განვითარების სტილისტურ-იდეოლოგიური ერთობა, ისე ოქრომჭედლობის განვითარების ღრმა, კონსერვატიული ტრადიციები.

თანადროული პერიოდის ოქრომჭედლობაში ვოლუტებით გაფორმებული ნივთების სტილისტურ პარალელებს ვხვდებით ილმაზლოს N7 (გოგოჭური 2013) და ლორი ბერდის N63-II სამარხში (Kalantaryan 2007) - აქ აღმოჩენილია ოქროს ბეჭდებიც გაფორმებულია ურთიერთსაპირისპირო მხარეს ჩახვეული ვოლუტებით.

&3. 2. საკიდები

აღნიშნულ ჯგუფში საკიდებად განვიხილავთ ნივთებს, რომლებზეც არანაირი არგუმენტი გვაქვს, რომ ისინი საყურის ან სასაფეთქლეების საკიდებად იყო გამოყენებული, თუმცა არ გამოვრიცხავთ მათი ამ ფუნქციით გამოყენებასაც.

საკიდი, ტიპი I. - რომბის ფორმის (ტაბ.10). აღნიშნული ტიპის ზოგადი სახეა გრეხილური ფილიგრანის წნულ ჩარჩოში ჩასმული ცვარათი გამოყვანილი სვასტიკა. კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშებში ისინი ორი ვარიანტით არის წარმოდგენილი და ორივე ძვ. წ. VIII ს-ის მეორე - VII საუკუნის პირველი ნახევრით განსაზღვრულ კომპლექსში დასტურდება.

საკიდი, ტიპი I.1. რომბის ფორმის (ტაბ.10). დამზადებულია შემდეგნაირად: რომბის ფორმის ფირფიტა ორივე მხრიდან შემოჩარჩოებულია გრეხილურის ორმაგი ზოლით გამოყვანილი ფილიგრანის წნულით, რომელიც ერთ-ერთ კუთხეში ქმნის საკიდ ყულფს. ჩარჩოს შიდა მხრიდან, ფრაგმენტულად (ცალ მხარეს ორ გვერდზე და მესამე გვერდის ნახევარზეა შემოყოლებული, მეორე მხარეს კი მხოლოდ ერთ გვერდზე და მეორე გვერდის ნახევარზე) დაყოლებული აქვს გავარსის მარცვლების ერთი რიგი. შიდა არეში გამოსახულია ცვარას ორი რიგით გამოყვანილი, ორად გადაკეცილი მკლავებით წარმოდგენილი სვასტიკა (გაგოშიძე 1976:17).

საკიდი, ტიპი I.2. რომბის ფორმის, ჭვირული (ტაბ.10). რომბის ფორმის საკიდის ოდნავ განსხვავებული ვარიანტია ცაიშის სამაროვნის N1-სამარხ-ორმოში აღმოჩენილი ნიმუში. დამზადებულია შემდეგნაირად: რომბის ფორმის ჩარჩოში მოთავსებული სვასტიკის ფორმაზე გამოჭრილი ჭვირული ფირფიტა ორივე მხრიდან გაფორმებულია გრეხილური ფილიგრანის წნული ჩარჩოთი და მასში ჩასმული ცვარას ბურთულების ორი რიგით შედგენილი ოთხმკლავიანი სვასტიკით. ყუნწი გამოყვანილია ერთ-ერთ კუთხეზე ვიწრო, ბრტყელი ღეროს მირჩილვით.

რომბის ფორმის საკიდებს პირდაპირი პარალელები არ ეძებნება. აღნიშნული ფორმა და საკიდებზე მსგავსი სტილით გამოსახული სვასტიკა კლასიკური პერიოდის ოქრომჭედლობაშიც განაგრძობს არსებობას (იხ. ჭყონია 1981:36, სურ. 20).

საკიდი, ტიპი II. - იარაღის ფორმის (ტაბ.10). იარაღს საკულტო რიტუალში ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეკავა. კავკასიის რეგიონში მისი საკრალიზაცია არაერთი ნიშნით კარგადაა გამოხატული, შესაბამისად, სრულიად გასაგებია მისი განსაკუთრებული ადგილი უძველესი კოლხური ოქრომჭედლობის სიმბოლიკაში. დღევანდელი მონაცემებით იარაღის ფორმის ოქროს ხუთი საკიდია აღმოჩენილია ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედით დათარიღებულ ცაიშის N2 სამარხ-ორმოში (პაპუაშვილი... 2015). მათგან ორი ორმაგი ცულის, ხოლო სამი სატევრის ფორმისაა.

საკიდი, ტიპი II.1. - ორმაგი ცულის ფორმის (ტაბ.10). დამზადებულია ორ ნაწილად ტარიანი ცულის ფორმაზე გამოჭრილი და გამოტვიფრული ოქროს ფირფიტების ერთმანეთზე მირჩილვის გზით. ფირფიტებს მირჩილვამდე ჰქონდა მოდელირებული ტარისა და ცულის შეერთების ადგილი და სამანჭვლე. საკიდი

შიგნით გარკვეული მასით არის ამოვსებული. ზედა ნაწილში ღიაა და დაბოლოებულია ფილიგრანის სადა რგოლით.

ცულის ფორმის სამკაული (ძირითადად საკიდები და საკინძები) კავკასიის რეგიონში ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ფორმაა ჯერ კიდევ შუა ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული - ამ მხრივ, აღსანიშნავია ჩოლოქისპირა ნამოსახლარის IV კულტურულ ფენაში აღმოჩენილი ორმაგი ცულის ფორმის წყვილი გულსაკინძის ჩამოსასხმელი ყალიბი. მათი ანალოგიური ბრინჯაოს საკინძი გამოვლენილია მახვილაურის ქვაყრილიან სამარხში (ჯიბლაძე 2005:108, ტაბ. CVIII1).

ოქროში გამოსახული ორმაგი ცულის ფორმები შორეული გამოხმაურებაა მიკენურ ოქრომჭედლობაში აქტიურად გამოყენებული მოტივის. მისი პოპულარობა მოგვიანებით, არქაული პერიოდის ეგეოსურ სამყაროშიც კარგადაა გამოხატული სამლოცველოებზე აღმოჩენილი ბრინჯაოსა და ძვირფასი ლითონისგან დამზადებული ამ ფორმის საკიდებით - მაგ., ძვ. წ. VII საუკუნით დათარიღებული ორმაგი ცულის ფორმის ძირფასი ლითონისგან დამზადებული ნიმუშები აღმოჩენილია სპარტაში, არტემის ორთიას სამლოცველოზე (Deppert Lippitz 1985:84); მათი ბრინჯაოს ვარიანტები გავრცელეული ვოტივური სამკაულია არქაული საბერძნეთის მთელ რიგ საკულტო ძეგლებზე (Voyatzis 1990; Flonglfeld 2009).

საკიდი, ტიპი II.2. სატევრის ფორმის (ტაბ.10), დამზადებულია ორ ნაწილად სატევრის ფორმაზე გამოჭრილი და გამოტვიფრული ოქროს ფირფიტების ერთმანეთზე მირჩილვის გზით. ფირფიტებს, მირჩილვამდე ჰქონდა მოდელირებული ტარისა და პირის შეერთების ადგილი, სამანჭვლე, და ერთ ნიმუშზე წარმოდგენილი ტვიფრვით მიღებული რელიეფური ორნამენტი. საკიდი შიგნით გარკვეული მასით არის ამოვსებული. ზედა ნაწილში ღიაა და დაბოლოებულია ფილიგრანის სადა მავთულით.

სატევრის ფორმის საკიდებს პარალელები გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ამიერკავკასიის ძეგლებზე მრავლად მოეპოვება - განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სატევრისებური ფორმის საკიდები, ცხოველის თავის სკულპტურული გამოსახულებით, რომელიც კოლხური ბრინჯაოს ერთ-ერთ განმსაზღვრელ ჯგუფს ქმნის და კარგად წარმოაჩენს ამ ტიპის ნაწარმის საკმაოდ ღრმა იდეოლოგიურ ფესვებს (Kobalia 2012, ლორთქიფანიძე 2012).

საკიდი, ტიპი III. მტევნის ფორმის (ტაბ.10). აღნიშნული ტიპის საკიდი წარმოადგენს წრიული მოყვანილობის ყუნწზე მირჩილულ ბრტყელ ნაკვთზე დამაგრებულ მოოქრული ვერცხლის პირამიდისებურად დალაგებულ ხუთ ფუყე ბურთულას. აღმოჩენილია ერგეტის III სამაროვნის N1 სამარხ-ორმოში. სავარაუდოდ, წარმოადგენს მტევნისებურსაკიდიანი საყურეების მიბაძვით შექნილ ვერსიას.

სამკაულის დეტალებად გამოყენებული ოქროს ფურცლის ფუყე ბურთულებით შედგენილი მტევნები და დეტალები, ზოგადად, უფრო ანტიკური ხანის ოქრომჭედლობისთვის დამახასიათებელი სახეა.

საკიდი, ტიპი IV. საკიდი, გომბეშოს სკულპტურული გამოსახულებით. ვერცხლისგან დამზადებული გომბეშოს/ბაყაყის სკულპტურული გამოსახულება საკიდის ერთ-ერთ საინტერესო და გამორჩეულ ფორმას ქმნის. ნივთი დამზადებულია ჩამოსხმის გზით, მასზე დატანილი ორნამენტული დეტალები, მეორადი დამუშავებით არის ფორმირებული. საკიდის ყუნწი მიმაგრებულია გომბეშოს წინა კიდურებს შორის, ქვედა მხრიდან და წარმოადგენს გრეხილური, მსხვილი მავთულისგან გამოყვანილ ყულფს. ოთხივე კიდურს სიგრძეზე გაუყვება სამკუთხა ღარი, რომელიც, სავარაუდოდ, ფერადი მასით იყო ინკრუსტირებული. გომბეშოს ზურგი დაფარულია წნული/წიწვოვანი სახის ორნამენტით. სახე და ანატომიური ნაკვთები მოდელირებული არ არის. საკიდზე დატანილი ორნამენტი, თვითონ საკიდის ფორმასთან ერთად, შესანიშნავად გადმოსცემს მის კულტურულ და რელიგიურ ატრიბუციას, რომელიც ყველა ნიშნით, კოლხური კულტურის სიმბოლურ კონცეფციაში ჯდება.

საკიდი აღმოჩენილია ბრილის 1939 წელს შესწავლილ N33 ქვაყუთში. სამარხეული კონტექსტიდან გამომდინარე მისი თარიღი არაუგვიანეს ძვ. წ. VII საუკუნეა.

ამიერკავკასიაში გომბეშოს ბრინჯაოს მცირე ზომის სკულპტურული გამოსახულებები ჯერ კიდევ გვიანბრინჯაოს ხანის კახეთის საკულტო ძეგლებზეა წარმოდგენილი. წინარეანტიკური ხანის კოლხურ კულტურაში გომბეშოს ფიგურებს ვხვდებით როგორც მცირე პლასტიკის (ცაიშის, იაშთხვას სამაროვანი სამაროვანი) ისე ორნამენტის სახით (ცაიშის სატევრისებრი ფორმის საკიდი). მომდევნო, აქემენიდური პერიოდის ოქრომჭედლობის ნიმუშებში ისინი წარმოდგენილია ახალგორის განძში შემავალი ყელსაბამის ასხმაში.

საკიდი, ტიპი V. ფიგურული, კოშკურის ფორმის (ტაბ.10). წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის ყველაზე ღრმა შინაარსის მატარებელია ხაიშის განძში აღმოჩენილი მრავალფიგურული სიუჟეტური კომპოზიციის ამსახველი სამგანზომილებიანი სამკაული - კოშკურის ფორმის საკიდი (საკიდი სხვადასხვა დროს იყო ალ. ჯავახიშვილის (ჯავახიშვილი 1958:149-157), გ. ყიფიანის (ყიფიანი 1998:15-20), ნ. ლორთქიფანიძის (ლორთქიფანიძე 2012:206) შესწავლის საგანი).

საკიდზე წარმოდგენილი ნაგებობა ოთხწახნაგა ფორმის კოშკურაა. მისი ქვედა ნაწილი ზემოთკენ თანდათან გაფართოებულ სვეტს წარმოადგენს, რომლის ჰორიზონტალურად დაღარული დეკორი ხის მორების პარალელურ წყობას, ხოლო ზურგსა და მარცხენა კედელზე ვერტიკალურად ჩამოსული წყვილი, მოკლე ღარი, სარკმლების იმიტაციას ქმნის. კოშკურის დავიწროვებული ძირი დახურულია ოდნავ შედრეკილი ფირფიტით, რომლის ნაპირები ისეა დაზიანებული, რომ გაურკვეველია, როგორ იყო დაბოლოებული. კოშკურას თავზე ადგას გაცილებით ფართო, სხვენის მსგავსი კვადრატული ნაგებობა დიდი, ორფერდა სახურავით. სავარაუდოდ, კრამიტის იმიტაციას ქმნის სახურავის ფერდებზე დატანილი ფილიგრანის ტიხრები, რომლებიც ფართობს თანაზომიერ, მოგრძო ოთხკუთხედებად ანაწევრებს (ჯავახიშვილი 1958:149-157).

სახურავის ოთხივე კუთხეზე და კეხის ორივე ბოლოსთან, მოპირდაპირე ფერდებზე, დასმულია ტვიფრით მოჭრილი, დაშტამპული ფირფიტის ორი ნახევრისგან შედგენილი მტრედის გამოსახულებები. მტრედის ნაკვთები - თვალები, ფრთები, კუდი გადმოცემულია წვრილი, დარჩილული მავთულებით, რომელიც მუქი იისფერი საინკრუსტაციო მასით იყო ამოვსებული. კისერზე შემოვლებული წვრილი მავთულით გამოყოფილია თავი, ნისკარტისა და თვალების გარდა, რომელიც მთლიანად შევსებულია ცვარას წვრილი ბურთულებით.

ნაგებობის ფრონტონის წინ, სახურავის გარეთ გამოწეულ პატარა ბაქანზე, გვერდიგვერდ, დაყენებულია ადამიანის ორი ფიგურა. ისინი წარმოადგენენ შტამპით ტლანქად მოჭრილ ფირფიტებს, მსხვილი, მრგვალი თავით და რელიეფურად, სქემატურად გადმოცემული ნაკვთებით. ორი მამაკაციდან ერთს ხელში კვერთხი უჭირავს, მეორეს კი მავთულების წნულებით წარმოდგენილი ორმაგი სალამურისმაგვარი ინსტრუმენტი (ავლოსი).

ზედა შენობის გვერდითა კედლებზე, პატარა რგოლებით ჩამოკიდებულია 5-5 წვრილი მავთულის რგოლებისგან შედგენილი წნული ძეწკვები, დაბოლოებული მავთულზე აცმული სარდიონის ორ-ორი პატარა, არაწესიერი სფერული მძივითა და მათ ქვეშ ჩამოკიდებული სხვადასხვა ტიპის საკიდებით (ჯავახიშვილი 1958:149-157).

ხაიშის საკიდის წინარეანტიკური ხანის ფინალური ეტაპით განსაზღვრის საფუძველს იძლევა შემდეგი ნიშნები: 1) საკიდზე გამოსახული ფრინველის ფიგურების გამოსახვის მანერა უფრო არქაული იერისაა, ვიდრე კლასიკური ხანის გაცილებით მდიდრულად დეკორირებული ნიმუშები (ლორთქიფანიძე 2012:208); 2) წინარეანტიკური ხანის ოქრომჭედლობისთვის დამახასიათებელი დეკორატიული დეტალია ფრინველების ნაკვთების გადმოსაცემად დარჩილული, ფერადი საიკრუსტაციო მასით ამოვსებული სადა მავთულის ბუდეები (შდრ. ცაიშის სამკუთხა საკიდები, ურბნისის საკინძი და სხვ.); 3) აღნიშნულ საკიდზე წარმოდგენილი ფრინველის და ანთროპომორფული სახეები ახლო სტილისტურ მსგავსებებს ავლენს ყაზბეგის განძში შემავალი ფრინველის ფორმის მძივსაკიდებთან (წითლანაძე 2017:79) და მხედრის ფორმის დასაკერებელ ფიტფიტებთან (ლორთქიფანიძე 2012); 4) კოშკურა ნაგებობის აღნიშნული ტიპი, რომელიც კარგად შეესაბამება კოლხეთის ძველ ნამოსახლარებზე გამოვლენილ ძელურ ნაგებობებს (ლორთქიფანიძე 2002:167; ყიფიანი 1998:15-20), ახლო სტილისტურ პარალელებს პოულობს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ბრინჯაოს ნაწარმში წარმოდგენილ სახლის მოდელებთან. მაგ., ასეთია ცაიშის სამაროვანზე აღმოჩენილი ძვ. წ. VIII საუკუნის მეორე ნახევრითა და VII საუკუნის დასაწყისით დათარიღებული ბრინჯაოს მინიატურული ზომის ორფერდა სახურავიანი, სარკმლებიანი კოშკურა ნაგებობის მოდელი (პაპუაშვილი... 2015:24), რომელიც ნაგებობის ფორმითა და კიდეებზე დასმული ჩიტებთ (ცუდად არის დაცული) პრინციპულ სიახლოვეს ავლენს ხაიშის საკიდზე წარმოდგენილ სახლის მოდელთან. აღნიშნული ნაგებობის იდენტური ტიპია წარმოდგენილი ყობანში, ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულითა და I ათასწლეულის პირველი მეოთხედით დათარიღებულ ბრინჯაოს საკინძეებზე. მათგან აღსანიშნავია საკინძი, კოშკურა სახლის მოდელით და მის თავზე გამოსახული მხედარით (Уварова 1900: Табл. XL.2; Ковалевская 1977:62; Марковин1986: Рис. 14.19; Козенкова 1996: Рис. 20.17; Брилёва 2012:341); ანალოგიური ტიპის კოშკურა ნაგებობიანი ბრინჯაოს საკინძეები ცნობილია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ზემო ყობანის ძეგლებიდან (Мошинский 2010:47,

N35), აღმოსავლეთ საქართველოში - გრემისხევიდან და სამთავრული კულტურის გავრცელების სხვადასხვა ზონაში (წითლანაძე 2017:35), რომლის ქრონოლოგიური ჩარჩო ძვ. წ. XI-VI საუკუნეებს მოიცავს (კალანდაძე 1982).

რაც შეეხება ხაიშის განძზე წარმოდგენილი „მუსიკოსის“ ინსტრუმენტს - სალამურისმაგვარ ნივთს, ეს გახლავთ ბერძნულ სამყაროში ფართოდ გავრცელებული ჩასაბერი მუსიკალური საკრავი - აულო, რომელიც აქ ჯერ კიდევ ნეოლითის ეპოქიდანაა ცნობილი (თესალია). აღნიშნული ინსტრუმენტის პოპულარობა ბერძნულ სამყაროში კარგადაა ასახულია ძვ. წ. VII საუკუნის შავ და წითელფიგურული ატიკური კერამიკის მხატვრობაში (Cartwright 2012).

&3.3 მძივები

მძივები ძვირფასი ლითონის სამკაულის ერთ-ერთი უძველესი და პოპულარული სახეა. მათ ვხვდებით ჯერ კიდევ ძვ. წ. IV ათასწლეულის მსოფლიოს უძველეს ოქრომჭედლობის ნიმუშებში (ვარნა, ბულგარეთი). ძვ. წ. III ათასწლეულიდან ვრცელდება მესოპოტამიაში, ეგვიპტეში, მცირე აზიაში, საბერძნეთის სხვადასხვა რეგიონებში - კიკლადებთან, ელადაში (Higgins. 1980:76) და მათ შორის, კავკასიის რეგიონშიც.

უძველესი კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშები მძივების საკმაოდ მრავალფეროვან კოლექციას შეიცავს, რომელთა უმეტესობა, თავისი სპეციფიკური ნიშნებით, ქრონოლოგიურ და კულტურულ მარკერებადაც არის მიჩნეული (ქობალია 2019).

მძივი, ტიპი I.1. - ფილიგრანის ჭვირული მძივები (ტაბ.11). ფილიგრანის ჭვირული მძივები სამკაულის ერთ-ერთ იმ ჯგუფს ქმნის, რომელიც უძველესი კოლხური ოქრომჭედლობის იდენტობას ყველაზე მეტად წარმოაჩენს. იგი წარმოდგენილია ოქროს, ელექტრუმისა და ვერცხლისგან დამზადებული სადა, გრეხილი და წნული მავთულებისგან შედგენილი სფერული და ბიკონუსური ფორმის სხვადასხვაგვარად აგებული ვარიანტებით. დღევანდელი მონაცემებით, ამ ტიპის მძივები აღმოჩენილია: ცაიშის N1 (პაპუაშვილი... 2015:16. სურ.74[12.13]) და N2 სამარხ-ორმოებში (პაპუაშვილი... 2015:20. სურ.85[7,8,9]), ნოსირის (გაგოშიძე 1976:12-18), ცხინვალის (გაგოშიძე 1976:22-25) და ფარცხანაყანევის (გაგოშიძე 1976:20-22) განძებში, ნარეკვავის (აფაქიძე... 1998:110-112) სამაროვანზე, ურბნისის მე-16 უბანზე (გაგოშიძე 1976:26-27, სამარხის ნაშთი) და დიღომში (Абрамишвили 1971).

მძივი, ტიპი I.1.a- ფილიგრანის სფერული, ჰორიზონტალური ღეროებით შედგენილი (ტაბ.11). სფერული მძივების ეს ჯგუფის ამ ტიპის ყველაზე მარტივი ვარიანტია. იგი წარმოადგენს ცილინდრულ მილაკზე ჰორიზონტალურად დარჩილულ მავთულებს, რომლებიც მთლიანობაში ჭვირულ სფეროს ქმნის. ზოგ შემთხვევაში, მძივებს ცილინდრული მილაკი არ აქვს დატანილი და ღეროები მხოლოდ „საყელო" რგოლებზეა დამაგრებული. ერთ შემთხვევაში (ნარეკვავის ერთ-ერთ მძივზე), სფერო დაგრეხილი მავთულებისგან არის შედგენილი, დანარჩენ შემთხვევაში კი სადა მავთულებია გამოყენებული - მათ ვხვდებით ცაიშის N2 და N1 სამარხ-ორმოებში (პაპუაშვილი... 2015), ნოსირში (გაგოშიძე 1976:16-17, ტაბ.II), დიღომსა (GNM N3-976:3) და ნარეკვავში (აფაქიძე...1998:110).

ეს ტიპი ოთხი ნიმუშით არის წარმოდგენილი სომხეთში ლორი ბერდის ძვ. წ. IX-VIII საუკუნეებით დათარიღებულ N29 და ძვ. წ. VII საუკუნის N64-II სამარხებში (Kalantaryan 2007: tab. LVII, LXXXVII).

კოლხური კულტურის ფარგლებს გარეთ ამ ტიპის მძივების შორეული პარალელები ცნობილია ტირეატესიდან, ადრეელადური პერიოდის ყელსაბამზე (Higgins 1980: Pl.1), თუმცა დროის საკმაოდ დიდი ინტერვალის გამო კოლხეთის მძვების მათთან კავშირი ალბათ შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ წინა ეპოქის, თრიალეთური ოქრომჭედლობა მსგავსი ფორმის მძივებს სრულიად არ იცნობს.

მძივი, ტიპი I.1.b - ფილიგრანის სფერული, ოვალურად გადაღუნული ღეროებით შედგენილი (ტაბ.11). აღნიშნული ტიპი დამზადებულია ოთხ-ოთხი ოვალურიად გადაღუნული სადა მავთულის „საყელო" რგოლებზე და შუა ნაწილში ერთმანეთზე მირჩილვის გზით. ნარეკვავის სამაროვანზე ამ მძივების ოთხი (აფაქიძე... 1998:110-111), ხოლო ნოსირის განძში - ორი ნიმუშია აღმოჩენილი (გაგოშიძე 1976:16). ამ ძეგლებზე აღმოჩენილ მძივებს შორის განსხვავება მხოლოდ ოქროს ხარისხშია - ნარეკვავის მძივები შედარებით მაღალი ხარისხის ოქროსგანაა ნაკეთები. იდენტურია როგორც მათი ზომები (თითქმის ყველა ნიმუშის დიამეტრია 5 მმ.), ისე აგების პრინციპი.

ამ ტიპის მძივების ერთ-ერთი შორეული ანალოგი ცნობილია ეგვიპტეში, რამზეს II ის შთამომავლის, დედოფალ ტაუსერტის ძვ. წ. 1200-1186 წწ-ით დათარიღებულ მდიდრული ყელსაბამიდან (Andrews… 1991:127, fig.110; Capel…1996:86-87, no26).

მათი საკმაოდ მრავალფეროვანი კოლექციაა დაცულია სომხეთში: ძვ. წ. VII საუკუნის ლორი ბერდის N62 (Kalantaryan 2007: tab.LXXVII), N56 (Kalantaryan 2007: tab.LXXVIII), N63 (Kalantaryan 2007: tab.LXXXIII) და N64-II (Kalantaryan 2007: tab. LXXXVII) სამარხებში.

მძივი, ტიპი I.1.c. - ფილიგრანის სფერული, ირიბად მიმართული ღეროებით შედგენილი (ტაბ.11). მსგავსი ტიპი მხოლოდ ერთი ნიმუშით არის წარმოდგენილი ცხინვალის განძიდან - მისი ღეროები ღერძის გარშემო, „საყელოზე“ ირიბი მიმართულებით არის დამაგრებული ისე, რომ ბორჯღალის იმიტაციას ქმნის.

მძივი, ტიპი I.2. - ფილიგრანის ბიკონუსური მძივები სარტყლით (ტაბ.11). ამგვარი მძივები წარმოადგენს სადა, გრეხილური ან წნული მავთულებისგან დამზადებულ ბიკონუსური მოყვანილობის აჟურულ მძივებს. ისინი შედგენილია ნახევარსფეროს ღეროების ერთი ბოლოთი „საყელოზე“, მეორეთი კი - სარტყელზე მირჩილვის გზით. ზოგ შემთხვევაში სარტყელზე მირჩილული ღეროების განლაგება არ ემთხვევა მეორე ნახევარსფეროზე წარმოდგენილ ღეროებს (მაგ. ნოსირის ნიმუში).

ამ ტიპის ყველა მძივი, ფილიგრანის მძივების სხვა ნიმუშებისგან განსხვავებით, ღერძიანია. ღერძი დამზადებულია მილად მოხრილი ბრტყელი ფირფიტისგან, რომლის დაბრტყელებული ბოლოები დაფარულია სადა მავთულის წრიული „საყელოებით“. შუა ნაწილში დატანილი სარტყელი, ზოგ შემთხვევაში, დაბრტყელებულ ღეროს წარმოადგენს, ზოგჯერ კი, ფილიგრანის თითო, ან წყვილი მრგვალგანივკვეთიანი მავთულით არის წარმოდგენილი.

მსგავსი მძივების სადაღეროიანი ნიმუშები გვხვდება ცაიშის N1 სამარხ-ორმოში (პაპუაშვილი... 2015) და ნოსირის განძში (გაგოშიძე 1976:16-17); გრეხილღეროიანი - ნარეკვავის (აფაქიძე... 1998:110-111) სამაროვანზე; ხოლო წნულღეროიანი - ფარცხანაყანევის განძში (გაგოშიძე 1976).

ფილიგრანული მძივების ეს ტიპი ნაკლებად დამახასიათებელი ფორმაა ლორი ბერდის ძვირფასი ლითონის ნაწარმისთვის - აქ, ძვ. წ. VII საუკუნის N62 სამარხში აღმოჩენილია მხოლოდ ერთი ნიმუში (Kalantaryan 2007: Tab.LXXVII). ასევე, მართალია განსხვავებული ტექნიკითაა დამზადებული, მაგრამ მსგავსია ამავე პერიოდის N63 სამარხში აღმოჩენილი ფირფიტის ჭრით მიღებული ჭვირული მძივი, ცვარას ბურთულებით დაფარული ღეროებით.

მათ კიდევ ერთ პარალელად შეიძლება მივიჩნიოთ ომანის სასულთნოში, დიბა ალბაის ადრერკინის ხანის მდიდრულ კოლექტიურ სამარხში აღმოჩენილი ოქროს ბიკონუსური ფორმის ჭვირული მძივი. იგი კოლხურ ვარიანტებთან შედარებით რთული ტექნოლოგიური ხერხებით არის დამზადებული - ღეროები და „საყელოები“ ცვარას ერთი ან ორი რიგით არის დაფარული; უფრო რთული აგებულებისაა მძივის შიგნით დატანილი ღერძიც (Frenez...2020:116-117, fig. 9). ძეგლის გამთხრელები მძივის სტილისტურ პარალელად მარლიკის სამაროვანზე აღმოჩენილ ოქროს საყურის ჭვირულ საკიდს ასახელებენ (Negahban 1996: pls 54, 56), რომელიც თავის მხრივ, ფილიგრანის წნულით შედგენილი ღეროებით, ახლო პარალელს პოულობს ფარცხანაყანევში აღმოჩენილი ამ ტიპის მძივების წნულღეროიან ვარიანტებთან.

შეჯამება: როგორც ვნახეთ, ფილიგრანული მძივები კოლხური ოქრომჭედლობის ერთ-ერთი ფართოდ დამახასიათებელი ფორმაა. შედარებით ადრეული ნიმუშები (ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედი - ცაიში N2) მილაკისებურ ღერძზე და ფილიგრანულ საყელოზე ვერტიკალურად დარჩილულ ღეროებს წარმოადგენს. ოდნავ მოგვიანებით, ძვ. წ. VIII ს-ის მეორე ნახევრიდან ჩნდება მათი განსხვავებული ვარიანტებიც. სომხეთში, ლორი-ბერდში (რომელიც კოლხეთში მოქმედი საოქრომჭედლო ტრადიციების ამსახველი ერთ-ერთი პუნქტია) აღმოჩენილი ფილიგრანული მძივების უმეტესობა ოვალურად ან წრიულად შეკრული ღეროებით შედგენილი მძივის ტიპს წარმოადგენს **(ტიპი I.1.b),** რითაც, თითქოს, გარკვეულ თავისებურებას ავლენს ამ ტიპის მძივების ტერიტორიული გადანაწილების საკითხში.

კლასიკური ხანის კოლხურ ოქრომჭედლობას აღნიშნული ფორმები გადააქვს ძვ. წ. V საუკუნის დასასრულსა და ძვ. წ. IV საუკუნეში გავრცელებული ე. წ. ჭვირულბურთულებიან საყურეებში (მაგ.: ვანის N9, N11 და N22 სამარხები (ჭყონია 1981), საირხის N1 და N5 სამარხები (მახარაძე... 2007:32-33: 50-56), ითხვისის N3 სამარხი (გაგოშიძე...2006: 46-48)).

ამიერკავკასიის ბრინჯაოს ნაწარმში მსგავსი ფორმების პროტოტიპებად შეიძლება მივიჩნიოთ გვიანბრინჯაოს პერიოდში გავრცელებული საკინძების ჭვირული თავები (Гамбашидзе... 1985:31-36) და ე. წ. ჭვირული ჟღარუნა საკიდები, რომელთა გავრცელების არეალი კავკასიის, ირანისა და ურარტუს ვრცელ ტერიტორიას მოიცავს (Castelluccia... 2014).

მძივი, ტიპი II. - სფერული მძივები. აღნიშნულ ტიპში ვაერთიანებთ სფერულ მძივებს, რომლებიც მიღებულია ნახევარსფერული ფირფიტების ერთმანეთთან მირჩილვის გზით. ისინი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის კოლხურ ოქრომჭედლობაში რამდენიმე ვარიანტით არის წარმოდგენილი:

მძივი, ტიპი II.1. - სფერული, სტანდარტული, სადა (ტაბ.12). აღნიშნული ტიპის მძივები ყველაზე დიდი რაოდენობით (47 ცალი) ცაიშის N1 სამარხ-ორმოში აღმოჩენილ ყელსაბამზეა წარმოდგენილი - იგი წარმოადგენს სხვადასხვა ზომის, ცენტრისკენ ზომის ზრდადობით გადანაწილებულ სფერულ მძივებს. მძივების აგების მსგავსი მანერა წინარეანტიკური ხანის კოლხეთში ასხმის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარული ფორმაა. მაგ., იგი შეიძლება შევადაროთ მუქი ფერის კარგად ნაპრიალები სარდიონისგან დამზადებულ, სხვადასხვა ზომის სფერული მძივებისგან შედგენილ ასხმებს, რომლებიც კოლხური კულტურის გავრცელების ზონაში ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებული სამკაულის ტიპია.

სფერული, სადა მძივების მომცრო ნიმუშები ერთეულების სახით ასევე აღმოჩენილია: ერგეტა II-ის N11 და N12; ერგეტა III-ის N1, ურეკის N3-ის და მახვილაურის კოლექტიურ სამარხ-ორმოებში.

მძივი, ტიპი II.2. სფერული, სტანდარტული, ჭვირული (ტაბ.13). ჭვირული მძივების განსხვავებულ ვარიანტს ქმნის ცვარათი შემკული ჭვირული, სფერული მძივები, რომლებზეც ჭვირულობა, ცვარას დეკორს შორის მოქცეული ფირფიტების ჩაჭრით არის მიღებული. ასეთი მძივები წარმოდგენილია ფარცხანაყანევისა (გაგოშიძე 1976:21) და ცხინვალის (გაგოშიძე 1976:22-25) განძებში.

მძივები დამზადებულია შემდეგნაირად: ოქროს თხელი ფირფიტისგან დამზადებული ნახევარსფეროები შუაში ერთმანეთზე, ხოლო ბოლოებში სფეროს შიგნით, ღერძად დატანილ მილაკზეა დარჩილული. მძივებს ბოლოებში, „საყელოდ“ და მისგან ცოტა დაშორებით, წვრილი მავთულის რგოლები აქვს დარჩილული. რომელთა შორის არე ცვარათი შედგენილი წვერით ცენტრისკენ მიმართული სამკუთხედებით ისეა გაფორმებული, რომ ვარსკვლავის ფორმის დეკორატიულ სახეს ქმნის. მძივის ზედაპირი დაფარულია გავარსის მჭიდრო, რომბულუჯრედოვანი ბადით, რომელთა შორის არე ბასრი იარაღით ისეა ჩაჭრილი, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მძივი ფირფიტოვანი საფუძვლის გარეშე, მხოლოდ გავარსის ბურთულებით იყო აგებული.

აღნიშნული ტიპის მძივები ერთმანეთისგან განსხვავდება გავარსის ბადეზე არსებული ჭვირული ინტერვალების ზომებით და ორნამენტის ფორმებით - რომბების ნაცვლად, ზოგ შემთხვევაში, მორიგეობით, სხვადასხვა მხარეს დახრილი მართკუთხედისებრი ინტერვალებია დატანილი, რომელიც საერთო ჯამში მძივს დიდ რომბებში ჩასმული მეანდრის სახეს აძლევს - ამგვარი დეკორი გამოყვანილია ცხინვალის მძივების ორ ნიმუშზე, ცაიშისა და ნოსირის საყურეებზე და სამკუთხა საკიდების ზოგიერთ ნიმუშზე.

დეკორის მხრივ ოდნავ განსხვავებულია ცხინვალის განძში შემავალი ერთი ნიმუში (თუმცა დამზადების ტექნიკა აქაც იგივეა) - იგი გაფორმებულია ზედაპირზე, ერთმანეთისგან დაშორებით, შვიდ პარალელურ რიგად დარჩილული მოზრდილი ბურთულებით.

ფარცხანაყანევისა და ცხინვალის მძივებს ზუსტი ანალოგი არ აქვს, თუმცა სტილითა და დამზადების მანერით მათთან ახლოს დგას ლორი ბერდის ძვ. წ. VII საუკუნის N63 სამარხში აღმოჩენილი წყვილი მოზრდილი, სფერული მძივი (Kalantaryan 2007: tab.LXXXIII) - აქ ორ ნახევარსფეროზე ცვარას ბურთულები ისეა დარჩილული, რომ მთლიანობაში მძივი სარტყლიანი, ოთხი ჰორიზონტალური ღეროთი აგებული სფეროს შთაბეჭდილებას ქმნის. დაცვარულ მონაკვეთს შორის ჩაჭრილი არე თითო ნახევარსფეროზე ოთხ სამკუთხა მონაკვეთს ქმნის. ფირფიტის ჩაჭრით მიღებული ჭცირული სახის მსგავს დეკორს, აღნიშნული მძივების გარდა, ვხვდებით ცაისში აღმოჩენილი კალათისებრი ტიპის საყურეების ერთ წყვილზე (ტიპი VII.2).

სტილისტურად ცხინვალისა და ფარცხანაყანევის ნიმუშებს, სფერული ზედაპირის გრანულებით მთლიანად დაფარვის მხრივ, უკავშირდება ყაზბეგის დაცვარულბურთულიანი საყურეები (გაგოშიძე 1976).

ამ ტიპის ანალოგიური ერთი მძივია აღმოჩენილი ოდნავ მოგვიანო, ძვ. წ. V საუკუნით დათარიღებულ საირხის N1 სამარხში (მახარაძე... 2007) - იგი წარმოადგენს გავარსით დაფარულ სფეროს, „საყელოებთან“ ვარსკვლავისებური დეკორით. ისინი ფარცხანაყანევისა და ცხინვალის მძივებისგან მხოლოდ ჭვირულობის არქონით განსხვავდებიან. არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნული მძივიც კომპლექსთან შედარებით ადრეული ნაწარმი იყოს.

მძივი, ტიპი II.3. - სფერული, სტანდარტული, კოპებიანი (ტაბ.13). კოპებიანი მძივების ოთხი ნიმუშია აღმოჩენილია ერგეტის II სამაროვნის N4 სამარხ-ორმოში და ერთი ერგეტის III სამაროვნის N2 სამარხ-ორმოში.

ერგეტა II N4-ში აღმოჩენილი მძივები დამზადებულია ოქროს ფირფიტის ორი ნახევარსფეროს ერთმანეთთან მირჩილვის გზით. მძივს შუა ნაწილში, გადაბმის ადგილას, დარჩილული აქვს ოქროს ფირფიტისგან გამოყვანილი ნახევარსფეროები - კოპები.

ოდნავ განსხვავებულია ერგეტა III N2-ში აღმოჩენილი ერთი ნიმუში - აქ ორი ნახევარსფეროსგან შედგენილ სფეროზე დარჩილულია ზემოთკენ ოდნავ გაფართოებული ცილინდრული ფორმის კოპები.

სფერულ კოპებიან მძივებს პარალელები ეძებნება ამავე პერიოდის კოლხეთის ბრინჯაოს მძივებში (მაგ., ერგეტა II N4 და ცაიშის N2 სამარხ-ორმოებში). იშვიათ შემთხვევაში კოპებიანი მძივები წარმოდგენილია სარდიონის თანადროულ ნაწარმშიც.

მძივი, ტიპი III. - ბიკონუსური მძივები (ტაბ.14). ბიკონუსური მძივები უძველესი კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშებში ორი ვარიანტით არის წარმოდგენილი:

მძივი, ტიპი III.1. - ბიკონუსური, მოკლე, ბორბლისებური (ტაბ.14). დამზადებულია შემდეგნაირად: ორ ნაწილად დამზადებული წაკვეთილი კონუსის ფორმის ფირფიტები, ცილინდრულად გადაკეცილი ბოლოებით ერთმანეთზეა მირჩილული. ცილინდრულ ნაწილზე დატანილია ორ რიგად განლაგებული გრანულების სარტყელი. მძივს ბოლოებში დატანილი აქვს სადა ფილიგრანის „საყელოები“. მსგავსი მძივის ერთადერთი ნიმუში აღმოჩენილია ცაიშის N1 სამარხ-ორმოში.

მძივის ზუსტი ანალოგი დღეისათვის უცნობია, თუმცა ბორბლისებური მძივები გავრცელებული ფორმაა მიკენურ და აღმოსავლურ საიუველირო ნაწარმში.

მძივი, ტიპი III.2. ბიკონუსური, სტანდარტული, სიგრძეზე ჰორიზონტალურად დაღარული (ტაბ.14) - მიღებულია ორი, უკვე დაღარული ნახევარსფეროს ერთმანეთთან მირჩილვის გზით. რჩილვის ხაზი ყველა შემთხვევაში კარგად იკითხება. წარმოდგენილია ფილიგრანული საყელოს გარეშე, ჩაკეცილი ბოლოებით. ამ ტიპის ხუთი ნიმუში აღმოჩენილია ცაიშის სამაროვნის N2 სამარხ-ორმოში.

მსგავსი მძივების ქრონოლოგიური და ტერიტორიული გავრცელების არეალი საკმაოდ ვრცელია.

მძივი, ტიპი IV. - ცილინდრული. დღევანდელი მონაცემებით, წინარეანტიკური ხანის ოქრომჭედლობაში ცილინდრული მძივები ორი ვარიანტით არის წარმოდგენილი:

მძივი, ტიპი IV.1 ცილინდრული, გრძელი, ცვარათი გაფორმებული (ტაბ.15). წარმოდგენილია ერგეტის I სამაროვნის N5 (12 ცალი) და ურეკის (1 ცალი) N3 კოლექტიურ სამარხ-ორმოებში.

ცილინდრები მიღებულია ფირფიტის მილისებურად გადაკეცვის შედეგად. სავარაუდოდ, ფირფიტაზე არსებული მეჩხერად განლაგებული გრანულები მას გადაკეცვამდე ერჩილებოდა. ზედაპირზე დატანილი რჩილვის ხაზი, ფორმის დასრულების შემდეგ, საგანგებოდ არის მოსწორებული. ერგეტასა და ურეკში აღმოჩენილი ნიმუშები ერთმანეთის იდენტურია და დამზადებულია ვერცხლის მაღალი შემცველობის, მკრთალი ოქროსგან.

ერგეტაში აღნიშნული სახის მძივები აღმოჩენილია ცვარათი შედგენილ ცილინდრულ მძივებთან ერთად.

გრანულაციით გაფორმებულ მილაკისებურ მძივებს ვხვდებით ჯერ კიდევ გვიანბრინჯაოს ხანის სირია-პალესტინაში, ალალაკში (Maxwell-Hyslop 1976:135). რამდენიმე ნიმუში გვხვდება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ჩრდილოეთ სომხეთის ძეგლებზე, სადაც ისინი, ისევე როგორც ერგეტა I N5-ის შემთხვევაში, ცვარათი შედგენილ მძივებთან კომბინაციაშია წარმოდგენილი (Kalantaryan 2007: ტაბ. LXXVIII).

მომდევნო, კლასიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობა მილაკისებური მძივების გამოყენებას სხვადასხვა ფუნქციით აგრძელებს - ყელსაბამების გარდა ისინი გამოყენებულია თავსამკაულის დეტალად, ან სუდარის სამკაულად (ჭყონია 1981:40, 80).

მძივი, ტიპი IV.2. - ცილინდრული, გრძელი, ცვარათი შედგენილი (ტაბ.15). მძივების აღნიშნული ტიპი მხოლოდ ცვარას ბურთულებით არის აგებული. განსხვავებები შეიმჩნევა ბურთულების ზომებსა და დამუშავებაში. ზოგ ნიმუშზე დნობის მაღალი ტემპერატურის გამო გრანულები შედარებით „ჩამდნარი“ სახითაა წარმოდგენილი.

ადრერკინის ხანის კოლხეთში მათ ვხვდებით: ერგეტა I-N5 (პაპუაშვილი... 2022), მუხურჩისა (GNM 81-76/1085) და დიღმის (GNM 7-76/1) სამარხეულ კომპლექსებში.

გრანულებით შედგენილი მძივის უძველეს ნიმუშს ვხვდებით ჯერ კიდევ ძვ. წ. III ათასწლეულში, დედოფალ ფუაბის სამკაულში (Maxwell-Hyslop 1977; Ogden 1982:62); ისინი წარმოდგენილია ძვ. წ. XV საუკუნის მიკენურ ოქრომჭედლობაშიც (Sakellarakis 2003); ირანში, ლურისტანის ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედით დათარიღებული საყურის დეტალებად (Maxwell-Hyslop 1976:265); ამ პერიოდითვე

თარიღდება ირანში აღმოჩენილი უცნობი წარმოშობის რამდენიმე მძივი ჰენრი ანავიანის კოლექციიდან (Dublin 1987:52, Fig.40).

ისინი ბევრია სომხეთში, ჯერ კიდევ ძვ. წ. XV-XIV სს-ით დათარიღებულ ძეგლზე ვანაძორში; ძვ. წ. XV-XIV სს-ით დათარიღებულ ლჭაშენის N1, N2 და N10 ყორღანებში, მეწამორის ძვ. წ. XII საუკუნის დასასრულითა და IX საუკუნით დათარიღებულ N8 და N11 სამარხებში და ლორი-ბერდის ძვ. წ. IX-VIII საუკუნეებით დათარიღებულ N45 სამარხში (Kalantaryan 2007). მათი ვერცხლის ვარიანტები ცნობილია კიროვაკანიდან, ხოლო ბრინჯაოსი არტიკის გვიანბრინჯაოს ხანის N9 სამარხიდან (Хачатрян1963: 83-84).

მსგავს მძივებს ვხვდებით ძვ. წ. VII-V საუკუნეების ფინიკიურ ოქრომჭედლობაშიც (Marshal 1911:144, pl. 23), ფინიკიელების კოლონია კართაგენში (Quillard 1979:1-3, pl.1), ძვ. წ. VI საუკუნით დათარიღებულ ძეგლზე სარდისში (Özgen, 1966:187), ომანში (Loepp… 2017) და სხვ.

ისინი შემდეგი პერიოდის კოლხურ ოქრომჭედლობაშიც განაგრძობენ არსებობას, თუმცა წინარე პერიოდისგან განსხვავებით, კლასიკურ ხანაში უფრო წვრილი, დახვეწილი გრანულებით შედგენილი სახეებით გვხვდება (მაგ., მახარაძე... 2007: სურ 37). იგივე ითქმის კლასიკური ხანის სხვა კულტურის ძეგლებზე აღმოჩენილ მსგავს ნიმუშებზეც (მაგ., იხ. Уильямс... 1995).

მძივი, ტიპი V. სიგრძეზე ვერტიკალურად დაღარული (ე. წ. ნესვისებური), სტანდარტული (ტაბ.16). მიღებულია ორი, თეგვით დაღარული ნახევარსფეროს ერთმანეთთან მირჩილვის გზით. რჩილვის ხაზი ყველა შემთხვევაში კარგად იკითხება. წარმოდგენილია ფილიგრანული საყელოს გარეშე, ჩაკეცილი ბოლოებით. მისი ხუთი ნიმუში აღმოჩენილია ცაიშის სამაროვნის N2 სამარხი-ორმოში (პაპუაშვილი...2015).

მძივი, ტიპი VI. - ფირფიტისებური მძივები. ფირფიტისებური მძივები ძველი კოლხეთის ოქრომჭედლობაში რამდენიმე ვარიანტით არის წარმოდგენილი:

მძივი, ტიპი VI.1. ფირფიტისებური, წრიული (ტაბ.16). მათი დამზადების პრინციპი შემდეგია: ორი წრიულად მოჭრილი, პარალელურად განლაგებული ფირფიტა შეერთებულია წრიულად მოკეცილი ორი ფირფიტით ისე, რომ ქმნის დაბალი ცილინდრის (ე. წ. დოლისებურ) სახეს. მანჭვალი გამოყვანილია ცილინდრის გვერდზე, შუა ნაწილში, ერთმანეთზე მირჩილული ფირფიტების შეკეცვით. მძივის ზედაპირი, ორივე მხრიდან, ოთხ ნაწილადაა გაყოფილი. თითოეული ამოვსებულია

ერთმანეთისგან 90°-იანი კუთხით დახრილი პარალელური ხაზებით. აღმოჩენილია ცაიშის N2 სამარხ-ორმოში, 4 ცალი.

მსგავსი ტიპი მომდევნო პერიოდის ოქრომჭედლობაში ოდნავ განსხვავებული ფორმით - დოლისებური ფორმის საკიდები (ჭყონია 1981) - განაგრძობს არსებობას, თუმცა დამზადების პრინციპი აქაც იდენტურია.

მძივი, ტიპი VI.2. ფირფიტისებური, რომბის ფორმის (ტაბ.16). დამზადებულია ზემოთგანხილული მძივის მსგავსად. გახვრეტილია სიგრძეზე. ორნამენტირებულია კონცენტრული ხაზებით შედგენილი სამკუთხედებით. გვერდითა კუთხეებთან წვერით ერთმანეთისკენ მიმართული სამკუთხედებია გამოსახული, ზედა და ქვედა ნაწილში, წვერით კუთხეებისკენ მიმართული.

მძივი, ტიპი VI.3. ფირფიტისებური, იხვის ფორმის, მრავალნახვრეტიანი (ტაბ.16). წარმოადგენს ერთმანეთზე დარჩილულ ოქროს თხელი ფურცლისაგან დამზადებულ იხვის გამოსახულებას პროფილში მარჯვნივ. მძივსაკიდს ზურგის მხარე ბრტყელი აქვს, წინა მხარე კი ორნამენტირებულია თეგვით გამოყვანილი რელიეფური სახეებით. იხვი დასმულია წვერით ზემოთ მიმართულ სამკუთხა პოდიუმზე, რომელსაც ალბათ გარკვეული სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. სამკუთხა პოდიუმი ორნამენტირებულია ფუძეზე განლაგებული ორი დაშტრიხული სამკუთხედით, ხოლო იხვის ტანი ირიბ ხაზებს შორის მოქცეული ე. წ. ზენური ხვიებით. მძივსაკიდს სიგრძეზე ორი პარალელური ნახვრეტი აქვს დატანილი - ერთი იხვის ტანის ძირში, მეორე სამკუთხა პოდიუმის ფუძეზე. ნახვრეტებს „საყელოებად“ დარჩილული აქვს ფილიგრანის წვრილი, წრიული მავთულები. შიგთავსი შევსებულია პასტის ღერაკებით. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მძივსაკიდებიდან ზოგიერთს ემჩნევა შეკეთების კვალი - მაგ., რამდენიმე ნიმუშზე, ნაკლულ ადგილას დარჩილულია ოქროს თხელი ფირფიტა (აფაქიძე...1998:108-109). აღმოჩენილია ნარეკვავის N41 სამარხში, 11 ცალი.

ფრინველის ფორმის მძივსაკიდები ასევე ცნობილია ყაზბეგის განძში შემავალი ოქროს ნივთებიდან - ესენია ორ ნაწილად გამოჭრილი ფირფიტების ერთმანეთთან მირჩილვით გამოყვანილი ფრინველის ფორმის საკიდები. ფრინველი წარმოდგენილია გრძელი, ოდნავ მოხრილი ნისკარტით, გამობერილი გულმკერდით, წვრილი მავთულის რგოლში ჩასმული ცვარას ბურთულით გადმოცემული თვალებით და ოვალურად მოხრილი მავთულით ან რელიეფურად დაშტამპული

სახეებით მონიშნული ფრთებით. საკიდს ნახვრეტი ფრინველის უკანა არეში აქვს დატანილი. აღნიშნული ფრინველები დამზადების სტილისტური ნიშნებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახლოს დგანან ხაიშის საკიდზე წარმოდგენილ ფრინველებთან და სავარაუდოდ, სტილისტური ნიშნებით უფრო ძვ. წ. VI საუკუნის საიუველირო ნაწარმს წარმოადგენენ.

იხვის გამოსახულებები მომდევნო, კლასიკური ხანის ოქრომჭედლობის ნიმუშებში ცნობილია ვანში აღმოჩენილი დასაკერებლების სახით (ჭყონია 1981; Kacharava…2008).

იხვის ფორმის მძივსაკიდებს ადრეული პარალელები ჯერ კიდევ გვიანბრინჯაოს ხანის მიკენური პერიოდის ოქრომჭედლობაში ეძებნება (ჰერაკლიონის მუზეუმი N-AE123). უფრო, ადრე, მინოსურ ცივილიზაციაში იხვები ეგინას განძში აღმოჩენილი ქალღმერთის გამოსახულების თანმხლებებად არის წარმოდგენილი (Marshall 1911).

მძივი, ტიპი V. - შეწყვილებული მძივები (ტაბ.17). ამ ტიპის მძივები კოლხეთში მხოლოდ ერთ ძეგლზეა აღმოჩენილი - მახვილაურის კოლექტიურ ორმო-სამარხში. იგი შედგენილია ერთ რიგზე განლაგებული სადა, სტანდარტული, სფეროსებური ორი მძივის შეერთებით. თითო მძივი დამზადებულია ორი ნახევარსფეროს ერთმანეთთან შეერთებით. რჩილვის ხაზი მოსწორებულია და მსუბუქად ეტყობა. ზედაპირი კარგადაა გაპრიალებული. ნახვრეტენთან კიდეები შიგნითაა ჩაკეცილი. მძივებს შეწყვილების ადგილას დატანილი აქვს სადა, ან ირიბი ღარებით შემკული წრიული მავთული. რაოდენობა ფრაგმენტულობის გამო დაუზუსტებელია - სავარაუდოდ, 10-მდე შეწყვილებული მძივია - კახიძე... 2017: 85-87).

მსგავსი სახით შეწყვილებული სფერული მძივები მოგვიანებით ცნობილია ელინისტური ეპოქის ვანის ოქრომჭედლობის ნიმუშებიდანაც (ჭყონია 1981:79, სურ. 52).

მძივის გარსაკრავი დეტალები (ტაბ.18). ოქროს ფოლგის მძივის გარსაკრავები გახლავთ დეკორატიული დეტალი, რომელიც ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული, დეკორირების პოპულარული ხერხი იყო.

წინარეანტიკური ხანის ოქრომჭედლობაში ოქროს ფოლგით იფარებოდა პასტის, სარდიონის, გიშერის, თიხის მძივები (მათი ყველაზე დიდი ჯგუფი დამოწმებულია თლიაზე და ბრილის სამაროვანზე). კლასიკური ხანის მდიდრულ ოქრომჭედლობაში მსგავსი ხერხით დამზადებული მძივები ნაკლებად პოპულარულია. ელინისტურ ეპოქაში ოქროსა და ვერცხლის ფოლგას იყენებენ გამჭვირვალე მინის მძივების ე. წ. ოქროფენილი მძივების დასამზადებლად, სარჩულების სახით (Алексеева 1978).

&3.4. რგოლები

რგოლები წინარეანტიკური ხანის ოქრომჭედლობის ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნის. მათი ოქროს, ვერცხლის, ელექტრუმის, მოოქრული ვერცხლის, მოოქრული ტყვიის და მოოქრული ბრინჯაოს ნიმუშები კოლხეთის ადრერკინის ხანის ძეგლებზე სხვადასხვა ვარიანტებით არის წარმოდგენილი.

რგოლი, ტიპი I.1 - სადა, გახსნილი, მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი (ტაბ.19). ამ ტიპის რგოლები წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშებში ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნის. მასალის მიხედვით მათი სტატისტიკური გადანაწილება ასეთია:



ფორმით გვხვდება როგორც წვრილი, მცირე ზომის, ისე შედარებით სქელი ღეროს, მოზრდილი ნიმუშები. როგორც ვხედავთ, რაოდენობრივად დომინირებს მოოქრული ვერცხლის რგოლები. სავარაუდოდ, მათი რაოდენობა გაცილებით აღემატება რეალურად წარმოდგენილს. ცუდი შემორჩენილობის გამო მათი დიდი ნაწილის დაფიქსირება ხშირად ვერ, ან მხოლოდ ძალიან ფრაგმენტულად ხერხდება.

სადა რგოლების ფუნქციური დატვირთვა ძველი კოლხეთის ოქრომჭედლობის ნიმუშებში მკაფიოდ გამოკვეთილი არ არის, თუმცა იმის თქმა, რომ წინარეანტიკური ხანის ოქრომჭედლობაში მათ სამკაულის, ან მისი დეტალის ფუნქცია ჰქონდა, ნამდვილად შეიძლება. ისინი შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო როგორც სასაფეთქლედ, ისე საყურის ჩამოსაკიდად, ბეჭდად, ან თუნდაც სამაგრად.

საინტერესოა უკანასკნელ წლებში სხვადასხვა სახის კვლევებზე დაყრდნობით განვითარებული მოსაზრება რგოლების, როგორც პრემონეტარული გაცვლითი

ერთეულის ერთ-ერთი ფორმის შესახებ. აღნიშნული თემა გასულ წლებში არაერთხელ წამოჭრილა ბრინჯაოს მასიურ, სადა და გრავირებულ რგოლებთან მიმართებაში (Куфтин 1944:28-29; Куфтин 1948:155-156; ნიორაძე 1948:19-20; სახაროვა 1976:35). ჟ. მორგანი მას განიხილავდა როგორც მიცვალებულის ქონებას, რაც იმდროინდელი დაკრძალვის წესის ფონზე საკმაოდ ლოგიკურად გამოიყურება (გოგიბერიძე 2022:70). რგოლების ე. წ. სეკილებად (მონეტამდელ გაცვლით ერთეულებად) მიჩნევა, ვფიქრობთ, არ გამორიცხავს მათ სამკაულად გამოყენების შესაძლებლობასაც. ალბათ, უფრო მართებული იქნება ისინი სამკაულის იმ ტიპად მივიჩნიოთ, რომელიც, გამომდინარე თავისი ნაკლებ სიმბოლურ-რელიგიური დატვირთვისა, ადვილად „გასამეტებელ“ ნივთს წარმოადგენდა მფლობელისთვის იმ სააღებმიცემო ურთიერთობების ფონზე, რომელსაც ამ პერიოდში საკმაოდ ფართომასშტაბური სახე უნდა ჰქონოდა.

ცენტრალურ ევროპაში ლითონის რგოლების ფულად/გაცვლით ერთეულებად გამოყენება ჯერ კიდევ ადრე ბრინჯაოს ხანიდან ივარაუდება (Kuijpers 2021). ჰალშტატის კულტურაში ძვირფასი ლითონისა და ბრინჯაოს რგოლების შემცველი განძები, ხშირ შემთხვევაში გაცვლით სიმბოლოებად არის ინტერპრეტირებული (Pârvan 1926:404; Popescu 1956:227; Gramatopol... 1966:67; Ţârlea 2015), თუმცა რიგი მკვლევრები მათ სამკაულებად (თავსამკაულის დეტალები) გამოყენების ფაქტსაც არ გამორიცხავენ (Dumitrescu 1936: 231-232).

დღევანდელი მონაცემებით არსებული კვლევებით ამ ტიპის რგოლების რაიმე სახით წონითი სტანდარტიზაცია დაფიქსირებული არ არის (თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბოლო დროინდელი კვლევები არა მხოლოდ წონით, არამედ ვიზუალურ სტანდარტიზაციასაც განიხილავენ პრემონეტარული გაცვლითი სისტემის ერთ-ერთ ნიშნად).

კოლხურ ოქრომჭედლობაში გავრცელებულ სადა, გახსნილ რგოლებთან მიმართებაში გამომდინარე იქიდან, რომ მათი გავრცელების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი ემთხვევა ბოლოებგახვრეტილი (ოდნავ მოგვიანებით დაბრტყელებულიც) სასაფეთქლე რგოლების გამოჩენის თარიღს, ვფიქრობთ, უფრო მართებული იქნება მათი სასაფეთქლე ან საყურე ფუნქციის რგოლებად განსაზღვრა.

ამ სახის რგოლები ვოტივური ნივთების პოპულარული სახე იყო ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევრის ბერძნულ სამლოცველოებზე (Flognfeld 2009). მაგ.,

თეგეაში ძვ. წ. VIII საუკუნით დათარიღებულ არქეოლოგიურ კომპლექსებში ნაპოვნია სამასზე მეტი რგოლი, რომელთაგან უმეტესობა სადა, გახსნილ ვარიანტს წარმოადგენს (Duglas 1921). მსგავსი რგოლები გამოვლენილია ოლიმპიაში, სპარტაში, არგოსის ჰერაიონში, პერახორაში, ლუსიოში და არაერთ სხვა სამლოცველოზე (Flognfeld 2009:44-45)

ტიპი I.2. - სადა, გახსნილი, მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი, ბოლოებზე წამოცმული ურჩხულის თავებით (ტაბ.19). ამ ტიპის რგოლები წარმოადგენენ ოქროს, ვერცხლის ან მოოქრული ვერცხლის სადა, წრიულად მოხრილი ღეროების ბოლოებზე წამოცმული, თეგვით გამოყვანილი ფურცვლოვანი ოქროს ორი ნაწილისგან შედგენილ გველ-ურჩხულის ან მგელ-ურჩხულის თავებს, რომელთა ნაკვთები ცვარას და ფილიგრანის დეტალებითაა გადმოცემული.

მსგავსი ტიპის რგოლების გავრცელების ქრონოლოგიური ჩარჩოა ძვ. წ. VII ს-ის მეორე - VI საუკუნის პირველი ნახევარი. დღევანდელი მონაცემებით მათი შვიდი ნიმუში დადასტურებულია ხუთ განსხვავებულ ძეგლზე: ერგეტა III-ის N4 სამარხ-ორმოში - მოოქრული ვერცხლის 2 ც.; ერგეტა II-ის N11 სამარხ-ორმოში - მოოქრული ვერცხლის 1 ც., (ძლიერ კოროზირებული); ნიგვზიანის საკულტო მოედანზე - ვერცხლის, 1 ც.; წითელი შუქურის N26 და N29 სამარხებში - ვერცხლის 3 ც., (ერთს თავები შემორჩენილი არ აქვს); კისტირიკის სამარხში - ოქროსი, 1 ც.

იდენტური სახის რგოლები კოლხური კულტურის ფარგლებს გარეთ უცნობია. აგრესიულ მდგომარეობაში გამოსახული მტაცებელი ცხოველის (ძირითადად ლომების) თავებით დაბოლოებული რგოლები და სამაჯურები უფრო აღმოსავლური, ურარტული ხელოვნებისთვის არის დამახასიათებელი (Işikli 2016) - მართალია აქ გავრცელებული ცხოველის თავები კოლხეთის ნიმუშებისგან განსხვავებულ სახეებს ქმნის, მაგრამ მსგავსება შეინიშნება ისეთ დეკორატიულ ელემენტებში, როგორიცაა ცხოველის დაღებული პირი, ორი ღეროვანი კბილი და ცხოველის საყელოს გაფორმება ცვარას ბურთულებით გამოყვანილი საყელოთი (მაგ., იხ. Dara 2021: fig.13). მეორე მხრივ, ამ ტიპის რგოლებზე გამოსახული ცხოველის თავის ცვარათი და ფილიგრანით გამოყვანილი დეკორატიული დეტალები სიახლოვეს ავლენს ორიენტალიზებული სტილის ეტრუსკულ ხელოვნებაში გავრცელებულ ცხოველსახოვან ელემენტებთან (მაგ., იხ. Marshall 1911: XX), - მსგავსება შეინიშნება როგორც ნაკვთების, ისე დაცქვეტილი ყურების გამოყვანის პრინციპში.

რგოლი, ტიპი I.3. სადა, მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი, გახვრეტილი ბოლოებით (ტაბ.19). სასაფეთქლე რგოლების ეს ტიპი, გახვრეტილი და ოდნავ ამობურცული, შესქელებული ბოლოებით, სავარაუდოდ გველის/ფრინველის სტილიზებულ გამოსახულებებს ქმნიან. კოლხეთის საიუველირო ნაწარმში ისინი ძვ.წ. VII საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყებენ გამოჩენას (მერხეულის, გუადიხუს, ყულანურხვას, წითელი შუქურას, პალურის, ბრილის სამაროვნები - ბარამიძე 1977:55). აღსანიშნავია, რომ ამ სახის რგოლები არც ერთ ეტაპზე არ არის დამახასიათებელი კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა რეგიონებში გავრცელებული კოლექტიური ორმო-სამარხებისთვის.

აღნიშნული ტიპის რგოლები კოლხურ ოქრომჭედლობაში აღმოსავლეთის რეგიონებიდან შემოსულ ელემენტებს უნდა წარმოადგენდეს. მათი პირვანდელი გავრცელების რეგიონად ძვ. წ. VII საუკუნის აღმოსავლეთ ამიერკავკასია - სამთავრო, თრელი, ნარეკვავი და სხვ. - ივარაუდება. ძვ. წ. VII საუკუნის დასასრულიდან ისინი თანდათან ანაცვლებს სადა, გახსნილ სასაფეთქლე/საყურე რგოლებს. თანადროულ საიუველირო ხელობაში მათი პოპულარობა ამ ფორმის სამაჯურებსა და საკისრე რკალებში გამეორებაში გამოიხატება (მაგ., ბრილის, მერხეულის, ზემო რუთხას კომპლექსებიდან). მათი წარმოების ძირითადი ქრონოლოგიური ჩარჩო ძვ. წ. VII-VI საუკუნეებია.

ამგვარი რგოლების გავრცელების არე ამიერკავკასიის მოსაზღვრე იმიერკავკასიის, აზერბაიჯანისა და სომხეთის რეგიონებსაც მოიცავს, თუმცა აქ, სამხრეთ კავკასიასთან შედარებით, აღნიშნული სახის რგოლები გაცილებით ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი.

ძვ. წ. VI საუკუნის დასასრულიდან აღნიშნულ რგოლებს უჩნდება ბოლოებდაბრტყელებული ვარიანტები, რომელიც კლასიკურ ხანაში კოლხური ოქრომჭედლობის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ელემენტი ხდება. ძვ. წ. V საუკუნის მეორე მეოთხედიდან, მაშინ როცა აქ დიდი რაოდენობით იკიდებს ფეხს აქემენიდური სტილის საიუველირო ტრადიციები (მაგ., ვარდულა, მდიდრულად დატვირთული დეკორატიული სახეები და სხვ.), აღნიშნული სახის რგოლები, უმეტეს შემთხვევაში ოვალურ მოყვანილობას იღებენ და ხშირად დამატებითი დეკორატიული ელემენტებითად (სარტყელი, ვარდულა, ფრინველი) წარმოგვიდგებიან. მსგავსი სახის რგოლების გავრცელების ძირითადი ქრონოლოგიური ჩარჩო VI-IV საუკუნეებს

მოიცავს. ელინისტურ ხანაში, ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოდან მათ ანაცვლებს სადა, გახსნილი რგოლები, ბოლოებში ირგვლივი ღარებით, რომლებიც წარმოგვიდგებიან როგორც სამკაულის დამოუკიდებელ ელემენტად, ისე რთული შედგენილობის საყურის დეტალად (ჭყონია 1981:69-70).

რგოლი, ტიპი II ფილიგრანის წნული ღეროთი (ტაბ.20). რგოლების ეს ვარიანტი წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის დახვეწილი და მაღალტექნოლოგიური იდენტობის კიდევ ერთი მთავარი განმსაზღვრელი ელემენტია. გრეხილური ღეროებისგან გამოყვანილი წნული სახის ღეროებისგან შედგენილი სასაფეთქლე რგოლების გამოჩენა კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის განვითარების პიკს - ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებს ემთხვევა. მისი გავრცელება აქ, ძირითადად, ცენტრალური კოლხეთისთვის დამახასიათებელი კოლექტიური ორმო-სამარხების ყველაზე მდიდრულ კომპლექსებთანაა დაკავშირებული. დღევანდელი მონაცემებით ისინი თორმეტი ნიმუშით არის წარმოდგენილი ერგეტის, ცაიშის, ურეკის, ნოსირის და ლიას (შემთხვევითი აღმოჩენა) პუნქტებიდან. მათში დაბოლოების მიხედვით რამდენიმე ვარიანტი გამოიყოფა:

რგოლი, ტიპი II.1 - წნულით ღეროთი, ბოლოებზე წამოცმული ცილინდრული ბოლოებით (ტაბ.20). აღნიშნული ტიპი სამი ერთეულით არის წარმოდგენილი ერგეტა I-ის N5 და ნოსირის კომპლექსებიდან. ორივე ნიმუში ძვ. წ. VIII საუკუნის დასასრულისა და VII საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ III ქრონოლოგიურ ჯგუფში თავსდება.

ერგეტაში აღმოჩენილი რგოლების ღერო დამზადებულია რვა დაგრეხილი მავთულის ერთმანეთთან მირჩილვის გზით ისე, რომ მთლიანობაში ოთხი წნულისგან შედგენილი ღეროს სახეს ქმნის. რგოლებს ბოლოებზე წამოცმული აქვს მილისებურად გადაკეცილი ოქროს ფირფიტის ცილინდრი, ბოლოში დაფარული სადა, ბრტყელი ფირფიტით.

ნოსირის რგოლი, ზემოთგანხილულისგან ოდნავ განსხვავებულ სახეს ქმნის - აქ გრეხილური ფილიგრანის თითო ღეროს შორის, სადა მავთულის ოთხი ტიხარია დატანილი, რითაც იგი ოთხწახნაგა განივკვეთიანი რგოლის სახეს იღებს. მსგავსი ფორმითაა შესრულებული ურეკის N3 სამარხში აღმოჩენილი ურჩხულისთავიანი წნული რგოლები, მხოლოდ აქ სადა მავთულის ტიხრებს შორის გრეხილური ფილიგრანის 2-2 მავთულია დატანილი.

რგოლი, ტიპი II.2. - წნული ღეროთი, ბოლოებზე წამოცმული სფერული ფირფიტებით (ტაბ.20). აღნიშნული ჯგუფი წნულღეროიანი რგოლების ყველაზე მეტ რაოდენობას ქმნის - ამ სახის ექვსი რგოლი აღმოჩენილია III ქრონოლოგიური ჯგუფის ნოსირის, ცაიში N1-ის სამარხებში და IV ქრ. ჯგუფის ერგეტა I N6-ის სამარხ-ორმოში. ასევე, წარმოდგენილია სოფ. ლიაში შემთხვევით აღმოჩენილი ნივთის სახით.

აღნიშნული ტიპის ღეროები ოთხი, ორ-ორად შეწყვილებული გრეხილური მავთულების ერთმანეთთან მირჩილვის გზით არის დამზადებული. ბოლოებში წამოცმულია საკმაოდ სქელი ფირფიტის სფეროები. ლიაში აღმოჩენილი ნიმუში, დანარჩენებისგან ოდნავ განსხვავდება - ბოლოებში რგოლის გრეხილური მავთულები სადა სახეს იძენს და ოდნავ შევიწროვებულ ფორმას ქმნის.

ტიპი II.3 - წნული ღეროთი, ბოლოებზე წამოცმული ურჩხულის თავებით (ტაბ.20). ამ ტიპის ორი ნიმუში აღმოჩენილია ურეკის N3 სამარხ-ორმოში. იგი წარმოადგენს გრეხილური მავთულის რვა ღეროთი შედგენილ 4-4 წნულს. თითო წნული სადა მავთულის ღეროთი გადატიხრულია ისე, რომ ღეროს რომბულგანივკვეთიან ფორმას აძლევს. ბოლოებზე დამაგრებული ურჩხულის თავები დამზადებულია ორი გამოტვიფრული ნახევრის ერთმანეთთან მირჩილვის გზით. სკულპტურაზე ყველა ნაკვთი, გარდა ყურებისა, ცვარას ბურთულებით არის გადმოცემული. ყურები წარმოადგენს წვერმომრგვალებული სამკუთხა ფირფიტის მოხრით მიღებულ დეტალს. ცხოველს საყელოდ გაუყვება ცვარას ბურთულებით შედგენილი სარტყელი - აღნიშნული დეტალი პარალელებს პოულობს რგოლების I.2. ტიპთან (სადა რგოლები, ბოლოებზე წამოცმული ურჩხულის თავებით). ცვარას მარცვლების ერთი რიგი დაუყვება გამოსახულებას ცხვირიდან თავის მიმართულებითაც. მთლიანობაში ისინი ძლიერ დეფორმირებული და ნაკლულია.

ახლო სტილისტური მსგავსების გამო ამ ჯგუფშივე გავაერთიანეთ ნოსირის განძში აღმოჩენილი წნულღეროიანი სპირალური რგოლის ან ხვიის (?) ფრაგმენტი, ბოლოში გველ-ურჩხულის თავის გამოსახულებით. აღნიშნული ნივთის ღეროც რვა დაგრეხილი მავთულისგან შედგენილი ოთხწახნაგა განივკვეთიანი კონაა. თავი მასაც მასრასავით აქვს წამოცმული და დამზადებულია ოქროს თხელი ფირფიტისგან გამოტვიფრული ორი ნაწილისგან. გველ-ურჩხულს აქვს ფართოდ გაღებული პირი, ორი, მკვეთრად აქცენტირებული ღეროვანი კბილით. პირს გარს შემოუყვება გავარსის მარცვლების რიგი, რომლებიც, სავარაუდოდ, ასევე კბილებს უნდა გადმოსცემდნენ.

ასეთივე მარცვლების ორმაგი რიგი დაუყვება გამოსახულებას ცხვირიდან თავზე (ცხოველის სახეზე გამოსახულ ამგვარ დეკორატიულ დეტალს ვხვდებით ურეკის რგოლების გველ-ურჩხულებზე და სიმაგრის სამკუთხა საკიდზე მოცემულ ხარის გამოსახულებებზე). თვალები მავთულებშემოვლებული გავარსის თითო მარცვლითაა გადმოცემული (თვალების გამოყვანის მსგავსი მანერა მოცემულია მუხურჩის სამაჯურის დაბოლოებაზე, ყაზბეგის განძის ფრინველის გამოსახულებებიან მძივსაკიდებზე). კეფაზე, ორივე მხარეს დატანილი ოვალურად მოხრილი წვრილი მავთულები, სავარაუდოდ, გადაწოლილ ყურებს უნდა გადმოსცემდეს (გაგოშიძე 1976:15).

ზემოთგანხილული ნიმუშები კოლხური ოქრომჭედლობის ფარგლებს გარეთ არ გვხვდება. სტილისტურად, აღნიშნული ნიმუშები, ისეთი ნიშნებით, როგორიცაა ფილიგრანის რთული და უხვი გამოყენება და ცხოველის თავის შემოვლება გავარსის რიგებით, ყველაზე მეტ სიახლოვეს ორიენტალისტური სტილის ეტრუსკულ ხელოვნებასთან ავლენს (Becatti 1955; გაგოშიძე 1976:16). ეტრუსკული ნაწარმისთვისვეა დამახასიათებელი ცხოველის დაცქვეტილი ყურები, განსხვავებით გადაწოლილი ყურებისგან (ნოსირის განძის გველ-ურჩხული და ცაიშში აღმოჩენილ დუგმაზე და ბრილის სამაჯურზე წარმოდგენილი სახეები), რომელიც უფრო აღმოსავლური ცხოველსახოვანი სტილის დამახასიათებელი ელემენტია.

აღსანიშნავია, რომ ნ. ლორთქიფანიძე წინარეანტიკური ხანის ოქროს სამკაულში წარმოდგენილ ურჩხულის გამოსახულებებს არგონავტების მითში ასახულ ოქროს საწმისის მცველ ურჩხულებს უკავშირებს (ლორთქიფანიძე 2012:192).

&3.5. სხვადასხვა მცირე ჯგუფები

აღნიშნულ პარაგრაფში განხილულია ძვირფასი ლითონის ნაწარმი, რომლებიც ფუნქციურად დაჯგუფებული ნივთების შედარებით მცირერიცხოვან ჯგუფს ქმნის. მათში ერთიანდება: სამაჯურები, დიადემები, საკისრე რკალები, დუგმა, ბეჭედი, ტანსაცმლის აქსესურები (საკინძი) და სხვადასხვა სახის დეკორატიული დეტალები.

სამაჯური, ტიპი I. - ბრტყელი ფირფიტის ღეროთი (ტაბ.21). აღნიშნული ჯგუფში გამოვყოფთ ორ ვარიანტს:

სამაჯური, ტიპი I.2 - ბრტყელი ფირფიტის გეომეტრიული ორნამენტით (ტაბ.21). ამ ტიპის ერთი სამაჯური აღმოჩენილია ბრილის 1939 წელს გათხრილი N15 სამარხში. დამზადებულია ვერცხლის თხელი ფირფიტისგან. ზედაპირზე გაუყვება სხვადასხვა ზომის (შუაში შედარებით განიერი) ხუთი რელიეფური ზოლი, შემკული პუნქტირული ორნამენტით: ნაპირებზე ერთი მწკრივია, შუაში კი ორი. აღსანიშნავია, რომ პუნქტირების გადანაწილებასა და დატანაში ოდნავ უსისტემობა და წუნი შეიმჩნევა. სამაჯური ნაკლული სახით არის შემორჩენილი (სამ ფრაგმენტად), შესაბამისად, მის დაბოლოებებზე არაფრის თქმა შეგვიძლია.

სავარაუდოდ, აღნიშნული ტიპის სამაჯური წინარეანტიკური ხანის კოლხეთში გვარცელებული ბრინჯაოს ბრტყელი ფირფიტისგან დამზადებული სამაჯურების იდეოლოგიურ ბაზაზეა შექმნილი. კოლხეთში ისინი გავრცელებას იწყებს ძვ. წ. VIII საუკუნიდან (გოგიბერიძე 2021:70).

სამაჯური, ტიპი I.2. - ბრტყელი ფირფიტის, ცხოველის სტილიზებული თავებით დაბოლოებული (ტაბ.21). სამაჯური დამზადებულია ვერცხლის სქელი ფირფიტისგან. მის შესქელებულ და მართკუთხა მოყვანილობის ბოლოებზე რელიეფურად და გრავირებით გამოყვანილია ცხოველის თავის გამოსახულებები, გეომეტრიული სახეებით გადმოცემული ძალზედ სქემატური ნაკვთებით. ღეროს ნაპირები ოდნავ შესქელებულია და სიგრძეზე გაუყვება სამი დიდი ღარი, რომელთა შორის არე შემკულია ირიბი, მოკლე ხაზებით შედგენილი წნული სახის დეკორით.

მსგავსი ტიპის სამაჯური მხოლოდ ერთი ნიმუშით არის წარმოდგენილი ბრილის 1950 წელს შესწავლილ N36 სამარხიდან (გ. გობეჯიშვილის გათხრები GNM N5-993:1151). კომპლექსი წარმოადგენს ძვ. წ. VI საუკუნით დათარიღებულ საკმაოდ მდიდრულ, მრავალინვენტარიან სამარხს.

სამაჯურის აღნიშნული ტიპი სტილისტურად - ცხოველის თავის გამოსახვის და დეკორირების მანერით ახლოს დგას ცაიშის სამაროვანზე აღმოჩენილ ვერცხლის დუგმასთან. სავარაუდოდ, იგი წარმოადგენს ოდნავ მოგვიანებით, ძვ. წ. V საუკუნიდან ბრილში, საირხეში, ვანსა და ფიჭვნარში აღმოჩენილი ვერცხლის ცხოველისთავიანი (გადაწყობილი ყურებით, მკვეთრი სამკუთხ ადრუმჩით) სამაჯურების (გოგიბერიძე 2020:15 სურ.25) წინარე ვერსიას.

სამაჯური, ტიპი II. - მრგვალგანივკვეთიანი ღეროსი, სადა (ტაბ.22). აღნიშნული ტიპი სამაჯურის ყველაზე მარტივი ვარიანტია. ისინი დამზადებულია

მრგვალგანივკვეთიანი წვრილი მავთულისგან და, უმეტეს შემთხვევაში, ფართოდ გახსნილი თავებით არის წამოდგენილი.

ამ ტიპის სამაჯურები ცნობილია: ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედით დათარიღებულ ცაიშის N2 სამარხ-ორმოში - ვერცხლის 1 ც.; ძვ. წ. VIII ს-ის მეორე -VII ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებულ ერგეტა I N5 სამარხ-ორმოში - ვერცხლის 2 ც., ბრილის ე.წ. კოლხური პერიოდის კრემაციულ სამარხში - ოქროს, 1 ც.

როგორც ჩანს, ამ ტიპის სამაჯურების გავრცელების ქრონოლოგია ემთხვევა სადა რგოლების გავრცელების ქრონოლოგიურ ჩარჩოებს.

სამაჯური, ტიპი II.1. - მრგვალგანივკვეთიანი, ორნამენტირებული ღეროთი (ტაბ.22). ამ ტიპის ერთი ნიმუში აღმოჩენილია გორაძირის ძვ. წ. VIII-ის მეორე -VII-ის პირველი ნახევრით დათარიღებულ სამარხში. იგი წარმოადგენს ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიან ღეროზე მექანიკურად გადაკრულ ოქროს თხელ ფირფიტას. სამაჯური წელის არეში განივი ღარებით არის ორნამენტირებული, ბოლოები ნაკლული აქვს. მთლიანობაში ძლიერ დაზიანებულია.

სამაჯური, ტიპი II.2. - მრგვალგანივკვეთიანი, გველის/ცხოველის სქემატური გამოსახულებებით (ტაბ.22). ამ ტიპის სამაჯურები წარმოადგენს წვრილ, მრგვალგანივკვეთიან ღეროებს, ბოლოში ოდნავ შესქელებით გადმოცემული გველის/ცხოველის თავების სქემატურ გამოსახულებები. მათი ყველა ნიმუში ვერცხლისგანაა დამზადებული და ძლიერ კოროზირებული, შესაბამისად, არ იკითხება ცხოველის თავის ნაკვთები.

მათი სამი ნიმუში აღმოჩენილია მახვილაურის (2 ც.) და ერგეტა I N5-ს ძვ. წ. VIII საუკუნის მეორე ნახევრითა და VII საუკუნით დათარიღებულ სამარხ-ორმოებში.

გველის ან ცხოველის თავებით დაბოლოებული სამაჯურები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის სხვადასხვა რეგიონის საოქრომჭედლო ცენტრებში საკმაოდ გავრცელებული სახე იყო. ისინი საბერძნეთში ჯერ კიდევ გეომეტრიული ხანიდან გვხვდება - მათ ადრეულ ნიმუშებს ძვ. წ. 750-720 წწ-ით დათარიღებულ სპატას სამარხში ვხვდებით (Deppert-Lippitz 1998:91). გველისთავიანი, გახსნილი სამაჯურები საბერძნეთში განსაკუთრებულ პოპულარობას არქაულ ეპოქაში იძენს და რომაულ ხანამდე სამკაულის ერთ-ერთ გავრცელებულ სახედ რჩება. ძვ. წ. VI საუკუნის შუა ხანებამდე მათ შედარებით მარტივი და სქემატური ფორმები ახასიათებთ,

მოგვიანებით კი მათი დამზადების ტექნიკა შედარებით რთულდება (Deppert-Lippitz 1998:91).

გველისთავიანი სამაჯურები გავრცელებული სახეა ძვ. წ. IX-VIII საუკუნეების ურარტულ ხელოვნებაშიც. ისინი საკმაო რაოდენობითაა ცნობილი ამლაშის რეგიონიდან და ურარტული სამყაროს გავრცელების სხვადასხვა ზონიდან. გამომდინარე იქიდან, რომ ამგვარი სამკაული არ არის დამახასიათებელი ასურული სამყაროსთვის, სამეცნიერო ლიტერატურაში ისინი ურარტულ ტიპებად არის მიჩნეული (Maxwell-Hyslop 1976:204-205).

სამაჯური, ტიპი III. - სამაჯური, ბოლოებზე წამოცმული ცხოველსახოვანი დეტალით (ტაბ.22). მსგავსი ტიპის სამაჯურები წინარეანტიკური ხანის კოლხურ ოქრომჭედლობაში ერთი ფრაგმენტით არის წამოდგენილი, მუხურჩაში აღმოჩენილი ელექტრუმის სამაჯურის ბოლოზე წამოსაცმელი ნივთის სახით.

დეტალი წარმოადგენს ელექტრუმისგან დამზადებულ, ორი გამოტვიფრული ნახევრის ერთმანეთთან მირჩილვის შედეგად მიღებულ, წელს ზემოთ გამოსახულ ცხოველს. ტორსი გადმოცემულია რელიეფური, წვრილი ზოლებით და სადა მავთულის საყელოთი დაბოლოებული ცილინდრული მილაკით. ცილინდრზე დამაგრებული ფუყე ღეროთი გადმოცემულია ცხოველის ფეხები, რომელიც შეერთებულია ცხოველის თავთან ისე, რომ ჩასაფრებულ პოზაში მყოფ, ჩაცუცქული ცხოველის გამოსახულებას ქმნის. ფართოდ დაღებულ ხახაში უკანა კბილები ცვარას ბურთულებით არის გადმოცემული. წინა კბილები (ეშვები) მკვეთრად არის აქცენტირებული და გადმოცემულია ორი მოღუნული მავთულით გამოყვანილი წვრილი ღეროებით, რაც ჯამში ოთხი კბილის იმიტაციას ქმნის. ნესტოები მკვეთრად არის აქცენტირებული და გადმოცემულია წვრილი მავთულის რგოლებით. თვალები გადმოცემულია რგოლებში ჩასმული ცვარას ბურთულებით. ყურები მორკალულად დარჩილული ფოთლისებური მოყვანილობის ფირფიტებითაა შესრულებული (მსგავსად ურეკის, ერგეტას რგოლებზე გამოსახული ურჩხულის გამოსახულებებისა).

აღნიშნული ნიმუში ახლო სტილისტურ სიახლოვეს ავლენს როგორც თანადროული პერიოდის კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშების ცხოველსახოვან დეტალებთან, ისე კოლხური ბრინჯაოს ნაწარმში ფართოდ გავრცელებულ ფანტასტიკური ცხოველის გამოსახულებებთან (ლორთქიფანიძე 2012:172).

ანალოგიური სახით (ზემო ტანით) გამოსახული ცხოველის ფიგურები წარმოდგენილია თლიას სამაროვნის ადრერკინის ხანის კომპლექსში აღმოჩენილი ბრინჯაოს საკინძებზე (Техов 1977:148-149). ისინი სტილისტური გამოსახვის მანერით - წინა თათებზე დაყრდნობილი ნიკაპით, დაღრენილი, დაღებული ხახით - ახლო მსგავსებას ავლენენ მუხურჩაში აღმოჩენილ აღნიშნულ დეტალთან.

დიადემა (ტაბ.23). გამომდინარე იქიდან, რომ ამ ჯგუფის სამკაულის ფუნქციური დანიშნულება ხშირ შემთხვევაში გამოკვეთილი არ არის, ისინი, ხშირად, სამეცნიერო ლიტერატურაში კისრის რკალების სახელით არის მოხსენიებული.

დიადემა გახლავთ წინარეანტიკური ხანის კოლხეთში გავრცელებული სამკაულის ტიპი, რომელიც, ოდნავ მოგვიანებით, კოლხეთის სამეფოს პრივილეგირებული ფენის სტატუსისა და რელიგიის გამომხატველი ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი ხდება.

ძვირფასი ლითონისგან დამზადებული დიადემები კოლხეთში ძვ. წ. VI საუკუნიდან იწყებს გამოჩენას და პირდაპირ მიანიშნებს სახელმწიფოებრივი სტრუქტურის ჩამოყალიბების ადრეულ ნიშნებს.

კოლხეთის ტერიტორიაზე ძვირფასი ლითონისგან დამზადებული დიადემების ადრეული ვერსიები პირველად ზემო რაჭის რეგიონში იწყებს გამოჩენას.

ისინი წარმოადგენს მსუბუქად გრეხილურ ღეროს სადა, ან გეომეტრიულად ორნამენტირებული ბრტყელი, ფირფიტისებური თავებით. ბრილის სამაროვანზე ისინი ვერცხლის, ოქროსა და ელექტრუმის რამდენიმე ნიმუშით არის წარმოდგენილი (ხშირ შემთხვევაში ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი და რაოდენობის დაკონკრეტება ვერ ხერხდება).

ამ სახის დიადემები ამიერკავკასიაში ძვ. წ. VII-VI საუკუნეების ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი. აღმოჩენის პუნქტებია: ბრილი, სამთავრო, მუხურჩა, მერხეული, თლია, ერგეტა, ნიგვზიანი, ვანი, წითელი შუქურა, კავთისხევი (ჭანიშვილი 2010:136).

რაჭის რეგიონი, აქ გავრცელებული კოლხური ტიპის ვერცხლის დიადემებისა და სხივანა საყურეების ფენომენით, წარმოადგენს წინარეანტიკური და ანტიკური ეპოქების ერთგვარ „შემკვრელ“ პუნქტს - იგი წინარეანტიური ხანის საიუველირო სკოლას პირდაპირ აკავშირებს კლასიკური ხანის კოლხურ ოქრომჭედლობასთან, რომელიც ძვ. წ. V-IV საუკუნეებში უკვე სახელმწიფოებრიობის ამსახველ ერთიან სისტემას ქმნის.

დუგმა (ტაბ.24). დუგმა, იგივე მარყუჟი, ფუნქციურად აბზინდის მსგავსი ტანსაცმლის სამაგრი აქსესუარია. კოლხური კულტურის ფარგლებში მათი გავრცელება საკმაოდ ფართომასშტაბიანია.

ძვირფასი ლითონის ნაწარმში იგი მხოლოდ ერთი ნივთით არის წარმოდგენილი - ცაიშის N1 სამარხ-ორმოში აღმოჩენილი ვერცხლის ან ელექტრუმის ნიმუშის სახით. წარმოადგენს ვერცხლის მოხრილ, ბოლოსკენ შევიწროვებული და შემდეგ გაფართოებულად მოხრილ მრგვალგანივკვეთიან ღეროს. დუგმა დაბოლოებულია სქემატურად გამოსახული ცხოველის თავებით, რომელიც წარმოდგენილია რელიეფურად ამოღარული დეკორებით ისე, რომ სტილისტურად - ფურცლოვანი ყურებით, წრიული, მარცვლოვანი ელემენტით გადმოცემული თვალებით, წნული სახის დეკორით, იმიტირებული საყელოს დეტალებით და მკვეთრად გამოხატული კბილებით, იმეორებს ცვარათი და ფილიგრანის დეტალებით გამოყვანილ გველ-ურჩხულის გამოსახულებებს.

ბეჭედი (ტაბ.25₂). წიანარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშებში ბეჭდები ერთ-ერთ ნაკლებგავრცელებულ ჯგუფს ქმნის.

მუხურჩის ქვედა დასაკრძალავ მოედანზე აღმოჩენილია ვერცხლის ბრტყელი ფირფიტის მილისებურად მოხრის გზით დამზადებული ბეჭედი გახსნილი, ჩახვეული ბოლოებით, მთლიან ზედაპირზე დატანილი გრავირებული, გეომეტრიული ორნამენტით.

აღნიშნული ბეჭედი ფორმით იმეორებს ამავე პერიოდში გავრცელებულ ბრინჯაოს ფირფიტოვან, ბოლოებჩახვეულ სამაჯურებს.

ბრინჯაოს თხელი ფირფიტისგან დამზადებული ბეჭდები ცნობილია ბორჯომის ხეობაში ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების სამარხებიდან (კალანდაძე 1959:185). მათ ორნამენტირებულ ვარიანტებს ასევე ვხვდებით სამთავროს ძვ.წ. VII საუკუნის მეორე ნახევრით და ძვ.წ. VI საუკუნით დათარიღებულ ძეგლებზე (აბრამიშვილი 1957: ტაბ. I19,21; კვირკვაია 2009:100).

ალბათ, უფრო კოლხური ოქრომჭედლობის სტილს უნდა მივაკუთვნოთ ილმაზლოში გათხრილ წინარეანტიკური ხანის ქალის მდიდრულ სამარხში (N7) აღმოჩენილი ოთხი ერთნაირი ელექტრუმის ბეჭედი, ერთმანეთის საპირისპიროდ ჩახვეული ვოლუტებით. ისინი მიცვალებულს ორივე ხელის თითებზე (შუათითი და არათითი) ჰქონდა წამოცმული (გოგოჭური 2013). აღნიშნული ნიმუშები დამზადების

მანერით იმეორებს ცაიშში, დღვაბაში და თლიაში აღმოჩენილ ოქროსა და ვერცხლის სასაფეთქლე ხვიებს. სტილისტურად ისინი ერთიანდება ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ამიერ და იმიერკავკასიაში გავრცელებული ვოლუტებიანი სამკაულის იმ ჯგუფში, რომელიც ევროპიდან შემოსულ კულტურულ იმპულსებთან არის დაკავშირებული (ლორთქიფანიძე 2012; გოგოჭური 2013:35-43).

ინსიგნია (ტაბ.25). ურბნისის ნაქალაქარის მე-16 უბანზე, სამარხის ნაშთში აღმოჩენილი ოქროს ნივთი, წინარეანტიკური ხანის ოქრომჭედლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიმუშია, რომელიც აქ არსებული საზოგადოების სოციალურ დიფერენციაციას და ინტერკულტურულ ურთიერთობებს ყველაზე ნათლად წარმოაჩენს.

ნივთი წარმოადგენს ცილინდრულ ღეროს, ერთ ბოლოზე დამაგრებული ნახევარსფერული „ქუდით“. ღერო დამზადებულია ტყვიის გულაზე ოქროს თხელი, გრანულაციით და ფილიგრანით შემკული ფირფიტის გადაკვრის გზით (ფირფიტას სიგრძეზე, შეერთების ადგილას ეტყობა რჩილვის კვალი). ნახევარსფერული „ქუდის“ ზედაპირზე გავარსით გამოყვანილი ექვსქიმიანი ვარსკვლავია გამოსახული. ნახევარსფერო, ქვედა მხრიდან, ღეროს შეერთების ადგილას, გავარსის ერთი რიგით არის დაფარული. თვითონ ცილინდრული ღერო შემკულია ცვარას ორმაგი რიგებით შედგენილი, ცხრა რიგად დატანილი ტეხილი ხაზებით. ღეროს ქვედა ბოლოსთან, ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეს, ოქროს სადა მავთულისგან დამზადებული საინკრუსტაციო ბუდე აქვს დატანილი, რომელიც ცვარათი შედგენილ სამკუთხედშია ჩასმული (შდრ., ცაიშის სამაროვნის სამკუთხა საკიდებზე წარმოდგენილ დეკორს - სამკუთხედში მოთავსებული ფილიგრანის წრიული საინკრუსტაციო ბუდეები). ღერო დაბოლოებულია გრეხილური ფილიგრანით გამოყვანილი წნული სახის სარტყელით (გაგოშიძე 1976:26).

ნივთი სამეცნიერო ლიტერატურაში პირობითად განხილულია როგორც საკინძისმაგვარი ნივთი (გაგოშიძე 1976, ლორთქიფანიძე 2012). დღევანდელი მონაცემებით, მისი ზუსტი ანალოგი ცნობილია ლორი ბერდის N52 სამარხიდან (Kalantaryan 2007:ტაბ. LII; ლორთქიფანიძე 2012:194). ოდნავ განსხვავებული, თუმცა მსგავსია კარმირ-ბლურში აღმოჩენილი ნივთი, რომელიც როგორც ფორმით, ისე „ქუდის“ დეკორით იმეორებს ურბნისისა და ლორი ბერდის ნიმუშებს (Kalantaryan 2007: ტაბ.XCVIII5). სომხეთში აღმოჩენილ ამ ორ ნივთს შორის ძალიან ფართო

ქრონოლოგიური სხვაობაა, თუმცა, სტილისტური ნიშნებით, ცხადია, ორივე ნიმუში ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევრის საოქრომჭედლო ტრადიციების მატარებელია.

ნივთის ფუნქციური განსაზღვრისთვის და ამ ჯგუფის ნაწარმის დისემინაციის დაზუსტებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მომტანი გახდა რ. დანის სტატია, რომელიც ეხება აიანისის ურარტული ციხე-სიმაგრის საყოფაცხოვრებო ტერიტორიაზე აღმოჩენილ, ოქროსგან დამზადებულ „ერთ უცნაურ არტეფაქტს“ (Dan 2016). ავტორს ნივთის პარალელები ცენტრალური იტალიის ადრეეტრუსკული ოქრომჭედლობის ნიმუშებში აქვს მოძიებული და მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ორ რეგიონს შორის არსებული კულტურული კავშირების წარმოსაჩენად.

აიანისის ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ცილინდრული ნივთი, მასზე არსებული ლურსმული წარწერით, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მომცემი გახდა მისი სოციალური ატრიბუციის განსაზღვრის საქმეში. წარწერაში, რომელიც მიეკუთვნება საეტიკეტო წარწერების კატეგორიას, აღნიშნულია, რომ ნივთი (რომელიც წარწერაში მოხსენიებულია როგორც ტანასი. სიტყვის ინტერპრეტაციისთვის იხ. Salvini 2014: 15-16) არის დედოფალ ქაყულის საკუთრება, რომელიც იყო ურარტუს ერთ-ერთი მეფის, რუსა II-ის (ძვ. წ. 680–639 წწ) დედოფალი (Salvini 2014: 106-107; Dan 2016:17). ვფიქრობთ, აღნიშნული ინფორმაცია სრულიად საკმარისია ურბნისში აღმოჩენილი საკინძის ფუნქციური განსაზღვრისთვის.

ურარტუს რეგიონის გარეთ ამგვარი ნივთების გავრცელების არეალი ცენტრალურ იტალიასა და პალესტინის რეგიონს მოიცავს და სავარაუდოდ ასახავს იმ პროცესებს, როცა ურარტულ ხელოვნებას გავლენა ჰქონდა ვრცელ რეგიონში დასავლეთ აზიიდან ეგეოსის ზღვამდე, ეტრურიის ჩათვლით (Azarpay 1968:74; Dara 2021). ეტრუსკულ ოქროს ნაწარმში, აღმოჩენის კონტექსტის მიხედვით, კარგად არის განსაზღვრული მათი ფუნქციური ატრიბუცია - ისინი ძირითადად მიცვალებულის მხრის არეშია აღმოჩენილი და წარმოადგენს მამაკაცის მოსასხამზე დამაგრებულ ნივთს (Guzzo 1968:303; Cristofani 1985:198).

ნივთის უტილიტარულ დანიშნულებაზე განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული ურარტულ ნიმუშთან დაკავშირებით. ა. ჩილინგიროღლუ აიანისსში აღმოჩენილ ნიმუშს თოპრაკ კალეს ერთ-ერთი გამოსახულებას უკავშირებს - მამაკაცს მარცხენა ხელში უჭირავს მსგავსი ღერო, რომელიც ერთი მხრიდან დაბოლოებული

ბუმბულებით მარაოსებური ნივთის შთაბეჭდილებას ქმნის (Çilingiroglu... 2012:110, fig. 5; Merhav 1991:171). მ. სალვინის აზრით, იგი შესაძლოა იყოს დედოფლის პირადი ატრიბუტი, „სკიპტრა“ (Salvini 2014:17-18). ორივე შემთხვევაში ცხადია, რომ ამ ნივთის პირველადი ფუნქცია მისი მფლობელის სოციალური სტატუსის გამოხატვა უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, მას სკიპტრის, ან ინსიგნიის აქსესუარად მივიჩნევთ.

დამზადების კუთხით ყველა ჯგუფის ნაწარმი ერთმანეთისგან მეტ-ნაკლებად განსახვავებულია, თუმცა აქვთ რაღაც საერთო, რითაც ისინი პრინციპულად უკავშირდებიან ერთმანეთს. ესენია: ცილინდრულ გულაზე (რომელიც შეიძლება დამზადებული ყოფილიყო სხვადასხვა მასალისგან: ვერცხლი, ბრინჯაო, ტყვია, ან ხე) გადაკრული გრანულაციით და ფილიგრანით დეკორირებული ოქროს თხელი ფირფიტა; ცილინდრის რამდენიმე რეგისტრად დაყოფა და „ქუდი“, რომლითაც იგი ბოლოვდება. ხშირ შთხვევაში - მაგ., პალესტინის, ეტრურის ზოგიერთი ნიმუშზე მეორდება ურბნისისა და ლორი-ბერდის ცილინდრულ ღეროზე გამოსახული ცვარათი შედგენილი ტეხილი ხაზების სახე, რითაც კიდევ უფრო ნათელი ხდება მათ შორის იდეურ-ფუნქციური იდენტობის დანახვა.

კოლხეთთან მიმართებაში, საკიდის ორნამენტაცია - გავარსის დასხმის საერთო ხასიათი, ფილიგრანის თვალბუდეები და წნულის სახე, ასევე ტყვიის გულაზე ოქროს ფირფიტის შემოკვრა - ახლო კავშირს პოულობს წინარეანტიკური ხანის კოლხეთის საიუველირო ტრადიციებთან, რითაც იგი უცხო ელემენტის ადგილობრივ სტილზე მორგების კიდევ ერთ საინტერესო სახეს ქმნის.

რაც შეეხება ამ ჯგუფის ნივთების გავრცელების თარიღს, სამივე რეგიონში - ცენტრალური იტალია (Canciani / Von Hase 1979: 24), პალესტინა (Curtis 1919), ურარტუ - ისინი, ძირითადად ძვ. წ. VIII-VII საუკუნეების ძეგლებიდან მომდინარეობს (Dan 2016); ვფიქრობთ, სრულიად სამართლიანი იქნება, თუ ურბნისისა და ლორი ბერდის ნივთებისთვისაც აღნიშნულ თარიღს გავიზიარებთ.

დეკორატიული დეტალები (ტაბ.26,27). ოქროსა და ვერცხლის გაურკვეველი დანიშნულების სხვადასხვა სახის დეტალები წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშებში საკმაოდ სოლიდურ ჯგუფს ქმნის. ისინი ფუნქციურად რამდენიმე ჯგუფს ქმნიან:

დეკორატიული დეტალი I. - სატევრის დეტალები (ტაბ.26). აღნიშნულ ჯგუფში თავმოყრილი დეტალები კოლხური ოქრომჭედლობის ძეგლების საკმაოდ სოლიდურ, მრავალფეროვან და საინტერესო ნიმუშებს აერთიანებს.

ფაქტი, რომ წინარეანტიკური ხანის კოლხეთში იარაღს ძვირფასი ლითონის სხვადასხვაგვარი დეკორატიული ელემენტებით და ნახევრადძვირფასი თვლებით აფორმებდნენ, პირდაპირ მიანიშნებს აქ არსებული საზოგადოების გარკვეული სტატუსით (რელიგიური თუ სოციალური) პრივილერირებულ ფენაზე.

ამ პერიოდში ძვირფასი ლითონით ძირითადად რკინის სატევრები ფორმდებოდა. ამ ფაქტში შეიძლება დავინახოთ რკინის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება და „დაფასება“, რადგან ამ პერიოდის კოლხეთში არსებული პრივილეგირებული ფენის არსებობა, გარკვეულწილად, სწორედ ამ მეტალის ფართო ექსპლუატაციასთან იყო დაკავშირებული.

ძვირფასი ლითონის დეტალებით გაფორმებული სატევრების გავრცელება გარკვეულწილად შეიძლება გარკვეულ კავშირში იყოს ძვ. წ. VIII-VII საუკუნეების სამხრეთ კავკასიაში შემოსულ საბრძოლო იარაღის ახალ ტიპთან - ბიმეტალურ ფიგურულტანიან რკინის მახვილთან ბრინჯაოს ქარქაშითა და ფიგურული ტარით (აბრამიშვილი 1957:132). ისინი სამეცნიერო ლიტერატურაში ე. წ. ურარტული ტიპის მახვილებად არის ცნობილი (ახვლედიანი... 2013:219-225).

ფიგურულტარიანი რკინის მახვილების გავრცელების ძირითადი არეალად ცენტრალური ამიერკავკასია და აღმოსავლეთ ანატოლიის ტერიტორიაა მიჩნეული (Bibler…2008: Taf.163$_{4-6}$, 166$_{1,4}$, 167$_{7}$, 169$_{14-16}$, 170$_{17-20}$, 171$_{21}$; Bibler 2005).

კოლხეთის ტერიტორიაზე ამგვარი მახვილები მინაბაძების სახით არის ცნობილი (ერგეტა, პალური, თლია) და აქ სამთავრული კულტურის გავლენის შედეგად შემოსული ელემენტად მიიჩნევა. აღსანიშნავია, რომ მცხეთაში ისინი, ძირითადად, „წარჩინებული მეომრების“ კომპლექსებშია დადასტურებული (ახვლედიანი... 2013:221).

ამგვარი ფიგურულტარიანი მახვილებისთვის დამახასიათებელი ჩვენთვის საინტერესო დეტალებია: ბრინჯაოს ბრტყელი ფირფიტისაგან დამზადებული ქარქაშის ნაწილები - ბრინჯაოს ეს ფირფიტები მახვილის ხის ქარქაშს მხოლოდ თავსა და ბოლოში ქონდა შემორტყმული.; ასევე, ტარის დეკორაციულ ელემენტებად გამოყენებული დაფანჯრული დეტალები (ახვლედიანი... 2013).

ძვირფასი ლითონისგან დამზადებული სატევრის დეკორატიული ფრაგმენტები: სალტეები, ტარის დაფანჯრული და ინკრუსტირებული დეტალები, ქარქაშის და ტარის შესამკობელი სალტეები, თითქოს სწორედ ზემოთგანხილული მახვილების დეტალებთან პოულობს საერთოს, შესაბამისად, შესაძლოა კოლხეთში ძვირფასი ლითონით რკინის სატევრების შემკობის პრაქტიკა სწორედ ამ ტიპის ნაწარმის გავრცელებასთან იყოს კავშირში.

დეკორატიული დეტალი I.1. - სატევრის ტარის სალტე (ტაბ.26). წინარეანტიკური ხანის კოლხურ ოქროჭედლობაში, ერგეტისა და ცაიშის კოლექტიურ ორმო-სამარხებში ელექტრუმის და ვერცხლისგან დამზადებული სალტეები არაერთი ნიმუშით არის წარმოდგენილი. ისინი ფუნქციურად განსაზღვრულია მათი აღმოჩენის ვითარებიდან გამომდინარე. ვერცხლის ბევრი ნიმუში ცუდათაა შემორჩენილი. ზოგი მათგანი დეკორირებულია ინკრუსტაციით - საკმაო სიხშირით დატანილი სარდიონის წრიული თვლებით (ერგეტა I – N5; ერგეტა III-N4).

დეკორატიული დეტალი I.2. - სატევრის ტარის ღილაკები (ტაბ.26). ალბათ, სატევრის ტარის, კონკრეტულად კი მის თავზე ჩასასმელ შესამკობ დეტალებს წარმოადგენს ელექტრუმის ცვარათი და ინკრუსტაციით გაფორმებული თვლები, რომელიც ცაიშის სამაროვანზე ორი ნიმუშის სახით არის წარმოდგენილი (პაპუაშვილი... 2015).

დამზადებულია შემდეგნაირად: წრიულად მოხრილი ელექტრუმის ფირფიტა ორივე მხრიდან ფირფიტისავე დეტალებით არის დაფარული ისე, რომ დოლისებური ფორმის დაბალ ცილინდრს ქმნის. ზემოთა მხრიდან დარჩილული ფირფიტა ოდნავ ამობურცული მოყვანილობისაა. ცილინდრს ზედა კიდეზე შემოუყვება სადა მავთულის ღერო, რომელიც მას აქ ოდნავ მოზრდილ დიამეტრს უქმნის. ფილიგრანული ღერო შიდა მხრიდან ცვარას ბურთულების ერთი რიგით არის შემოსაზღვრული, რომელზეც ასეთივე ათი ბურთულისგან შედგენილი, წვერით ცენტრისკენ მიმართული ექვსი სამკუთხედია მოთავსებული. სამკუთხედის წვერებთან დარჩილულია სადა მავთულის წრე - ცენტრი. არე, ცვარათი შედგენილ დეტალებს შორის და ცენტრის შიგნით, ბასრი იარაღით ისეა ჩაჭრილი, რომ ზედმეტი (ჩაჭრილი) დეტალები ნივთს მოცილებული არ აქვს და შიდა მხარეს აქვს ჩაბრუნებული. იგი ტექნოლოგიური კუთხით იმეორებს ფარცხანაყანევისა და ცხინვალის მძივებზე, ცაიშის რომბისებური ფორმის ჭვირულ საკიდზე და კალათისებურ საყურეებზე წარმოდგენილ მანერას. როგორც ჩანს, ნივთი შიგნით

ამოვსებული იყო გარკვეული სახის მასით. ჩაჭრილი არე ინკრუსტირებული იყო ქარვის თვლებით (შესაძლოა შიგნიდანაც ქარვით იყო შევსებული). აღნიშნული დეტალები, თანადროული პერიოდის ოქრომჭედლობის ნიმუშებთან, გარდა ტექნოლოგიური მანერისა, საერთოს პოულობს დეკორის მხრივაც - წვერით ცენტრისკენ მიმართული ცვარათი შედგენილი სამკუთხედები იმეორებს ცხინვალის და ფარცხანაყანევის მძივებზე, ურბნისის საკინძზე, სამთავროს სამკუთხა საკიდებზე დატანილ სოლარულ დეკორს.

დეკორატიული დეტალი I.3 - ქარქაშის დეკორატიული ლენტი (ტაბ.26). კოლხური ოქრომჭედლობის უნიკალური ნიმუშია ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ცაიშის N1 სამარხ-ორმოში აღმოჩენილი, სავარაუდოდ, ტყავის ქარქაშის დეკორატიული სარტყელი (ნივთის ატრიბუცია განსაზღვრულია აღმოჩენის ვითარებიდან გამომდინარე - პაპუაშვილი... 2015).

ნივთი წარმოადგენს მართკუთხა მოყვანილობის (17x3 სმ) ჭვირულ, ქარვის თვლებით ინკრუსტირებულ ნივთს. იგი დამზადებულია ოქროს მთლიანი ფირფიტის სასურველ ორნამენტულ ფორმაზე - მართკუთხა ჩარჩოში მოთავსებული ცხრა რომბი - გამოჭრის გზით. ჩარჩო და რომბისებური დეტალები ტვიფრით გამოყვანილი დეკორით არის შემკული - ჩარჩოზე გამოყვანილია წნული სახე, რომბებზე კი - მცირე ზომის რომბები. მისი შუა ნაწილიც ამავე ფორმებზეა ამოჭრილი და ინკრუსტირებულია ქარვის თვლებით. მართკუთხედს კიდეები შემოკეცილი აქვს და უკანა მხრიდან რკინის ჟანგის დეტალებით არის დაფარული.

ძვირფასი ლითონით შემკულ სარიტუალო იარაღს ვხვდებით როგორც ევროპული, ისე აღმოსავლური სამყაროს ძეგლებზე. მაგ., ჰასანლუს რკინის ხანის ფენაში აღმოჩენილია ოქროს სალტეებით გაფორმებული რკინის სატევრები (მაგ. იხ. Thornton 2011:164), შესაძლოა ამ ეპოქაში ეს ტრადიციაც, გარკვეული სახით, ორიენტალიზებულ ტენდენციებად მივიჩნიოთ.

დეკორატიული დეტალი II. - დასაკერებლები (ტაბ.27). დასაკერებელი გახლავთ წინარეანტიკურ ხანაში გაჩენილი დეტალი, რომელიც კოლხურ ოქრომჭედლობაში მხოლოდ ძვ. წ. VI საუკუნიდან იჩენს თავს.

დღევანდელი მონაცემებით, ამ სახის ნაწარმის ადრეული ნიმუში მხოლოდ ყაზბეგის განძში აღმოჩენილი მხედრის გამოსახულებებით არის წარმოდგენილი - ნივთებზე წარმოდგენილი ყველა ნაკვთი ტვიფრით გამოყვანილი რელიეფური დეტალებით

არის გადმოცემული. მათზე გამოყვანილი ადამიანის სახეები გამოსახვის მანერით (არარეალისტურად გამოსახული ფართე, მრგვალი სახეები) იდენტურია ხაიშის განძის საკიდზე წარმოდგენილი ანთროპომორფული დეტალების (ლორთქიფანიძე 2012:208). ზოგადი ფორმით - გვერდულად შემობრუნებული მხედრის ფიგურები - ისინი იმეორებს ამავე განძში აღმოჩენილ ბრინჯაოს დაფანჯრულ ეჟვნებზე წარმოდგენილი მხედრის სკულპტურულ გამოსახულებებს

დეკორატიული დეტალი III. - სარტყლისმაგვარი დეტალები (ტაბ.27). ამ ჯგუფში ერთიანდება ოქროს თხელი ფირფიტის სარტყლისმაგვარ ნივთები, რომლებიც განსხვავებული მასალის გულაზე გვერდების მექანიკური შემოკეცვის გზით იყო გადაკრული. მსგავსი ნივთები აღმოჩენილია ცაიშის N1 სამარხ-ორმოსა და ზემო რაჭაში, ადგილ ფიცრიხულაზე, შემთხვევითი აღმოჩენის სახით (გ. გობეჯიშვილის გათხრები).

რაჭისა და ცაიშის ნივთები სტილისტურად ერთნაირ სახეს ქმნის - ორივე ნიმუში ტვიფრით და შტამპით გამოყვანილი გეომეტრიული სახეებით არის შემკული, მსგავსია მათი ზომები და გვერდების შემოკეცვის მანერაც.

ცაიშის ნიმუში შედარებით მეტი რაოდენობით (სიგანე 1.5 სმ; სიგრძე დაახლოებით 10 სმ-მდე) შემორჩენილი ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი. მასზე გამოსახული ორნამენტული სახე თეგვითა და ნაკაწრი ხაზებით გამოსახულ, წრეებით შევსებულ მეანდრულ გამოსახულებას ქმნის.

რაჭაში აღმოჩენილი ნიმუში ერთი მცირე ფრაგმენტით არის წარმოდგენილი. მასზე ტვიფრით გამოყვანილია ერთ მხარეს მიმართული, წერტილებით შევსებული ტეხილი ხაზები.

დეკორატიული დეტალი IV. - გაურკვეველი დანიშნულების ფირფიტა ზოომორფული დეკორით (ტაბ.27). ამ ჯგუფში შედის ნოსირის განძში აღმოჩენილი ელექტრუმის ფირფიტა (2.7 სმ სიგრძის დეტალია), რომელზეც დაბალი რელიეფით გამოყვანილი ლომის წინა ნაწილია გამოსახული.

რელიეფი ამოყვანილია ზურგიდან თეგვით, შემდეგ გამოსახულება ზედაპირიდან დამუშავებულია საჭრისებით. ლომის თავი მარჯვენა პროფილშია მოცემული: გამოსახულია ფართოდ დაღებული პირით, ზედა და ქვედა ყბაზე გამოკვეთილი ეშვებით, აწეული ერთი თათით.

ნივთი ი. გაგოშიძის კვლევით ჭურჭლის დეტალს უნდა წარმოადგენდეს. ცხოველის გამოსახვის მანერით იგი უკავშირდება ჩრდილო და დასავლეთ ირანში, განსაკუთრებით მარლიკსა და ამლაშში აღმოჩენილ ძვ. წ. IX-VIII საუკუნეებით დათარიღებულ, რელიეფური ფრიზებით შემკულ ოქროს სასმისებს (გაგოშიძე 1976:14; Negahban 1977).

ლომის გამოსახულებას ყველაზე ახლო პარალელები, მეწამორის გვიანბრინჯაოს ხანით დათარიღებულ (ძვ. წ. XII-XI სს) N11 სამარხში აღმოჩენილი ოქროს ფირფიტის ლომის ფორმის აპლიკაციებში ეძებნება (Kalantaryan 2007: Tab. LXIX1). აღნიშნული გამოსახულებები ერთმანეთს იმეორებენ როგორც გამოსახვის მანერით, ისე ნაკვთების გამოყვანის დეკორატიული დეტალებით.

ნოსირის განძში აღმოჩენილი ნიმუში მნიშვნელოვანია, რამდენადაც იგი პირდაპირ მიუთითებს აღმოსავლეთის რეგიონებთან დამყარებულ მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირზე. არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნული ფრაგმენტი კოლხეთის რეგიონში „ჯართის“ სახითაც იყოს შემოსული. რადგან ასეთი რელიეფური დეკორით შემკული ლითონის ჭურჭელი ამ პერიოდის კოლხეთისთვის სრულიად უცხოა.

თავი IV. სტილი და რელიგიური ასპექტები წინარეანტიკური ხანის საიუველირო ნაწარმში

მხატვრული ხელოსნობის ნაწარმის კვლევისას, ადგილობრივი საზოგადოების ნივთების ფუნქციის და ღირებულებების დეშიფრირება ერთ-ერთი ყველაზე რთული ნაწილია. უძველეს კოლხურ ოქრომჭედლობასთან მიმართებაში ამას კიდევ უფრო ართულებს არტეფაქტების აღმოჩენის კონტექსტის სპეციფიკური, ნაკლებინფორმაციული ხასიათი და წერილობითი წყაროების არარსებობა. შესაბამისად, კოლხეთის უძველესი ოქრომჭედლობის ნიმუშების სოციალურ-რელიგიური ასპექტების განსაზღვრა, ძირითადად, მათი სტილისა და კულტურის კომპონენტების ინტერპრეტაციებზეა დაფუძნებული.

სტილი არის ერთ-ერთი ამოსავალი წერტილი ძველი საზოგადოების მატერიალური კულტურების გამიჯვნისა და შესწავლის საქმეში. სპეციალისტთა განმარტებით, იგი არის დროისა და ადგილის კონკრეტულ მონაკვეთში რაიმე კონკრეტულის გაკეთების სპეციფიკური მანერა, რომელსაც კონკრეტული საზოგადოება ირჩევს ფუნქციურად თანაბარ მრავალ ალტერნატივას შორის (Sackett 1982:63, 113–115; Hegmon 1992:517–518; Golani 2013:69). ამგვარ არჩევანს უ. რუდოლფი უწოდებს „პირველადი განსაზღვრის კონტექსტს“ (Rudolph 1996:14), რომელიც ეხება არა მხოლოდ ხელოსნის და/ან მომხმარებლის მიერ ობიექტის შექმნის არჩევანს, არამედ თავად საგნის დანიშნულებასაც (დაკრძალვის რიტუალის, ვოტივური, ამულეტური და ა.შ.). სტილის დახმარებით ჩვენ შეგვიძლია ამოვიკითხოთ პირდაპირი თუ არაპირდაპირი კომუნიკაციის ის ფორმები რომლებიც გავლენას ახდენს ამა თუ იმ საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესებზე.

როგორც წესი, საიუველირო ხელოსნობა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში იყენებს ტრადიციულ სიმბოლოებს, ფორმებსა და მოტივებს, ასახავს მხოლოდ ერთი საზოგადოების იდეოლოგიას, მაგრამ მთლიანობაში ან ნაწილობრივ, ყალიბდება სხვა კულტურებთან ურთიერთქმედების შედეგად, რომელიც, ძირითადად, სავაჭრო და პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთგავლენებს ეფუძვნება (Golani 2013:67). კოლხურ ბრინჯაოს კულტურაში დამკვიდრებული საიუველირო ხელოსნობის სტილიც, სწორედ ამ მოდელს შეესაბამება. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კავკასია თავისი

ადგილმდებარეობით ყოველთვის წრმოადგენდა დასავლური და აღმოსავლური კულტურების ერთ-ერთ გზაჯვარედინს, თუ ერთგვარ ტრანზიტულ ზონას და იყო სხვადასხვა ტრადიციების თანხვედრის მნიშვნელოვანი არეალი, განვითარების არც ერთ ეტაპზე დაუკარგავს ის ადგილობრივი ხაზი, რომელიც მას ინდივიდუალურ ტრადიციებზე დაფუძნებულ კულტურულ არეალად აყალიბებდა.

ძვირფასი ლითონის ნაწარმში, მასალის ფასეულობიდან გამომდინარე, ყველაზე მეტად არის ჩაქსოვილი საზოგადოების მნიშვნელოვანი იდეოლოგიური მხარეები, თუმცა, ამ ჯგუფის ნაწარმის მინიატურული ზომების გამო, რასაც, ალბათ, ნედლეულის სიმცირე განაპირობებდა, მხატვრული ხელოსნები, ამა თუ იმ იდეის გამოსახვაში ვერ იქნებოდნენ ისე თავისუფლები, როგორც ეს ბრინჯაოს, ან სხვა ნაკლებ ძვირფას ლითონზე იქნებოდა შესაძლებელი. საფიქრებელია, რომ, ამ დროს, ორნამენტი იძენდა გარკვეულ სემიოტიკურ ფუნქციას - ე. ი. თითოეულ სიმბოლოსა თუ მათი კომბინაციების მიღმა იგულისხმებოდა საზოგადოების რელიგიის მთელი რიგი დეტალები.

ძველ საზოგადოებაში კონკრეტული ჯგუფის მიერ შემუშავებული სტილი, მისი განვითარების არც ერთ ეტაპზე არ ატარებდა მხოლოდ დეკორატიულ ფუნქციას და, გარკვეული დოზით, დაკავშირებული იყო ადგილობრივ რელიგიურ წარმოდგენებთან (Hoffmann 1965:13; ჭყონია 2001). უძველესი კოლხური ოქრომჭედლობის სტილისტურ-სემანტიკური ანალიზით კიდევ ერთხელ ვლინდება, რომ გვიანბრინჯაო-ადრერკინის კოლხეთში მოღვაწე იუველირები ძვირფასი ლითონის ნაწარმს ქმნიდნენ აქ დამკვიდრებული მხატვრული ტრადიციებისა და რელიგიურ-იდეოლოგიურ ბაზაზე, რომელსაც საოცარი ჰარმონიულობით და იმპროვიზაცის მანერით უხამებდნენ მსოფლიოს წამყვან ცენტრებში გავრცელებულ ტენდენციებს.

ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედიდან კოლხეთში, ისევე როგორც მთელი დასავლური სამყაროს წამყვან კულტურულ ცენტრებში, აქტიურად ინერგება ორიენტალისტური სამყაროს საიუველირო ტრადიციები, თუმცა, ადგილობრივ მხატვრულ გემოვნებაზე მორგებული იკონოგრაფიულ-ტექნოლოგიური სტილი მას იმ გამორჩეულობასა და ინდივიდუალურ სახეს აძლევს, რომელსაც კოლხური ოქრომჭედლობა განვითარების თითქმის ყველა ეტაპზე ატარებს.

კოლხეთში მოღვაწე იუველირები ორიენტალისტური სტილის საოქრომჭედლო ცენტრებიდან ითვისებენ მხოლოდ მათთვის საინტერესო ფორმებს - მათი იკონოგრაფიული სახეები, უმეტესწილად, ფილიგრანით და ცვარათი გამოყვანილი გეომეტრიულ ფიგურებისა და, ზოგჯერ, მათთან შეხამებული ცხოველსახოვანი ელემენტებისგან შედგება. მათ არ გადმოაქვთ აღმოსავლურ საიუველირო ცენტრებში დამკვიდრებული ანთროპომორფული და მცენარეული მოტივებით წარმოდგენილი რთული მითოლოგიური სიუჟეტები და მთელ რიგ რელიგიურ-სოციალურ ღირებულებებს სტილისტური ერთიანობით წარმოდგენილ ორნამენტულ მოტივებში ათავსებენ. აღსანიშნავია, რომ ცხოველსახოვან დეკორში გადმოცემული მხატვრული სახეების გამოსახვის მანერა, მხოლოდ კოლხეთისთვის დამახასიათებელი მხატვრული სტილის ნაწილია.

დღევანდელი მონაცემებით გამოვლენილ კოლხეთის უძველეს საიუველირო ხელობაში, განვითარების პირველ ეტაპზე - ძვ. წ. II ათასწლეული (I ქრ. ჯგ.) - იკვეთება უფრო ევროპასა და ეგეოსურ სამყაროში არსებული კულტურული ტრადიციები, რომელიც, გარკვეული დოზით, ადგილობრივ ბრინჯაოს ნაწარმსა და კულტურის ელემენტებშიც (მაგ. ბრინჯაოს განძების ფენომენი) აისახება. მინოსური ოქრომჭედლობის სტილში ჯდება გვიანბრინჯაოს ხანით დათარიღებული ვერცხლის სადა ფირფიტისგან დამზადებული თავსამკაულის ფოთლისებური დეტალები (შესაძლოა იყოს დიადემის ფრაგმენტები), ვოლუტებიანი სასაფეთქლეები და სხვადასხვა სახეებით დაშტამპული ტერაკოტული მძივების ოქროს ფოლგის გარსაკრავები. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის ვერცხლისა და ოქროს ნივთების უმეტესობა (მაგ., 1.5-იანი, 3-იანი და ვოლუტებიანი სასაფეთქლე ხვიები, ვერცხლის საკინძი ვერძის თავის დუბლირებული გამოსახულებით), როგორც ფორმით, ისე ტექნოლოგიური ხერხებით, იმეორებს ადგილობრივი ბრინჯაოს ნაწარმში გავრცელებულ სახეებს.

ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედის კოლხეთის საიუველირო საქმიანობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება - ამ პერიოდში ეყრება საფუძველი ყველა იმ ძირითად სტილისტურ მიმართულებას, რომელსაც კოლხური ოქრომჭედლობა მისი განვითარების მომდევნო ეტაპზე, ძვ. წ. V-IV საუკუნეებში, უკვე განსხვავებული სახით წარმოაჩენს.

ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან კოლხეთში მკვიდრდება ორიენტალისტური სტილის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ელემენტები - გრანულაცია და ფილიგრანი. ამ პერიოდში უკვე ყველა ნიშანი არსებობს იმის, რომ კოლხეთი „საერთაშორისო“ ეკონომიკური ვაჭრობის სფეროში ჩართულ, დაწინაურებულ მხარედ მოვიაზროთ, რომელსაც ფართო დისტრიბუციაზე გააქვს თავისი მდიდარი ბუნებრივი რესურსი და ამ ურთიერთობების პროცესში ითვისებს ყველა იმ ინოვაციურ კულტურულ ელემენტს, რომელიც ამ მოვლენების შედეგად ჩამოყალიბებულ, ეკონომიკურად დაწინაურებულ საზოგადოებას სტატუსისა და იდეოლოგიის წარმოსაჩენად ესაჭიროება - ეს კი, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივი რელიგიური იდეოლოგიით გამსჭვალული ძვირფასი ლითონის ნაწარმია.

საიუველირო ნაწარმის ტექნოლოგიური ხერხების სტანდარტიზაცია, რომელიც ძვ. წ. IX-VIII საუკუნეებიდან მოყოლებული მრავალ კულტურულ არეალში შეინიშნებოდა (Maxwell-Hyslop 1976:202), რა თქმა უნდა, კოლხეთსაც შეეხო, თუმცა ისე არა, რომ აქ არსებული განვითარების ინდივიდუალური ხაზი წაეშალა - კოლხეთის უძველეს საიუველირო ნაწარმში წარმოჩენილი იდეოლოგია პირდაპირ ეხმიანება ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ადგილობრივ კულტურაში დამკვიდრებულ სოციალურ-რელიგიურ ფონს, თუმცა კონკრეტული იდეების გამოსახვის მანერით, ორიენტალისტურ ცენტრებში დამკვიდრებული საიუველირო ტრადიციების მატარებელია.

ოქრომჭედლობა და არგონავტების მითში ასახული რეალიები:

ძველი კოლხური ოქრომჭედლობის რელიგიურ-იდეოლოგიური მხარეების კვლევისას, მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია ლეგენდათა ციკლი ოქროს საწმისისა და არგონავტების შესახებ, რომლის ზოგი დეტალი კოლხეთში გამოვლენილ არაერთ არქეოლოგიურ მონაცემთან პოულობს კავშირს. მაგ., არის მოსაზრება, რომ აიეტის მიერ იასონისთვის მიცემული დავალება/გამოცდა: სპილენძის ცეცხლისმფრქვეველი ხარების უღელში შებმა და არესის ველის მოხვნა შეიძლება ასახავდეს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხეთში არქეოლოგიური მონაცემების შედეგად გამოვლენილ განვითარებულ მიწათმოქმედებასა და ნაყოფიერებასთან დაკავშირებული ხარის კულტის არსებობას. ამასთან მიმართებაში აღსანიშნავია ურეკის სამაროვანზე აღმოჩენილი ხარის ქანდაკება შუბლისკენ დახვეული რქებით, რომელზეც თ. მიქელაძე მიუთითებს: *„სრულიად აშკარაა, რომ*

ხარღვთაების გამოსახულებასთან გვაქვს საქმე, გუთნური მიწათმოქმედების მამოძრავებელ, გაღმერთებულ გამწევ ძალასთან, რომელიც არგონავტების მითში ასახული ცეცხლისმფრქვეველი და სპილენძისჩლიქიანი ხარების ანარეკლია“ (მიქელაძე 1985:60).

კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშებში ხარის კულტი ასახულია სიმაგრეში აღმოჩენილი ფილიგრანის წნულით მოჩარჩოებული სამკუთხა საკიდის დეკორატიულ დეტალებში - მისი ერთი მხარე ხარის პირი-სახის სტილიზებული გამოსახულებებით არის შემკული. თ. მიქელაძის აზრით, საკიდი მთლიანობაშიც ამ იდეის მატარებელია. ფაქტი, რომ ხარის გამოსახულებები მომავალი, კლასიკური ხანის კოლხეთშიც აქტუალურად განაგრძობს არსებობას, ამ კულტის განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და ხანგრძლივ ტრადიციებზე მიუთითებს. ხართან მიმართებაში, ასევე საინტერესოა კოლხურ თეთრზე, ქალღმერთისა (ავერსი) და ხარის (რევერსი) გამოსახულებების შეხამების ფაქტი, სადაც ქალღვთაება მონეტის მთავარ გამოსახულებას წარმოადგენს. ეს აშკარას ხდის ხარის დიდი დედის კულტთან ატრიბუციის საკითხს (მიქელაძე 1985:61-62).

კოლხურ თეთრებზე ქალღვთაებისა და ხარღვთაების გამოსახულებათა შეხამების თვალსაზრისით, შეიძლება საინტერესო პარალელი გამოდგეს სიმაგრის საკიდის იკონოგრაფიული სახე, სადაც ერთ მხარეს გამოსახული სვასტიკების რიგი (მეანდრი) ქალღვთაების, ხოლო მეორე მხარეს გამოსახული ხარის თავები - ხარღვთაების სიმბოლურ სახედ უნდა იქნას აღქმული.

არ არის გამორიცხული, ვანსა და ლორი ბერდში აღმოჩენილი ნიმუშებიც იგივე შინაარსის მატარებელი იყოს - მათ ავერსზე გამოსახული თაგვის მსგავსი არსებები „დიდ დედასთან“ დაკავშირებული ქტონიური ბუნების ამსახველი კულტის (ლორთქიფანიძე 2012), ხოლო ცვარათი შედგენილი წვერით ქვემოთ მიმართული სამკუთხედები ქალღმერთის სიმბოლური გამოსახულებები იყოს.

რაც შეეხება ხარისა და სამკუთხედის კომბინაციას, ადრეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშებში მათი კავშირი კვლავ არის გამოხატული ხარის თავის ფორმის საკიდებში, რომელზეც, როგორც ა. ჭყონია განმარტავს, ხარის საღვთო ხასიათი ხაზგასმულია შუბლზე დასმული ნიშნით - ცვარათი გამოყვანილი სამკუთხედით (ჭყონია 1981:38).

ცვარათი შედგენილ სამკუთხედებთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია ძვ. წ. II ათასწლეულის სირია-პალესტინის ძეგლებზე გავრცელებული საკიდების ერთი ჯგუფი, რომელიც წვერით ქვემოთ მიმართულ სამკუთხა ფირფიტაზე გამოსახულ შიშველი ქალღმერთის ფიგურას (რომელიც ხშირ შემთხვევაში ორნამენტირებულ ჩარჩოშია ჩასმული) გამოსახავს. საკიდების ეს ჯგუფი სირიულ-პალესტინური ოქრომჭედლობის ნიმუშებში სხვადასხვა ვარიაციებით არის წარმოდგენილი და იდეოლოგიურად ქანაანურ-ფინიკიური წარმოშობის ნაყოფიერების ქალღმერთ აშტარტას უკავშირდება. ზოგ შემთხვევაში ქალღმერთი ცხოველებთან - ირემთან, გველთან, ლომთან და სხვ; ან ფრინველებთან ერთად არის გამოსახული (მაგ. იხ. ლუვრის მუზ. AO 14714), ზოგჯერ კი შედარებით სქემატურად - სახის, მკერდისა და ბოქვენის არეში გამოსახული წერტილებით შევსებული წვერით ქვემოთ მიმართული სამკუთხედის სიმბოლოთი (იხ. British Museum N130761). სწორედ ეს უკანასკნელი იკონოგრაფიული დეტალი გვიქმნის საფუძველს, ცვარათი შედგენილი სამკუთხედები ქალღმერთის სიმბოლიკას დავუკავშიროთ.

ამრიგად, ერთი და იგივე ნივთზე სხვადასხვა იკონოგრაფიული სახის შეხამება (მაგ., როგორც ეს ფილიგრანის წნულით მოჩარჩოებული სამკუთხა საკიდების შემთხვევაშია მოცემული) არა მათი შინაარსის ცვლაზე, არამედ ერთი და იგივე იდეის განსხვავებული ატრიბუციით წარმოჩენაზე უნდა მეტყველებდეს. ამის მაგალითები მოგვიანო პერიოდის კოლხურ თეთრზე გამოსახულ იკონოგრაფიულ სახეებშიც შეგვიძლია დავინახოთ ლომისა და ქალღვთაების გამოსახულებების ცვლით (მიქელაძე 1985:65-66).

არგონავტების მითში ასახული მოვლენების კიდევ ერთი ანარეკლია ვერძის, როგორც საკულტო ცხოველის პოპულარობა ბრინჯაოს ხანის კავკასიაში. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ძვ. წ. II ათასწლეულის რაჭასა და სვანეთში გამოვლენილი ვერძის, მფრინავი ვერძისა და ჰიბრიდული ვერძ-ჩიტის/ცხვარ-ჩიტის გამოსახულებები, რომლებშიც აშკარად იკვეთება ფრიქსეს ეპიზოდში ასახული მფრინავი ვერძის სახე. კოლხეთის უძველეს საიუველირო ნაწარმში ვერძის გამოსახულებებს (დუბლირებული ვერძის თავები) ვხვდებით ჩოლოქისპირა ნამოსახლარზე აღმოჩენილ ვერცხლის საკინძზე.

ბრინჯაოს ხანის მხატვრულ ხელოსნობაში წარმოჩენილი ვერძის ფიგურების განსაკუთრებულ პოპულარობასთან ერთად თუ გავითვალისწინებთ ამ სახეების

აქტუალობას მომდევნო, კლასიკური ხანის ოქრომჭედლობის იკონოგრაფიაში, დავინახავთ მის განსაკუთრებულ ადგილს კოლხთა რწმენა-წარმოდგენებში (ლორთქიფანიძე 2012:246). ძველ სამყაროში ვერძის, როგორც რელიგიური სიმბოლოს იდენტიფიკაციას ისევ ბუნების დიდი დედის კულტთან მივყავართ - იგი ანტიკურ სამყაროში გააზრებულია როგორც ქალღვთაებისადმი შეწირული ცხოველი (ლორთქიფანიძე 2012: 246; Belfiore 2010: 120).

არგონავტების ლეგენდის კიდევ ერთ გამოხმაურებად შეიძლება მივიჩნიოთ წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის ერთ-ერთი დამახასიათებელი სახე - ურჩხულის/გველის გამოსახულებები (ესენია გველ-ურჩხულის თავით დაბოლოებული სასაფეთქლეები, სამაჯურები და, იშვიათად, საკისრეები). ისინი, ხშირ შემთხვევაში, აგრესიულ მდგომარეობაშია გამოსახული და, შესაძლოა, არგონავტების მითში ასახულ ოქროს საწმისის მცველ გველეშაპებსაც განასახიერებდნენ (ლორთქიფანიძე 2012: 212).

არგონავტების ლეგენდების ციკლთან დაკავშირებულ მოვლენებში, ძველ კოლხეთში არსებული მატრიარქალური რელიგიის იდენტიფიკაციის კუთხით, მნიშვნელოვანია თვითონ მედეას სახეც. მისი ზებუნებრივი ჯადოქრული უნარები, რომელიც მას ადრინდელი მატრიარქალური რელიგიის დიდი ქალღმერთის, ან დედა ქალღმერთის ნაყოფიერების იდეასთან აკავშირებს, გვიქმნის საფუძველს, მასში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხეთში ფართოდ გავრცელებული დიდი დედის სიმბოლური სახე დავინახოთ.

ერთ-ერთი მიზეზი, რამაც ძველ კოლხეთში ბუნების დიდი დედის რელიგიური სახის დამკვიდრება განაპირობა, იყო მეურნეობის დაწინაურებული დარგები - მესაქონლეობა და მიწათმოქმედება. სიცოცხლის, ნაყოფიერების, მიწათმოქმედების და პირუტყვთა მფარველი ე. წ. „ბუნების დიდი დედა“, თავისი შინაარსით, უძველესი პრეისტორიული ხანიდან გავრცელებული ქალღვთაებების (შუმერული ინანა, ეგვიპტური ისიდა, ფრიგიული კიბელა, ბერძნული რეა, არტემიდა და სხვ.) სახეა, რომელიც კოლხეთში თავისებური ინტერპრეტაციით იჩენს თავს და რომლის იდეოლოგია კოლხური კულტურის მხატვრული სტილის თითქმის ყველა მიმართულებაში ვლინდება.

ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში კოლხეთში დიდი დედის კულტის არსებობა აქ აღმოჩენილი ფეხზე მდგომი და ცხენზე გვერდულად მჯდომი ბავშვიანი

ქალების ბრინჯაოს სკულპტურული გამოსახულებებით კარგად დასტურდება (მიქელაძე 1985:63-64; პაპუაშვილი....2015). ამ ფონზე კი სრულიად ნათელი ხდება წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის იკონოგრაფიული სახეების ქალღვთაების კულტთან კავშირი. მართალია დიდი დედის ანთროპომორფული გამოსახულებები ჯერჯერობით კოლხური ოქრომჭედლობის განვითარების არც ერთ ეტაპზეა ცნობილი, თუმცა საკმაოდ მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი მასთან დაკავშირებული სხვადასხვა სიმბოლური ელემენტებით.

<u>გეომეტრიული სახეები:</u>

ძველ კოლხურ ოქრომჭედლობაში დიდ დედასთან დაკავშირებული სიმბოლური სახეებიდან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია **სვასტიკა** - სიცოცხლის, ნაყოფიერების და მარადიულობის სიმბოლო.

სვასტიკა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებული ორნამენტული სახეა, რომელშიც ძველი საზოგადოების რელიგიური შეხედულებების კონსერვატიული ხასიათი ყველაზე ნათლად იკითხება. კოლხეთში ამ სიმბოლოს განსაკუთრებულობაზე მეტყველებს მისი ხშირი გამოყენება კოლხური ბრინჯაოს მხატვრული ხელოსნობის გრაფიკულ დეკორში (ფანცხავა 1985:49-59).

კოლხურ ოქრომჭედლობაში ცვარათი გამოყვანილი სვასტიკის სახეს ვხვდებით როგორც ცენტრალურ დეკორატიულ ელემენტად, ისე ორნამენტთან კომბინაციაში. იგივე ითქმის ცვარათი გამოყვანილი მეანდრის გამოსახულებებზე, რომელიც სვასტიკის რთულ ფორმად არის მიჩნეული და იდეოლოგიურად იგივე ფუნქციის მატარებელია.

სვასტიკის სიმბოლოს მნიშვნელობა კარგად ჩანს ჯერ კიდევ მის ადრეულ ვერსიებში - მაგ., სირიაში, სამარას კულტურის სარიტუალო თასებზე გამოსახული ხის ტოტებიანი და კვირტებიანი ვერსიები (Goff 1963), რომელიც განვითარების მომდევნო ეტაპზე წმინდა გეომეტრიული სვასტიკის სახეს იძენს, სიცოცხლის ხის იდეის მატარებელია და მოგვიანო პერიოდში ქალღვთაებების გამოსახულებებით წარმოდგენილი კულტის - როგორც ნაყოფიერების, სიცოცხლის, განახლების სიმბოლოს მთავარი ატრიბუტი ხდება. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ტროაში აღმოჩენილი ქალღვთაების გამოსახულება, ბოქვენის არეში გამოსახული კვირტისმაგვარი სახეებით გაფორმებული სამკუთხედით, რომელშიც სვასტიკის

გამოსახულებაა მოთავსებული - მკვლევარები აღნიშნულ სიმბოლოში სიცოცხლის ხის იდეას ხედავენ (Haynes… 2009).

აღსანიშნავია, რომ სვასტიკა ქალღვთაებების გამოსახულებებთან დაკავშირებული სიმბოლოა გეომეტრიულ პერიოდის საბერძნეთშიც. ამ მხრივ საინტერესოა გვიანგეომეტრიული და არქაული ხანის ბეოტიურ და კიკლადურ ამფორებზე მხეცებთან და ფრინველებთან ერთად გამოსახული არტემიდას (ან კიბელეს) ფიგურები, და თიხის ე. წ. საკულტო ზარაკები (Boardman 1998; Harrison 1935; Harrison 1908:264, Pic. 62) - ყველა შემთხვევაში სვასტიკა ქალღმერთის ერთ-ერთი მთავარი იკონოგრაფიული ატრიბუტია. მსგავსი სურათი ოქრომჭედლობის ნიმუშებშიც შეიძლება დავინახოთ - მაგ., კ. როდოსზე, კამეიროსის ძვ. წ. VII საუკუნით დათარიღებული ყელსაბამის ფირფიტებზე გამოსახული ქალღვთაებების სამოსი, ზოგ შემთხვევაში ცვარათი გამოყვანილი მეანდრული სახით არის შემკული (Marshall 1969: pl.XI). აღნიშნულ ყელსაბამზე საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი - ქალღვთაების სამოსზე წარმოდგენილი დეკორატიული მოტივების ცვლა (სვასტიკა, ტეხილი ხაზები და სხვ.), შესაძლოა, მათი განსხვავებული ბუნების წარმოჩენაზე მეტყველებდეს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეგეოსურ სამყაროში გავრცელებულ ქალღვთეაბის გამოსახულებებთან, ზოგ შემთხვევაში, სვასტიკასთან ერთად, ფრინველების, თევზის, გველის, სპირალისა და ორმაგი ცულის სიმბოლოები გვხვდება - ე. ი. ყველა ის დეტალი, რომელსაც კოლხური ოქრომჭედლობა ასე აქტიურად იყენებს.

ნიშანდობლივია, რომ უძველესი პერიოდიდან მოყოლებული (ჰალაფის კულტურა) სვასტიკის გამოსახულებებთან, ხშირად გამოსახულია თევზი - ეს შეგვიძლია შევადაროთ ფაქტს, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ბრინჯაოს კოლხური ცულების გრაფიკულ დეკორში, სვასტიკასთან ერთად, თევზის გარდა, სხვა ზოომორფული სახე არ დასტურდება (ფანცხავა 1985:51). ლ. ფანცხავას კოლხეთის მხატვრული ხელოსნობის გრაფიკული დეკორის კვლევისას საგანგებოდ აქვს აღნიშნული კოლხურ ცულებზე სვასტიკებისა და თევზიფხური სახის ერთად გამოსახვის ტენდენცია და მათ ნაყოფიერების ღვთაებასთან დაკავშირებული კულტის (შდრ. ცეცხლი და წყალი) სიმბოლოებად მიიჩნევს (ფანცხავა 1885:50). კოლხურ ოქრომჭედლობაში სვასტიკისა და თევზის ურთიერთკავშირი პირდაპირაა გამოხატული ნოსირისა და ცაიშის ძეგლებზე აღმოჩენილ რომბისებურ საკიდებზე, სადაც წნულ ჩარჩოში (წნული, ამ შემთხვევაში განიხილება როგორც თევზიფხური

სახე) მოთავსებული სვასტიკა სწორედ ამ კომბინაციის სიმბოლურ იდეოლოგიას ასახავს.

ქალღმერთის კულტთან დაკავშირებული სიმბოლოებიდან, ასევე საინტერესოა ძველი კოლხური ოქრომჭედლობის კიდევ ერთი, ყველაზე დამახასიათებელი გეომეტრიული დეკორი - **სამკუთხედი.** აღნიშნული ფიგურა, როგორც ორნამენტული სახე, სვასტიკის მსგავსად, ძველ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მოტივია, თუმცა, როგორც სამკაულის ფორმა, საკმაოდ ლიმიტირებული. წინარეანტიკური ხანის კოლხურ ოქრომჭედლობაში წვერით ზემოთ მიმართული სამკუთხედი სამკაულის ერთ-ერთი წამყვანი ფორმაა და ერთგვარ ქრონოლოგიურ მარკერსაც წარმოადგენს.

სამკუთხა საკიდების ქალღვთაების კულტთან ატრიბუციის კუთხით საგულისხმოა ცაიშის სამაროვანზე აღმოჩენილი ამ ტიპის საკიდების იკონოგრაფია - სამკუთხედების და წრეების კომბინაცია, რომელსაც თითქმის ანალოგიური პარალელები იშთარის ტაძარში აღმოჩენილ ქალღმერთისადმი მიძღვნილ ვოტივურ ვერცხლისა და ბრინჯაოს დისკოებზე ეძებნება (Andrae 1922: 107).

სემანტიკური კუთხით სამკუთხედი შეიძლება დაუკავშირდეს დიდი დედის სამ - ზეციურ, ამქვეყნიურ და ქტონიურ - ბუნებას/სამყაროს. შესაძლოა, სწორედ ამ ფაზების მაჩვენებელია ცაიშის სამაროვნის N1 სამარხ-ორმოში აღმოჩენილი სამკუთხა საკიდების დეკორი, სადაც ორნამენტის სამ განზომილებად გადანაწილების აშკარა ტენდენციაა გამოხატული.

მიკენური ხელოვნების და ევროპული ტრადიციების ორნამენტულ სახედ არის მიჩნეული კოლხური ოქრომჭედლობის კიდევ ერთი დამახასიათებელი ელემენტი - **ორმხრივი სპირალი**, რომელიც ოქროს ფირფიტებისგან დამზადებული სასაფეთქლების დეკორატიული მოტივია. სპეციალისტთა განმარტებით, ამგვარი სპირალის გამოსახვის არსს ძველ ხელოვნებაში ერთიანი სამყაროს უწყვეტი ციკლის ჩვენება წარმოადგენდა. იგი აღნიშნავდა მზის წრიულ მოძრაობას ქვესკნელიდან ზეცისკენ - სიკვდილისა და დაბადების მუდმივ მონაცვლეობას (ხიდაშელი 2005:153), რომელშიც, თავის მხრივ, პრეისტორიული საზოგადოების მატრიარქალური რელიგიის არსი ერთიანდებოდა (კიღურაძე 1976). ძველ სამყაროში ორმაგი სპირალის სიმბოლოს ქალღმერთის რელიგიასთან კავშირს კარგად წარმოაჩენს ფაქტი, რომ ადრესამიწათმოქმედო კულტურის კერამიკაზე წარმოდგენილ ორმხრივ დახვეულ

სპირალთაგან ზოგიერთი ქალღმერთის ანთროპომორფული სახის ნაკვთად წარმოგვიდგება.

იარაღის ფორმები:

რელიგიურ შეხედულებათა მატრიარქალურ სფეროს უკავშირდება კრეტა-მიკენის სამყაროსთვის ესოდენ დამახასიათებელი სიმბოლო - **ორმაგი ცული.** ამიერკავკასიის მხატვრულ-გრაფიკულ დეკორში იგი წვერით შეერთებული სამკუთხედების სახით არის წარმოდგენილი და აქ არსებული მხატვრული სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელი ელემენტია.

ბრინჯაოს ხანის კოლხეთის ძეგლებზე ორპირა ცულის ფორმა საკმაოდ გავრცელებულ სახეს წარმოადგენს (ჯიბლაძე 2005:109). ამ მხრივ აღსანიშნავია ჩოლოქისპირა ნამოსახლარის IV კულტურულ ფენაში აღმოჩენილი წყვილი გულსაკინძის ჩამოსასხმელი ყალიბის ზედა ნაწილი, რომლის ანალოგიური ბრინჯაოს გულსაკინძი მახვილაურის ქვაყრილიან სამარხშია გამოვლენილი (ჩავლეიშვილი 1991:21, ტ. XI-1,2; ჯიბლაძე 2005: 108, CVIII-2).

მკვლევართა აზრით, ორპირა ცულებს სარიტუალო, მაგიური დანიშნულება გააჩნდა, რასაც მოწმობს კრეტაში გამოვლენილი ნაგებობების კედლებზე მოხატული უამრავი ფრესკა სარიტუალო ცერემონიალით (ლორთქიფანიძე 1971:80). ვარაუდობენ, რომ ორპირა ცული, თავიდან, იყო შესაწირი, რომელიც დროთა განმავლობაში იქცა საკულტო ცხოვრების ობიექტად (Пендлбер 1950:291). მ. გიმბუტასის აზრით, მინოსურ ხელოვნებაში დამკვიდრებული ორმაგი ცულის ფორმა სათავეს იღებს ქალღმერთის სიმბოლოებთან დაკავშირებული პეპლისებური მოტივებიდან (წვერით ერთმანეთთან შეერთებული ორი სამკუთხედი), რომელიც მინოსურ ხელოვნებაში დამკვიდრებული ორმაგი ცულების გამოჩენას რამდენიმე ათასი წლით უსწრებს წინ (Gimbutas 1996:186-187). პეპლისებური მოტივი, კავკასიის რეგიონში ჯერ კიდევ თრიალეთის ეპოქის კერამიკაზე ჩნდება და დროისა და სივრცის საკმაოდ დიდ მონაკვეთში არსებობს (ნარიმანიშვილი 2015:184-185). მინოსურ ხელოვნებაში პეპლისებური მოტივისა და ორმაგი ცულის იდეის ერთიანობა კარგად ჩანს აქ გავრცელებული ქალღვთაების ზოგ შემთხვევაში ფრთებით გამოსახვაში (მაგ., კრეტაზე აღმოჩენილ საბეჭდავზე გამოსახული ქალღმერთი პეპლისებური ფრთებით - Gimbutas 1996:186-187). კავკასიურ ხელოვნებაში ფრთების და ორმაგი ცულის იდეის შერწყმის თვალსაზრისით, საინტერესოა ბრილსა და ჩრდილო კავკასიის ზოგიერთ რეგიონში

აღმოჩენილი მფრინავი ვერძის გამოსახულებები (გობეჯიშვილი 1952,), რომლებიც ამავდროულად ორმაგი ცულის იდეას გადმოსცემენ და მფრინავი ვერძის სახით ესენიც ქალღმერთის კულტის იკონოგრაფიულ სახედ მოიაზრება (Moshinsky 2001)

ნიშანდობლივია, რომ ეგეოსურ სამყაროში ორმაგი ცული, როგორც საკულტო სიმბოლო, ყოველთვის ქალღვთაების ატრიბუტად არის წარმოდგენილი (Schachermeyr 1964; Waites 1923). აქ იგი ხშირად ხარის კულტსაც უკავშირდება - ხარის რქებს შორის გამოსახული ორმაგი ცული მინოსურ ხელოვნებაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მოტივია. ძველ კოლხეთში ხარისა და ორმაგი ცულის შეხამების თვალსაზრისით შეიძლება საინტერესო იყოს თლიას N264 სამარხში აღმოჩენილი კოლხური ცული (Техов 1971), რომლის გრაფიკულ დეკორში ხარის უკან, ცულის წელის არეში, წვერით ერთმანეთთან შეერთებული ორი სამკუთხედის სახით (ე. წ. პეპლისებური მოტივით) სწორედ ორმაგი ცული უნდა იყოს გამოსახული. თუ გავითვალისწინებთ, რომ თანადროული პერიოდის კოლხეთის საიუველირო ხელოვნება ორმაგი ცულის სიმბოლოს საკმაოდ კარგად იცნობს და მნიშვნელოვან რელიგიურ ღირებულებასაც ანიჭებს, მაშინ ბრინჯაოს გრაფიკულ დეკორში მოცემული მსგავსი სიმბოლოები (წვერით ერთმანეთთან შეერთებული ორი სამკუთხედი), უმეტეს შემთხვევაში, ორმაგი ცულის სიმბოლოებად უნდა მივიჩნიოთ. ამ სიმბოლოს რელიგიური მნიშვნელობა კიდევ უფრო კარგად იკითხება სამთავროს სამაროვნის N276 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს სარტყლის გრაფიკულ დეკორში (ხიდაშელი 1982: ტაბ. 1) - აქ გამოსახულ ცხოველებს (ირემი, რომელიც იდეოლოგიურად ხარის იდენტურია) მუცლისა და გავის არეში, გამოსახული აქვთ ორმაგი ცულისა და თევზიფხური სახის ორნამენტული კომბინაცია (შდრ. ცხოველების გავაზე სვასტიკის, კონცენტრული წრეების გამოსახვის ტრადიცია), ე. ი. სიმბოლოები, რომლებიც დიდი დედის რელიგიურ სახეს უკავშირდება

ლ. ჯიბლაძეს სრულიად დასაშვებად მიაჩნია, რომ კოლხეთის დაბლობის ცალპირა და ორპირა ცულისებურთავიანი გულსაკინძების წარმომავლობა ეგეოსურ სამყაროში არსებულ ორპირა ცულის სიმბოლოებს უკავშირდებოდეს და კრეტა-მიკენის კულტურიდან მომდინარე შორეული იმპულსების გამოვლენა იყოს. მკვლევარი კოლხეთის ტერიტორიაზე მათ გაცნობა-შემოღწევას გვიანმინოსური III პერიოდის მესამე საფეხურზე (ძვ. წ. 1400-1200 წწ.) ანატოლიის რეგიონებიდან ვარაუდობს, რადგან სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა კოლხეთიდან, მესხეთ-ჯავახეთიდან და თლიას

სამაროვნიდან გვიანბრინჯაოს ხანაში ორპირა ცულებისა და ცალპირა ალებარდისებურთავიანი გულსაკინძების შემცველი კომპლექსების თარიღები (ჯიბლაძე 2005:109-111).

მეორე მხრივ, სავარაუდოა, რომ კოლხურ ოქრომჭედლობაში ორმაგი ცულის ფორმის სამკაული გეომეტრიული ხანის ბერძნულ სამყაროსთან იმ ურთიერთობის შედეგი იყოს, რომელიც არქეოლოგიური მონაცემებით დღეს უკვე საკმაოდ კარგად არის დადასტურებული. ამ სიმბოლოს რელიგიურ მნიშვნელობას კარგად ავლენს სპარტაში, არტემის ორთიას სამლოცველოებზე აღმოჩენილი ორმაგი ცულის საკიდები (Waites1923:30), რომელიც ერთ-ერთ პოპილარულ ვოტივურ ნივთს წარმოადგენს ბერძნულ სამლოცველოებზე.

ორმაგი ცულის სიმბოლო ასევე დამახასიათებელი იკონოგრაფიული სახეა დასავლეთ ანატოლიის რეგიონშიც (Erdan... 2020), რომელიც ეგეოსურ სამყაროსთან იმ მჭიდრო კულტურული ურთიერთკავშირების შედეგია, რაც გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ამ რეგიონebს შორის დასტურდება (Maner 2015). აქ იგი განსაკუთრებულ პოპულარობას არქაული პერიოდის დასასრულიდან იძენს, როდესაც იგი დასავლეთ ანატოლიაში ზევს ლაბრაუნდოსის კულტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიმბოლო ხდება.

სატევარი ადამიანის წოდებისა და რელიგიის გამოსახატავად გამოყენებული ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული იარაღია. მისი მნიშვნელოვანი ფუნქცია-ღირებულება კარგად ჩანს სხვადასხვა ცივილიზაციებში ამ იარაღის მიმართ გამახვილებულ განსაკუთრებულ ყურადღებაში. ეს, პირველ რიგში, მის მაღალმხატვრულ გაფორმება-დამუშავებაში გამოიხატება. ახლო აღმოსავლეთისა და მინოსურ ხელოვნებაში გამოვლენილი, იერარქიის პირთა საკუთრებად მიჩნეული, ძვირფასი ლითონით და ძვირფასი ქვებით გაფორმებული სატევრები (რომლებსაც გარკვეულწილად კვერთხის ფუნქცია ჰქონდათ) ნათლად მეტყველებს, მათი მეპატრონეების მაღალ სტატუსსა და განსაკუთრებულ უფლებებზე.

ის, რომ ადრერკინის ხანის ცენტრალური კოლხეთის ზღვისპირა ზოლში არსებობს საზოგადოების გარკვეული ფენა, რომელიც ძვირფასი ლითონითა და ნახევრადძვირფასი თვლებით გაფორმებულ სატევრებს ფლობს, აქ არსებული სოციალური იერარქიის პირდაპირი მანიშნებელია.

სატევრის განსაკუთრებული სიმბოლური ატრიბუცია კარგად ჩანს უძველესი კოლხური ოქრომჭედლობის სამკაულში მათი ფორმების ფიგურირებით და ბრინჯაოს ნაწარმში გავრცელებული, მხოლოდ კოლხური კულტურისთვის დამახასიათებელი ე. წ. ცხოველისთავიანი სატევრისებრი ფორმის საკიდების (Kobalia 2012) რელიგიურ-სიმბოლურ დეფინიციაში. ამ შემთხვევაში ყურადღებას იპყრობს საკიდებზე გამოსახული ცხოველის თავის სკულპტურა, რომელიც ასიმეტრიულად დიდი ზომის კბილებით და დაცქვეტილი ყურებით დაღრენილ მდგომარეობაში გამოსახულ „მგელ-დრაკონს“ განასახიერებს, მათზე დატანილი (ზოგიერთ ნიმუშზე წარმოდგენილი) ორნამენტული სახეები კი - წვერით ქვემოთ მიმართული სამკუთხედები, თევზის, გველის, გომბეშოსა და თავად ფანტასტიკური ცხოველის გამოსახულებები - ყველა კომპონენტით, დიდი დედის ხთონიური ბუნების გამომხატველ სიმბოლოებადაა დეშიფრირებული (იხ. ლორთქიფანიძე 2012:170). ამავე რელიგიური სამყაროს უკავშირდება ცაიშის სამაროვანზე აღმოჩენილი სატევრის ფორმის ოქროს საკიდებიდან ერთ-ერთ ნიმუშზე დატანილი ტეხილხაზოვანი ორნამენტიც.

<u>ანთროპომორფულ-ზოომორფული და სხვა სახეები:</u>

წინარეანტიკური ხანის საიუველირო ნაწარმის ცხოველსახოვანი ნიმუშები ამ პერიოდის კოლხური ოქრომჭედლობის ინდივიდუალური სტილის განმსაზღვრელი კიდევ ერთი კომპონენტია. ძველ კოლხურ ოქრომჭედლობაში იგი საკმაოდ მრავალფეროვანი ვარიაციებით არის წარმოდგენილი. ვხვდებით: **ურჩხულის, გველის, გომბეშოს, ფრინველის (იხვი), ლომის გამოსახულებებს**. სხვა სახეებიდან: **მხედარს და კოშკურის სახით წარმოდგენილ არქიტექტურულ მოდელს.**

გველისა და გველ-ურჩხულის სიმბოლოს განსაკუთრებული როლი ძველი კოლხების სულიერ სამყაროში კარგად არის წარმოჩენილი ბრინჯაოს გრაფიკულ ხელოვნებაში ასახული მთელი რიგი მითოლოგიური სიუჟეტებით. მკვლევარები გველის/თევზის სიმბოლოებს, არაერთი მონაცემით, მგელ-ძაღლის გამოსახულებებს უკავშირებენ და მას წყლის სამყაროსთან დაკავშირებული დიდი დედის კულტის ატრიბუტად მიიჩნევენ (Мещанинов 1925; Куфтин 1949; ფანცხავა 1985: 48-49). მგელისა და გველის ურთიერთკავშირთან მიმართებაში საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ნ. ლორთქიფანიძეს. მკვლევარი მგელსა და გველს - ცეცხლისა და წყლის სიმბოლოებს (ასევე შდრ. სვასტიკა და თევზი) განიხილავს როგორც მეტალურგიული

წარმოებისთვის აუცილებელ ორ მთავარ კომპონენტს და სამჭედლო საქმიანობას უკავშირებს (დაწვრ. იხ. ლორთქიფანიძე 2012:166). მგელ-გველის სიმბოლური კავშირი მეტალურგიული წარმოების პროცესებთან თითქოს პირდაპირ ჩანს არგონავტების მითში ასახული ოქროს საწმისის მცველი გველეშაპების სიუჟეტში, სადაც გველვეშაპები „გველ-მგლებსა“ და/ან „გველ-ურჩხულებს“, ხოლო ოქროს საწმისი - მიწის წიაღში არსებულ ან იქიდან ამოღებული მადანის სახით არსებულ სიმდიდრეს უნდა ასახავდეს. ამის სასარგებლოდვე მეტყველებს I საუკუნის ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონი, რომელიც არგონავტების კოლხეთში მოგზაურობის რეალურ მიზეზად ამ ქვეყნის სხვადასხვა მადნით სიმდიდრეს ასახელებს - „კოლხეთის სიმდიდრე ოქროთი, ვერცხლით, რკინითა და სპილენძით გვიხსნის იმ მიზეზებს, რისთვისაც განხორციელდა არგონავტების ლაშქრობა“(1.2.39).

კიდევ ერთი იკონოგრაფიულ სახე, რომელიც წინარეანტიკური ხანის კოლხურ ოქრომჭედლობაში იღებს სათავეს და დიდი დედის კულტს უკავშირდება, გახლავთ **ფრინველის გამოსახულებები.** კოლხური კულტურის ადრეული ოქრომჭედლობის ნიმუშებში მათ ვხვდებით ნარეკვავის სამაროვანზე აღმოჩენილი იხვის ფორმის საკიდების და ხაიშის განძის კოშკურა ნაგებობაზე გამოსახული ფრინველების (მტრედების) სახით.

ფრინველის გამოსახულებების „რელიგიური ფუნქცია“ და მათი კავშირი დიდი დედის კულტთან არაერთხელ ყოფილა განხილვის საგანი (იხ. ლომთათიძე 1957; Лордкипанидзе 1979; ლორთქიფანიძე... 1980; ჭყონია 1977, 2001). გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ამიერკავკასიაში მრავლად აღმოჩენილი ფრინველის მრავალფეროვანი პლასტიკა, ბრინჯაოს ნაწარმის გრაფიკულ დეკორში წარმოდგენილი გამოსახულებები და კლასიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის დეკორში მათი ხშირი გამოყენება მიუთითებს ამ სიმბოლოს განსაკუთრებულ როლზე გვიანბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული ანტიკური ხანის ჩათვლით.

ნარეკვავის სამაროვანზე აღმოჩენილი იხვის გამოსახულებები, რომლებსაც სტილისტური პარალელები კლასიკური ხანის საიუველირო ნაწარმშიც ეძებნებათ - მაგ., საირხეში აღმოჩენილი იხვის გამოსახულებიანი ფირფიტები (მახარაძე... 2007: სურ. 9) - მიუთითებს წყლის ფრინველის განსაკუთრებულ როლზე ძველი კოლხების რწმენა-წარმოდგენებში. იხვისა თუ გედის გამოსახულებები დამახასიათებელი მოტივია კოლხეთის ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისა და I ათასწლეულის

პირველი ნახევრის მცირე პლასტიკასა (გობეჯიშვილი 1952) და გრაფიკულ დეკორში - მაგ, გრავირებული სარტყლები ცაიშის (პაპუაშვილი... 2015), სამთავროს (ხიდაშელი 1982: ტაბ.1, V) და სხვა ძეგლებიდან. სიმბოლურად, წყლის ფრინველები, მფრინავი ჩიტებისგან განსხვავებით, წყალთან დაკავშირებული ქალღმერთის ხთონიური კულტის ნაწილია.

კლასიკური ხანის ოქრომჭედლობის ნიმუშების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დეკორატიული დეტალის, ცვარათი გაფორმებული ჩიტების, ოდნავ არქაულ ვერსიად არის მიჩნეული ხაიშის განძის საკიდზე წარმოდგენილი ჩიტების (მტრედების) ფიგურები, რომელთა არქაულობა მათი გამოსახვის ნაკლებად მდიდრულ მანერასა და შედარებით დაბალი ხარისხის ტექნოლოგიურ დამუშავებაში გამოიხატება (ლორთქიფანიძე 2012:208).

ხაიშის ფიგურული საკიდი დიდი დედის კულტთან დაკავშირებული სატაძრო თემატიკის უნიკალური ნიმუშია, რომელიც არაერთხელ ყოფილა მკვლევართა სპეციალური შესწავლის საგანი (იხ. ჯავახიშვილი 1958; ყიფიანი 1998). აღსანიშნავია, რომ საკიდზე წარმოდგენილი არქიტექტურული თემატიკა კოლხეთის ძეგლებზე ჯერ კიდევ ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან იჩენს თავს. აქ წარმოდგენილ ორფერდასახურავიან ნაგებობას ახლო სტილისტური პარალელები ცაიშსა (პაპუაშვილი... 2015) და ყობანში (Брилёва 2012: 342, Кат. 433) აღმოჩენილ ადრერკინის ხანის ბრინჯაოს ნაწარმში ეძებნება, რაც უფრო გასაგებს ხდის საკიდის ქრონოლოგიურ, რელიგიურ და კულტურულ კუთვნილებას.

ნაგებობაზე მოთავსებული ფრინველების კომპოზიციის სტილისტურ პარალელებს მიკენური პერიოდიდან მოყოლებული, მთელი ანტიკური ხანის მანძილზე ვხვდებით. უძველეს ხელოვნებაში ფრინველები ყოველთვის ქალღვთაებების კულტთან დაკავშირებულ სიმბოლოებს წარმოადგენენ, რომლებიც ზოგ შემთხვევაში მხედრების თანხლებითაც არიან გამოსახულნი (Bossert 1951; ყიფიანი 1998:18) - ამის გათვალისწინებით გასაგები ხდება ცაიშის კოშკურა ნაგებობაზე გამოსახული ჩიტების, ყობანის ნაგებობაზე გამოსახული მხედრისა და ხაიშის კოშკურაზე წარმოდგენილი ჩიტებისა და ადამიანების სტილისტურ-იდეოლოგიური ურთიერთკავშირი.

ფაქტი, რომ ხაიშის საკიდზე გამოსახული ადამიანის სახე გამომსახველობით პარალელებს ყაზბეგის განძის დასაკერებელ ფირფიტებზე მოცემულ მხედრის

სახეებში პოულობს, პირდაპირ მეტყველებს ამ ორი, ერთმანეთისგან საგრძნობლად დაშორებულ ადგილას აღმოჩენილი ნივთის იდენტურ საოქრომჭედლო ტრადიციებზე (ლორთქიფანიძე 2012:208). ცხადია, ისინი რელიგიურადაც ერთ იდეას უნდა გამოსახავდნენ - ორივეგან დიდი დედის თანმხლები პირების ანთროპომორფულ სახეებთან გვაქვს საქმე.

ქალღმერთის თანმხლებებად გამოსახული მხედრების სახეს დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთში ვხვდებით სხვადასხვა კულტურულ არეალში. მაგ., ქანაანურ-ფინიკიურ ხელოვნებაში, ქალღმერთი ასტარტი/აშტარტი ხშირად მხედრების თანხლებით არის გამოსახული (Leclant 1960). ცხენები/მხედრები ფიგურირებენ ინდო-ირანულ ქალღვთაება ანაჰიტასთან დაკავშირებულ იკონოგრაფიაშიც (ყიფიანი 1998).

კლასიკური ხანის კოლხურ ოქრომჭედლობაში მხედრის გამოსახულებები ვანის ძვ. წ. IV საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ N6 სამარხშია აღმოჩენილი (ჭყონია 1977:96-99, სურ 85-90; ჭყონია 1981:27-32, სურ 8, 9; ლორთქიფანიძე 2012:248-249) რომელთა სახე, არაერთი მკვლევარის მიერ, „დიდი დედის თანმხლებ მხედრებად“ არის მოაზრებული (ლორთქიფანიძე 1972: შენ.57; ლორთქიფანიძე... 1980:23; ჭყონია 2001:101; ლორთქიფანიძე 2012:248). ფაქტი, რომ აღნიშნულ ნიმუშებს სტილისტური პარალელები ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის ბრინჯაოს ნაწარმში ეძებნება (ესენია: სულორის ცულზე გამოსახული მხედრების წყვილი - ლორთქიფანიძე 1986:82-83); ასევე, ყობანში შემთხვევით აღმოჩენილ შტანდარტზე (?) გამოსახული წყვილი მხედრის ქანდაკება (Брилёва 2012: Кат. 431), კიდევ ერთხელ მიუთითებს საიუველირო ხელობაში გამოსახული იდეების კონსერვატიულ ხასიათსა და მჭიდრო კავშირს ბრინჯაოს მხატვრულ ხელოსნობასთან.

მხედრების დიდი დედის ნაყოფიერების კულტთან კავშირის კიდევ ერთი არგუმენტია ვანში წარმოდგენილი „დიდი დედის მხედრების“ ცხენების გავაზე გამოსახული სვასტიკა (ჭყონია 2001:101-102). სვასტიკის სიმბოლოს კავშირი ქალღმერთის კულტთან ზემოთ უკვე იყო განხილული. რაც შეეხება ცხოველის გავაზე სიმბოლოს გამოსახვის მანერას, იგი ფართოდ გავრცელებული მოტივია ამიერკავკასიის გვიანბრინჯაო-ადრერკინისა და ანტიკური ხანის მხატვრული სახეების ცხოველსახოვან დეკორში. ცხოველის გავაზე სვასტიკის გამოსახვის ერთ-ერთი შესანიშნვი მაგალითია წითელიგორების (ახალი ულიანოვკა) N1 ყორღანში აღმოჩენილი ირმის ქანდაკება რომელზეც გავაზე ინკრუსტაციით დატანილი

სვასტიკაა გამოსახული (ფანცხავა 1985:50); (შდრ. სამთავროს სამაროვნის სარტყელზე (ხიდაშელი 1982: ტაბ.1) ცხოველის ტანზე გამოსახული ორმაგი ცულის სიმბოლო; ასევე, ბრილში აღმოჩენილ გომბეშოს ფიგურაზე, გავასა და მხრებზე დატანილი სპირალები.)

წინარეანტიკური ხანის კოლხურ ოქრომჭედლობის ავთენტიკურ სიმბოლიკაში ჯდება კიდევ ერთი იკონოგრაფიული სახე, **გომბეშოს გამოსახულება**. გომბო, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ძველ ცივილიზაციებში, ჯერ კიდევ პრიმიტიული ხელოვნებიდან მოყოლებული, ყოველთვის განსაკუთრებული დატვირთვით სარგებლობდა (Frost 1932:369). მისი სიმბოლიზაცია, სავარაუდოდ, დაკავშირებულია მისი ცხოვრების ციკლთან - წყალსა და ხმელეთზე არსებობის ფაზები (ორ სამყაროში ცხოვრების უნარი), რაც ადამიანთა მიერ დუალისტური ბუნების კონცეფციის სიმბოლიკად იყო ინტერპრეტირებული. მითოლოგიაში ორ სამყაროს შორის - ქვესკნელი/ზესკნელი, ამქვეყნიური/იმქვეყნიური - ნავიგაციის უნარი, ყოველთვის აქტუალური და წამყვანი თემა იყო. ტრანსფორმაცია, მეტამორფოზა და რეგენერაცია კი ყველა დროის რელიგიური კონცეფციების მთავარი იდეოლოგიური ქვეტექსტია.

გომბეშო/ბაყაყი თითქმის ყველა ცივილიზაციაში ქალღმერთის, ნაყოფიერების კულტის სიმბოლური ატრიბუტია. მაგ., ეგვიპტურ მითოლოგიაში ბაყაყი/გომბეშო განასახიერებს ნაყოფიერების, რეგენერაციის, დედებისა და ახალშობილების მფარველ ქალღმერთ ჰეკეტს. ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული სიმბოლოა იგი ბერძნულ-რომაულ მითოლოგიაში. აქ იგი ხშირად ქალღმერთ აფროდიტესთანაც არის დაკავშირებული (Cooper 1992).

კოლხურ კულტურაში გომბეშოს/ბაყაყის სიმბოლური დატვირთვა კარგად ჩანს ამ იკონოგრაფიული სახის გამორჩეულ სიმრავლეში. მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ხაზს უსვამს ისიც, რომ იგი არაერთგზის ყოფილა განსახიერებული ძვირფასი ლითონისგან დამზადებულ სამკაულში. ამ მხრივ აღსანიშნავია გომბეშოს გამოსახულებებით შედგენილი ყელსაბამი ახალგორის განძიდან.

ბრილის სამაროვანზე წარმოდგენილი ვერცხლის გომბეშოს სკულპტურული გამოსახულებაზე დატანილი ორნამენტი: თევზიფხური სახე და წინა და უკანა კიდურებთან (მხრებზე და მენჯებზე) გამოსახული სპირალები, პირდაპირ მიუთირებენ ქალღმერთის ნაყოფიერების კულტზე, რომელშიც სპირალების სახით, სიკვდილ-სიცოცხლის მუდმივი ციკლიცაა ასახული. განსაკუთრებული

მნიშვნელობისაა კოლხური ბრინჯაოს კულტურის ერთ-ერთ ნივთზე, სატევრისებრი ფორმის საკიდზე გამოსახული გომბეშოს, გველისა და მგელ-ძაღლის კომბინაცია.

***

ამრიგად, კოლხური ოქრომჭედლობის ორნამენტში სახეზეა დიდი დედის ღვთაებასთან დაკავშირებული სიმბოლიკა, რომლის კულტი ამიერკავკასიაში ჯერ კიდევ ენეოლითური პერიოდის ძეგლებზე აღმოჩენილ ქალის ანთროპომორფულ ფიგურებში იკვეთება (კიკვიძე 1976:157). ეს გახლავთ უძველესი, ახლო აღმოსავლეთის რელიგიური პანთეონიდან წამოსული ინანა/იშთარის ბაზაზე განვითარებული ქალღვთაების კულტი, რომელიც კოლხეთში თავისებური, აქაურ ინტერესებზე მორგებული ინტერპრეტაციით იჩენს თავს.

წინარეანტიკური ხანის ოქრომჭედლობის რელიგიურ-სემანტიკური ასპექტების კვლევისას იკვეთება სურათი, რომ დიდი დედის კულტი წარმოადგენს ერთადერთ იდეოლოგიურ ბაზას, რომლითაც გაჯერებულია გვიანბრინჯაო-ადრერკინისა და ანტიკური ხანის მხატვრული ხელოსნობის თითქმის ყველა მიმართულება. კოლხური ოქრომჭედლობის უძველესი ნიმუშების შესწავლით კიდევ ერთხელ მართლდება მკვლევართა მიერ გამოთქმული ვარაუდი, რომ კოლხეთში დიდი დედის კულტს ოფიციალური ხასიათი უნდა ჰქონდა მიცემული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რანგში ყოფილიყო აყვანილი (Лордкипанидзе 1989: 242-243; ინაძე 1994:202, 252; ჭყონია 2001:102).

სავარაუდოდ, ამ კულტის მომძლავრება ადრეული რკინის ხანაში განვითარებული მეტალურგიის შედეგად დაწინაურებულმა მიწათმოქმედებამ და მესაქონლეობამ განაპირობა - მეურნეობის დარგების სწრაფმა განვითარებამ შექმნა საფუძველი წინა

თავი V. წინარეანტიკური ხანის ოქროს წარმოებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური დეტალები

გამომდინარე იქიდან, რომ კოლხეთი და ზოგადად კავკასიის რეგიონი ლითონდამუშავების და მისი მოპოვების ერთ-ერთი უძველესი კერაა, სრულიად ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ კოლხური კულტურის აყვავების დროს, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, ოქროთი და ვერცხლით ბუნებრივად მდიდარ გარემოში, ადგილობრივი მოსახლეობა, ლითონდამამუშავებელ სახელოსნო ცენტრებში, ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების გვერდით, ოქრომჭედლობის ნიმუშებსაც აწარმოებდა.

წინარეანტიკურ ხანაში ოქრომჭედლობის ნიმუშების საწარმო-სახელოსნოები იდენტიფიცირებული არ არის, თუმცა სამაროვნებზე აღმოჩენილი სხვადასხვა სახის საიუველირო იარაღებად მიჩნეული ნაწარმი აქ ადგილობრივი ოსტატების არსებობის პირდაპირი მანიშნებელია. ანტიკური ხანაში ოქრომჭედლობის ნიმუშების ადგილობრივი წარმოების დასასაბუთებლად, მკვლევარი ა. ჭყონია სამი ჯგუფის ნივთებს გამოყოფს: 1) ოქროს ზოდებს, ნაღვენთებს, ფირფიტის ჩამონაჭრებს, ნამზადებს; 2) მეორადი დამუშავეისთვის განკუთვნილ, დაზიანებულ და ფრაგმენტირებულ ოქროს სამკაულს; 3) შეკეთებულ ან გადაკეთებულ ოქროს სამკაულს (ჭყონია 2012:5). აღსანიშნავია, რომ ზემოთჩამოთვლილი პუნქტებიდან ყველა წინარეანტიკური ხანის კოლხურ ოქრომჭედლობაშიც დასტურდება. მაგ.: 1) ზოდი - ჭუბურხინჯის, ნოსირის განძებში; 2) დაზიანებული ნივთები/ნივთის ფრაგმენტები - ნოსირის განძში; 3) შეკეთების კვალი - ნარეკვავში აღმოჩენილი იხვის ფორმის საკიდები და სხვ.

წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის ნივთების შედარებით გვიანდელ კომპლექსებში აღმოჩენის ფაქტები (მაგ., წინარეანტიკური ხანის ფილიგრანის წნულით მოჩარჩოებული სამკუთხა საკიდები ვანის ძვ. წ. IV საუკუნის კომპლექსიდან), გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ამ პერიოდის ძვირფასი ლითონის ნაწარმის გარკვეული ნაწილი თაობებს ყოფილიყო გადაცემული და მეორადი დამუშავებით გადაკეთებული ან გადამდნარი.

ნივთების მეორადი დამუშავების ტრადიციების არსებობასთან დაკავშირებით, საინტერესოა პალესტინაში, ტელ ელ-აჟურში (რეგიონში, სადაც ოქროს ნედლეული ასევე ადვილად ხელმისაწვდომი იყო), ძვ. წ. XVI ს-ით დათარიღებულ ძეგლზე აღმოჩენილი გადასადნობად განკუთვნილი ოქროსა და ვერცხლის დაზიანებული ნივთების ცალკეული დეტალები (Eluere 1990:102). ანტიკური ხანის კოლხეთში ამის პარალელია ვანის ცენტრალურ ტერასაზე, ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევრისა და ძვ. წ. III საუკუნის რიყის ქვებით ნაგებ კომპლექსში აღმოჩენილი, ერთად თავმოყრილი ოქროს ფრაგმენტები: დეფორმირებული საყურე რგოლი, საკიდების ნაწილაკები, მილაკები, ორნამენტირებული ფირფიტის ფრაგმენტები (ჭყონია 2012:47), ხოლო წინარეანტიკური ხანის კოლხეთში, განძებში ოქროს ზოდებთან ერთად სხვადასხვა ოქროს ნივთის ფრაგმენტების აღმოჩენები.

წინარეანტიკური ხანის კოლხეთში ძვირფასი ლითონის ნივთების ადგილობრივ წარმოებას, განძებში გამოვლენილ ზოდებსა და ფრაგმენტირებულ ნივთებთან ერთად, სამარხეულ კომპლექსებში აღმოჩენილი საიუველირო იარაღებიც ადასტურებენ. მაგ., ცაიშის N1 სამარხ-ორმოში აღმოჩენილი ბრინჯაოსა და რკინის მახათები, ნემსები, ყაისნაღისა და ჩაქუჩისმაგვარი ნივთები, სატეხები, წვეტიანი საკაწრები და ა. შ (პაპუაშვილი... 2015), რომლებიც გამოყენებული შეიძლება ყოფილიყო როგორც ძვირფასი ლითონის, ისე ბრინჯაოს, კალის და სხვა სამკაულის დასამუშავებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ოქრომჭედლობის სახელოსნოების ამსახველი პირდაპირი არქეოლოგიური ფაქტები არ გვაქვს, არაერთი არაპირდაპირი მინიშნებით, მათი არსებობა ბრინჯაოს სახელოსნოების გვერდით უნდა ვივარაუდოთ. ამას მეტყველებს: 1) თანადროულ ეგეოსურ და ბერძნულ სამყაროში არსებული პარალელები; 2) კოლხურ განძებში ბრინჯაოს, ვერცხლისა და ოქროს ზოდების ერთად აღმოჩენები; 3) ფაქტი, რომ ბრინჯაოსა და ოქროს მხატვრული დამუშავებისთვის ფუნქციურად იგივე ინსტრუმენტების გამოყენება იქნებოდა საჭირო. საოქრომჭედლო ცენტრების სამჭედლო სახელოსნოებში არსებობის ტრადიციაზე ასევე მიუთითებს მოგვიანო პერიოდის არქეოლოგიური მონაცემები: სარკინეში გათხრილ მრავალგანყოფილებიან, დიდ სახელოსნოში, სადაც ხდებოდა რკინის და სხვა ლითონების დამუშავება, ოქრომჭედლის სამუშაო ადგილიც ყოფილა გამართული (აფაქიძე 1963:209-211, ხახუტაიშვილი 1966:129-130, ჭყონია 2012:10).

ბრინჯაოს ლითონდამამუშავებელი საწარმოო სახელოსნოები ძველ კოლხეთში ძირითადად ნამოსახლარებზეა დადასტურებული და მათი კონცენტრაცია, მნიშვნელოვანი მდინარეების ხეობებთან შეინიშნება. ამის მიზეზი, სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად (მაგ., ის, რომ მდინარეები შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო როგორც მათ ხეობებში გამავალი სამთამადნო წარმოების ძეგლებთან დამაკავშირებელი მთავარი საკომუნიკაციო საშუალება (პაპუაშვილი... 2014) შეიძლება ალუვიური ოქროს მოპოვებასთანაც ყოფილიყო კავშირში.

სახელოსნოების იდენტიფიკაციის მიზნით, საყურადღებოა ამ პერიოდის კოლხეთში - ნოქალაქევში, ოჩხომურში, მუხურჩასა და ბანძაში აღმოჩენილი საწარმოო ნამოსახლარების სახელით ცნობილი სახელოსნოები (Гогадзе... 1990: 163; ლომიტაშვილი 2003: 3; 17-18), სადაც სხვადასხვა სახის მინერალის მძივებთან ერთად, სავარაუდოდ, ოქროს ნივთებსაც აწარმოებდნენ. ამ მხრივ საინტერესოა დ. ლომიტაშვილის მიერ ნოქალაქევის სახელოსნო ნამოსახლარზე გამოყოფილი ქვის ერთი ჯგუფი - მინერალოგიაში ცნობილი როგორც „ბაზანიტი“ (SiO_2, სიმაგრე 5.5-7 - ეს არის ხავერდოვანი შავი სილიციუმის ქვა, რომელიც მისი სიხისტისა და შავი ფერის გამო ძვირფასი ლითონის სისუფთავის შესამოწმებლად გამოიყენებოდა), ხოლო სამეცნიერო ლიტერატურაში, პლინიუსის წყაროების თანახმად ცნობილი როგორც „ლიდიური ქვა“, ან „ჰერაკლეს ქვა“ (Pliny, The Natural History: XXXIII.126). ოქრომჭედლობასთან დაკავშირებით აღნიშნული ქვა საინტერესოა, რამდენადაც იგი უძველესი პერიოდიდან მოყოლებული ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონის სინჯებისთვისაა გამოყენებული (Lord 1937:228-231; ლომიტაშვილი 2003:17-18).

შესაძლოა, ცენტრალური კოლხეთის ტერიტორიაზე ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით დათარიღებულ კომბინირებულ საწარმოო-ნამოსახლარ კომპლექსებში მინერალის სამკაულთან ერთად ძვირფასი ლითონის წარმოებაზე მიუთითებდეს ისიც, რომ ამ პერიოდის კოლხეთში აღმოჩენილი ძვირფასი ლითონის ნაწარმი, ბევრ შემთხვევაში, ადგილობრივ წარმოებული მინერალის თვლებით არის ინკრუსტირებული; ასევე ფაქტი, რომ ძვირფასი ლითონის ნაწარმი, უმეტეს შემთხვევაში, ამ პერიოდის კოლხეთისთვის დამახასიათებელ, ადგილობრივად დამზადებულ სარდიონის მოზრდილ, სფერულ, კარგად ნაპრიალებ მძივებთან ერთად არის აღმოჩენილი.

შესაძლოა მძივების დასამზადებელ სახელოსნოებში ძვირფასი ლითონის წარმოების სასარგებლოდ მეტყველებდეს ეგვიპტის ახალი სამეფოს პერიოდის ტექსტურ და მხატვრულ წყაროებში ასახული ფაქტები, რომელთა მიხედვით ირკვევა, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში სამკაულის წარმოებაში სპეციალიზირებული ოსტატები ოქროს, ვერცხლის და სპილენძის ნივთებთან ერთად, ნახევრადძვირფასი ქვების, მინისა და ფაიანსის დამუშავებასა და მათგან დამზადებული ნივთების წარმოებაშიც ყოფილან დახელოვნებულნი.

ოქროს ქიმიური და ფიზიკური მახასიათებლები:

ოქრო არის ერთადერთი მეტალი, რომელიც ბუნებაში მზა სახით მოიპოვება. მისი მოპოვება შესაძლებელია როგორც პირველად - სხვადასხვა სახის ქანების ძარღვებში, ისე მეორად - მდინარეულ საბადოებში, სადაც ოქრო ალუვიურ ქვიშასა და ხრეშში ოქროს შემცველი მადნის გამოფიტვის ან დაშლის შედეგად ხვდება.

ოქრო სხვებთან შედარებით მძიმე და რბილი ლითონია. მას ახასიათებს კარგი თბო და ელექტროგამტარობა. მის განსაკუთრებულ თვისებას წარმოადგენს მაღალი ქიმიური მდგრადობა: არ იჟანგება, არ რეაგირებს ტუტეებთან, მჟავებთან და მარილებთან (ფოფორაძე... 2005:23), რომელიც მისი მაღალი ღირებულების ერთ-ერთი მთავარი საწინდარია.

თვითნაბადი ოქრო სპილენძის, ვერცხლის და მცირე რაოდენობით რკინის კალის და პლატინიუმის ჯგუფის მინარევებით ხასიათდება და გვხვდება სხვადასხვა ფორმის კრისტალების, ფირფიტების, მარცვლების, ნაჭრების და ქერცლის სახით, რომელთა წონა რამდენიმე მილიგრამიდან რამდენიმე კილოგრამამდე მერყეობს. ოქროს, მასში სხვადასხვა ლითონის კონცენტრაციის შესაბამისად, ახასიათებს განსხვავებული ფერი და თვისებები (ფოფორაძე... 2005:23).

წინარეანტიკური ხანის კოლხეთში აღმოჩენილი ოქროს ნივთების მაღალტექნოლოგიური მახასიათებლებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მისი შემქმნელი ხელოსნები ლითონის ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს საკმაოდ კარგად იცნობდნენ.

იმისათვის, რომ ხელოსანს სწორად განესაზღვრა ოქროსა და ვერცხლის ჩამოსხმის, ჭედვის/კვერვის, გლინვის, რჩილვის და სხვა სახის ცხელი დამუშავებისთვის საჭირო თერმული რეჟიმი, აუცილებელი იყო გაეთვალისწინებინა ლითონებისა და შენადნობების როგორც ფიზიკური (ფერი, სიმაგრე, სიმკვრივე, დნობის ტემპერატურა,

თბოგამტარობა, არეკვლის უნარი), ისე მექანიკური (მდგრადობა, დრეკადობა, სიმაგრე, პლასტიკურობა) თვისებები (ფოფორაძე... 2005:22).

ოქროს ნივთების გარეგნული მახასიათებლებიდან და ზოგიერთი ნივთის ქიმიური შედგენილობის შესწავლიდან ჩანს, რომ წინარენატიკური ხანის კოლხეთში, ანტიკური პერიოდისგან განსხვავებით, ოქროს რაფინირების ტექნიკას ჯერ კიდევ არ იცნობდნენ. აქ აღმოჩენილი ოქრომჭედლობის ნიმუშები, შედგენილობის მხრივ, დიდი ვარიაციებით გამოირჩევა. ვხვდებით როგორც შედარებით მაღალი, ისე დაბალი სინჯის ოქროს, ვერცხლის, სპილენძის და ზოგჯერ უმნიშვნელო რაოდენობით რკინისა და კალის მინარევებით. შედარებით მაღალი სინჯის ოქროს არსებობის ფაქტი მათ ალუვიური წარმომავლობაზე მიუთითებს, ხოლო ვერცხლის მაღალმინარევიანი ოქრო (ელექტრუმი) შესაძლოა სამთო წესით, ან საბადოსთან ახლოს, ალუვიურად ყოფილიყო მოპოვებული.

ვერცხლისა და სპილენძის მაღალი შემცველობის ოქროს ვხვდებით არა მხოლოდ კოლხურ, არამედ ბერძნულ, ეტრუსკულ, ირანულ, ასურულ და სხვა საოქრომჭედლო ცენტრებში, რაც ნათლად მიუთითებს, რომ ამ პერიოდში რაფინირების ტექნიკა ჯერ არ იყო დანერგილი და ნივთები მზადდებოდა ოქროს ბუნებრივი შენადნობისგან.

მადნისეული ოქროს მოპოვების ფაქტები, დღევანდელი მონაცემებით, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიურად დადასტურებული არ არის, თუმცა ოქროს სინჯებიდან გამომდინარე, არ გამოვრიცხავთ, რომ ვერცხლის ძალიან მაღალი შემცველობის მქონე ოქროს ნივთთა გარკვეული ჯგუფი სწორედ ამ გზით იყოს მოპოვებული. როგორც ცნობილია, მადნისეული ოქროსგან განსხვავებით (რომელსაც ახასიათებს მინარევი ლითონების მაღალი შემცველობა), მეორადი საბადოდან მოპოვებული ოქრო, მინარევი ლითონების შედარებით დაბალი კონცენტრაციით და მაღალი სინჯით ხასიათდება. ეს გამოწვეულია იმით, რომ ხშირად ოქროს ზოდი პირველადიდან მეორად საბადომდე ძალიან დიდ გზას გადის და ხანგრძლივი გადაადგილების დროს სუფთავდება, ანუ ნიადაგისა და ატმოსფერული ზემოქმედების შედეგად ხდება მადანში ვერცხლის და სპილენძის ოქსიდირება, რის შედეგადაც იგი იკარგება (ღამბაშიძე... 2010:58).

წინარეანტიკური ხანის ოქროს ნაწარმს ახასიათებს ვერცხლის შემცველობა 60-დან 90% მდე, რაც მის ფერსა და თვისებებზეც კარგად არის ასახული. ვერცხლისა და ოქროს შენადნობში, თუ ვერცხლის შემცველობა 30%-ს აღემატება, ოქრო ხდება უფრო

მკრთალი და მოთეთრო-ლიმონისფერ შეფერილობას იძენს, სპილენძის მაღალი კონცენტრაცია კი (15%-მდე) მას უფრო მოწითალო შეფერილობას აძლევს (ფოფორაძე... 2005:34). აღსანიშნავია, რომ ძველ სამყაროში, ოქრო ვერცხლის მაღალი კონცენტრაციით (პლინიუსის თანახმად, ერთი მეხუთედი XXXIII,80) ცნობილი იყო როგორც თეთრი ოქრო, ან ელექტრუმი (Higgins 1980).

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდის ოქრომჭედლობის ნიმუშებს, ანტიკური ხანის ოქროს ნივთებისგან განსხვავებით, რომელთა უმეტესობა რაფინირებული ოქროსგანაა დამზადებული, აქვთ პერსპექტივა, ინტერდისციპლინარული კვლევების საფუძველზე, იდენტიფიცირდნენ სავარაუდო საბადოებთან. ამის საშუალებას იძლევა ოქროს ქიმიური მინარევების - კალა და პლატინიუმის ჯგუფის მეტალების არსებობა მეტალში, რომელიც ყველა საბადოში განსხვავებულია და ლითონს თავისებურ, ე. წ. უნიკალურ კოდს აძლევს.

წინარეანტიკური ხანის ოქრომჭედლობის ზოგიერთი ნიმუშის სპექტრული ანალიზი და მათი გარეგნული მახასიათებლები ცხადყოფს, რომ ისინი არარაფინირებული ოქროსგანაა დამზადებული. რაფინირების ტექნიკის დანერგვა და მისი მასიური გამოყენება, როგორც კოლხეთში, ისე სხვა თანადროულ კულტურულ ცენტრებში, მხოლოდ ძვ. წ. VI საუკუნის შემდეგ იწყება და დაკავშირებულია ლიდიაში სამონეტო მიმოქცევის შემოღებასთან. ამგვარი ოქროს უპირატესობა გახლავთ ის, რომ მიკრო ფორმატის დეტალები და ფურცლოვანი ოქრო რაფინირებული მეტალისგან გაცილებით მარტივად მზადდება, ვიდრე ეს დაბალი სინჯის ოქროს შემთხვევაშია შესაძლებელი.

ცნობილია, რომ არარაფინირებულ ოქროში პლატინიუმის ჯგუფის მინარევები (ოსმიუმი, ირიდიუმი, რუტენიუმი), მიუხედავად იმისა, რომ მათი წილი ძალიან მცირეა შენადნობში, დიდ პრობლემას ქმნიან ტექნიკური დამუშავების დროს (ისეთი ნივთების მიღებისას, როგორიცაა ოქროს ფურცელი, მავთული და ა. შ). კლასიკურ ხანაში, მიკრო დეტალების მქონე დელიკატური ნივთების დასამზადებლად იყენებდნენ ასეთი მინარევებისგან საგანგებოდ გაწმენდილ ოქროს, ხოლო უფრო მასიური, სადა ნივთებისთვის (მაგ. საბეჭდავი ბეჭდები) შედარებით დაბალი სინჯის ოქროს ვერცხლის ან სპილენძის მაღალი კონცენტრაციით, რომელიც მოცულობასთან ერთად გაზრდიდა მის სიმაგრესაც.

წინარეანტიკურ ხანაში, მიუხედავად იმისა, რომ რაფინირების ტექნიკა ჯერ არ იყო დამკვიდრებული, შესაძლოა, ოქროს ეს თვისება იცოდნენ კიდეც ხელოსნებმა და რთული დეკორატიული პროცესებისთვის არჩევდნენ შედარებით მაღალი სინჯის ოქროს (რომელსაც, შესაძლოა, ფერითაც განსაზღვრავდნენ).

ოქროს დამუშავებასთან ერთად, ამ პერიოდში, ასევე კარგად იცნობდნენ ვერცხლის ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებსაც. ვერცხლზე ზუსტად იგივე ტექნოლოგიური ხერხების გამოყენებაა შესაძლებელი რაც ოქროზე, ოღონდ იმის გამო, რომ ვერცხლის დნობის ტემპერატურა ოქროსთან შედარებით დაბალია, იგივე შედეგის მიღება მასზე გაცილებით უფრო რთულია ვიდრე ოქროზე. ასევე, გამომდინარე იქიდან, რომ იგი შედარებით ნაკლებად მოქნილი ლითონია, ვერცხლისგან ფურცელი ისეთი თხელი ვერ გამოდის, როგორც ოქროს შემთხვევაში (Williams... 1994:14). მიუხედავად ამ სირთულეებისა, ჩვენ მაინც ვხვდებით ზუსტად იგივე ტექნოლოგიური ხერხების გამოყენებას ვერცხლზე, რაც მათი შემქმნელი ოსტატების საკმაოდ მაღალ კვალიფიკაციაზე მეტყველებს.

ტექნოლოგიური და დეკორატიული ხერხები:

უკანასკნელ წლებში, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარიღებული ძვირფასი ლითონის ნაწარმის საკმაო რაოდენობით დაგროვებამ საშუალება მოგვცა შეძლებისდაგვარად განგვესაზღვრა ის ტექნოლოგიური პროცესები, რომლებსაც კოლხეთში მოღვაწე იუველირები ფლობდნენ.

ზოგადად, ოქროს ნივთების დამზადებისთვის ორი ძირითადი ხერხია ცნობილი: ჩამოსხმა და გამოჭედვა. ჩამოსხმით მიღებული მასიური ოქროს ნივთები უძველესი დროის ევროპული ოქრომჭედლობისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო ჭედური სახით მიღებული - აღმოსავლური და ორიენტალისტური ტრადიციაა. ის თუ, რამ განაპირობა აღმოსავლურ ოქრომჭედლობაში დელიკატური ნივთების პოპულარობა, ორი რამით შეიძლება აიხსნას: 1). ფურცლოვანი ოქროთი ოსტატი ამზადებდა მასიური ეფექტის მქონე ნივთებს ოქროს მინიმალური დანახარჯით; 2). გრანულაცია და ფილიგრანის მირჩილვა, ტექნოლოგიურად შეუძლებელია მასიური ფორმის ჩამოსხმულ ნივთებზე, ამისთვის ოქროს თხელი ფირფიტა იყო საჭირო. ჩამოსხმით, ამ პერიოდში, მხოლოდ სპილენძის, კალის, ანტიმონის და ვერცხლის სამკაული მზადდებოდა.

წინარეანტიკური ხანის კოლხურ ოქრომჭედლობაში ოქროს ნივთების უმეტესობა ინდივიდუალურად დამზადებული ნაწილების (გრანულები, მავთული, ფურცლოვანი ოქრო, საინკრუსტაციო მასალა) ერთმანეთზე რჩილვის, ან მექანიკური გადაბმის გზით მიმაგრებით იწყობოდა. ამ პერიოდის საიუველირო საქმეში გამოყენებული ე. წ. პირველადი, ე.ი. ტექნოლოგიური ხერხებია: **ჩამოსხმა, ჭედვა, ჭრა, რჩილვა, გაპრიალება**; ხოლო მეორადი, ე. ი. დეკორატიული: **ფილიგრანი, გრანულაცია, ინკრუსტაცია, გრავირება, მოოქროება.**

ჩამოსხმა ერთ-ერთი ყველაზე მარტივი ხერხია ლითონის ნივთების მისაღებად, განსაკუთრებით ისეთი რბილი მეტალისთვის, როგორიც ოქროა, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ იგი ლითონის გაცილებით მეტ დანახარჯს მოითხოვს, არ იყო პოპულარული ძველ ბერძნულ და აღმოსავლურ ოქრომჭედლობაში და მოგვიანებით ევროპულ ოქრომჭედლობაშიც დაკარგა აქტუალობა. წინარეანტიკურ ხანის ოქრომჭედლობაში ჩამოსხმის სახით დამზადებულ ძვირფასი ლითონის ნივთებს წარმოადგენენ: ზოგიერთი სადა, მცირე რგოლები, სამაჯურები, სასაფეთქლე ხვიები, დუგმა და დიადემები, რომელთა ანალოგები ბრინჯაოშიც მეორდება. ვერცხლში ჩამოსხმით მიღებული ნივთები უფრო ხშირად გვხვდება, გამომდინარე იქიდან, რომ იგი ოქროსთან შედარებით უფრო ხელმისაწვდომი ლითონია.

ჩამოსხმით მიღებული მცირე ზომის ნივთები თუ დეტალები საკმაო რაოდენობით ფიქსირდება ბერძნულ საოქრომჭედლო ცენტრებში გვიანბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული რომაულ ხანამდე. აქ, არქეოლოგიურად დადასტურებულია გვიანბრინჯაოს ხანის რგოლების, საყურეების და სხვა მცირე ნივთების ჩამოსასხმელი მრავალი ყალიბი (Higgins 1980:18, Pl.1e). არსებობს ვარაუდი, რომ აღნიშნული ყალიბები ლითონის არა პირდაპირი ჩამოსხმისთვის, არამედ ცვილის მოდელის დასამზადებლად გამოიყენებოდა და იყო პირველადი ეტაპი ე. წ. „ცვილის მოდელის დაკარგვის“ ტექნოლოგიისა. შესაძლოა კოლხეთში გავრცელებული ადრეული ოქრომჭედლობის ჩამოსხმული ნიმუშებიც ცვილის მოდელით იყოს მიღებული, მით უმეტეს, რომ ამის ტრადიცია ჯერ კიდევ თრიალეთური ეპოქის ოქრომჭედლობაშიც არსებობდა.

წინარეანტიკური ხანის ოქრომჭედლობაში, ჩამოსხმული მავთულებისგანაა დამზადებული ერთ-ერთი დამახასიათებელი ნივთთა ჯგუფი - ვოლუტებიანი

ხვიები, რომელთა შუა ნაწილი გამოჭედვით არის ფირფიტებად დაბრტყელებული (ცაიში, დღვაბა, თლია). ამგვარ ნივთებს ანალოგები ბრინჯაოს ნივთებშიც ეძებნებათ.

ჭედურობა ოქროს ტექნოლოგიური დამუშავების ერთ-ერთი უძველესი ხერხია. ის, ძირითადად, ფურცლოვანი ოქროს მისაღებად გამოიყენებოდა. გამოჭედვის მეთოდით ოქროს თხელი ფურცლის დამზადების ტექნოლოგიის პირველი შემოღება ეგვიპტელებს და მესოპოტამიელებს მიეწერებათ. ძვ. წ. IV-III ათასწლეულებში ეგვიპტელებმა შეიმუშავეს გამოჭედვის შედეგად ოქროს ფურცლის მიღების ისეთი ტექნოლოგიური ხერხები, რომელიც დღესაც კი, ათასწლეულების შემდეგ, აღაფრთოვანებს ადამიანს. მათ მიერ დამზადებული ყველაზე თხელი ოქროს ფოლგა 0.001 მმ. სისქისაა (Ogden 1982:34). ეგვიპტელები იყვნენ პირველები, რომლებმაც აღმოაჩინეს ოქროს განსაკუთრებული თვისებები: გამძლეობა, მოქნილობა, სირბილე და ჭიმვადობა. ოქროს თხელ ფურცლებად გამოჭედვისთვის მხოლოდ მისი ჩაქუჩით დაბრტყელება არ კმაროდა. ამისთვის სათანადო ცოდნა და უნარები იყო საჭირო.

წინარეანტიკურ ხანაში ოქროს ნივთები ძირითადად ჭედვით გამოყვანილი ოქროს ფირფიტისგან და ფურცლოვანი ოქროსგან მზადდებოდა.

ოქროს ფურცლის მისაღებად დაბრტყელებული ზოდი თავსდებოდა გრდემლზე და იჭედებოდა შუა ნაწილიდან კიდეების მიმართულებით. გამომდინარე იქიდან, რომ დარტყმების შედეგად, ოქრო და ვერცხლი, ისევე როგორც ყველა სახის ლითონი მალე კარგავს პლასტიურობას და ხდება უფრო მყიფე, მოქნილობის გაზრდის და დეფორმირების წინაღობის შესამცირებლად, პერიოდულად ხურდებოდა სათანადო ტემპერატურაზე და თავსდებოდა ცივ წყალში (ფოფორაძე 2005:54; Higgins 1980:12; Ogden 1982:34-35). ამ გზით, ჭედვის დროს დაზიანებული კრისტალები აღდგებოდა და ლითონი იბრუნებდა პირვანდელ მოქნილობას. გამოჭედილი ოქროს ფურცელი სისქის მიხედვით შეიძლება ყოფილიყო: 1. ოქროს ფირფიტა, 2. ოქროს ფურცელი ან 3. ოქროს ფოლგა (Ogden 1982:34; Rudolph 1995)

გამოჭედვითვე ხდებოდა სხვადასხვა სახის რელიეფური დეკორების (სიღრმეზე ან სიმაღლეზე გამოსახული) მიღება. ამისთვის შემდეგი ხერხები გამოიყენებოდა: 1) ოქროს ნაჭერი თავსდება სასურველი დეკორის მქონე მეტალის ან ხის შტამპზე და ზემოდან წნეხვით, რომელიც ხორციელდებოდა ცვილის, ტყვიის ან რომელიმე სხვა უფრო რბილი მასალის დახმარებით, ხდებოდა ოქროს ფურცელზე შესაბამისი დეკორის გამოყვანა; 2) ოქრო იდებოდა ცვილზე, ტყვიაზე ან სხვა რომელიმე რბილ

მასალაზე და ზემოდან შესაბამისი ფორმის შტამპის ზეწოლით ხდებოდა ფორმების გამოყვანა; 3) ფუყე ნივთების დასამზადებლად საჭირო ფორმების გამოყვანა ხდებოდა სასურველი დეკორის/ფორმის რელიეფურ ყალიბზე ოქროს ფურცლების მორგებით (Williams...1994:15).

წინარეანტიკური ხანის კოლხურ ოქრომჭედლობაში ჭედვისა და წნეხვის შედეგად სხვადასხვა სახის შტამპებით გამოყვანილ რელიეფურ დეკორატიულ სახეებს და ფორმაზე გამოჭედილ ნივთების დეტალებს არაერთ ნიმუშზე ვხვდებით. მაგ., ასეთებია სხვადასხვა სახის, სამკუთხა ფორმის საკიდების ფურცლოვანი გარსაკრავები სამთავროსა და ცაიშის სამაროვნიდან, სარტყლის ფრაგმენტი, მძივების გარსაკრავები და სხვ. ამ მხრივ საინტერესოა ამ პერიოდის ოქრომჭედლობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ელემენტი, ურჩხულის თავებით დაბოლოებულ რგოლები. მათზე ურჩხულის თავები დამზადებულია რგოლისგან დამოუკიდებლად. გამოსახულების მისაღებად სათანადო სისქის ოქროს პატარა ფირფიტებზე, წინასწარ გამოყვანილ ფორმაში, რომელიც ურჩხულის თავის პროფილის ფორმის უნდა ყოფილიყო, წნეხვით გამოჰყავდათ თავის პროფილი, ე. ი თავის ნახევარი. რელიეფურად გამოყვანილი ფორმები რჩილვით მაგრდებოდა ერთმანეთზე. ურჩხულის თავი რგოლზე წამოსაცმელად ბოლოვდებოდა მილისებური სეგმენტით - საყელოთი. საბოლოო სახის მისაღებად საჭირო იყო კიდევ არაერთი პროცედურა საფასადო მხრიდან: კოლხეთისთვის დამახასიათებელ ნიმუშებზე თვალები, ეშვები და დინგი ხშირად ფილიგრანის მავთულებითაა გამოსახული; კბილების გადმოსაცემად გამოყენებულია ცვარა, ხოლო ყურები ფირფიტოვანი ოქროთია მიღებული და მირჩილულია თავზე. აღნიშნული დეტალების (ცხოველის თავის) დამთავრების შემდეგ ხდებოდა მისი რგოლზე წამოცმა, სადაც იგი, ძირითადად, მექანიკურად მაგრდებოდა. გადაბმის ადგილის დასაფარად და მისი უფრო მყარი ფიქსაციისთვის, ამგვარ რგოლებსა და სამაჯურებს საყელოსთან შემოვლებული აქვთ სხვადასხვა სახის დეკორის ფილიგრანული სარტყლები. ამგვარი სამაჯურის ან რგოლის დაბოლოებები, თანადროულ და მომდევნო პერიოდის საოქრომჭედლო ცენტრშიც აქტუალურია და უფრო დიდი ვარიაციებითაც გვხვდება.

ფუყე ნივთების დამზადების მთავარი უპირატესობა და პოპულარობა მდგომარეობდა ოქროს მინიმალურ დანახარჯში. ამ მეთოდით ძალიან მცირე რაოდენობის ოქროთი მასიური ეფექტის მქონე ნივთების მიღება იყო შესაძლებელი.

იმისთვის, რომ ღრუტანიანი ნივთები უფრო გამძლე და მაგარი ყოფილიყო, იგი ივსებოდა გარკვეული მასით (თაბაშირით, თიხით, პასტით, ცვილით და სხვ.). სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო ნიმუშებზე ამგვარი მასა არ არის შემორჩენილი ან შესწავლილი.

მოოქროება წინარეანტიკური ხანის საიუველირო სახელოსნო ცენტრებში ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული მეთოდია. პრეისტორიულ ხანაში იგი ძირითადად გულისხმობდა ოქროს ფოლგის გადაკვრას სხვადასხვა მასალისგან დამზადებულ გულაზე. წინარეანტიკური ხანის კოლხეთში ოქროთი ძირითადად იფარებოდა ვერცხლის, ბრინჯაოს, ტყვიისა და კალის ნივთები. ოქროს თხელი ფურცელი ლითონზე შეიძლება დამაგრებული ყოფილიყო გადაჭედვის და გვერდების შემოკეცვის, რჩილვის, ან გარკვეული წებოვანი ნივთიერების (ე. წ. კოპალის წებოს) დახმარებით (ფოფორაძე 2005: 65; Higgins 1980:29-30).

წებოს გამოყენება საჭირო იყო სპილენძის ან ბრინჯაოს მოოქროებისთვის და იგი თერმულ დამუშავებასაც მოითხოვდა: საჭირო იყო ბრინჯაოს ან სპილენძის ზედაპირზე დაწებებული ოქროს ფურცლის იმ ტემპერატურაზე გახურება, რომელიც უზრუნველყოფდა ზედაპირზე მის მცირედით შედუღებას (ფოფორაძე... 2005: 66).

ცივი მეთოდით ოქროს ფურცლით მოოქროების დროს ძალიან თხელი ოქროს ფოლგა (სასურველი სისქე 0.001-0.003 მმ) წებოვანი ნივთიერებით ერწყმოდა ზედაპირს. წინარეანტიკურ ხანაში ვერცხლისწყლით მოოქროების მეთოდი არცერთ საოქრომჭედლო ცენტრშია დადასტურებული. სავარაუდოდ, ეს მეთოდი არც კოლხი ოქრომჭედლებისთვის იქნებოდა ცნობილი.

მოოქროებასთან ერთად კოლხეთში, ისევე როგორც მსგავსი ტრადიციების მქონე სხვა საოქრომჭედლო ცენტრებში, გამოიყენებოდა მოვერცხვლაც, რომელიც ზუსტად იგივე ტექნოლოგიურ პროცედურებს მოიცავდა. სამწუხაროდ, იმის გამო რომ ვერცხლი უმეტეს შემთხვევაში ცუდად ინახება და ოქროზე მეტად კოროზირებადია, მათი ძალიან მცირე ნაწილია შემორჩენილი.

მარტივი სახით მექანიკურად მოოქრული ნივთები საქართველოში ჯერ კიდევ თრიალეთურ ოქრომჭედლობაში ფიქსირდება და, აქედან მოყოლებული, განვითარების საკმაოდ ხანგრძლივ ტრადიციას გადის. წინარეანტიკური ხანის კოლხური კულტურის მსგავსი ტექნოლოგიით დამზადებული ნიმუშებიდან ჩანს, რომ ამ ტექნიკის ცოდნას აქ საკმაოდ მაღალ დონეზე ფლობდნენ. ვხვდებით როგორც

მექანიკური გზით მოოქრულ, ისე შედნობა-შეწებების გზით გადაკრულ ფოლგებს, ფურცლებს და ფირფიტებს.

<u>მავთული</u> უძველეს საიუველირო ხელოსნობაში ერთ-ერთი ფართოდ გამოყენებული სახეა როგორც პირველადი, ისე მეორადი დამუშავებისთვის (Rudolph 1995). იგი გამოიყენებოდა როგორც ნივთების და დეტალების დასამაგრებლად, ისე დეკორაციისთვის.

მავთული მიიღებოდა სიგრძეზე, წვრილად დაჭრილი ოქროს ფურცლის სიგრძეზე გადახვევით და ქვის ან ბრინჯაოს ფირფიტებს შორის გორაობით მანამ, სანამ სასურველ მრგვალ განივკვეთს არ მიიღებდნენ (Higgins 1961:14).

უბრალო მავთულის მიღების უფრო მარტივი ხერხი იყო მისი ჩამოსხმა და შესაბამის სისქეზე გამოჭედვა.

ოქროს წვრილი მავთულისგან მხატვრული სახეების შექმნის ერთ-ერთი უძველესი ხერხია ფილიგრანი. მისი უძველესი ნიმუშები ძვ.წ. III-II ათასწლეულის, მესოპოტამიის, ეგეოსური სამყაროს, ეგვიპტის და სხვა მნიშვნელოვანი ძეგლების გვერდით, საქართველოს ადრეყორღანული კულტურის ძეგლებზეც დასტურდება. უძველესი დროიდან ფილიგრანის გამოყენების ორი ხერხია ცნობილი: ზედაპირზე მირჩილული მხატვრული სახეები და ჭვირულად გამოყვანილი ფორმები.

ძვ. წ. VIII საუკუნიდან, როცა ფილიგრანი (გრანულაციასთან ერთად), გვიანბრინჯაოს ხანაში არსებული გარკვეული წყვეტილის მერე, კვლავ ხდება პოპულარული სირიულ, ფინიკიურ, ბერძნულ და სხვა ორიენტალისტურ ტრადიციებზე დაფუძნებულ სახელოსნო ცენტრებში, კოლხეთშიც აქტიურად გამოიყენება და ნივთების დეკორირების ერთ-ერთ წამყვან ხერხი ხდება.

წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშებზე ძირითადად გამოყენებულია სადა ან გრეხილური მავთულისგან შედგენილი ორნამენტული სახეები. ხშირია წყვილი გრეხილური მავთულისგან მიღებული წნულის იმიტაციები ან წიწვისებური ორნამენტი. ფილიგრანი დასტურდება როგორც ოქროზე, ისე ვერცხლის ნიმუშებზე. ზოგ შემთხვევაში იგი გამოყენებულია საინკრუსტაციო ბუდეებად (ფილიგრანული ინკრუსტაცია).

უძველესი კოლხური ოქრომჭედლობის ძეგლებზე დადასტურებულია როგორც ჭვირული (ნოსირისა და ცაიშის მძივები და სხვ.), ისე დახურული ფილიგრანი.

გრანულაცია, ფილიგრანთან ერთად გახლავთ ოქროს ნივთის შემკობის ერთ-ერთი ყველაზე ძველი, პრესტიჟული და შრომატევადი ხერხი. მათი განვითარება, სავარაუდოდ, ერთდროულად მოხდა, რადგან გრანულების რჩილვა ზედაპირზე დაახლოებით იგივე ხერხს და მასალას მოითხოვს, რაც ფილიგრანის შემთხვევაშია საჭირო.

გრანულაციის აქტიური გავრცელების პირველი ეტაპი მოიცავს ძვ. წ. III-II ათასწლეულებს. მისი უადრესი ნიმუშები აღმოჩენილია მესოპოტამიაში, ძვ.წ. 2560-2400 წწ-ით დათარიღებულ ურის სამეფო სამარხებში. ოდნავ მოგვიანებით იგი ფართოდ ვრცელდება ასურეთში, ტროაში, კარმირ-ბლურში, ეფესოში, მარიში, ამრიტში, კვიპროსზე, კრეტასა და სარდინიაზე. ირანში გრანულაციის ტექნიკა უწყვეტად ვითარდებოდა ძვ. წ. XVI საუკუნიდან თითქმის მეცხრამეტე საუკუნემდე (Wolters 1983:68-69)

ძვ. წ. II ათასწლეულში, ეს ტექნოლოგიური ხერხი დამკვიდრებულია არა მხოლოდ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, არამედ ანატოლიაში, აზერბაიჯანში, ურარტუში, ტრაპეზუნტსა და შავიზღვისპირეთში.

საბერძნეთში გრანულაციის ტექნიკა ვრცელდება ადრემიკენური ხანიდან - ძვ. წ. XV საუკუნის შუა წლებში, და პოპულარულია ძვ. წ. X საუკუნემდე. მისი განვითარების მომდევნო ფაზა აქ VIII საუკუნიდან იწყება (Wolters 1983:73)

გვიანბრინჯაოს ხანის დასასრულს, გრანულაციის გამოყენებაში წყვეტილი, ირანის გარდა, ყველა კულტურულ არეალში შეინიშნება. მისი განვითარების ისტორიაში, მეორე ფაზად მიჩნეულია ძვ. წ. VIII-VII საუკუნეები. IX საუკუნის დასასრულიდან იგი აქტიურად ვრცელდება ასურეთში, ეგვიპტეში, საბერძნეთსა და ურარტუში. ძვ. წ. VIII ს-ის ბოლო-VII საუკუნის დასაწყისში, ბერძნული და ფინიკიური კოლონიზაციის გავლენით, პოპულარული ხდება მთელს აღმოსავლეთ და დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში (Wolters 1983: 74). ამ პერიოდში გრანულაცია აქტიურად გამოიყენება ორიენტალისტური სტილის ეტრუსკულ, ფინიკიურ, სკვითურ, სირიულ და კოლხურ ოქრომჭედლობის ნიმუშებზე (სამწუხაროდ, ამ პერიოდის კოლხური ოქრომჭედლობა, ამ სფეროში არსებულ ფუნდამენტურ ნაშრომებში უმეტესწილად არაა მოხსენიებული, ალბათ, საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურაში მათი არასათანადო ცნობადობის გამო).

გრანულაციის ტექნიკა განვითარების ყველაზე სრულყოფილ სახეს ძვ. წ. IV საუკუნის ეტრურიაში აღწევს, თუმცა მის განვითარებას აქ საფუძველი ჯერ კიდევ ადრეეტრუსკულ პერიოდში, ძვ. წ. 700-625 წლებში ეყრება.

დამზადების ტექნიკის სირთულის მიხედვით, წინარეანტიკური ხანის კოლხეთში აღმოჩენილ ნიმუშებზე გამოყენებული გრანულაციის ფორმები და ხერხები იდენტურია თანადროული ორიენტალისტური სტილის საოქრომჭედლო ცენტრებში დანერგილი მეთოდების.

გრანულაციის დასამზადებლად ოსტატს მთავარი უნარი გრანულების განლაგების დროს დაჭირდებოდა და არა მისი შექმნისას, რომელიც საკმაოდ შრომატევადი, მაგრამ არც თუ ისე რთული პროცესია. გრანულების მისაღებად ოქროს ფურცელი ან მავთული იჭრებოდა სასურველი, მცირე ზომის ნაწილებად, იდებოდა თიხის, სავარაუდოდ, ნახშირიან ტიგელზე და ხურდებოდა მანამდე, სანამ ოქრო არ დაიწყებდა დნობას და პატარა გრანულებად/ბურთებად გარდაქმნას. გრანულების დიდი რაოდენობით წარმოებისთვის ოქროს ნაწილები და ნახშირი თავსდებოდა ურთიერთმონაცვლე ფენებად. გაცივების შემდეგ ხდებოდა გრანულების გასუფთავება და ზომის მიხედვით დახარისხება, ამისთვის შესაძლოა გამოეყენებინათ სხვადასხვა ზომის საცრები (Higgins 1980).

გრანულაციის, ისევე როგორც ფილიგრანის დატანა შესაძლებელი იყო მხოლოდ ოქროს თხელ ზედაპირზე. უფრო მასიურ ნივთზე, სითბოს სწრაფი გამტარობის გამო, გრანულები ან მავთულები მანამდე დაიწყებდა დნობას, სანამ დაიწყებოდა რჩილვის პროცესი. რთული ხასიათის დეკორის განლაგებისას, სიმეტრიის დასაცავად, ოქროს ზედაპირზე, ალბათ, წინასწარ ხდებოდა გარკვეული მონახაზების გაკეთება (გეგმის დატანა). გრანულაცია, ისევე როგორც ფილიგრანი, საშუალებას იძლეოდა ოსტატს გამოესახა როგორც სიბრტყითი, ისე სამგანზომილებიანი სივრცითი დეტალები.

გრანულაცია ვერცხლზეც ზუსტად იგივე პროცედურას მოითხოვდა რასაც ოქროზე, ოღონდ ის სინატიფე, რაც ოქროს შემთხვევაში შედარებით მარტივად მიიღებოდა, ვერცხლზე გაცილებით რთული შესასრულებელი იყო.

წინარეანტიკური ხანის ოქრომჭედლობის ნიმუშებზე დასტურდება როგორც შედარებით სუფთად მირჩილული, ისე შედარებით „ჩამდნარი“ გრანულები, რაც ოსტატთა განსხვავებულ გამოცდილებაზე მეტყველებს.

<u>რჩილვა</u> ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო პროცესი იყო, რომელიც სათანადო ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვდა.

ეტრურიაში, სადაც რჩილვით დეკორირების ტექნიკა ძალიან მაღალ დონეზე იყო განვითარებული, ტექნოლოგიური და მიკროსკოპული კვლევებით ირკვევა, რომ ძირითადად სამი სახის რჩილვის მეთოდი იყო გავრცელებული: 1) მეტალის შენადნობით რჩილვა: ამისთვის შესაბამისი პროპორციით შერეული ოქროს, სპილენძის და ვერცხლის შენადნობისგან დამზადებული თხელი ფურცელი იდებოდა სარჩილავ ზედაპირზე; 2) სინთეზირებული შეერთება: ამ დროს, იმის გამო, რომ არ იყენებდნენ სარჩილავს, მისარჩილავი დეტალები „ჩამდნარი“ სახით ერწყმოდა ზედაპირს. ასეთი მეთოდით შეერთებულ ნივთებზე, ე. წ. საკონტაქტო ზონის, ანუ სარჩილავის დაფიქსირება ლაბორატორიულად შეუძლებელია; 3) სპილენძის მარილზე დაფუძნებული რჩილვა (Parrini... 1982:118).

საინტერესოა, რომ ეტრურიაში, სადაც გრანულაციის ტექნიკამ თავისი განვითარების ზენიტს მიაღწია, ოქროს დამუშავების რეცეპტში, გრანულების რჩილვისას იყენებდნენ ქარვას. პენსილვანიის უნივერსიტეტის მუზეუმის ლაბორატორიაში ეტრუსკულ ნაწარმზე ჩატარებული მიკროსკოპული დათვალიერებით, გრანულებსა და ოქროს ფურცელს შორის დადასტურდა დამწვარი ქარვის ფრაგმენტები. მკვლევარმა ტელმა ფოლეტმა, მის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის მეშვეობით დაადგინა, რომ ქარვის ფხვნილის სარჩილავთან დატანის უპირატესობა იყო ის, რომ იგი დნობის საკმაოდ მაღალი ტემპერატურის გამო იცავდა უმცირეს გრანულებს „ჩადნობისგან“. აღნიშნულ ნიმუშებზე შემორჩენილი უმცირესი ფისოვანი ნარჩენების სპექტრული ანალიზი იდენტური აღმოჩნდა დეკორირებისთვის გამოყენებული ქარვის ნიმუშების, რამაც ცხადჰყო, რომ ეტრუსკები ტექნოლოგიაში იყენებდნენ იგივე ქარვას, რასაც დეკორირებისთვის (Follet 1985).

გრანულაციასა და ფილიგრანისთვის, წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის ზოგ ნიმუშზე ვიზუალური დაკვირვებით (მაგ., ფარცხანაყანევის მძივი) ჩანს, რომ სარჩილავ მასალად, ძირითადად, სპილენძის მინარევიანი წებოვანი ხსნარია გამოყენებული (კოლოიდური სარჩილავი). სავარაუდოდ ეს წარმოადგენდა სპილენძის მარილებისგან (ან სპილენძის კარბონატისგან) დამზადებულ რეაქტიულ სარჩილავს, რომელიც მზადდებოდა თანაბარი რაოდენობის დაფხვნილი სპილენძის მარილის და ორგანული წებოს (მცენარეული, ან თევზის) წყალთან გაზავებით.

მიღებული პასტისებური წებოვანი კონსისტენცია წაესმებოდა მისარჩილ ზედაპირს და ხდებოდა გრანულების განლაგება. წებოვანი მასის წყალობით ხელოსანს მარტივად შეეძლო გრანულები გადაენაწილებინა და დაეფიქსირებინა სასურველი განლაგებით. გამზადებულ ნივთს მოათავსებდნენ ტიგელზე და ახურებდნენ ნახშირის ცეცხლზე. 100°C-ზე გახურებისას სპილენძის მარილი გარდაიქმნებოდა სპილენძის მჟავად, 600°C-ზე წებო გარდაიქმნებოდა ნახშირბადად, რომელიც 850°C-ზე შთანთქავდა სპილენძის მჟავის ჟანგბადს და აორთქლდებოდა ნახშირორჟანგის სახით, შესაბამისად, დარჩებოდა მხოლოდ სუფთა სპილენძი, რომელიც 890°C-ზე ოქროსთან შევიდოდა რეაქციაში და მოხდებოდა დეტალების ერთმანეთთან დაკავშირება. სარჩილავი მასის (სპილენძის) რაოდენობა ოქროს ან ვერცხლის სინჯის მიხედვით განისაზღვრებოდა. სუფთა ოქროს შემთხვევაში, რომლის დნობის ტემპერატურაა 1063°C-ია, ხელოსანი უფრო თამამი იქნებოდა ლითონის გახურებისას, ელექტრუმის ან ვერცხლის (მათი დნობის ტემპერატურაა 961°C) შემთხვევაში კი პირიქით. იმ შემთხვევაში თუ შედუღების დროს, ნივთი განსაზღვრულზე ოდნავ მეტად გადახურდებოდა, გრანულები ან მავთულები დაიწყებდნენ დნობას, ამიტომ საჭირო იყო ხელოსანს ზუსტად ცოდნოდა რჩილვისთვის საჭირო ტემპერატურა.

წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშებზე გრანულაცია ვერცხლზე იგივე წარმატებით ტარდებოდა, როგორც ოქროზე. ვხვდებით გრანულებით დეკორირების სხვადასხვა ხერხს: 1) ერთეულ გრანულაციას (ცილინდრულ მძივებზე, ცხოველის თავის დეტალების გამოსაყვანად), 2) ხაზოვან გრანულაციას (სხვადასხვა სახის გეომეტრიული დეკორის მისაღებად), 3) რელიეფურ გრანულაციას (საყურის პირამიდისებური ფორმის საკიდებზე).

მოზრდილი ნივთების ცალკეული დეტალების შეერთებისთვის ზემოთ განხილული მეთოდი, ალბათ, შეუფერებელი იქნებოდა და საჭირო იქნებოდა უფრო მყარი სარჩილავის და შედარებით მაღალი ტემპერატურის გამოყენება. მყარი შედუღებისთვის, როგორც წესი, ოქროსთვის ოქროს, ხოლო ვერცხლისთვის ვერცხლის სარჩილავი გამოიყენებოდა, ოღონდ, მათში უმატებდნენ მცირე რაოდენობით ისეთ ლითონს (ტყვია, სპილენძი, თუთია, კალა, კადმიუმი და სხვ.), რომ სარჩილავის დნობის ტემპერატურა შესაერთებელი დეტალების დნობის ტემპერატურაზე უფრო დაბალი ყოფილიყო (ფოფორაძე 2005:53). ამისთვის ძირითადად იყენებდნენ ვერცხლის და სპილენძის ნაერთს.

ამრიგად, რჩილვა ნივთის დამზადების ბოლო ტექნოლოგიური ეტაპი იყო. ამის შემდეგ ნივთი საჭიროებდა მცირე კოსმეტიკურ შელამაზებას: ამისთვის სწორი ზედაპირის მქონე ნივთები პრიალდებოდა აბრაზიული (წმინდა) ფხვნილის დახმარებით ან მექანიკურად, ხოლო გრანულაციით ან ფილიგრანით დამზადებული ნივთები იწმინდებოდა მისი მოთავსებით „ჩამარინადებით“ მსუბუქად კოროზირებად ხსნარში (მაგ. შაბი, მარილწყალი და სხვა) (Williams 1994).

<u>ინკრუსტაცია</u> ორიენტალისტური პერიოდის ერთ-ერთი ნაკლებად, მაგრამ მაინც დამახასიათებელი დეკორატიული მეთოდია. ამ პერიოდში ვხვდებით როგორც ნახევრადძვირფასი თვლებით, ისე პასტისებური მასით და ქარვით ინკრუსტაციის ფაქტებს.

უძველესი ინკრუსტრირებული სამკაულის გავრცელების არეალად მესოპოტამიისა და ეგვიპტის რეგიონები მოიაზრება. ყველაზე ადრეულ ნიმუშებს ვხვდებით ურის ძვ. წ. 2500 წლით დათარიღებულ სამეფო სამარხებში (Woolley 1929:pl.138). სირიაში უკვე ძვ.წ. 2000 წელს ინკრუსტაციის ტექნიკა საკმაოდ მაღალ დონეზეა ასული, შესაძლოა აქ იგი ძვ. წ. III ათასწლეულშიც აქტიურად ყოფილიყო გამოყენებული. ეგეოსურ სამყაროში ინკრუსტაციის უადრესი ნიმუშები ძვ. წ. XVII საუკუნითაა დათარიღებული. მინოსურ კულტურაში აღმოჩენილი ამგვარი სამკაულის უძველესი ნიმუშები სტილისტურად ძალიან ახლოს დგანან მესოპოტამიურ ნაწარმთან, ამიტომ, მათი გავრცელების პირველწყაროდ მკვლევრები სწორედ ამ რეგიონს მოიაზრებენ (Higgins 1961:29). ძვ. წ. II ათასწლეულში, პოლიქრომიული სტილის ოქროს სამკაულის გავრცელების არეალში სამხრეთ კავკასიის რეგიონიც ექცევა. თრიალეთურ კულტურაში აღმოჩენილ ოქროს ნივთებში ბევრი მსგავსება იგრძნობა თანადროულ ეგეოსურ და მესოპოტამიურ სამკაულთან (შანშაშვილი 2016)

ძვ. წ. XV-XIII სს-ში პოლიქრომიული სტილის სამკაული კვლავ ინარჩუნებს პოპულარობას (Rosenberg 1921:23). ამ პერიოდის ბერძნულ სამყაროში, ძირითადად, გამოყენებულია ლურჯი და მწვანე მინა, ფირუზის, ზურმუხტის და ლაპის ლაზულის იმიტაციისთვის (Higgins 1961:29).

ბნელ საუკუნეებში ინკრუსტირებულ სამკაულს აღარ ვხვდებით. იგი ხელახლა ჩნდება ძვ. წ. IX საუკუნიდან (ძვ. წ. IX ს-ის საბერძნეთში ატიკასა და კრეტაზე აღმოჩენილი სამკაული) და პოპულარულია ძვ. წ. VII საუკუნემდე.

ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში მის ხელახალ გავრცელებას ფინიკიელ ვაჭრებს მიაწერენ, რომელთა მარშრუტი საკმაოდ ვრცელ ტერიტორიებს მოიცავდა. ძვ. წ. VII საუკუნიდან, ფინიკიელთავე დამსახურებით, ინკრუსტირებული ნიმუშები გამოჩენას იწყებენ ეტრურიაშიც, თუმცა აქ დიდი პოპულარობით ვერ სარგებლობენ და მალევე ქრებიან (Higgins 1961:29). აღმოსავლურ ძეგლებზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის სამკაული ბევრი არაა შემორჩენილი, იგი შემკობის ერთ-ერთ დამახასიათებელ კომპონენტად რჩება.

კლასიკურ ხანამდე გავრცელებული იყო ინკრუსტაციის ცივი ხერხი. მას ვხვდებით გვიანბრიჯაო-ადრერკინის ხანის ახლო აღმოსავლეთში, ეგვიპტეში, ეტრურიაში, ფინიკიაში, საბერძნეთში, სკვითებთან და სხვა საუველირო სახელოსნო ცენტრებში. მინისებური პასტა, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ხელმისაწვდომი და მარტივი ხერხი იყო ფერადი დეკორირებისთვის. ამგვარი მასა, ძირითადად, ფილიგრანის, ან ფირფიტოვან ბუდეებშია ჩასმული და, უმეტეს შემთხვევაში, არაა შემორჩენილი, ისევე როგორც ქარვით ინკრუსტირებული ნაწილები.

საქართველოში გავრცელებულ საიუველირო ნაწარმში ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვებით შექმნილ პოლიქრომიულ სახეებს ჯერ კიდევ თრიალეთური ეპოქის ოქრომჭედლობაში ვხვდებით. საოქრომჭედლო საქმის დეგრადაციის მერე, დეკორირების ეს ხერხი ოდნავ სახეცვლილი ფორმით არსებობას განაგრძობს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ბრინჯაოს მხატვრულ ნაწარმში. მაგ., როგორც ლაბორატორიული კვლევებით ირკვევა, ბრილში აღმოჩენილი ზოგი ტიპის ბრინჯაოს საკიდები და შტანდარტები მინისებური მასით ყოფილა ინკრუსტირებული; ფერების კონტრასტის პრინციპით ჩანს ინკრუსტირებული სამთავროს სამაროვნის ნახევარწრული აბზინდები; აღნიშნული ტრადიცია ადრერკინის ხანის ძეგლებზეც განაგრძობს არსებობას. მაგ., წითელი შუქურას სამაროვანზე აღმოჩენილი ნახევარწრიული აბზინდები ინკრუსტირებულია როგორც მინით, ისე ლითონით. ლითონით ინკრუსტაცია კოლხური და ყობანური ბრინჯაოსთვის ერთ-ერთი დამახასიათებელი დეკორატიული ხერხია. აქ, ბრინჯაოს ნაწარმზე (მართკუთხა აბზინდები, სატევრის ტარები) ძირითადად რკინის საინკრუსტაციო მასაა გამოყენებული. ამ მხრივ აღსანიშნავია ლეჩხუმში აღმოჩენილი დახურული ტიპის ქვის ყალიბის ერთი ნაწილი, რომელშიც ძაბრისებური ჩაღრმავებიდან სასურველ ფორმაზე ისხმებოდა ცხელი საინკრუსტაციო მასა.

მიღებულ თხელ ფირფიტას შემდეგ აჭედებდნენ საინკრუსტაციო ნივთის საგანგებოდ გამზადებულ ბუდეში (სულავა 2003; Sulava 2008).

უძველესი კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშებში საკმაო რაოდენობითაა გამოყენებული ოქროს ფირფიტის თვალბუდეებში ჩასმული ნახევრადძვირფასი საინკრუსტაციო ქვები (ოპალი). ბუნებრივი მინერალებით ინკრუსტაციის ფაქტები თანადროული პერიოდის სხვა საოქრომჭედლო ცენტრებში ძალიან იშვიათია. კოლხეთში მათი გამოყენება ამ მინერალის პოპულარობით უნდა აიხსნას, რასაც მათი ადვილი ხელმისაწვდომობა და დამუშავების ტექნიკის კარგი ცოდნა განაპირობებდა.

თვლებით ინკრუსტაციის ნიმუშები თანადროული პერიოდის სამკაულთა შორის გვხვდება კალის ნივთზეც - ესენია კალის მასიური სოკოსებურდაბოლოებებიანი ხვიები, რომელზეც საგანგებოდ ამოკვეთილ ბუდეებში მოთავსებულია მოწითალო ფერის თვლები. ისინი საინკრუსტაციოდ ამოკვეთილი ბუდეებით მოგვაგონებენ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ბრილის, სამთავროს და თრელის სამკაულზე (საკიდებზე და ბალთებზე) კვეთილ საინკრუსტაციო ბუდეებს, ხოლო ფორმით უკავშირდებიან ბერძნულ სამყაროში გავრცელებულ მსგავს საყურე ხვიებს, რომელთაგან ზოგ ნიმუშზე ქარვით ინკრუსტრაციაც დასტურდება.

ქარვა კოლხეთის უძველესი ოქრომჭედლობის ნიმუშებზე ყველაზე ხშირად გამოყენებული საინკრუსტაციო მასალაა. იგი ორგანული წარმოშობის მინერალთა რიცხვს განეკუთვნება და წარმოადგენს მილიონობით წლის წინ გადაშენებული წიწვოვანი მცენარეების გაქვავებულ ფისს. სხვადასხვა თვისებებიდან გამომდინარე ქარვას აქვს ადამიანთა მიერ ექსპლუატაციის საოცრად მრავალფეროვანი ისტორია (Follet 1985:64). პირველად ადამიანი მას დაახლოებით 13 000 წლის წინ, ბალტიის ზღვის სანაპიროებზე გაეცნო (Grimaldi 2009:51) და სხვადასხვა პერიოდში იყენებდა როგორც დეკორატიული, ისე რელიგიური და სამკურნალო დანიშნულებით. სხვადასხვაგვარი სასარგებლო თვისებებიდან გამომდინარე, ის ხშირად უკვდავებასთან იყო დაკავშირებული, ხოლო ჰაეროვანი, კაშკაშა ყვითელი ფერის და ადვილად დამუშავებადობის (მათ შორის დნობა) გამო, ოქროს მსგავსად, ღვთაებრივი წარმომავლობა მიეწერებოდა.

ქარვა, ისევე როგორც ოქრო, იყო ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი ნივთი უძველეს ცივილიზაციებში. ამის ერთ-ერთი მიზეზი, გარეგნული მახასიათებლების გარდა, მისი თვისებები იყო. ძველ სამყაროში ცნობილი იყო, რომ დაფქვილი ქარვის შერევა

ღვინოში მას ვარგისიანობას უხანგრძლივებდა. ადრეული ექიმები მას იყენებდნენ თვალის ინფექციების, სისხლიანი ჭრილობების და სხვა დაავადებების სამკურნალოდ (Follet 1985:64).

საქართველოში ქარვით ინკრუსტაციის ადრეული ნიმუშები ჯერ კიდევ თრიალეთის ეპოქაში დასტურდება (ოქროს თასი). გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის საქართველოში მისი იმპორტი დიდი რაოდენობით ხდებოდა, სავარაუდოდ, ნედლეულის სახით და გამოიყენებოდა როგორც საიუველირო დეკორირების, ისე ცალკეული სამკაულის (საკიდების, მძივების) დასამზადებლად. სავარაუდოდ, საქართველოში ქარვის იმპორტი ბალტიისპირეთიდან ხდებოდა ხმელთაშუაზღვისპირეთის გავლით. მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ხმელთაშუაზღვისპირეთში ბალტიისპირეთიდან იმპორტირებული ქარვა ცირკულირებდა. არის მოსაზრება, რომ იგი იყო ბარტერული საქონელი ადრეულ ევროპასა და ხმელთაშუა ზღვაში. უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში, ბალტიისპირეთის ტომებს შექმნილი ჰქონდათ ქარვით ვაჭრობის ქსელი ევროპის მთავარ მდინარეებზე, რომლის საბოლოო პუნქტს ეგეოსური სამყარო წარმოადგენდა. ძვ. წ. XIII-VI საუკუნეებში ხმელთაშუაზღვისპირეთში ქარვის დისტრიბუტორები იყვნენ ფინიკიელი მეზღვაურები, რომლებიც სხვა სახის ეგზოტიკურ ნივთებთან ერთად ქარვითაც ვაჭრობდნენ (Follet 1985:64).

კოლხეთში, ისევე როგორც თანადროულ ბერძნულ, ეტრუსკულ, ფინიკიურ და სხვა მნიშვნელოვან საოქრომჭედლო ცენტრებში, ქარვით დამზადებული სამკაულის ტარება მაღალი სოციალური სტატუსის პირთა პრივილეგია იყო. იგი უმეტესწილად შედარებით მდიდრულ სამარხეულ კომპლექსებში გვხვდება, როგორც წესი, ოქროს, ფაიანსის, მინის და სხვა ეგზოტიკურ ნივთებთან ერთად.

თავი VI. ოქრომჭედლობის განვითარების ისტორია და საერთაშორისო კულტურული კონტექსტი

პირველად ადამიანი ოქროს პალეოლითის ხანაში გაეცნო - ესპანეთში არსებულ ძვ. წ. 40000 წლით დათარიღებულ გამოქვაბულში აღმოჩენილია ადამიანის მიერ შეგროვებული ოქროს პატარა კენჭები (Vronsky 1991) - მაგრამ კაცობრიობას კიდევ ათიათასობით წელი დასჭირდა იმისთვის, რომ ამ ლითონის ღვთაებრივი ბუნება ამოეცნო.

ოქროთი დამზადებულ უძველეს ნივთებს, დღევანდელი მონაცემებით, ვხვდებით ბულგარეთში, ვარნაში აღმოჩენილ ძვ. წ. VI ათასწლეულით დათარიღებულ კარანოვოს კულტურაში.

ძვ. წ. V ათასწლეულის ბოლოდან, ოქრო გამოჩენას იწყებს ეგვიპტესა და მესოპოტამიაში, სადაც მათი ფიზიკური და ქიმიური მახასიათებლების ამოცნობას მხოლოდ ძვ. წ. IV ათასწლეულის დასაწყისიდან ახერხებენ. სწორედ ამ ორ რეგიონში ეყრება საფუძველი ოქრომჭედლობის დამუშავების იმ რთულ ტექნოლოგიურ ხერხებს, რომელიც დღესაც აღფრთოვანებს იწვევს საზოგადოებაში.

ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულიდან და ძვ. წ. III ათასწლეულში ოქრომჭედლობის ნიმუშები გამოჩენას იწყებს ბალკანეთის, ირანის, ლევანტის, საბერძნეთის, ანატოლიის, სამხრეთ კავკასიის და სხვ. რეგიონებში, რომელთა უმეტესობა ისეთ არეალს წარმოადგენს, სადაც ოქროს ადგილობრივი რესურსი ხელმისაწვდომი იყო.

საკითხი, სხვადასხვა კულტურაში საიუველირო ხელოსნობის ჩამოყალიბება ერთმანეთის დამოუკიდებლად მიმდინარეობდა თუ ერთმანეთთან გამოცდილების გაზიარების და გადაცემის გზით, ჯერ-ჯერობით მკაფიოდ გამოკვეთილი არ არის და კვლავ არაერთ კომპლექსურ კვლევას საჭიროებს. სავარაუდოა, რომ ძვირფასი ლითონით მდიდარ რეგიონებში, ოქრო და ვერცხლი სპილენძისა და სხვა ლითონების ძიებისას ყოფილიყო მიკვლეული და გადამუშავებული (რადგან ქანური ოქროს მოპოვებისთვის იგივე პროცედურებია საჭირო რაც სპილენძის, დარიშხანის ან ტყვიის შემთხვევაში).

დღეისათვის არსებული არქეოლოგიური მონაცემები და ინტერდისციპლინარული კვლევები ნაწილობრივ გვაძლევს ძვირფასი ლითონის ძიებაში აღმოცენებული ინტერკულტურული ურთიერთობების იდენტიფიკაციის საშუალებას - ამ მხრივ უკვე არაერთი კვლევაა ჩატარებული და გამოთქმულია ბევრი საინტერესო მოსაზრება.

უძველესი პერიოდიდანვე მეტალის ძიება იყო ერთ-ერთი მიზეზი, რაც ადამიანების მუდმივ მიგრაციას განაპირობებდა. მაგალითად, მესოპოტამიას, რომელიც საიუველირო საქმის ერთ-ერთ უძველეს კერად ითვლება და მიეწერება არაერთი რთული ტექნოლოგიური პროცესის გამოგონება, სჭირდებოდა მეტალის იმპორტი (Maxwell-Hyslop, 1976:17-18). ამის გამო მან ადრევე დაამყარა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები მეზობელ რეგიონებთან. ინტერდისციპლინარული კვლევებით დადასტურებულია, რომ ძვ. წ. IV ათასწლეულში ოქრო ეგვიპტიდან იმპორტის სახით შედიოდა მესოპოტამიაში (Sutherland 1959:27). მოგვიანებით, მეტალის იმპორტის მიზნით იგი ამყარებს აქტიურ კავშირს ანატოლიასთან, სადაც ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში უკვე სავაჭრო კოლონიებსაც აარსებს (მაგ. კანისი, ბოღასქოი). ამ პერიოდიდან უკვე კილიკია ხდება შუმერული ოქროს ძირითადი წყარო (Maxwell-Hyslop 1976:64; Roudolph 1996:18). მესოპოტამიური ოქროს კიდევ ერთი წყარო, შუმერულ ჩანაწერებზე დაყრდნობით, იდენტიფიცირებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ ირანში (სპარსეთის ყურესთან, და შესაძლოა პაკისტანშიც) (Mallowan 1956:5).

ეგვიპტეს, როგორც ოქროს წყაროს, მოგვიანო პერიოდშიც არ დაუკარგავს აქტუალობა. ამარნას წერილებიდან ირკვევა, რომ ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეებში იგი კვლავ ამარაგებდა ბაბილონის, ასურეთის და მითანის რეგიონებს ოქროთი (Maxwell-Hyslop 1976: Ixiv).

ანატოლია თავისი ბუნებრივი რესურსებისა და ტერიტორიის გამო ოდითგანვე იყო რეგიონი, სადაც არაერთი კულტურული ელემენტების თანხვედრა და გადანაწილება ხდებოდა. ადრელითონების ხანაში, აღმოსავლურ კავშირებთან ერთად, აქ იგრძნობა ეროპული კულტურიდან შემოსული იმპულსებიც. მაგ., ანატოლიის ადრეულ ოქრომჭედლობაში გარკვეულწილად ასახულია ევროპული სამკაულისთვის დამახასიათებელი ტრადიციები: მასიური, პრიალა ზედაპირი და ხაზგასმული სისადავის მკაცრი ფორმები (Roudolph 1996:18). მეცნიერთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ უძველესი ელადური და კიკლადური ბრინჯაოს განვითარებული კულტურა, სწორედ ანატოლიის რეგიონიდან მიგრირებულ ხალხს ჩააქვს

საბერძნეთში (Higgins 1961:49). ენათმეცნიერული კვლევები და ახლად აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები კი მიუთითებენ, რომ ამ მიგრაციებში, შესაძლოა სამხრეთ კავკასიის მოსახლეობაც ყოფილიყო ჩართული. სამხრეთ კავკასიასა და ეგეოსურ სამყაროს შორის ახლო ურთიერთობა, არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, ჯერ კიდევ ადრებრინჯაოს ხანაში, მტკვარ-არაქსის ეპოქიდან შეინიშნება (შანშაშვილი... 2016:11-14).

გამომდინარე იქიდან, რომ ამიერკავკასია, ისევე როგორც ანატოლია, იყო ლითონდამუშავების უძველესი ცენტრი, იგი მუდმივად ექცეოდა უცხოელი მიგრანტების ყურადღების ქვეშ ჯერ კიდევ ძვ. წ. IV-III ათასწლეულებიდან მოყოლებული. ის საზოგადოებრივი და კულტურული ცვლილებები, რაც ამ პერიოდში აღნიშნულ რეგიონს ახასიათებს, მკვლევართა მიერ უცხო ეთნოსის შემოსვლით არის ახსნილი (ჯაფარიძე 1991:165; ჯაფარიძე 2006; შანშაშვილი... 2016:7). კავკასიის აღმოსავლეთით, სამხრეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით გამოვლენილი მატერიალური კულტურის ძეგლები ნათლად მოწმობს ამ ურთიერთობებს ანატოლიის, მესოპოტამიისა და სირია-პალესტინის უძველეს ცივილიზაციებთან მიმართებაში (შანშაშვილი... 2016). ამ პერიოდში ცენტრალურ ანატოლიასთან გარკვეული სახის ურთიერთობები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის რეგიონიდანაც (მაიკოპის კულტურა) დასტურდება (ქავთარაძე 1978).

საინტერესოა ამ ფართომასშტაბიანი ურთიერთობების, დიდი კულტურული ინოვაციების და გარდატეხების პერიოდში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არსებული სიტუაცია. გ. ფხაკაძე ამ პერიოდის დასავლეთ ამიერკავკასიის კულტურულ ვითარებას ასე ახასიათებს: ამ ორ მძლავრ კულტურულ კერას შორის მოთავსებული დასავლეთ საქართველოს ტერიტორია, რა თქმა უნდა, განიცდის ორივე არეალის გავლენას, მაგრამ ძირითადად აქ ვითარდება მიწათმოქმედ-მესაქონლე ტომების კულტურა, რომელსაც ბევრი აქვს საერთო წინამორბედ კულტურებთან. ადრებრინჯაოს ხანის კოლხეთში აქ სამი არეალი გამოიყოფა: 1) მტკვარ-არაქსის კულტურის გავლენის ქვეშ მყოფი რეგიონი (იმერეთის გორა-ნამოსახლარები: დაბლაგომი, არგვეთი, საჩხერის ყორღანები. 2) მაიკოპისა და ნოვოსვობოდნაიას ძეგლებთან ახლო კავშირის მქონე რეგიონი (იმერეთისა და აფხაზეთის გამოქვაბულები) და 3) კოლხეთის დაბლობი და აფხაზეთის ზღვისპირა ზოლი, რომელიც ხასიათდება ნეოლითური კერამიკული ტრადიციების გაგრძელება-

განვითარებით და იმ ელემენტებით, რომელიც შემდეგ, გვიანბრინჯაოს ხანის კოლხურ კულტურაში განაგრძობს არსებობას (ფხაკაძე 1985).

როგორც ჩანს, ადრე და შუა ბრინჯაოს ხანაში, აქ, ძველ ტრადიციებზე დაფუძნებული, თავისი იდენტობით გამორჩეული ადგილობრივი მოსახლეობა მყარად განაგრძობს არსებობას და მეტალურგიის თანდათანობითი დაწინაურებით, მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების განვითარებით საფუძველს ამზადებს კოლხეთის ბრინჯაოს კულტურის ჩამოყალიბებისთვის.

ისმის კითხვა, თრიალეთის ყორღანულ კულტურაში არსებული მაღალგანვითარებული ოქრომჭედლობის ფონზე, დასავლეთ საქართველოში, ბრინჯაოს მეტალურგიის სწრაფი ათვისების პარალელურად, რატომ არის ძვირფასი ლითონწარმოება ასე პრიმიტიულად განვითარებული. ეს შეიძლება ახსნილი იყოს ამ პერიოდში სამარხების სიმცირით განპირობებული მასალის არარსებობით, ან ფაქტით, რომ შუაბრინჯაოს ხანაში კოლხეთს არ ჰქონდა დამყარებული ის საგარეო ურთიერთობები (აღმოსავლეთის დიდ ცივილიზაციებთან), რომელიც რეგიონში ოქრომჭედლობის განვითარებას განაპირობებდა. ო. ჯაფარიძის აზრით, თრიალეთური ოქრომჭედლობის მკვეთრი აღმავლობა სწორედ ამ მიმართულებით არსებული ეთნო-კულტურული ურთიერთობების შედეგი იყო (ჯაფარიძე 1969:173).

შესაძლოაა ძვ. წ. II ათასწლეულის შუა პერიოდში, დასავლეთ ამიერკავკასიაში უძველესი ოქრომჭედლობის არსებობაზე მიუთითებდეს ანაკლია II-ის შუაბრინჯაოს ხანის ფენაში აღმოჩენილია ვერცხლის 1.5-იანი რგოლისებური სასაფეთქლე ხვია (Микеладзе 1990:23; Микеладзе 1994:70; მუსხელიშვილი...2010: 50); ბრილის ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანების კომპლექსში აღმოჩენილი ვერცხლის ერთნახევრიანი ოვალური ხვიები და თავსამკაულის ფოთლისებური დეტალები (გობეჯიშვილი 1952:114; გობეჯიშვილი 1959:232; ფანცხავა...2001:39-490); თლიას სამაროვნის ძვ. წ. XIII-X საუკუნეების მეორე ნახევრით (ჯ. აფაქიძის ქრონოლოგით) განსაზღვრულ კომპლექსებში (აფაქიძე 2002:30-31) აღმოჩენილი: ფურცლოვანი ოქროს მძივის გარსაკრავები, ოქროს ელექტრუმისა და მოოქრული ვერცხლის ვოლუტებიანი, 3-იანი და 1.5-იანი სასაფეთქლე ხვიები (Техов 1980).

ფაქტი, რომ რაჭის რეგიონში აღმოჩენილი ძვ. წ. II ათასწლეულის ბრინჯაოს ზოგი ნაწარმი მხატვრული თვალსაზრისით მსგავსებებს ავლენს თრიალეთის კულტურის ოქრომჭედლობის ნიმუშებთან, ამ რეგიონებს შორის არსებულ კულტურულ

იზოლაციას ეჭვქვეშ აყენებს. ამ მსგავსებების ფონზე, ძნელი წარმოსადგენია ძვირფასი ლითონით მდიდარ რეგიონში, სადაც ლითონის მოპოვების, წარმოების და დამუშავების უდიდესი გამოცდილება არსებობდა, ოქრომჭედლობის განვითარება მხოლოდ პრიმიტიულ დონეზე ვივარაუდოთ. სამწუხაროდ, დღეისათვის საკმარისი მონაცემები არ გვაქვს იმისთვის, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის კოლხეთში განვითარებულ ოქრომჭედლობაზე ვილაპარაკოთ, თუმცა არსებული ფაქტები გვიქმნის პერსპექტივას, მომავალი არქეოლოგიური კვლევების საფუძველზე არსებული სურათის საგრძნობლად შეცვლისა.

ამ პერსპექტივას ამყარებს ისიც, რომ ძვ. წ. XVIII-XII საუკუნეების კოლხეთის მოსახლეობაში, დღეისათვის არსებული მონაცემების საფუძველზე, მკვლევარები, საერთაშორისო ინტერკულტურული (ალბათ უფრო არაპირდაპირი) ურთიერთობების არსებობის იდენტიფიკაციას ახერხებენ (ეგეოსის, დუნაისა და ჩრდილო იტალიის ტერამარების კულტურებთან. იხ. აფაქიძე 2003), ეს კი ამ რეგიონის სხვა პერსპექტივით დანახვის მოლოდინს კიდევ უფრო მატებს.

***

„თუ როგორი სახელგანთქმული იყო ძველად ეს ქვეყანა, ცხადყოფენ ამას მითები, რომლებიც მოგვითხრობენ იასონისა და ამაზე უწინ კი ფრიქსეს ლაშქრობაზე“ (ლორთქიფანიძე 2002) - ახალი წელთაღრიცხვის დამდეგს დაწერილი სტრაბონის ეს ფრაზა, ორიათასი წლის შემდეგ არქეოლოგიურადაც იქნა დოკუმენტირებული გვიანბრინჯაო-ადრერკინის კოლხური კულტურის გამოვლენისა და შესწავლის სახით. დღეს უკვე საეჭვო აღარაა, რომ კოლხეთის „სახელგანთქმულობის“ მთავარი მიზეზი აქ არსებული მდიდარი ბუნებრივი რესურსი და მასზე დაფუძნებული მაღალგანვითარებული ეკონომიკა იყო.

ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში, კოლხური კულტურის ჩამოყალიბება არაერთ მნიშვნელოვან მოვლენასთანაა კავშირში, რომელთაგან ერთ-ერთი ქართულ-კოლხური ენობრივი ერთობიდან კოლხური (მეგრულ-ჭანური) ენის გამოყოფაა (მიქელაძე 1974:72,194).

ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში, კოლხეთის ვრცელ ტერიტორიაზე დამკვიდრებული მეგრულ-ჭანური მოსახლეობა, დაწინაურებული მეურნეობის დარგების და მდიდარი ბუნებრივი რესურსების გამოყენებით აქტიურ სავაჭრო-

ეკონომიკურ ურთიერთობებს ამყარებს გარე სამყაროსთან და საერთაშორისო კულტურულ ასპარეზზე (ეგეოსური სამყარო, ასურეთი, ურარტუ) საკმაოდ მიმზიდველ კულტურულ არეალად ყალიბდება. ამ პოპულარობის ნათელი მაგალითია ის, რომ ძვ. წ. VIII-VII საუკუნეების საბერძნეთის სხვადასხვა კუთხეში გავრცელებულ ეპიკურ ნაწარმოებებში (ჰომეროსის პოემებში, ჰესიოდე, ნავპრაქტიკა, ევმელოს კორინთელი, კიკლადური ეპოსი) უკვე არსებობს თქმულებები არგონავტების შესახებ (ლორთქიფანიძე 2002). ძვ. წ. VIII საუკუნის ურარტული წყაროებში კი „კულხა/კოლხა“(Меликишвили 1962) დიაოხის გვერდით, საკმაოდ ანგარიშგასაწევ ძალად მოიაზრება.

ბერძნულ მითოლოგიაში კოლხეთისთვის დამკვიდრებული ტერმინი „ოქრომრავალი“, წლების განმავლობაში მხოლოდ კლასიკური პერიოდის მრავალრიცხოვანი და ბრწყინვალე ოქრომჭედლობის ნიმუშებით იყო ახსნილი, ეს კი სულ მცირე საუკუნით მაინც არის დაშორებული პერიოდს, როცა ბერძნებმა კოლხეთს აღნიშნული სტატუსი მიანიჭეს.

დღევანდელი მონაცემებით, დასავლეთ ამიერკავკასიაში უკვე საკმარისი არქეოლოგიური მონაცემი არსებობს იმისთვის, რომ ბერძნულ მითლოგიაში შემონახული ადრეული ლეგენდების არქეოლოგიურ მონაცემებთან შესაბამისობაზე ვისაუბროთ. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია არგონავტების თქმულებათა ციკლის ფრიქსესთან დაკავშირებულ მონაკვეთში ასახული მფრინავი ვერძის დაკავშირება გვიანბრინჯაოს ხანის მთიან კოლხეთში აღმოჩენილი მფრინავი ვერძების სტილიზებულ გამოსახულებებში, რომელშიც, ამავე დროს, მიკენური ხელოვნების ერთ-ერთი მთავარი ელემენტი, ორმაგი ცულის იდეაც არის ინტეგრირებული. ამ ფაქტების ფონზე გვიჩნდება განცდა, რომ გვიანბრინჯაოს ხანის სამარხეულ კომპლექსებში ჩატანებული ვერძის სტილიზებული გამოსახულებების, ან მათი გამოსახულებებით შემკული ნივთების სახით, საქმე გვაქვს არგონავტების მითის ამ მონაკვეთში ასახული ვერძის შეწირვის ტრადიციასთან. ამასთან გასათვალისწინებელია ფაქტი, რომ კოლხეთში ნივთების მსხვერპლშეწირვა არა სამლოცველოებზე, არამედ სამარხებსა და განძებში ხდებოდა. არგონავტების მითთან დაკავშირებული არქეოლოგიური მონაცემების კუთხით, ასევე, საინტერესოა სვანეთში შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს საკიდი „პარიზელი ქალის“ გამოსახულებით, რომელიც იკონოგრაფიულ მსგავსებას პოულობს ძვ. წ. XVI-XV საუკუნეების მინოსის

სასახლის ფრესკებზე გამოსახულ სიუჟეტებთან (ცინდელიანი 2000). კოლხურ-მინოსურ ურთიერთობებზე უნდა მიუთითებდეს გვიანბრინჯაოს ხანის მხატვრულ ხელოსნობაში ფართოდ გავრცელებული ხარის, ორმაგი ცულის და სპირალური მოტივები, რომელიც უძველესი კოლხური ოქრომჭედლობის იკონოგრაფიაში საკმაო დოზით ფიგურირებს.

გარდა ამისა, ყველაზე მეტად ბერძნულ-მონოსურ იკონოგრაფიულ სახეებთან პოულობს საერთოს თლიას სამაროვანის ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის ძეგლებზე აღმოჩენილი ფიტფიტოვანი ღეროსგან შედგენილი, ვოლუტებით დაბოლოებული ოქროს, ელექტრუმისა და ვერცხლის ხვიები და ბრილში აღმოჩენილი თავსამკაულის ფრაგმენტები - ვერცხლის ფოთლისებური ფირფიტები.

როგორც ცნობილია გვიანბრინჯაოს ხანაში ოქრომჭედლობის ორი განსხვავებული ცენტრი არსებობდა - ევროპული და ორიენტალისტური, რომელსაც საფუძვლად უდევს ახლო აღმოსავლეთსა და დასავლეთ აზიაში გავარცელებული სტილი (Williams 1994:14).

ორიენტალისტური სტილისთვის დამახასიათებელი იყო ოქროს ფურცლის სხვადასხვაგვარი მანიპულაციით გამოყენება და მათი შემკობა რთული დეკორატიული ხერხებით, ხოლო ევროპული სტილის ოქრომჭედლობისთვის დამახასიათებელი იყო მასიური სახის სადა, გრავირებული სახეებით გაფორმებული ნივთები.

გვიანბრინჯაოს ხანაში, ინტენსიური საერთაშორისო ურთიერთობებისა და შორეული სახმელეთო და საზღვაო მოგზაურობების შედეგად (ეს შესაძლოა ყოფილიყო მშვიდობიანი ან დაპყრობითი/აგრესიული ურთიერთობები), ხმელთაშუაზღვის აუზში და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ვრცელდება ერთგვაროვანი სტილის ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც მეცნიერების მიერ ე. წ. „ინტერნაციონალური სტილის“ ნაწარმად არის მიჩნეული (Feldman 2002). ინტერნაციონალური სტილის ნაწარმში, სხვადასხვა სახის ფუფუნების საგნებთან ერთად, ოქრომჭედლობის ნიმუშებიც ერთიანდება. მაგალითად, თუ გადავხედავთ ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეების აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეგეოსური ოქრომჭედლობის ნიმუშებს, დავინახავთ, რომ ისინი ბევრ სიახლოვეს ამჟღავნებენ ანატოლიის, სირიის და ეგვიპტის მასალებთან.

ძვ. წ. XIII საუკუნიდან დასავლეთისა და აღმოსავლეთის სახელმწიფოებში სიტუაცია რადიკალურად იცვლება. ამ დროს დასავლეთით არსებული მძლავრი ეკონომიკური კატასტროფები გამოიწვია მოვლენების ჯაჭვმა, რომელთა შედეგად ხალხთა უმრავლესობა იძულებით ლტოლვილებაში აღმოჩნდა. ძნელი სათქმელია, ეს მხოლოდ პოლიტიკურ ძვრებთან იყო დაკავშირებული, თუ ბუნებრივ კატასტროფებთანაც. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოვლენებში, და უფრო ადრეც, ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონებს ხშირად აწუხებდნენ ე. წ. „ზღვის ხალხები“ (პირატები), რომლებმაც დიდი ნგრევისა და რღვევის კვალი დატოვეს უძველეს ცივილიზაციებში - ეგეოსის, ანატოლიის სირიისა და პალესტინის ვრცელ ტერიტორიებზე. ისინი საბოლოოდ მარცხდებიან ეგვიპტელების მიერ (რამზეს III) 1195 წელს, მაგრამ მათ მიერ გამოწვეული პოლიტიკური ძვრები ხდება საწინდარი ე. წ. „ბნელი საუკუნეების“ დადგომისა (Dominique 1995:125-127).

ბნელი საუკუნეები გახდა დიდი პოლიტიკური მიგრაციების საწინდარი, რომელიც მოიცავდა თითქმის მთელ აღმოსავლეთს (Dominique 1995:126). ბერძნულ ცივილიზაციაში ის მიკენური სამყაროს კოლაფსით აღინიშნა (Higgins 1961:90), ხოლო ეგვიპტეში თავისებური კრიზისული პერიოდით, რომელიც მათი ქრონოლოგიის 350 წლიანი მონაკვეთის ბუნდოვანებაში (აღარ აწარმოებენ ჩანაწერებს?) გამოიხატა. ერთადერთი რეგიონი, რომელიც ამ დროს აგრძელებდა ჩანაწერების წარმოებას, იყო ასურეთი (Dominique 1995:129).

მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში დიდ ცვლილებებს განიცდის კულტურები (განსაკუთრებით ეს იგრძნობა ნამოსახლარებისა და სამარხების გამართვის წესში), ძველი ტრადიციების გაგრძელება და მათთან გენეტიკური კავშირები მაინც აღსაქმელია (მაგ. ჭურჭლის დეკორში, იარაღის ფორმებში და მათ შორის ოქრომჭედლობაში) (Laffineur 1998:9).

რ. ჰიგინსს, ბნელ საუკუნეებში სამკაულის იშვიათად აღმოჩენის ფაქტი ასე აქვს ახსნილი: „როცა მიკენი საბოლოოდ დაეცა 1100 წელს, ერთსაუკუნოვანი არეულობის შემდეგ იყო დროის გარკვეული მონაკვეთი, როცა ფუფუნებისთვის ზოგავდნენ ძვირფასეულობას და საიუველირო საქმეც გაიშვიათებული იყო“.

რ. ლაფინერი ოქრომჭედლობის სტილისტურ და ტექნოლოგიურ მახასიათებლებზე დაყრდნობით ბნელი საუკუნეების ბერძნულ ორიენტალისტური სტილის სამკაულში მიკენური ტრადიციების აშკარა გაგრძელებას ხედავს - მაგ., ფურცლოვანი ოქროს,

გავარსისა და ინკრუსტაციის გამოყენება (Laffineur 1998). პირველი ნიშანი, რასაც მკვლევარები ორიენტალისტური სტილის გამოჩენას უკავშირებენ არის გრანულაციის (რომელიც თითქმის ორი საუკუნის მანძილზე გამქრალი იყო ბერძნულ სამყაროში) ხელახალი გამოჩენა (Ogden 1998:15). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადრერკინის ხანის საწყის ეტაპზე, ორიენტალისტური სტილის ნაწარმის გვერდით, გავრცელებულია სამკაულის გარკვეული კატეგორია, რომელიც ეგეოსის ბრინჯაოს ხანის ინდუსტრიას წააგავს (ფიბულები, გრავირებით გაფორმებული ნივთები).

თუ გადავხედავთ სხვადასხვა ქვეყნის მონაცემებს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორიენტალისტური სტილის ოქრომჭედლობა ძვ. წ. VIII საუკუნისთვის აღმოსავლეთის ცივილიზაციებიდან ვრცელდება საბერძნეთში ანატოლიაში ირანსა და ამიერკავკასიაში, ხოლო ბალკანეთისა და ჩრდილო იტალიის ძეგლებზე ოდნავ მოგვიანებით, ძვ. წ. VII საუკუნეში შედის (სავარაუდოდ, ბერძნული სამყაროს გავლენით). მკვლევარები ორიენტალისტური სტილის ადრეულ გავრცელებას ეგვიპტეს არ მიაწერენ, რადგან მესამე შუა პერიოდის სამეფოში (ძვ. წ 1070-664) აქ გრანულაციის გამოყენება არცერთ ნიმუშზე დასტურდება (Ogden 1998:16).

ორიენტალისტური სტილის ოქრომჭედლობის გავრცელების არეალში, ადრერკინის ხანაში სამხრეთ კავკასიაც ექცევა. როგორც ჩანს, ამ პერიოდის კოლხეთის მოსახლეობა აქტიურად არის ჩართული გარკვეული სახის საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური სახის კონტაქტებში, რაზეც ნათლად მეტყველებს აქ შესწავლილ ძეგლებზე მრავლად აღმოჩენილი იმპორტული და „ეგზოტიკური“ ხასიათის სხვადასხვაგვარი ნივთები.

ოქრომჭედლობის მონაცემებზე დაყრდნობით აღმოსავლეთის რეგიონებთან კავშირი შეინიშნება: ურბნისში აღმოჩენილი ინსიგნიის, ნოსირის განძში აღმოჩენილი ლომის გამოსახულებიანი ფირფიტის, რგოლისებური საყურის, ფერადი თვლებით ინკრუსტირებული ნივთების და ცაიშის დუგმასა და ბრილის სამაჯურზე წარმოდგენილი ცხოველის გამოსახულების მიხედვით.

ბერძნულ/ეტრუსკული ნაწარმთან კავშირი ვლინდება: ცვარასა და ფილიგრანის უხვად გამოყენებაში, ცვარათი შედგენილი სვასტიკისა თუ მეანდრის სახეების პოპულარობაში, კალათისებრი ფორმის საყურეებში და სხვ.

რაც შეეხება ჩრდილოეთ სომხეთში არსებულ ლორეს რეგიონის მდიდარ კოლექციას, იგი ამ პერიოდში ორი მოწინავე საოქრომჭედლო ტრადიციის შერწყმის პუნქტია. აქ, აღმოჩენილია კოლხური ოქრომჭედლობისთვის დამახასიათებელი ისეთი ნივთები,

როგორიცაა ფილიგრანის წნულით მოჩარჩოებული სამკუთხა საკიდები, რგოლისებური საკიდები და სხვ. თუმცა ამავდროულად ვხვდებით კოლხური ოქრომჭედლობისგან განსხვავებულ, ურარტული/აღმოსავლური სტილის ხელოვნების ნიმუშებს ან ცალკეულ დეკორატიულ დეტალებს.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხეთი აქტიურად არის ჩართული ამ პერიოდში არსებული ინტერკულტუტულ ურთიერთობებში რაც სათანადოდ არის კიდეც ასახული ძვირფას ლითონწარმოებაში - ფორმებსა და იკონოგრაფიულ სახეებში. აქ აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ახლო აღმოსავლეთის შიდა რეგიონებში გავრცელებული გარკვეული ტენდენციების აშკარა მატარებელია. ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში არსებული ისტორიული ფაქტებიდან ჩანს, რომ ამ პერიოდის კოლხეთში არსებული საგარეო ურთიერთობები, რომლის მეშვეობითაც მნიშვნელოვანი დოზით ხდებოდა კულტურული ინოვაციების დანერგვა და განვითარება, მხოლოდ კონსტრუქციულ როლს არ თამაშობდა - ამ პერიოდის ურარტუელებისა და ნომადური მოსახლეობის აგრესიული მეზობლობა, კარგად ჩანს მტერთან დასაპირისპირებლად საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების თავდაცვით ორგანიზებასა და შეკვრა-კონსოლიდაციაში (გამყრელიძე 2019)

რაც შეეხება ძვირფასი ლითონის ნაწარმის ფუნქციურ ატრიბუციას, ამ პერიოდის ოქრომჭედლობას, წინარე ეპოქისგან განსხვავებით, არ აქვს მხოლოდ რელიგიური დატვირთვა და იგი ყოველდღიური მოხმარების ატრიბუტიც ხდება (ამას მეტყველებს მათზე არსებული ხანგრძლივი მოხმარების კვალი - ცვეთა და შეკეთების ნიშნებში). მას რელიგიურ დატვირთვასთან ერთად აქვს სოციალური სტატუსის გამოკვეთის ფუნქცია. იგივე სურათია ამავე პერიოდის სხვა კულტურულ ცენტრებშიც.

დასკვნა

ამრიგად, ბრინჯაოს კოლხური კულტურა, რომელიც თავისებური მანერით შემუშავებულ მატერიალური კულტურის არაერთ ჯგუფს აერთიანებს, ასევე გულისხმობს მაღალ დონეზე განვითარებულ, ინდივიდუალური იდენტობით გამორჩეულ საიუველირო ხელობას, რომელიც კარგად ასახავს საერთაშორისო ცირკულაციაში მყოფ მთავარ ინოვაციურ იდეებსა და ტექნოლოგიურ ტენდენციებს.

დღევანდელი მონაცემებით, უკვე თამამად შეგვიძლია ვისაუბროთ კოლხური ბრინჯაოს კულტურის საიუველირო ხელოსნობაზე, როგორც კოლხური ოქრომჭედლობის განვითარების პირველ ეტაპზე, რომელიც საფუძვლად ედება იმ ინოვაციურ „აფეთქებას“, რაც ვანის, საირხის, ითხვისისა და სხვა ძეგლებზე აღმოჩენილი ოქრომჭედლობის ნიმუშებს სახით არის წარმოჩენილი.

აღნიშნული პერიოდის ძვირფასი ლითონის ნაწარმის აღმოჩენებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ფაქტი, რომ მათში, კოლხური კულტურის სხვა მატერიალურ ძეგლებთან ერთად, ასახულია უძველეს ბერძნულ მითოლოგიურ სიუჟეტებში არეკლილი კოლხეთის დიდების ისტორიული რეალობა.

ოქრომჭედლობა კოლხეთში ბრინჯაოს მეტალურგიული და მხატვრული ხელოსნობის საკმაოდ ხანგრძლივ ტრადიციებს ეფუძნება, რომელიც გვიანბრინჯაოს ხანაში უკვე საკმაოდ მაღალ დონეზეა განვითარებული. კოლხეთის გეოგრაფიული მდებარეობა იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რამაც აქ მაღალგანვითარებული კულტურის ჩამოყალიბება განაპირობა (ლორთქიფანიძე 2002) - ბუნებრივი რესურსების სიმდიდრე და მდებარეობა, რომელიც მრავალმხრივ საგარეო კავშირებს მარტივად უზრუნველყოფდა, იყო ის ორი ძირითადი მიზეზი რამაც კოლხური კულტურის არსებული სახით ჩამოყალიბება განაპირობა.

მეურნეობის დაწინაურებულმა დარგებმა, ბუნებრივი რესურსის ფართომასშტაბიანმა ექსპლოატაციამ, მთასა და ბარს შორის აქტიურმა თანამშრობლობამ და გაზრდილმა საგარეო ურთიერთობებმა კოლხეთის მოსახლეობაში შექმნა აუცილებლობა სოციალურად პრივილეგირებული ფენის ჩამოყალიბებისა, რომელიც საკუთარ თავზე აიღებდა შიდა და საგარეო ურთიერთობების რეგულაციების მთელ რიგ საკითხებს.

არაერთი ცივილიზაციის მაგალითიდან ჩანს, რომ უძველესი დროიდან მოყოლებული, პრივილეგირებული ფენის ძალაუფლების დემონსტრირებისთვის ყველაზე სასურველი ატრიბუტი, თითქმის ყოველთვის, ძვირფასი ლითონის ნაწარმი იყო. ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის კოლხეთის მატერიალური კულტურის ძეგლები ნათლად მიუთითებს, რომ დასავლეთ ამიერკავკასია ამ დროს უკვე იყო ის მნიშვნელოვანი ზონა, რომელიც ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა ისეთი დიდი სახელმწიფოებრივი ერთობისთვის, როგორიც იყო ურარტუ. ძვ. წ. VIII-VII საუკუნეების ბერძნულ წერილობით წყაროებში შემონახული ფრაგმენტები არგონავტების ლეგენდათა ციკლზე კი მეტყველებენ, რომ კოლხეთი ამ პერიოდის ბერძნული სამყაროსთვისაც საკმაოდ საინტერესო რეგიონს წარმოადგენდა.

სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით მყარი არქეოლოგიური არგუმენტებით ვერ ხერხდება ადრეული პერიოდის (ძვ. წ. II ათასწლეული) კოლხურ-მიკენური ურთიერთობების რეკონსტრუქცია, თუმცა არც ის გამოირიცხება, რომ ისეთი მაღალგანვითარებული ეკონომიკის მქონე კულტურა, როგორიც კოლხეთში დასტურდება, ისტორიულ ასპარეზზე, სრულიად დასაშვებია, რომ მიკენური საბერძნეთის პარტნიორიც კი ყოფილიყო (ლიჩელი 2018:289).

დღეისათვის კოლხეთის მატერიალური კულტურის ძეგლებში არსებობს ნივთების გარკვეული ჯგუფი, რომელიც ბერძნულ მითოლოგიაში ასახულ ზოგ სიუჟეტთან პოულობს გამოხმაურებას - ასეთია მაგ.: ძვ. წ. II ათ-ის შუა ხანებით დათარიღებულ კომპლექსებში აღმოჩენილი მფრინავი ვერძის გამოსახულებები, რომლებიც, ამავდროულად, მიკენურ ხელოვნებაში პოპულარულ ორმაგი ცულის იდეასაც გადმოსცემენ; ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარიღებული ვერძის, ჰიბრიდული ვერძ-ჩიტის და მფრინავი ვერძის გამოსახულებები; ასევე კოლხურ ოქრომჭედლობაში გავრცელებული გველ-ურჩხულის იკონოგრაფიული სახეები, რომელიც იდეურად ოქროს საწმისის მცველ ურჩხულებს შეიძლება დავუკავშიროთ.

კოლხეთის მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლით ირკვევა, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან კოლხეთის ნამოსახლარებზე გამართულ სახელოსნოებში, ბრინჯაოს გვერდით, აწარმოებენ ვერცხლის ნივთებს, რომლებიც ფორმით და ტექნოლოგიით (ჩამოსხმა, გამოჭედვა) იმეორებენ ბრინჯაოს ნაწარმს. ამ მხრივ აღსანიშნავია ჩოლოქისპირა ნამოსახლარის გვიანბრინჯაოს ხანის ფენაში

აღმოჩენილი ვერცხლის საკინძი, ვერძის თავის დუბლირებული გამოსახულებით (ჩავლეიშვილი 1991:21; ტაბ. XII1,2; ჯიბლაძე 2005:211);

ბრინჯაოს ნაწარმს იმეორებს თლიას სამაროვნის გვიანბრინჯაოს ხანის სამარხებში აღმოჩენილი (ჯ. აფაქიძის ქრონოლოგიით) ოქროს, ელექტრუმის და ვერცხლის ადრეული ნიმუშები (Техов 1980). - ვოლუტებიანი ხვიები და თიხის გულაზე გადაკრული ოქროს ფოლგის მძივები (შდრ. ნულსა და ქვასათალში აღმოჩენილი ბრინჯაოს ვოლუტებიანი ხვიები (ჯაფარიძე 2009, სურ. 13,3; 17,8) და თიხის გულაზე ბრინჯაოს ფირფიტაგადაკრული მძივები (Техов 1980).

ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ მეოთხედში კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა ზოლში უკვე საკმაო რაოდენობით ჩნდება ოქროს ისეთი ნივთები, რომლებიც ორიენტალიზირებული სტილის მხატვრულ ხელოსნობასთან პოულობს კავშირს. აღსანიშნავია, რომ ამ ქრონოლოგიური ჯგუფის დეკორატიულ სახეებში ჯერ კიდევ ნაკლებად ვხვდებით მომდევნო ეტაპებისთვის მეტად დამახასიათებელ, ცვარათი და ფილიგრანით (ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობთ ფილიგრანის ჭვირულ მძივებს) გამოყვანილ დეკორატიულ სახეებს. ორნამენტში ჭარბობს თეგვით და შტამპით გამოყვანილი რელიეფური დეკორი და ფერადი თვლებით ინკრუსტაცია.

კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშების ქრონოლოგიური გადანაწილებიდან ჩანს, რომ ძვ. წ. VIII-VII საუკუნეები გახლავთ ის მნიშვნელოვანი ეტაპი, როდესაც წინარეანტიკური ხანის საიუველირო ხელობა განვითარების პიკს აღწევს. ოქრომჭედლობის მნიშვნელოვანი ცენტრი, ამ დროს, ცენტრალური კოლხეთის ზღვისპირა რეგიონია - ძვირფასი ლითონის წარმოების ზოგადკულტურული კონტექსტის განსაზღვრის კუთხით მნიშვნელოვანი ინფორმაციის მომტანი გახდა აქ გამოვლენილ კოლექტიურ ორმოსამარხებში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ინვენტარი, რომელიც არა მარტო სიმდიდრით, არამედ დამუშავების მაღალი ხარისხით და საოცარი სინატიფით გამოირჩევა. ამ პერიოდში განსაკუთრებით იმატებს ე. წ. „ეგზოტიკური“ ტიპის ნაწარმი (სხვადასხვა სახის მძივები, მათ შორის ეგეოსურ სამყაროსა და იტალიაში გავრცელებული ფერადი მინის ჩიტები და სხვ.), რომლებიც, ალბათ, მისი მფლობელისთვის გარკვეული სახის ფუფუნების საგნებს წარმოადგენდა.

ძვ. წ. VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან კოლხურ ოქრომჭედლობაში რამდენიმე ახალი ელემენტი ჩნდება: 1) ცხოველსახოვანი სტილი - გველ-ურჩხულის

გამოსახულებები და 2) გრეხილური ფილიგრანის წნული სახის ღეროებისგან შედგენილი რგოლები. ამ პერიოდის ნაწარმში საგრძნობლად იმატებს ნივთის დეკორში გრანულაციისა და ფილიგრანის გამოყენების ფაქტები, რაც ამ რეგიონს ყველაზე მეტად ბერძნულ-ეტრუსკულ ოქრომჭედლობასთან აკავშირებს. ამავე რეგიონთანაა დაკავშირებული ე. წ. კალათისებური ტიპის საყურეების გავრცელება, ცხოველსახოვან ნიმუშებში სახის ნაკვთების ცვარათი გამოყვანილი დეტალებით გაფორმების ტენდენცია, ცვარას რიგებით გამოყვანილი მეანდრული ორნამენტი და სხვ. ამასთან ერთად ვხვდებით მთელ რიგ დეტალებს, რომელიც მხოლოდ აღმოსავლური სამყაროს საოქრომჭედლო ტრადიციების ნაწილია: რგოლისებური საყურეები, ფერადი ქვებით ინკრუსტაცია, ზოგიერთ ცხოველზე მოცემული დეტალები: ცხოველები ღეროვანი კბილებით, უკან გადაფენილი ყურებით და ცვარათი გამოყვანილი საყელოთი.

ამ პერიოდში მკვიდრდება ზოგიერთი მანერა, რომელიც კოლხური ოქრომჭედლობის ინდივიდუალურ სტილად არის მიჩნეული - ცვარათი გამოყვანილ ორნამენრულ სახეებს შორის არსებული სივრცის (ფირფიტოვანი ნაწილის) ჩაჭრით მიღებული ჭვირულობა, რომელიც ნივთს, სინათლისა და ჩრდილის თამაშით, საოცარ იერს აძლევდა.

აღსანიშნავია, რომ ძვ. წ. VII საუკუნე გახლავთ პერიოდი, როცა კოლხური კულტურის ელემენტების, მათ შორის ოქრომჭედლობის დისტრიბუცია საკმაოდ ფართო მასშტაბებს აღწევს.

ძვ. წ. VII საუკუნის ბოლოდან კოლხეთში სურათი გარკვეულწილად იცვლება. ცენტრალური კოლხეთის სანაპირო ზოლი, რიგი მიზეზების გამო კარგავს დომინანტურ პოზიციას და წამყვანი ცენტრები უფრო შიდა და მთიან რეგიონში (რაჭა) ინაცვლებს.

ამ პერიოდის ოქრომჭედლობაში შემოსული სიახლეებია: სხივანა საყურეები; გრეხილრკალიანი, ბოლოებდაბრტყელებული დიადემები; საკისრე რგოლები; დასაკერებლები, ფიგურული საკიდი და სხვ. - ე. ი. უკვე იწყება იმ ნივთების პროტოტიპების გამოჩენა, რომლებიც მოგვიანებით, ადრეანტიკურ ხანაში, კოლხეთის სამეფოს პოლიტიკურ ცენტრებში მოღვაწე არისტოკრატიული ფენის მთავარ ატრიბუტებს ქმნიან. აღარ ვხვდებით: ფილიგრანის წნულღეროიან რგოლებს, ძვირფასი ლითონით შემკულ და ნახევრადძვირფასი ქვებით ინკრუსტირებულ

იარაღს, ფილიგრანის ჭვირულ მძივებს, ვოლუტებიან საყურე-სასაფეთქლეებს, სამკუთხა საკიდების უმეტესობას (გარდა ცვარათი შედგენილსაკიდიანი ნიმუშებისა).

ამ პერიოდში ამიერკავკასიის დასავლეთ და აღმოსავლეთ რეგიონებში ერთი სტილის საიუველირო ნაწარმი ცირკულირებს, რომლის გავრცელების საზღვრები ჩრდილოეთ სომხეთსა და დასავლეთ აზერბაიჯანს წვდება.

ძვ. წ. VII საუკუნის ბოლოდან უკვე ნელ-ნელა იკვეთება აღმოსავლური ოქრომჭედლობის დომინირება ამიერკავკასიის საიუველირო ნაწარმში - ამის მაგალითია მაგ., ყაზბეგის განძში შემავალი დაცვარულბურთულიანი საყურეები; ასევე, სხივანა საყურის ფენომენი, რომლის ადრეული ვარიანტები - ერთსხივიანი ნიმუშები, ფორმითა და სოციალური ატრიბუციით უფრო აღმოსავლურ სამყაროში გავრცელებულ ე. წ. ასურული საყურეების ტიპს უკავშირდება. მისი მოგვიანო, რამდენიმესხივიანი ვარიანტები კი, ერთსხივიანი და სამკუთხასაკიდიანი საყურეების ჰიბრიდულ ვერსიად წარმოგვიდგება რომელიც ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოდან თითქმის სრულიად ანაცვლებს როგორც სამკუთხა ფორმის საკიდებიან, ისე ერთსხივიანი საყურეების ვარიანტებს.

ამ პერიოდში თვალშისაცემია გარკვეული სახის განსხვავებები, რომელიც კოლხეთის შიდა და ზღვისპირა რეგიონებს შორის შეინიშნება - კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა ზოლი თითქოს უფრო იზოლირებულია აღმოსავლური ელემენტებისგან და წინარე პერიოდში გავრცელებული მწირი ფორმებით შემოიფარგლება (სადა და ცხოველის (ურჩხულის) თავის გამოსახულებებით დაბოლოებული რგოლები, მძივები). თითქმის აღარ ვხვდებით გრანულაციისა და ფილიგრანის გამოყენებას.

ძვ. წ. VI საუკუნის დასასრულიდან კოლხურ ოქრომჭედლობა საიუველირო ტრადიციებთან ერთად მეტნაკლებად განაგრძობს იმ საგარეო კომუნიკაციებს რომელსაც ჯერ კიდევ ადრერკინის ხანაში ამყარებს. მაგ., თუ ნოსირის განძის ლომის გამოსახულებიანი ოქროს ფირფიტის ფრაგმენტი პარალელებს ირანში ამლაშისა და მარლიკის რეგიონში აღმოჩენილ ნიმუშებში პოულობს, აქემენიდურ ხანაში ამ კავშირების გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს ადრეანტიკური ხანის კოლხურ ოქრომჭედლობაში დადასტურებული ტახის გამოსახულებიანი სამაჯურები და საკიდები, რომელთა პარალელებიც ამავე რეგიონს უკავშირდება.

ადრეანტიკური ხანის კოლხურ ოქრომჭედლობაში, წინარე ეპოქასთან შედარებით, კიდევ უფრო კარგად იკვეთება აღმოსავლური გავლენები. მაგ., ამ პერიოდში

აქემენიდური სამყაროდან შემოსულ ელემენტებად არის მიჩნეული: ვარდულის სტილისტური ნიშანი; ე. წ. ნავისებური თუ ნახევარმთვარისებური საყურეები (ამ ტიპის საყურეების ფესვები ასევე ძველ აღმოსავლურ სამყაროს უკავშირდება და ანტიკურ ხანაში ფართოდ გავრცელებული ტიპი ხდება როგორც ბერძნულ, ისე აქემენიდურ სამყაროში), ზურგშეზნექილი სამაჯურები, ახალგორის განძში აღმოჩენილი საყურეები და სხვ.

ალბათ სწორედ ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ჩამოყალიბებული მყარი საიუველირო ტრადიციის შედეგია, ის, რომ იმ მჭიდრო სავაჭრო-კულტურული ურთიერთობების ფონზე, რომელიც ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში კოლხეთსა და ბერძნულ სამყაროს შორის დასტურდება, კოლხური ოქრომჭედლობაში ბერძნულმა საიუველირო ტრადიციებმა ნაკლებად მოიკიდა ფეხი.

ამ დროს კოლხეთში უკვე ჩამოყალიბებულია ინდივიდუალური სტილის, ღრმა ტრადიციებით გაჯერებული საიუველირო სკოლა, რომელიც მხოლოდ მის გემოვნებაზე მორგებული, მოდიფიცირებული ვარიანტებით სთავაზობს მომხმარებლებს თანამედროვე მსოფლიოში გავრცელებულ მისთვის საინტერესო ინოვაციურ იდეებს.

რაც შეეხება უძველესი კოლხური ოქრომჭედლობის სიმბოლურ-იკონოგრაფიულ სახეებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი მთლიანად ადგილობრივ რელიგიურ იდეოლოგიაზე დაფუძნებული სიმბოლოებს წარმოადგენენ, რომლებიც დიდი დედის კულტთან დაკავშირებულ სხვადასხვა შინაარსობრივ კომბინაციებს აერთიანებენ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ წინარეანტიკური ხანის კოლხურ ოქრომჭედლობას უკვე კარგად აქვს შემუშავებული რელიგიური იდეოლოგიის მხატვრული გააზრების და წარმოსახვის ის ინდივიდუალური ფორმები, რომელსაც მხოლოდ საიუველირო ხელობაში იყენებს და რომელიც კოლხური საიუველირო სკოლის თვითმყოფადობის და ინდივიდუალიზმის ერთ-ერთ გამორჩეულ ნიშას ქმნის.

დანართი I. ძეგლების ქრონოლოგიური გადანაწილება

I ქრ. ჯგუფი I ათ-ის პირველი მეოთხედი	II ქრ. ჯგ. VIII-ის მეორე VII-ის პირველი ნახ.	III ქრ. ჯ. ძვ. წ. VII ს.	IV ქრ. ჯგ. ძვ. წ. VI ს.
ერგეტა I N2	ცაიში N1	ერგეტა I N6	ერგეტა II N11
ერგეტა II N1	ერგეტა I N4	ერგეტა III N4	ერგეტა III N1
ერგეტა II N2	ერგეტა I N5	ერგეტა IV N1	ურეკი N1
ერგეტა II N10	ერგეტა II N4	დღვაბა N2	ნიგვზიანი: საკულტო მოედანი. სამარხები: N6, N8; სამარხი ორმო N12
ერგეტა III N2	ერგეტა II N9	მუხურჩა - ქვ. მოედ. და ნაყარი	ბრილი, სამარხები: N15 (1939); N11 (1940); N12 (1940); N13 (1940); N29 (1940); N30 (1940); N39 (1940); N3 (1948); N4 (1948); N14 (1948); კოლექტიური, კრემაციული სამარხი N17 (1948); N26 (1950); N32 (1950); კოლხური დროის კრემაციული სამარხი (1951); N9 (1951); N11 (1951); N5 (1952); N13 (1952); N19 (1952): N20 (1952); N24 (1952); N15 (1953); N20/20ა (1953); N21 (1953); N25 (1953); N26 (1953); ასევე, სხვადასხვა ნაყარი ფენები
ერგეტა IV N2	ერგეტა II N12	მახვილაური	გორიმო
დღვაბა N1	ურეკი N3	ფარცხანაყანევის განძი	პალური
ცაიში N2	გორაძირი	ჭუბურხინჯის განძი	მერხეული
წითელი შუქურა N42	ყულანურხვა N3	ცხინვალის განძი	წითელი შუქურა N26 და N29
თლია N76, N109, N123 N233, N252 N263, N271, N273, N278, N302	თლია: N 124, N194, N236	სიმაგრის ნამოსახლარი	გუადიხუ, N23 სამარხი
სამთავრო N51	დიღომი	ვანი N24	კისტირიკი
ზემო რაჭა	თრელი	ნარეკვავი N41	ზემო რუთხა, N17 და ნაშალი სამარხი
ბრილი N12 (1952)	ნოსირის განძი	სამთავრო N206	თლია: N 41, N87, N92, N104, N110, N129, N138, N233, N252, N263, N270, N282, N339, N341, N344, N346, N348, N349, N350, N355, N362, N372, N373, N375. N380, N392, N408,
	ბომბორას განძი	თრელი N259	ყაზბეგის განძი
		ურბნისი	
		ბრილი 1939 ქვაყუთი N33	

დანართი II. ოქრომჭედლობის ნიმუშები ქრონოლოგიურ და კომპლექსურ ჯგუფებად

I ქრ. ჯგუფი - ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედი:

ერგეტა I N2	• მძივის გარსაკრავი ოქროსი, 5 ც.
ერგეტა II N1	• რგოლი, ვერცხლის
ერგეტა II N2	• რგოლი, ვერცხლის
ერგეტა II N10	• რგოლები, ვერცხლის, ფრაგმენტული
ერგეტა III N2	• კოპებიანი მძივსაკიდი, ოქროსი • რგოლი, ოქროსა და ვერცხლის
ერგეტა IV N2	• საყურე, ოქროსი, სამკუთხა ცვარათი შედგენილი საკიდით • რგოლი, ვერცხლის
დღვაბა N1	• ვოლუტებიანი ხვია, ოქროსი • რგოლი, ელექტრუმის, 2 ც. • რგოლი, ვერცხლის, 6 ც. • რგოლი, ვერცხლის, ორნამენტირებული.
ცაიში N2	• სარტყლის ფრაგმენტები, ოქროსი • რგოლები, ოქროსი და მოოქრული, 5 ც. • ვოლუტებიანი ხვია, ოქროსი • ვოლუტებიანი ხვია, ვერცხლის • სატევრის ფორმის საკიდები, ოქროსი, 4 ც. • ორმაგი ცულის ფორმის საკიდები, ოქროსი, 2 ც. • სამკუთხა საკიდი, ოქროსი • სიგრძეზე ჰორიზონტალურად დაღარული მძივები, ოქროსი • სიგრძეზე ვერტიკალურად დაღარული მძივები, ოქროსი • ფილიგრანის, ჭვირული, ოქროსი • ფირფიტისებური, წრიული მძივები, ოქროსი • მძივსაკრავები, ოქროსი • ფირფიტისებური, რომბის ფორმის მძივსაკიდი, ოქროსი • თვალბუდე, ოქროსი, შიგ ჩასმული თვლებით • სამაჯური, ვერცხლის • ფირფიტები, ოქროსი
სამთავრო N51	• სამკუთხა საკიდი, ოქროსი
წითელი შუქურა N42	• ბეჭედი, ვერცხლის, სადა ფარით
ბრილი, სამარხი N12 (1952)	• მძივის გარსაკრავი, ოქროს თხელი ფირფიტის, მოგრძო მძივის.
თლია NN76, 109, 123 233, 252 263, 271, 273, 278, 302	• N76 -მძივსაკრავი, ოქროს ფოლგის, 6 ც. • N109 -მძივსაკრავი, ოქროს ფოლგის • N123 -1.5-იანი სასაფეთქლე, მოოქრული, ოვალური -მძივსაკრავი, ოქროს ფოლგის, პასტის მიძვების • N233 -მძივსაკრავი, ოქროს ფოლგის, 4 ც.

	• N252 -1.50-იანი ხვია, ვერცხლის -მძივსაკრავი, ოქროს ფოლგის • N263 -მძივსაკრავი, ოქროს ფოლგის, 2 ც. • N271 -მძივსაკრავი, ოქროს ფოლგის, 5 ც. • N273 -მძივსაკრავი, ოქროს ფოლგის • N278 -მძივსაკრავი, ოქროს ფოლგის • N302 -მძივსაკრავი, ოქროს ფოლგის, 9 ც.
ზემო რაჭა	• ოქროს ფირფიტა

II ქრ. ჯგუფი - ძვ. წ. VIII ს-ის მეორე - ძვ. წ. VII ს-ის პირველი ნახევარი:

ცაიში N1	• რგოლი, წნულღეროიანი, ბურთულით დაბოლოებული, ოქროსი • რგოლები ოქროსი, 12? ც. • რგოლები, მოოქრული 45 ც. • რგოლები, ვერცხლის, 15 ც. • კალათისებრი საყურეები, თვლებით, 2 ც. • კალათისებრი საყურეები, ჭვირული, გრანულაციით, 2 ც. • საკიდები სამკუთხა, ოქროსი, 5 ც. • საკიდი რომბისებური • საკიდის ფრაგმენტი, ოქროსი, ორი ქარვის თვლით, (სავარაუდოდ, კალათისებური საყურის დეტალია) • საკიდის ფრაგმენტი, ოქროსი • სატევრის სალტე, ოქროსი • ცილინდრული მძივები, ვერცხლის – 5 ც. • მძივი ოქროსი, მოკლე ბიკონუსური (ბორბლისებური) • მძივები, ოქროსი, ჭვირული, 8 ც. • მძივები, ოქროსი, სფერული, სტანდარტული, 46 ც. • დეკორატიული დეტალები, თვლებით და გრანულაციით, ვერცხლი • დეკორატიული დეტალი (შესაძლოა ქარქაშის), ჭვირული, გაფორმებული რომბის ფორმის ორნამენტირებულ ჩარჩოში ჩასმული ქარვის თვლებით • ყუნწი, ელექტრუმის • გარსაკრავის ფრაგმენტები, ოქროსი
ერგეტა I N4	• რგოლი, წნულღეროიანი, ბურთულით დაბოლოებული, ოქროსი • რგოლი, ვერცხლის
ერგეტა I N5	• რგოლები, წნულღეროიანი, დაბოლოებული ცილინდრული ფირფიტებით, ოქროსი, 2 ც. • მძივები, გრძელი, ცილინდრული, ოქრო, 18 ც. • რგოლები, ელექტრუმის, 7 ც. • საყურე, ვერცხლის, სამკუთხა საკიდით • სამაჯური, ვერცხლის, 2 ც. • რკინის სატევრის გარსაკრავები, ვერცხლის, ინკრუსტირებული სარდიონის თვლებით
ერგეტა II N4	• რგოლი, ოქროსი • რგოლები, ვერცხლის და მოოქრული ვერცხლის, 40 ც. • მძივები, ოქროსი, სფერული, სტანდარტული, კოპებიანი, 5 ც. • მძივები, ოქროსი, სფერული, სტანდარტული, მცირე ზომის, 2 ც.
ერგეტა II N9	• რგოლები, ოქროსი, შედარებით მასიური, 2 ც. • რგოლები, მოოქრული ვერცხლის, 2 ც.

	• რგოლები, ვერცხლის, ფრაგმენტირებული • რკინის სატევრის სალტეები, ვერცხლის, ინკრუსტირებულია ქარვის თვლებით.
ერგეტა II, N12	• ოქროს ფუყე მძივი, მცირე ზომის, 3 ც.
ურეკი N3	• რგოლები, ოქროსი, წნულღეროიანი, დაბოლოებული ურჩხულის თავის სკულპტურული გამოსახულებებით, 2 ც. • მძივი, ოქროსი, ცილინდრული, გრძელი, ცვარათი შედგენილი. • მძივის გარსაკრავები, ოქროს თხელი ფირფიტის. • მძივი, ოქროსი, სფერული • რგოლები, ვერცხლის, 11 ც.
გორაძირი	• სამაჯური, ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიან ღეროზე გადაკრული ოქროს თხელი ფურცლით.
ყულანურხვა N3	• რგოლი ვერცხლის, გაწვრილებული ბოლოებით, 2 ც.
თლია: NN 124, 194, 236	• N124 - 3-იანი ხვია, მოოქრული - 1.5-იანი ხვია ვერცხლის - მძივის გარსაკრავები, ოქროს ფოლგის • N194 - მძივის გარსაკრავები, ოქროს ფოლგის • N236 - 3-იანი ხვია, ვერცხლის, 2 ც.
დიღომი	• მძივი, ჭვირული, სფერული, ოქროსი • მძივი, ოქროსი,ცილინდრული, გრძელი, ცვარათი შედგენილი. • მძივი, ოქროსი, წახნაგოვანი
ურბნისი	• მძივი, ოქროსი, ჭვირული • საკინძისმაგვარი ნივთი
ნოსირის განძი	• ფირფიტის ნატეხი, ელექტრუმის, დაბალი რელიეფით გამოყვანილი ლომის თავის გამოსახულებით • ხვიის ან სამაჯურის ფრაგმენტი, ელექტრუმის, წნულღეროიანი, გველის თავით დაბოლოებული • რგოლი, ოქროსი, წნულღეროიანი, ცილინდრული ფირფიტებით დაბოლოვბული, 2 ც. • რგოლისებური საყურე, ელექტრუმის, გავარსით დაფარული • მძივები, ელექტრუმის, ჭვირული, 7 ც. • საკიდი, ელექტრუმის, ჭვირული, წვეთისებური მოყვანილობის • საკიდი, ელექტრუმის, რომბისებური, სვასტიკის გამოსახულებით
ბომბორას განძი	"სამყურასებრი" ნივთი, ოქროსი. (სავარაუდოდ, თავსამკაულის დეტალი)

III ქრ. ჯგუფი - ძვ. წ. VII საუკუნე:

ერგეტა I N6	➢ რგოლები, ოქროსი, წნულღეროიანი ბოლოებში მცირე ზომის ბურთულებით, 2 ც. ➢ რგოლები, ვერცხლისა და მოოქრული ვერცხლის, 44 ც. ➢ სამაჯურები, ვერცხლის სადა მავთულის, 2 ც. ➢ საყურე, ვერცხლის
ერგეტა III N4	➢ რგოლები, მოოქრული ვერცხლის, ურჩხულის თავის სტილიზებული გამოსახულებით, 2 ცალი ➢ რგოლები, მოოქრული ბრინჯაოს, 30-მდე ც. ➢ რგოლები, ვერცხლის, 35 ც. ➢ მძივის გარსაკრავები, ოქროს თხელი ფირფიტის ➢ სატევრის ტარის სალტე, ვერცხლის, ინკრუსტირებული სარდიონის თვლებით
ერგეტა IV N1	➢ რგოლები, ვერცხლის, 18 ც. ➢ რგოლი, ოქროსი, შედარებით მასიური
დღვაბა N2	➢ მძივის გარსაკრავები, ოქროს თხელი ფირფიტის, გიშრის მძივების, რაოდენობა დაუზუსტებელია. ➢ რგოლები, ელექტრუმის, 5 ც. ➢ რგოლები, ვერცხლის, 4 ც.
მუხურჩა ქ. მ.	➢ სამაჯურის ფრაგმენტი, ელექტრუმის, წარმოადგენს ღეროზე წამოსაცმელ დაბოლოებას, ურჩხულის სკულპტურული გამოსახულებით. ➢ სასაფეთქლე რგოლები, ოქროსი, გახვრეტილი ბოლოებით - ერთი რგოლის ბოლო დაბრტყელებულია, მეორესი არა. ➢ მძივი, ოქროსი, ცილინდრული, ცვარას ბურთულებით შედგენილი ➢ ბეჭედი, ვერცხლის, თხელი, ორნამენტირებული ფირფიტის, თავებჩახვეული. ➢ რგოლები, მოოქრული ვერცხლისა და კალის.
მახვილაური	➢ მძივები, ოქროსი, სფერული, თითო და შეწყვილებული სახით. ➢ სამაჯურები, ვერცხლის, შემსხვილებული თავებით (გველის სტილიზებულ გამოსახულებებს უნდა გადმოსცემდეს), 2 ც. ➢ რგოლები, ვერცხლის, მასიური, 4 ც.
ბრილი 1939 ქვაყუთი N33	➢ საკიდი, ვერცხლის, გომბეშოს სკულპტურული გამოსახულებით.
ნარეკვავი N41	➢ საყურე, ოქროსი, ცალსხივიანი ➢ მძივსაკიდები, ოქროსი, ფირფიტოვანი, იხვის ფორმის. მრავალნახვრეტიანი, 12 ც. ➢ მძივები, ოქროსი, ჭვირული, სხვადასხვაგვარი, 11 ც.
თრელი N259	➢ საყურეები, ელექტრუმის, ცვარათი შედგენილი სამკუთხა საკიდით. 2.ც.
სამთავრო N206	➢ საყურეები ვერცხლის, სამკუთხა ფორმის ფილიგრანის წნულით მოჩარჩოვებული საკიდებით, 2 ც.
ვანი N24	➢ საყურის საკიდები, ოქროსი, სამკუთხა ფორმის, ფილიგრანის

	წნულით მოჩარჩოებული, 2 ც.
სიმაგრე	➢ საყურის საკიდი, ოქროსი, სამკუთხა ფორმის, ფილიგრანის წნულით მოჩარჩოებული. ➢ რგოლი, ვერცხლის, ჯვარედინად დატიხრული ორნამენტით
ფარცხანაყანევი	➢ მძივები, ოქროსი, ჭვირული, ბიკონუსური, წნულღეროიანი, 3 ც. ➢ მძივი, ელექტრუმის, სფერული, დაჭვირული ➢ ხვიები, ოქროსი ??**რაოდენობა და სახე**
ჭუბურხინჯის განძი	➢ ოქროს საყურე გრანულებით შედგენილი სამკუთხა ფორმის საკიდით ➢ 3-იანი სასაფეთქლე ხვია, ოქროსი ➢ 1.5-იანი სასაფეთქლე ხვია, ოქროსი ➢ ზოდი, ოქროსი, მოგრძო, ოთხკუთხაგანივკვეთიანი, დამღიანი 3 ც. (შემორჩენილი არაა) ➢ ზოდი, ვერცხლის, ოთხკუთხაგანივკვეთიანი, დამღიანი 10 ც. (შემორჩენილი არაა) ➢ ორნამენტირებული ფირფიტის სამი ცალი ნატეხი, ოქროსი (შემორჩენილი არაა)
ცხინვალის განძი	➢ 3-იანი ოქროს სასაფეთქლე ხვიები, ელექტრუმის. მათგან ორს მხოლოდ ბოლოები აქვს გაბრტყელებული, ორს კი - შუა ნაწილიც, 4 ც. ➢ 1.5-იანი სასაფეთქლე ხვიები, ელექტრუმის, გაბრტყელებული ბოლოებით, 5 ც. ➢ საყურე, ოქროსი, ცვარათი შედგენილი სამკუთხა საკიდით ➢ მძივები, სფერული, სტანდარტული, მოზრდილი, ცვარათი დაფარული და დაჭვირული, 5 ც. ➢ მძივი, ოქროსი, ჭვირული, სფერული

IV ქრონოლოგიური ჯგუფი - ძვ. წ. VI საუკუნე:

ერგეტა II N11	•რგოლები, მოოქრული ვერცხლის, 2 ც. •რგოლები, მოოქრული ვერცხლის, გველ-ურჩხულის თავით დაბოლოებული. რკალზე დატანილი აქვს კოპები. •მძივის გარსაკრავები ოქროს თხელი ფირფიტის, გიშრის მძივები, 8 ც.
ერგეტა III N1	•საკიდი, მოოქრული ვერცხლის, მტევნისებური ფორმის. •მძივები, მოოქრული ვერცხლის, სფერული, სტანდარტული, 3 ც. •რგოლები, ვერცხლის, ნაწილი მოოქრულია, 28 ც.
ურეკი N1	• რგოლები, ელექტრუმის და ვერცხლის • ვერცხლის საყურე, მტევნისებური საკიდით
ნიგვზიანი: ს. მ. N6, N8, N12	• რგოლი, ვერცხლის, მტაცებელი ცხოველის თავების იმიტირებული გამოსახულებებით - **საკულტო მოედანი** • რგოლი, ვერცხლის - **N6 სამარხი** • რგოლი, ვერცხლის - **N8 სამარხი** • რგოლები, ვერცხლის, 6 ც, - **N12 სამარხი**
ბრილი	• **სამარხი N15 (1939):** სამაჯური, ვერცხლის, ორნამენტირებული ფირფიტის; ორსხივიანი საყურეები, ელექტრუმის, 2 ც. • **სამარხი N11 (1940):** ცალსხივიანი საყურე, ელექტრუმი • **სამარხი N12 (1940):** ცალსხივიანი საყურე, ვერცხლის და 1.5-იანი სასაფეთქლე ხვია, ვერცხლის. • **სამარხი N13 (1940):** სასაფეთქლე რგოლი,ვერცხლის, ბოლოებგახვრეტილი, 2 ც. • **სამარხი N29 (1940):** გრეხილი რკალის ნატეხი, ელექტრუმის (შესაძლოა დიადემის); საყურე, ელექტრუმის, ორსხივიანი. • **სამარხი N30 (1940):** საყურე, ელექტრუმის, ორსხივიანი. ნაკლული. • **სამარხი N39 (1940):** დიადემა, ოქროსი, გრეხილური ღეროთი და დაბრტყელებული, დაღარული თავით • **კოლხური საკრემაციო მოედანი** (1948): ცალსხივიანი საყურეები, ვერცხლისა და ელექტრუმის • **სამარხი N3 (1948):** ცალსხივიანი საყურე, ელექტრუმის • **სამარხი N4 (1948):** 1.5-იანი ხვია, ვერცხლის, წრიული • **სამარხი N14 (1948):** საყურე რგოლი, ელექტრუმის, ცალი ბოლო გახვრეტილი და გაბრტყელებულია. • **კოლექტიური, კრემაციული სამარხი N17 (1948):** ცალსხივიანი საყურე, ელექტრუმის. • **კოლექტიური სამარხი N26 (1950):** დიადემები, ვერცხლის, გრეხილური ღეროთი და დაბრტყელებული თავით, 3 ც.; ორსხივიანი საყურე, ვერცხლის. • **სამარხი N32 (1950):** ცალსხივიანი საყურე, ელექტრუმის • **სამარხი N36 (1950):** სამაჯურები ვერცხლის, გრავირებული და სადაღეროიანი, 2 ც. რგოლები, ვერცხლის, სადა, გახსნილი, 3 ც.

	• **კოლხური დროის კრემაციული სამარხი (1951):** რგოლი, ოქროსი, წვრილი მავთულის; მძივის გარსაკრავის ფრაგმენტები, ოქროსი, სფერული, დაშტამპული; მძივის გარსაკრავის ფრგმენტები, გრძელი, სადა მძივების; 1.5-იანი ხვია, ელექტრუმის, გაფართოვებული ბოლოებით; • **სამარხი N9 (1951):** რგოლი, ოქროსი, ცალ მხარეს გაწვრილებული, დეფორმირებული; მძივის გარსაკრავის ფრაგმენტები, ოქროსი. • **სამარხი N11 (1951):** ცალსხივიანი საყურე, ოქროსი, მოკლე სხივით; დიადემის ან საკისრე რგოლის გრეხილური ფრაგმენტები, ელექტრუმის; რგოლი, მოოქრული ვერცხლის და ოქროსი; ოქროს ფოლგის ფრაგმენტები • **სამარხი N5 (1952):** რგოლები, ვერცხლის, 2 ც.; მძივი, ოქროსი, ტანდაღარული • **სამარხი N13 (1952):** საყურე, ელექტრუმის, ცალსხივიანი და ვერცხლის სამსხივიანი • **სამარხი N19 (1952):** რგოლი, ვერცხლის, გახვრეტილი და დაბრტყელებული ბოლოებით • **სამარხი N20 (1952):** სხივანა საყურეები, ოქროსი, ორი სხივიანი და ცალსხივიანი • **სამარხი N20 (1952):** სხივანა საყურეები, ელექტრუმის. ცალსხივიანი და ორსხივიანი • **სამარხი N24 (1952):** რგოლი, ვერცხლის, დაბრტყელებული და გახვრეტილი ბოლოებით. დიადემის ან საკისრეს გრეხილური ღერო, ელექტრუმი; მრგვალგანივკვეთიანი ღეროს ფრაგმენტი, ელექტრუმის • **სამარხი N15 (1953):** ცალსხივიანი საყურეები, ვერცხლის, 2 ც. • **სამარხი N20/20ა (1953) არეული ფენებია:** მძივები, ოქროსი, სფერული, სტანდარტული 190 ც.; ცალსხივიანი საყურე, ელექტრუმის • **სამარხი N21 (1953):** ცალსხივიანი საყურე, ელექტრუმის • **სამარხი N25 (1953):** ცალსხივიანი საყურე, ელექტრუმის • **სამარხი N26 (1953):** ცალსხივიანი საყურე, ელექტრუმის • **ნაყარი ფენებიდან:** ცალსხივიანი საყურეები, ვერცხლის, 2 ც. და ორსხივიანი საყურე, ოქროსი
გორიმო	• ვერცხლის (მასალა დასაზუსტებელია) სხივანა საყურე ერთმანეთზე გადაბმული ოთხი სხივით და ვარდულებით
პალური	• საყურე რგოლი, ელექტრუმის, 2 ც. • საყურე რგოლი, ვერცხლის, 2 ც.
მერხეული	• რგოლი, ვერცხლის, გახვრეტილი და გაბრტყელებული ბოლოებით • საკისრე რგოლი, ვერცხლის, ბოლოებისკენ გაწვრილებული (გველის/ფრინველის თავის სტილიზებულ გამოსახულებებს უნდა წარმოადგენდეს)

	• საყურე, ვერცხლის, გაბრტყელებული თავებით, რკალი შემკულია წერტილების მწკრივით
წითელი შუქურა N26 და N29	• სასაფერთქლე რგოლები, ვერცხლის, ბოლოებში ცხოველის თავის სკულპტურული გამოსახულებებით, 2 ცალი – **N26 და N29 სამარხებიდან**
გუადიხუ, N23 სამარხი	• საკისრე რკალი, ვერცხლის, გაწვრილებული ბოლოებით • საყურეები, ვერცხლის გაწვრილებული ბოლოებით
სოხუმის მთა, N1, N2	• ფიბულა, ვერცხლის, რომბისებურფირფიტიანი - **N1 კრემაციულ სამარხი** • ფიბულა, ვერცხლის რომბისებურფირფიტიანი, 2 ცალი - **N2 კრემაციულ სამარხი**
კისტირიკი	• ბეჭედი, ოქროსი • საკიდი, ოქროსი, სამკუთხა (?)
ზემო რუთხა, N17 და ნაშალი	• **N17 სამარხი:** 1.5-იანი ოვალურ სასაფეთქლე ხვიები, ვერცხლის, მასიური ღეროსი • **დანგრეული სამარხი:** • 3-იანი სასაფეთქლე ხვიები, ოქროსი, შესქელებული ბოლოებით და შუა ნაწილით • ბრტყელფირფიტიანი სასაფეთქლე ხვიები, ოქროსი, გამოყვანილი ყუნწით, 2 ცალი • მრგვალრკალიანი სპირალური სასაფეთქლეები, ოქროსი • სასაფეთქლე რგოლი, ოქროსი, დაბრტყელებული და გახვრეტილი ბოლოებით • სადა, გახსნილი რგოლები, ვერცხლის • სპირალური მილხვია, ვერცხლის • ცალსხივიანი საყურეები, ვერცხლის, 2 ცალი. • საკისრე რკალის ფრაგმენტები, ვერცხლის, სადა მავთულის.
თლია: NN 41, 87, 92,104, 110, 129, 138, 233, 252, 263, 270, 282, 339, 341, 344, 346, 348, 349, 350, 355, 362, 372, 373, 375. 380, 392, 408,	N41 - 3-იანი სასაფეთქლე ხვიები, ვერცხლი N87 - მძივის გარსაკრავები, ოქროს ფოლგის N92 - 1.5-იანი სასაფეთქლეები, ელექტრუმის N104 - რგოლები, მოოქრული ვერცხლის N110 - 3-იანი სასაფეთქლე ხვიები, ვერცხლის N129 - 1,5-იანი სასაფეთქლე ხვიები, ვერცხლის, და მოოქრული N138 - 3-იანი სასაფეთქლე ხვიები, ვერცხლის და მოოქრული -1,5-იანი სასაფეთქლე ხვიები, ვერცხლის და მოოქრული - მძივის გარსაკრავები, ოქროს ფოლგის N233 -მძივის გარსაკრავები, ოქროს ფოლგის N252 - მძივის გარსაკრავები, ოქროს ფოლგის - 1.5-იანი სასაფეთქლეები. ვერცხლი N263 - მძივის გარსაკრავები, ოქროს ფოლგის N270 - მძივის გარსაკრავები, ოქროს ფოლგის N282 - 3-იანი სასაფეთქლე ხვიები, ვერცხლი,

	- მძივის გარსაკრავები, ოქროს ფოლგის N339 - ვოლუტებიანი ხვია, ელექტრუმი - მძივის გარსაკრავები, ოქროს ფოლგის N341 - მძივის გარსაკრავები, ოქროს ფოლგის N344 - მძივის გარსაკრავები, ოქროს ფოლგის N346 - მძივის გარსაკრავები, ოქროს ფოლგის N348 - ვოლუტებიანი ხვია, ელექტრუმი - მძივის გარსაკრავები, ოქროს ფოლგის N349 - მძივის გარსაკრავები, ოქროს ფოლგის N350 - მძივის გარსაკრავები, ოქროს ფოლგის N355 - 1.5-იანი სასაფეთქლეები. ვერცხლი N362 - 1.5-იანი სასაფეთქლეები. ვერცხლი N372 - 3-იანი სასაფეთქლე ხვიები, ვერცხლი N373 - 1.5-იანი სასაფეთქლეები. ვერცხლი N375 - 1.5-იანი სასაფეთქლეები. ვერცხლი N380 - 1.5-იანი სასაფეთქლეები. ვერცხლი N392 - 1.5-იანი სასაფეთქლეები. ვერცხლი N408 - 1.5-იანი სასაფეთქლეები. ვერცხლი
ყაზბეგის განძი	• დაცვარულრულბურთულიანი საყურეები, ელექტრუმის, 2 ც. • ცალსხივიანი საყურე, ელექტრუმის ელექტრუმის სპირალური სასაფეთქლე ხვიები დაბრტყელებული ბოლოებით და შუა ნაწილით

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბრამიშვილი მ., თრელის სამაროვანზე 2012 წელს ჩატარებული სამუშაოების ანგარიში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრი, თბ., 2012 (გამოუქვეყნებელი)

2. აბრამიშვილი რ., სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ძეგლების დათარიღებისთვის. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. XIX-A და XIX-B თბ.,1957

3. აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის შრომათა ბიბლიოგრაფია. თბ., 1963

4. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. თბ., 1944

5. აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია, თ. ყაუხჩიშვილის გამოც. თბ., **1959**

6. აფაქიძე ა., ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. თბილისი, სსრ მეცნიერებათა აკადემია. თბ., 1963

7. აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., ყიფიანი გ., სიხარულიძე ა., გიუნაშვილი გ., გავაშელი ე., ღლონტი ნ., კაპანაძე მ., ნარეკვავის სამაროვანი, მცხეთა - ნარეკვავი I 1998. თბ.,1999

8. აფაქიძე ჯ., გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ახალი ძეგლი ცენტრალური კოლხეთიდან, ჟურნალი: ძეგლის მეგობარი N79. თბ., 1985, გვ:60-68

9. აფაქიძე ჯ., ფერადი ქვისა და მინის მძივების წარმოების საკითხისთვის ძველ კოლხეთში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე N3, ტომი 123, თბ., 1986; გვ: 657-600

10. აფაქიძე ჯ., გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის ქრონოლოგია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბ., 2002

11. აფაქიძე, ჯ., აფხაზეთის გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის განძები, აფხაზეთი: არქეოლოგიური ძეგლები და პრობლემები / აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია N I. თბ. 2006, გვ. 66-87

12. ახვლედიანი დ., ჩარკვიანი მ., კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ძვ.წ. V-ახ.წ. VI სს-ის განძები, იბერია-კოლხეთი N15. თბ., 2019

13. ახვლედიანი ნ., სულთანიშვილი ი., ე. წ. ურარტული მახვილების შესახებ, ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში N21. თბ., 2013, გვ. 219-225

14. ბარამიძე მ., მერხეულის სამაროვანი. თბ., 1977

15. ბარამიძე მ., წითლანაძე ლ., დოლიძე ნ., აფხაზეთის უძველესი მატერიალური კულტურა, ტომი II. თბ., 2013 https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/21845/1/AfxazetisUdzvelesiMaterialuriKultura_Tomi_II.pdf

16. ბოჭორიშვილი ლ., ოქრომჭედლობა სვანეთში, სსმმ, VII, N5. თბ.,1946

17. გაგოშიძე ი., მასალები ქართული ოქრომჭედლობის ისტორიისთვის (ჩვენს წელთაღრიცხვალმე I ათასწლეულის პირველი ნახევარი), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXII –B მეცნიერება. თბ., 1976 წ. გვ 5-36

18. გაგოშიძე ი., გოგიბერიძე ნ., მახარაძე გ., ითხვისის სამაროვანი. არქეოლოგიური ჟურნალი IV. თბ., 2006. გვ. 49-55

19. გამყრელიძე გ., სახელმწიფოებრიობის დასაბამი საქართველოში და არქეოლოგია. იბერია-კოლხეთი N15. 2019, გვ: 9-40

20. გობეჯიშვილი გ., არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. თბ. 1952

21. გობეჯიშვილი გ., განვითარებული რკინის ხანის ძეგლები რიონის სათავეებში, საქართველოს არქეოლოგია. თბ., 1959.

22. გოგაძე ე., თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბ, 1972

23. გოგაძე ე., დავლიანიძე ც., გორაძირი. თბ., 1981

24. გოგაძე ე., კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა, მეცნიერება. თბ., 1982

25. გოგაძე ე., დავლიანიძე ც; ფანცხავა ლ; ლომიტაშვილი დ., ქვის საწარმოო ნამოსახლარები კოლხეთიდან. ძიებანი, N19, თბილისი, 2010 გვ.160-167

26. გოგიბერიძე ნ., სამაჯურები და საკისრე რკალები ანტიკურ საქართველოში ძვ. წ. V-I სს. თბ., 2021 https://issuu.com/gnmuseum/docs/

27. გოგიბერიძე ნ., სამაჯურები საქართველოში (ძვ. წ. VIII- ახ. წ. VII სს), იბერია-კოლხეთი N16. თბ., 2022. გვ. 69-85

28. გოგოჭური გ., კალანდაძე ნ., მნიშვნელოვანი აღმოჩენები მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საქართველოს მუზეუმის მოამბე IV (49-B) თბ., 2013 გვ. 17-65

29. ვაჩაძე გ., ბრნჯაოს ზოომორფული პლასტიკა კოლხეთში და ინტერკულტუტული ურთიერთობები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. არქეოლოგიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბ., 2018

http://press.tsu.ge/data/image_db_innova/%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D%20%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98.pdf

30. ზუხბაია ვ., ქართული ოქრო. თბ., 1995

31. თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი. 1937

32. ინანიშვილი გ., ქართული მეტალურგიის სათავეებთან (ძვ.წ. IV-I) ათასწლეულები, საქართველოს ეროვნული მუზეუმი. თბ., 2014

33. ინაძე მ., ძველი კოლხეთის საზოგადოება. თბ., 1994.

34. კალანდაძე ალ., წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ძვ. წ. XI-VI სს. კრებული მცხეთა VI. თბ., 1982

35. კალანდაძე ალ. გვიანბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოში, საქართველოს არქეოლოგია. თბ., 1959

36. კალანდაძე ალ., სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები. სოხუმი, 1954

37. კახიძე ა., მნელაზე ნ., სურმანიძე ნ., თურმანიძე მ., სოფელ მახვილაურის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვნის არქეოლოგიური კვლევის შედეგები. „აჭარა - წარსული და თანამედროვეობა“, კრებული III. ბათუმი, 2017, გვ. 85-112

38. კახიძე ა., სურმანიძე ნ., ნაგერვაძე მ., აჭარა ენეოლითბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში. ბათუმი 2017

39. კვირკვაია რ. ბორჯომის ხეობა რკინის ფართო ათვისების ხანაში (ძვ.წ. VIII-VII სს), დისერტაცია. თბ., 2009

https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/164089/1/Disertacia.pdf

40. კვირკველია გ., იაშთხვას ადრეანტიკური ხანის სამარხები, სას, თბ., 1978.

41. კიკვიძე ი. მიწათმოქმედება და ადრესამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, მეცნიერება. თბ.,1976

42. კიღურაძე თ., აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია. თბილისი: მეცნიერება. თბ.,1976.

43. ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა. თბ., 1938

44. ლიჩელი ვ., კულტურული და სავაჭრო ურთიერთობები ცენტრალურ ამიერკავკასიაში (გრაკლიანი გორა) ჟურნალი „სპეკალი“N3 2011 http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/3/21

45. ლიჩელი ვ., კავკასიის არქეოლოგია. კრ. "ანტიკური კავკასია". თბ., 2018

46. ლომთათიძე გ., კლდეეთის სამაროვანი. თბ., 1957

47. ლომიტაშვილი დ. ცენტრალური კოლხეთი ძვ. წ. VIII ახ. წ. VI სს ციხეგოჯი - არქეოპოლისი - ნოქალაქევი, ავტორეფერატი, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბ., 2003

48. ლორთქიფანიძე ოთ., „განძები“. კოლხური ბრინჯაოს კულტურაში (ფუნქციური დეფინიციისა და კულტურულ-სოციალური ინტერპრეტაციის ცდა). კავკასია ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები ძიებანი VI დამატება V. თბ., 2001

49. ლორთქიფანიძე ნ., ძველი ქართული სამკაული. თბ., 2012

50. ლორთქიფანიძე ოთ., ანტიკური არქეოლოგია. თბ.,1971

51. ლორთქიფანიძე ოთ., ძველი კოლხეთის კულტურა. თბ., 1972

52. ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე თ., ხახუტაიშვილი დ., გონიოს განძი. თბ., 1980

53. ლორთქიფანიძე ოთ., არგონავტიკა და ძველი კოლხეთი. თბ., 1986

54. ლორთქიფანიძე ოთ, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თბ. 1996

55. ლორთქიფანიძე ოთ., ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბ., 2002

56. მახარაძე ზ., კალანდაძე ნ., მურვანძე ბ., ანანურის დიდი ყორღანი. თბ., 2016

57. მახარაძე გ., წერეთელი მ., საირხე. თბ., 2007

58. მეტრეველი რ., სარდიონის მძივების და საკიდების მინერალოგიური ანალიზი. კატ: სარდიონის მძივები და სამკაული სამთავროს სამაროვნიდან. თბ. 2022 გვ. 49-52

59. მიქელაძი, თ., ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (ძვ. წ. II-I ათასწლეულები) თბ. 1974წ. გვ: 160-163

60. მიქელაძე თ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე. თბ., 1978.

61. მიქელაძე თ., კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები, კაეშ, II. თბ., 1985

62. მუსხელიშვილი დ., ჯიბლაძე ლ., პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ., ანაკლია II. თბ., 2010

63. ნარიმანიშვილი დ., მითო-რელიგიური მსოფლმხედველობა შუა ბრინჯაოს ხანის ცენტრალურ სამხრეთ კავკასიაში. არქეოლოგიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბ., 2015
https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi/Dimitri_Narimanishvili.pdf

64. ნიორაძე გ., ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები, სსმმ XV-B. თბ., 1948

65. ოქროპირიძე ნ., ბარამიძე მ., პალურის საძვლე, ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის 1968 წლის გათხრების შედეგები, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, N6. თბ., 1975

66. პაპუაშვილი რ., გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხეთის სამარხ ორმოთა ფარდობითი ქრონოლოგიისთვის, ძიებანი N1. თბ.,1998
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/238727/1/Dziebani_Saqartvelos_Arqeologiashi_1998_N1.pdf

67. პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ., კოლხეთის ძველი ნამოსახლარები - ერგეტა. თბ., 2005

68. პაპუაშვილი რ. ეგეოსური სამყარო და კოლხეთი (ადრეული კონტაქტებისთვის), „ცოტნეიდელი“ ტომი II, ფაზისის საერო აკადემია. თბილისი - ფაზისი, 2008, გვ. 103-107

69. პაპუაშვილი რ., კოლხურ სამაროვანთა აბსოლუტური ქრონოლოგიისათვის, არქეოლოგიური ჟურნალი V. თბ., 2010, გვ. 32-42

70. პაპუაშვილი რ., ჯიბლაძე ლ., ბრინჯაოს მეორადი მეტალურგიული წარმოების ცენტრი ყულევის ნამოსახლარიდან, „ძიებანი“ N22. თბ., 2014, გვ. 178-186

71. პაპუაშვილი რ., ესებუა თ., ჯიქია ლ., პაპუაშვილი ი., ცაიშის სამაროვანი. თბილისი, ზუგდიდი, 2015

72. პაპუაშვილი რ., ჯიქია ლ., ქობალია ნ., პაპუაშვილი ი., ერგეტა. თბ., 2022

73. სახაროვა ლ., ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან. მეცნიერება, თბ., 1976

74. სულავა ნ., ლეჩხუმში აღმოჩენილი მცირე ზომის ყალიბის შესახებ. ძიებანი, N10. თბილისი. 2003

75. სულავა ნ., კავკასიის ფიბულები (ტიპოლოგია, ქრონოლოგია, გენეზისი), თბ., 2011 https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/10906/1/Kavkasiis_%20Fibulebi.pdf

76. ურუშაძე აკ., ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, უნივერსიტეტის გამოცემა. თბ., 1964

77. ფანცხავა ლ., კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები, თბილისი, მეცნიერება, 1988.

78. ფანცხავა ლ., მაისურაძე ბ., გობეჯიშვილი გ., ბრილის სამაროვანზე 1939 წელს გათხრილი N12 სამარხის დათარიღებისათვის, „ძიებანი“ N8. თბ., 2001, გვ. 39-48

79. ფიცხელაური კ., ცენტრალურამიერკავკასიური არქეოლოგიური კულტურა ძვ. წ. XIV-XIII სს-ში. თბ., 2005

80. ფოფორაძე ნ., გაჩეჩილაძე ხ., გველესიანი ს., დაუთაშვილი მ, საიუველირო საქმე. თბ., 2005

81. ფხაკაძე გ., დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის კულტურისა და მაიკოპის კულტურის ურთიერთობის საკითხები, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები,III. მეცნიერება, თბ., 1985 გვ.22-37

82. ქავთარაძე გ., ცენტრალური ანატოლიისა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ურთიერთობის საკითხისათვის ადრებრინჯაოს ხანაში. არქეოლოგია, კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტინისტიკა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 183. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1978, გვ. 5-19 http://www.scribd.com/doc/34800545/

83. ქებულაძე ნ., სამთავროს ოქროს ქიმიურ-ტექნოლოგიური ანალიზი. ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშები სამთავროს სამაროვნიდან საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექცები (ინტერდისციპლინარული კვლევა), თბ., 2019

84. ქობალია ნ., ოქროს მძივები წინარეანტიკური ხანის კოლხეთში. რეცენზირებადი ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი „სპეკალი“ N13, 2019 http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/13/220

85. ქობალია ნ., სამკუთხა ფორმის საკიდები წინარეანტიკური ხანის კოლხურ ოქრომჭედლობაში. რეცენზირებადი ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი „სპეკალი“ N15, 2021 http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/15/253

86. ქობალია ნ., კოლხეთის უძველესი ოქრო – კულტურული წინაპირობა და საერთაშორისო კონტექსტი, ჟურნალი ”ქართველოლოგი” N14. 2021ა

http://kartvelologi.tsu.ge/public/en/arqive/21/6

87. ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისთვის. თბ., 1965 წ.

88. ღამბაშიძე ი., მინდიაშვილი გ., გოგოჭური გ., კახიანი კ., ჯაფარიძე ი., უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში ძვ. წ. VI-III ათასწლეულებში. თბ., 2010

89. ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია : ცნობები საქართველოს შესახებ. საქ. სსრ მეცნ. აკად. თბ., 1957

90. ყიფიანი გ., სატაძრო თემატიკა ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშებში. თბ.,1998

91. შანშაშვილი ნ., ნარიმანიშვილი გ., სამხრეთ კავკასიისა და ეგეოსური სამყაროს ურთიერთობის დინამიკა და ხასიათი ბრინჯაოს ხანაში. ეგეოსური სამყარო და სამხრეთ კავკასია, კულტურული ურთიერთობები ბრინჯაოს ხანაში, საერთაშორისო სემინარი 2016, გვ.11-49

92. ჩავლეიშვილი ი., კოლხური ბრინჯაოს საწარმოო კერა ჩოლოქ-ოჩხომურის ხერთვისში. სდსძ, XIX. თბ., 1991

93. ცინდელიანი ზ., მითი და სინამდვილე : კოლხურ-მინოსურ ცივილიზაციათა კავშირები მითებისა და არქეოლოგიური აღმოჩენების ფონზე. თბ., 2000

94. წითლანაძე ლ., ხევის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1976

95. წითლანაძე ლ., ბომბორას განძი. კრებული „აფხაზეთი“ II, თბილისი 2011

96. წითლანაძე ლ., აფხაზეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძები, აფხაზეთის უძველესი მატერიალური კულტურა, ტომი II. თბილისი 2013, გვ. 87-113

97. წითლანაძე ლ., მდინარე არაგვის აუზი ძვ. წ. I ათასწლეულში (არქეოლოგიური მასალების მიხედვით). თბ., 2017

98. ჭანიშვილი თ., სამკაული (კისრის რკალი) საქართველოს არქეოლოგიური კომპლექსებიდან. იბერია-კოლხეთი N6, 2010 გვ:125-144

99. ჭყონია ა., ოქრომჭედლობის სახელოსნოს ნაშთები ვანის ნაქალაქარზე. იბერია-კოლხეთი N8. თბ., 2012. გვ. 5-17

100. ჭყონია ა., ქართული ოქრომჭედლობის შესწავლის ისტორიიდან. ე. თაყაიშვილი. საქართველოს არქეოლოგიის საკითხები. თბ., 2007. გვ. 264-272

101. ჭყონია ა., რელიგიური ასპექტი კოლხურ ოქრომჭედლობაში, ძიებანი, დამატებანი IV. თბ. 2001, გვ. 97-105

102. ჭყონია ა., ვანის ნაქალაქარის ოქროს სამკაულები. ვანი VI. თბ., 1981

103. ჭყონია ა., ადრეანტიკური ხანის ოქროს საყურეები ვანის ნაქალაქარიდან, ვანი III, არქეოლოგიური გათხრები. თბ.,1977 გვ. 81-100

104. ხახუტაიშვილი დ., იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები. თბ., 1966;

105. ხიდაშელი მ., რიტუალი და სიმბოლო არქაულ კულტურაში. თბ., 2005

106. ხიდაშელი მ., ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში (ბრინჯაოს გრავირებული სარტყლები). თბ.,1982

107. ჯალაბაძე მ., ჯავახიშვილი ქ., დავლიანიძე ც., კუბლაშვილი მ., ქობალია ნ., სახვაძე ა., ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშები სამთავროს სამაროვნიდან საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექცები (ინტერდისციპლინარული კვლევა). თბ., 2019

108. ჯავახშვილი ალ., მხატვრული ხელოსნობის ისტორიიდან, "საბჭოთა ხელოვნება" N6. თბ.,1955

109. ჯავახიშვილი ალ., ხაიშის განძი, ჟურნალი მნათობი №3. თბ., 1958

110. ჯაფარიძე ოთ., ქართული ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბ., 1961

111. ჯაფარიძე ოთ., არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, ქართველი ტომების ისტორიისათის ძვ. წ. III ათასწლეულში. თბ., 1969

112. ჯაფარიძე ო., საქართველოს არქეოლოგია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1991

113. ჯაფარიძე ო., ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან. თბ., 2006

114. ჯაფარიძე ოთ., შიდა ქართლის უძველესი წარსულიდან. თბ., 2009

115. ჯიბლაძე, ლ., კოლხეთის დაბლობის ძვ. წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები. თბ., 2005

116. ჯიბლაძე ლ., კოლხური კულტურის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხისთვის. ამირანი XXVIII, 2016. გვ. 48-71

117. Абрамишвили Р., Бохочадзе А., Квижинадзе К., Мирцхулава Г., Николайшвили В., Рамишвили А., Археологические раскопки в Дигомском ущелье. Археологические Открытия 1970. Москва 1971, С. 371-372.

118. Алексеева Е.М., Античные бусы Северного Причерноморья. М.: Наука, 1978. 104 с., табл. 20–34. (САИ. Вып. Г1-12/2)

119. Алексеева Е.П., Позднекобанская культура Центрального Кавказа // Ученые записки ЛГУ. Сер. ист.наук. № 85. Вып. 13. Л., 1949. С. 191–257

120. Асланов Г. М., Голубкина Т. И., Каталог Золотых и Серебряных Предметов из Археологических Раскопок Азербайджана. 1966

121. Асланов Г. М., Ваидов Р. М., Ионе Г. И., Древний Мингечаур. Баку: АН Азербайджана, 1959

122. Апакидзе Д. Б., Центральная Колхида в эпоху поздней бронзы – раннего железа. Тб., 1991

123. Бжания Б. Б., Кобахия Б. С., Хибба З. А., Охранные раскопки Кистрика. Археологические открытия 1982 года в Абхазии. Тб., 1982

124. Брилева О.А., Древняя бронзовая антропоморфная пластика Кавказа (XV в. до н.э.— X в. н.э.). М., 2012

125. Воронов Ю.Н., Археологическая карта Абхазии. Сухуми, 1969

126. Гамбашидзе О. С., Квижинадзе К.Д., Абрамишвили Р., Отчет о работе Месхет-Джавахетской экспедиции, ПАИ в 1982. 1985, С. 31-36.

127. Гасанов З., Серьги в виде кольца с несходящимися концами и треугольными подвесками из Мингечаура. Azerbaijan Archaeology and Ethnography, 2016. С. 44-54

128. Гогадзе Э. М., Панцхава Л. Н., Дариспанашвили М. В., Работы Носири-Мухурчцкой експедиции за 1974-1975 гг. "საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები" N5, თბილისი, მეცნიერება, 1977, გვ. 60-71

129. Гогадзе Э; Давлианидзе Ц; Панцхава Л., Изготовление цветных каменных бус В древней Колхиде и некоторые аспекты ремессленного производства Причерноморье. Материалы V Всесоюзного симпозиума по древней истории Причерноморья, Вани, 1987, Тб., 1990

130. Городцов В. А., Культуры бронзовой эпохи в Средней России (Отчет Исторического музея за 1914). М., 1916

131. Иессен А. А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, ИГАИМК, 120, М.,-Л., 1935

132. Исмизаде О. С., О ювелирном ремесле в древней Кавказской Албании. МКА VII 1973, сс. 277-317

133. Квирквелия Г. Т. Материальная культура северо-западной Колхиды в VIII-V вв. до н.э. (Автореферат кандидадской диссертации). Тб., 1981

134. Ковалевская В. Б., Конь и всадник (пути и судьбы). М.: "Наука", 1977

135. Козенкова В.И., Культурно-исторические процессы на Северном Кавказе в эпоху поздней бронзы и в раннем железном веке (Узловые проблемы происхождения и развития кобанской культуры). М. 1996

136. Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети. Опыт периодизации памятников, Тб., 1941

137. Куфтин Б. А., Урартский «колумбарий» у подошвы Арарата и КуроАраксский энеолит, ВГМГ, т. ХШВ, 1944

138. Куфтин , Б. Археологические раскопки 1947 года в Цалкском районе. Тб., 1948

139. Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды I, Тбилиси, Академии наук, 1949

140. Крупнов Е. И. Древняя история Северного Кавказаб Москва, 1960

141. Латышев В. В., Известия древних писателей, греческих и латинских о Скифии и Кавказе, т. II., С.Пб., 1904

142. Лордкипанидзе О.Д. Древняя Колхида (миф и археология). Тбилиси: Мецниереба, 1979

143. Лордкипанидзе О.Д. Наследие древней Грузии. Тбилиси: Мецниереба, 1989

144. Марковин В. И., Культура племен Северного Кавказа в эпоху бронзы (II тыс. до н. э.), МИА, № 93. I960

145. Марковин В.И. Культовая пластика Кавказа // Новое в археологии Северного Кавказа. М., 1986. С. 74–124

146. Меликишвили Г. А. Кулха: (Из древ. истории Юж. Закавказья) // Древний мир: Сб. ст. (Памяти В.В. Струве). М., 1962. с. 319 — 326

147. Мещанинов И. И., Доисторический Азербайджан и урартская культура. ИООИА, т. 1. Географические названия верховьев Аракса по халдским надписям. Изв. ГАИМК, IV. 1925

148. Микеладзе 1990: Тбилиси, Т., К археологии Колхиды, Тбилиси, Мецниереба 1990

149. Микеладзе Т. К., Папуашвили Р. И., Чубинишвили Н. Т. Колхидская экспедиция, ПАИ в 1986 г. Тб., 1991.

150. Микеладзе Т. Протоколхидская Культура "Археология" Эпоха бронзы и Средней Азии (Ранняя и средная бронза Кавказа) Москва 1994 стр. 67-74

151. Микеладзе Т. К., Мигдисова Н. П., Папуашвили Р. И., Чубинишвили Н. Т. Колхидская экспедиция, ПАИ в 1987 г., Тб., 1995

152. Микеладзе Т.К., Мигдисова Н.П., Папуашвили Р.И. Колхидская археологичекая экспедиция. ПАИ в 1988 г., Тб., 1997, с. 27-30.

153. Панцхава Л., Сулава Н., Папуашвили Р., Колхидская, кобанская или колхидско-кобанская? Кавказоведение, № 4. М., 2003

154. Пендлбери Дж., Археология Крита, М.: Изд-во иностранной литературы, 1950

155. Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. А., Глонти Н. З., Мухигулашвили Н. З., Робакидзе В.В., Чихладзе В. В., Циклаури Г. К., Маргвелашвили М. Г., Рчеулишвили Г. М.,

156. Ломидзе Ц. Ш., Циклаури И. Д., Церетели К. Б., Археологические исследования в Душетском районе, В: Полевые археологические исследования в 1981, Тб., 1984

157. Пендлбери Дж., Археология Крита, М.: Изд-во иностранной литературы, 1950

158. Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. А., Глонти Н. З., Мухигулашвили Н. З., Робакидзе В.В., Чихладзе В. В., Циклаури Г. К., Маргвелашвили М. Г., Рчеулишвили Г. М.,

159. Ломидзе Ц. Ш., Циклаури И. Д., Церетели К. Б., Археологические исследования в Душетском районе, В: Полевые археологические исследования в 1981, Тб., 1984

160. Садыхзаде Ш.Г. Древние украшения Азербайджана, 1971 г.

161. Сланов А. Х., Итоги археологического исследования Сохтинского и Кливанского могильников, ПАИ в 1977. Тб., 1980

162. Техов Б. В., Тайны древних погребений. Владикавказ, 2002

163. Техов Б. В., Тлийский могильник, III. Тб., 1985

164. Техов Б. В., Тлийский могильник, II. Тб., 1981

165. Техов Б. В., Тлийский могильник, I. Тб., 1980

166. Техов Б. В., Центральный Кавказ в XVI-X вв. До н.э. М. 1977

167. Техов Б. В., Очерки древней истории и археологии Юго-Осетии. Тб., 1971

168. Техов Б. В., Позднебронзовая культура Лиахвского бассейна. Сталинир, 1957

169. Трапш М. М., Труды, т. 1. Сухуми, 1969

170. Трапш М. М., Труды, т. 2. Сухуми, 1970

171. Тушишвили Н.Н., Раскопки в Алгетском ущелье. Археологические открытия 1986 года. М. 1988

172. Уварова П., Коллекции Кавказского Музея. Археология. Т. V. Тифлис. 1902

173. Уварова П.С., Могильники Северного Кавказа. Материалы по археологии Кавказа. Вып. VIII. М., 1900

174. Уильямс Д., Огден Дж., Греческое золото. Ювелирное искусство классической эпохи. V-IV века до н.э. СПб: Славия. 1995. 272 с. ISBN 5-88654-003-2

175. Хачатрян Т. С., Древняя культура Ширака. изд-во Ереванского гос. Университета. 1975, 278 стр.

176. Цвинария И. И., Новые памятники дольменной культуры Абхазии. Мецниереба 1990

177. Чайлд Г., древний Восток светлый новых раскопок. Москва 1956

178. Хачатрян Т. С., Материальная культура древнего Артика. Ереван, 1963

179. Andrae W., Die archaischen Ischtar-Tempel in Assur, 1922

180. Apakidze, J., Ein Umfangreicher Bronzehort Aus Der Werkstattsiedlung Der Kolchis-Kultur in Očchomuri in Westgeorgien. Praehistorische Zeitschrift 75, no. 2, 2000. doi:10.1515/PRHZ.2000.75.2.184.

181. Apakidze J., Die Spätbronze- und Früheisen- zeit in West- und Zentralkaukasien. Chronologische Studienzur Kolchis-Kultur 1600–700 v. Chr. PAS 24. Rahden/Westf. 2009

182. Avramova, M. Myth, Ritual and Gold of a "civilization that did not take place". – In: Varna Necropolis. Varna, Agató, 2000, pp 15–24.

183. Azarpay G., Urartian Art and Artifacts: a Chronological Study. Azarpay G 1968a / Urartian art and Artifacts: a Chronological Study. 1968

184. Becatti L. Orficerie antiche, Roma,1955

185. Belfiore J.C., Dictionnaire des Croyances et Symboles de l'Antiquité, Laurousse, 2010

186. Biber H., Urartu Silahları: Kılıç, Hançer ve Bıçakları (Dissertation, Van Yüzüncü Yıl University) 2005

187. Biber H., Sevin V., Yalçin Ü., Thechnological and Archeometallurgical Studies on the Urartian Swards and Daggers. – Ancient Mining in Turkey and the Eastern Mediterranien, Ankara, 2008, pp:149-173.

188. Boardman J., The Archaeology of Jewelry. In: A. Calinescu (ed.). Ancient Jewelry and Archaeology. Bloomington, 1996. pp. 3–13.

189. Boardman J., Early Greek Vase Painting, London 1998;

190. Bossert H., Altsyrien. Tubingen, 1951

191. Canciani F., Von Hase F. W., La Tomba Bernardini Di Palestrina. Roma: Consiglio nazionale delle ricerche Centro di studio per l'archeologia etrusco-italica. 1979

192. Capel A. K., Markoe G., Mistress of the House, Mistress of Heaven: women in ancient Egypt, udson Hills Press in association with Cincinnati Art Museum, New York, 1996

193. Castelluccia M., Dan R., Caucasian, Iranian and Urartian Bronze Bells, cient Cilvilizations from Scythia to Siberia 20(1):67-104. 2014

194. Cartwright M., Ancient Greek Forminx. World History Encyclopedia. Last modified June 22, 2012. https://www.worldhistory.org/image/709/ancient-greek-forminx/

195. Çilingiroğlu, A., Salvini M, New Contributions to Urartian Archaeology from theFortress at Ayanis, A . Çilingiro ğ lu, A . Sagona (eds.), Anatolian Iron Ages 7, ANES 7:99-112Cristofani 1985

196. Cooper JC., Symbolic and Mythological Animals. London: Aquarian Press. 1992. pp. 106–08. ISBN 1-85538-118-4.

197. Cultural Olympiad, SEA ROUTES from Sidon to Huelva - Interconnections in The Mediterranean 16th - 6th c. BC. Museum of Cycladic Art, 2003

198. Curtis C., The Bernardini Tomb." Memoirs of the American Academy in Rome 3, 1919, pp 9–90.

199. Dan R., A Short Note on an Unusual Artefact Which May Constitute a Link between Urartu and Etruria. Iran and the Caucasus 20, no. 1, 2016. 17–23. doi:10.1163/1573384X-20160102.

200. Dara M., Urartian Lion Figure: The Travelling Motif in the Ancient Near East. Persica Antiqua, July 2021, VOL. 1, NO. 1: 37-52
https://www.persicaantiqua.ir/article_133723_488d77e8abd2b90842791bf70c169c33.pdf

201. Deppert-Lippitz B., Greek Bracelets of the Classical Period, in: Williams 1998, 91–94

202. Deppert-Lippitz B., Griechischer Goldschmuck (Kulturgeschichte der antiken Welt) (German Edition) (German) Paperback, 1985

203. Despini E., Ancient Gold Jewelry, Athens: Ekdotike Athenon, 1996

204. Dominique C., Ancient Near Eastern Art, British Museum, 1995

205. Dublin L. Sh., The History of Beads: From 30,000 B.C. to the Present, Hardcover 1987

206. Dugas C., Le sanctuaire d'Aléa Athéna a Tégée, BCH 45, 1921, 335–435

207. Dumitrescu, V., Le depot de la fin de l'âge du bronze découvert à Tăuteni, 1936 Dacia 5-6,225-234.

208. Eluère Ch., Les secrets de l'or antique. Paris, 1990

209. Erdan E., Gür B., About the Double-Axe (Labrys) / Butterfly Symbols in an Offering Pit in Tisna Anatolian Research, AnAr, 23. Istambul, 2020. pp. 71–89

210. Feldman, M., Luxorius Forms: Redefining a Mediterrannean "International Style. 1400-1200B.C.E. – The Art Bulletin, vol. 84, N1, 6-29 2002

211. Flonglfeld Y. T., Sanctuaries and Votive Offerings from the Early Iron Age - A comparative study of votive offerings from the eastern Peloponnese. Master`s Thesis in Archaeology, Department of Archaeology, History, Cultural Studies and Religion, University of Bergen 2009

212. Follett T.. Amber in Goldworking. Archaeology 38: 64–65. 1985

213. Frenez D., Genchi F., David-Cuny H., Al-Bakri S., The Early Iron Age collective tomb LCG-1 at Dibbā al-Bayah, Oman: long-distance exchange and cross-cultural interaction, Antiquity 2021 Vol. 95 (379): 104–124 https://doi.org/10.15184/aqy.2020.224 2020

214. Frey O. H. F., La cronologia di Este nel quadro dei rapporticulturali con l'area hallstattiana, in Atti dell'XI Convegno di StudiEtruschi ed Italici (Este-Padova, 27 giugno- 1 luglio 1976), Firenze 1980. pp. 69 – 84

215. Frost, S. W., The Amphibian in Art and Literature. The Scientific Monthly 34, no. 4, 1932. pp. 369–75.

216. Genchi, F., Fattore, L., Nava, A., Maini, E. The LCG2 complex at Dibbā (Musandam, Oman, II—I millennium BC): structural, material, and osteological elements. *Proceedings of the Seminar for Arabian Studies*, 2018. *48*, 99–117. http://www.jstor.org/stable/45163148

217. Gimbutas M., The Goddesses and Gods of Old Europe. 6500-3500 B.C. Myths and Cult Images. Berkley, Los Angeles 1996

218. Gitin, H., Golani, A., The Tel Miqne-Ekron Silver Hoards: The Assyrian and Phoenician Connections. In: Balmuth, M (Ed.), Hacksilber to Coinage: New Insights into the Monetary History of the Near East and Greece; A Collection of Eight Papers Presented at the 99th Annual

Meeting of the Archaeological Institute of America. American Numismatic Society 2001, pp. 27–48.

219. Goff B., L., Symbols of Prehistoric Mesopotamia, New heven, London, Yale University Press 1963

220. Golani A., Jewelry from the Iron Age II Levant [=Orbis Biblicus et Orientalis, Series Archaeologica 32], Fribourg: Academic Press 2013

221. Golani A., Sass B., Three Seventh-Century B.C.E. Hoards of Silver Jewelry from Tel-Miqne-Ekron. 1998*BASOR* 311: 57–81.

222. Gramatopol, M., Theodorescu, R., Vechi podoabe de aur în colecţiile Cabinetului Numismatic al Academiei Republicii Socialiste România , Studii şi Cercetări de Istoria Artei , Seria Arta plastică 1966, 13, 1, 63 -95

223. Grimaldi D., Pushing Back Amber Production, Science, Octomber 2009, DOI: 10.1126/science.1179328 · Source: PubMed

224. Haerink E., Overlat B., Djub-I-Ganhar and Gul Khanan Murdah Iron Age III Graveyards in the Aivan Plain, Acta Iranica, Encyclopedie permanante des etudes Iraniennes. Troisieme Serie, v. XXII; Luristan Excavation Documents, v. III, 1991

225. Hall E., Hoarding at Tel Megiddo in the Late Bronze Age and Iron Age I, Tel Aviv University, 2016

226. Hansen S., Innovative Metals: Copper, Gold and Silver in the Black Sea Region and the Carpathian Basin During the 5th and 4th Millennium BC. In: S. Burmeister, 2013

227. Harrison Jane E., Ancient Art and Ritual, T. Butterworth, 1935

228. Harrison Jane E., Helios-Hades, The Classical Review 22 (01):12-16, 1908

229. Haynes G. R., Witzel M., Tree of Life, Mythical Archetype Paperback 2009

230. Hegmon M., Archaeological Research on Style. 1992, *ARA* 21: 517–536.

231. Higgins R. A., Greek and Roman Jewellery , Berkeley and Los Angeles, 1980

232. Higgins R.A., *Greek and Roman Jewellery* (1st ed.). London 1961

233. Hoffmann H., Davidson P., Greek Gold. Jewelry from the Age of Alexander. Mainz am Rhein. 1965

234. Işikli, M., Ayanis aslani, Festschrift für Havva Işkan. E. Dundar and Ş. Aktaş and M. Koçak and S. Erkoç (eds.), Istanbul 2016. Yayinlar: 431-445.

235. Kacharava D., Kvirkvelia G., Recent Archaeological Finds on the Upper Terrace of the Vani Site. Ancient Civilizations from Scythia to Siberia 14, 2009. pp. 237-315

236. Kacharava D., Kvirkvelia G., The archaeology of Vani. In: Wine, Worship, and Sacrifice: The Golden Graves of Ancient Vani. New York University, 2008 pp. 175-182

237. Kalantaryan A., (ed.), —Hin Hayastani voskin. m.t.a. Ill haz. ̆m.t. XIVd. (The Gold of Ancient Armenia: 3rd Millennium BC -14th Century AD), Yerevan, 2007

238. Kletter R., Iron Age Hoards of Precious Metals in Palestine – An 'Underground Economy'? *Levant* 35, 2003. pp.139–152.

239. Knapp, A.B., Hoards d'Oeuvres: Of Metals & Men on Bronze Age Cyprus. Oxford Journal of Archaeology 7: 147-176. 1988. pp. 79-86

240. Kobalia N., Dagger-shaped pendants with dog-like heads – A defining element of Colchian bronze objects, in: Austauschund Kulturkontakt im Südkaukasus und seinen angrenzenden Regionen in der Spätbronze-Früheisenzeit, volume 22, Halle 2012

241. Koch L. C. Report on the Vitreous Bird Beads (Vogelperlen) ARIMNESTOS Ricerche di Protostoria Mediterranea 1, 2018, pp. 227-237
https://www.insegnadelgiglio.it/prodotto/arimnestos-1/

242. Konstantinidi E.M., *Jewellery Revealed in the Burial Contexts of the Greek Bronze Age* (*BAR Int. S.* 912). Oxford 2001

243. Kossack G. On the Origins of the Scytho-Iranian Animal Style. / B. Hansel, A. F. Harding (ed.) Towards Translating the Past: Georg Kossack – Selected Studies in Archaeology. Ten Essays written from the year 1974 to 1997. Rahden: Verlag Marie Leidorf, 1998. pp. 39-96

244. Kuijpers MHG, Popa CN., The origins of money: Calculation of similarity indexes demonstrates the earliest development of commodity money in prehistoric Central Europe. 2021, PLoS ONE 16(1): e0240462. https://doi.org/ 10.1371/journal.pone.0240462

245. Laffineur R., Bronze Age Traditions in Dark Age and Orientalising Jewellery, in: The Art Of The Greek Goldsmith Ed. Dyfri Williams, 1998

246. Lebeurier D., L`Art Ourarteen, in Au pied du Mont Ararat, splendeurs de l'Arménie antique, 1 vol. 2007

247. Leclant J., Astarté à cheval d'après les représentations égyptiennes, Syria. Archéologie, Art et histoire Année 1960, 37-1-2 pp. 1-67

248. Loepp D., Maass A., Experimental Replication of a Granulated Gold Bead from an Ancient Tomb at Bat, Oman, Metalla Nr. 23.1 / 2017. pp. 29–38

249. Licheli V., The bronze statuette of a Colchian horsewoman on Samos: Accident or design, Pontika 2008, Resent research on the Northen and Eastern Black sea in ancient times, 2008, pp. 221-240

250. Licheli V., Ancient Colchis and Intercultural Relations, Phasis 15-16, 2012-2013

251. Lord, L.E., The Touchstone, *The Classical Journal*, 32, nº 7, 1937. pp: 428-431.

252. Lordkipanidze Ot., Archaeologie in Georgien: Von der Altsteinzeit zum Mittelalter, Weinheim, VCH, Acta Humaniora, 1991

253. Mallowan M. E. L., Twenty-five years of Mesopotamian discovery (1932-1956). London: British School of Archaeology in Iraq, 1956

254. Maner Ç., When East Meets West: The Social Identity of Western Anatolia, in: N. Stampolidis, Ç. Maner, K. Kopanias. Eds. 2015. NOSTOI. Indigenous Culture, Migration and Integration in the Aegean Islands and Western Anatolia during the Late Bronze and Early Iron Age. Istanbul: Koç University Press, 2015

255. Marshall F. H., Catalogue of the Gewellery Greek, Etruscan and Roman in the Departments of Antiquities, British Museum, London, 1911

256. Matthäus, H., Schumacher-Matthäus, G., Zyprische Hortfunde. Kult und Metallhandwerk in der späten Bronzezeit. In: Frey, O. H., Roth, H., and Dobiat, C., eds. *Gedenkschrift für Gero von Merhart* (Marburger Studien zur Vor-und Frühgeschichte 7) Marburg, 1986. Pp. 129-191.

257. Maxwell-Hyslop K.R., Sources of Sumerian Gold. *Iraq* 39: 83–86. 1977;

258. Maxwell-Hyslop, K. R., Western Asiatic jewelry, c.3000-612B.C, 2007 (1971)

259. Merhav, R., Urartu: A Metalworking Center in the First Millennium BC. Jerusalem 1991

260. Moshinsky A., The Cult of the Double-Edged Axe in the Northen Caucasus. 2001

261. Montperreux D., Voyage Autour du Caucase, Chez les Tcherkesses et les Abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée: Avec un Atlas Géographique, Pittoresque, Archéologique, Géologique, Etc. 1839

262. Muscarella, Oscar W., Hasanlu 1964. The Metropolitan Museum of Art Bulletin 25, 1966

263. Negahban, E., Mārlik. The Complete Excavation Report. Vols. I-II, Philadelphia, 1996

264. Ogden J., Jewellery of the Ancient World. New York: Rizzoli, 1982

265. Ogden J.M., The Gold Jewellery. In: C.M. Bennet and P. Bienkowski (eds.). *Excavations at Tawilan in Southern Jordan*. London 1995. pp. 69–124.

266. Ogden J., The Jewellery of Dark Age Greece: Construction and Cultural Connections. In *The Art of the Greek Goldsmith,* edited by Dyfri Williams. London 1998. pp. 14 – 21.

267. Okrostsvaridze A., Gagnidze N., Akimidze, K., A modern field investigation of the mythical "gold sands" of the ancient Colchis Kingdom and "Golden Fleece" phenomena. Quaternary International xxx (2014) 1e9 2014 http://eprints.iliauni.edu.ge/3478/1/GoldenFleece%20Qvaternary%20J..pdf

268. Özgen I., The Lydian Treasure, Istanbul, 1996

269. Papuashvili R., The late bronze/early iron age burial grounds from Tsaishi. in: Austauschund Kulturkontakt im Südkaukasus und seinen angrenzenden Regionen in der Spätbronze-Früheisenzeit, volume 22, Halle 2012

270. Pârvan, V., Getica , Bucureşti 1926

271. Prange M., Yalçin Ü., Early Iron Age pewter beads from Colchis, in: I. Gambashidze, A. Hauptmann, R. Slotta & Ü. Yalçin (ed.): Georgia - treasures from the land of the Golden Fleece, exhibition catalogue, Bochum, 200. 188-191.

272. Parrini P., Formigli E., Mello E., Etruscan Granulation: Analysis of Orientalizing Jewelry from Marsiliana d'Albegna. In: American Journal of Archaeology, Jan., 1982, Vol. 86, No. 1 (Jan., 1982), pp. 118-121. Published by: Archaeological Institute of America Stable URL: https://www.jstor.org/stable/504299

273. Pliny (The Elder), The Natural History: 6,. London, UK, G. 1898

274. Quillard B., *Bijoux carthaginois* I: *Les colliers* (*Publications d'histoire de l'art et* d'archéologie de l'Université catholique de Louvain 15). Louvain-la-Neuve, 1979

275. Reineggs I., Allgemeine historisch-topographische Berschreibung des Kaukasus, II. Hildesheim-St. Petersburg, 1797

276. Rosenberg M., Geschichte der Goldschmiedekunst auf technischer Grundlage: Zellenschmelz. Frankfurt 1921

277. Rudolph W., Towards a Historiography of Jewelry Research. In: A. Calinescu (ed.). *Ancient Jewelry and Archaeology*. Bloomington, 1996, pp. 17–25.

278. Rudolph W., A golden legacy. Ancient jewellery from the Burton Y. Berry Collection at the Indiana University Art Museum, Bloomington, Indianapolis, 1995

279. Sackett J.R., Approaches to Style in Lithic Archaeology. *Journal of Anthropology and Archaeology* 1, 1982. pp: 59–112.

280. Sakellarakis Y.A., Heraklion Museum - Illustrated Guide, 2003

281. Salvini M., Lo 'scettro' d'oro della regina di Urartu", M. Tortorelli Ghidini (ed.), Aurum. Funzioni e simbologie dell'oro nelle culture del Mediterraneo antico, Roma 2014

282. Schachermeyr, F., Die minoische Kultur des alten Kreta [The Minoan Culture of Ancient Crete] (in German). Stuttgart, 1964, DE: Kohlhammer Verlag. OCLC 325167. Abb. 85

283. Sulava N., On a small mould discovered in mountainous Colchis. Ancient mining in Turkey and the Eastern Mediterranean (AMITEM). - U. Jalcin (Ed.). Ankara. 2008

284. Sutherland C.H.V., Gold, London, Thames & Hudson, 1959

285. Tarlea, Alexandra-Clara. "THE EARLY IRON AGE GOLD TREASURE FROM BRAŞOV." Peuce 13, 2015

286. Thornton Ch. P., Pigott V. C. Blade-type Weaponry of Hasanlu Period IVB, 2011. https://www.tf.unikiel.de/matwis/amat/iss/kap_b/articles/literature_evaluations_old_swords/hasanlu_2011_thornton_weaponry.pdf

287. Verger S., Les objets métalliques du sanctuaire de Pérachora et la dynamique des échanges entre mers ionienne, adriatique et tyrrhénienne à l'époque archaïque 2012

288. Voyatzis M. E., The early sanctuary of Athena Alea at Tegea and other Archaic sanctuaries in Arcadia, Götebourg, Paul Aströmos förlag 1990

289. Vronsky I. M. History of Gold 1991 https://www.gold-eagle.com/article/history-gold

290. Waites M. C., The Deities of the Sacred Axe, American Journal of Archaeology Vol. 27, No. 1 (Jan. - Mar., 1923), pp. 25-56

291. Williams D., Ogden I. Greek Gold, Jewelry of the Classical World, New York, 1994

292. Wolters J., Die Granulation: Geschichte und Technik einer alten Goldschmiedekunst, 1983

293. Woolley L., The Excavations at Ur and the Hebrew Records, George Allen and Unwin. London, 1929


ნიკოფსი
ბიბბორა
ყალაბეგეტა
ფსიბეგეი
ბეგიბეგეი
ბეგიბეგი
ბეგიბეგეი
ბეგიბეგეი
ბეგიბეგე

საყურე, ტიპი I.1. სამკუთხა საკიდები, ფირფიტოვანი გარსაკრავებით.



საყელე, ტიპი I.2. ფილიგრანის წნელით მოჩარჩოებული საკიდები

ძვ. წ. VII ს.

საყურე, ტიპი 1.3. - ღეროვანი ფილიგრანით მოჩარჩოებული საკიდები

ცაიში N1

ძვ. წ. VIII ს-ის მეორე-VII ს-ის პირველი ნახევარი

ცაიში N2

ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედი

ცხინვალი
ძვ. წ. VII ს.

ტაბ. 4

საყურე, ტიპი I.4. ცვრათი შედგენილი სამკუთხა საკიდით

ტაბ. 5

საყურე, ტიპი II.1. ერთსხივიანი საყურეები

ძვ. წ. VII ს.-V ს-ის პირველი ნახევარი

ტაბ. 6

საყურე, ტიპი II.2. - ორსხივიანი
ძვ. წ. VI-V სს
ბრილი
საყურე, ტიპი II.3. სამსხივიანი
ძვ. წ. VI ს-ის ბოლო -V ს
ბრილი
ვარსიმაანთეკარი
ტიპი II.4. მრავალსხივიანი
ბეთანეული
ჭითახევი
ბრილი

საყურე, ტიპი III -
მტევნისებურსაკიდიანი

ურეკი
ძვ. წ. VI ს.

საყურე, ტიპი IV.
დაცვარულბურთულიანი
ყაზბეგი ძვ. წ. VI ს.

საყურე, ტიპი V - კალათისებურსაკიდიანი
ცაიში N1
ძვ. წ. VIII ს-ის მეორე - VII ს-ის პირველი ნახევარი

V.2

V.1

V1.

საყურე, ტიპი VI.
რგოლისებური

ნოსირი
ძვ. წ. VII ს.

ტიპი VII. სპირალური საყურე სასაფეთქლეები

ძვ. წ. II ათასწლეული - ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი

VII.1

ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი

VII.2.



ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლო -I ათასწლეულის პირველი მეოთხედი

VII.3.


სკვიდი, ტიპი II.1 - ორმაგი ცულის ფორმის
სკვიდი, ტიპი II.2 - საჭევრის ფორმის
სკვიდი, ტიპი IV. ფრინველის გამოსახულებით
სკვიდი, ტიპი I. - რომბისებური
სკვიდი, ტიპი IV წვეთისებური, ჯვრული
სკვიდი, ტიპი III მტევნის ფორმის
სკვიდი, ტიპი V. - ფიგურული



მძივი, ტიპი I.1. - ჭვირული ფილიგრანის, სტანდარტული, სფერული

მძივი, ტიპი I.2.- ჭვირული ფილიგრანის, სტანდარტული, ბიკონუსური

მძივი, ტიპი II.1. - სფერული, სტანდარტული, სადა

ძვ. წ. I ათ-ის
პირველი მეოთხედი

ერგეტა I N2

ძვ. წ. VIII ს-ის მეორე -
VII ს-ის პირველი ნახევარი

ძვ. წ. VI ს.

პალური

ერგეტა III N1



ერგეტა II N11

ერგეტა II N12

ერგეტა II N4

ურეკი

მახვილაური

ტიპი II.2. - სფერული, სტანდარტული, ჭვირული

ძვ. წ. VII ს.

ცხინვალის განძი



ფარცხანაყანევის განძი

ტიპი II.3. სფერული, სტანდარტული, კოპებიანი

ერგეტა II N4

ძვ. წ. VIII ს-ის მეორე
VII ს-ის პირველი ნახევარი

ტიპი II.4. სფერული, სტანდარტული, შვერილებიანი

ერგეტა III N2

ძვ. წ. I ათასწლეულის
პირველი მეოთხედი

ტაბ. 13

ტიპი III.1. - ბიკონუსური,
მოკლე, ბორბლისებური

ცაიში N1

ძვ.წ. VIII ს-ის მეორე VII ს-ის პირველი ნახევარი

ტიპი III.2. - ბიკონუსური, სტანდარტული,
სიგრძეზე ჰორიზონტალურად დაღარული

ცაიში N2

ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედი

ტაბ. 14

ტაბ. 15

ტიპი IV.2. - ცილინდრული, გრძელი, ცვარათი შედგენილი

ძვ. წ. VIII-VII სს

მძივი, ტიპი IV.1. - ცილინდრული, გრძელი, ცვარათი გაფორმებული

ძვ. წ. VIII ს-ის მეორე - VII ს-ის პირველი ნახევარი

ტაბ. 16

ძვ. წ. I ათ.-ის პირველი მეოთხედი

ტიპი V.
ე. წ. ნესვისებური
სტანდარტული

ცაიში N2

მძივი, ტიპი VI.1.
ფირფიტისებური, წრიული

ცაიში N2

ტიპი VI.2.
ფირფიტისებური
რომბის ფორმის

ცაიში N2



მძივი, ტიპი VI.3. - ფირფიტისებური, იხვის ფორმის

ნარეკვავი
ძვ. წ. VII ს.

ტაბ. 17

მძივი, ტიპი V. - სფერული, შეწყვილებული მძივები

მბიეი, ტიპი VII. - სადა და დამტვერვილი ფოლოგის მბეჭდავები

ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი

რგოლი, ტიპი I.1.
სადა ლენოთი
რგოლი, ტიპი I 2.
სადა ლენოთი,
გველ-დრაკონის თავებით
ერგეტა III N4
წითელი მექენა N26
წითელი მექენა N29
ნიგვზიანი
(სკვლეტი
მიედანი)
ერგეტა II
N11
რგოლი, ტიპი I.3
სადა ლენოლი, გახვნეტილი
ბოლოებით
რგოლი, ტიპი I.3.a.
სადა ლენოლი, გახვნეტილი
ბოლოებით

რგოლი, ტიპი II.1.
წწეულლერიანი, ცილინდრული
დეტალებით დაბოლოებული
ერგეტა I N5
ნოსირის განძი

რგოლი, ტიპი II.2.
წწეულლერიანი, სფერული
დეტალებით დაბოლოებული
ერგეტა I N4
ნოსირის
განძი
ცალი N1
ერგეტა I N6
ლია

რგოლი, ტიპი II.3.
წწეულლერიანი, ბეელ-დრაკონის
თავებით დაბოლოებული
ეერეკი N3
ნოსირის განძი

სამაჯური, ტიპი I.1. - ბრტყელი ღეროთი

ბრილი

ძვ. წ. VI ს.

სამაჯური, ტიპი I.2. - ბრტყელი ღეროთი
გველის თავებით დაბოლოებული


სამაჯური, ტიპი II.1.
მრგვალგანივკვეთიანი, სადა ღეროთი
ცალი N2
ძვ. წ. I ათ.-ის პირველი მეოთხ.
ძვ. წ. VIII-ის მეორე
VII-ის პირველი ნახ.
ერგეტა I N5
ბრილი
ძვ. წ. VI ს.
სამაჯური, ტიპი II.2.
მრგვალგანივკვეთიანი
ორნამენტირებული ღეროთი
გორამი
ძვ. წ. VIII-ის მეორე
VII-ის პირველი ნახ.
სამაჯური, ტიპი II.3.
მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი,
გველის სქემატური
თავებით დამთავრებული
ერგეტა I N5
ძვ. წ. VIII-ის მეორე
VII-ის პირველი ნახ.
მახვილაური
ძვ. წ. VII ს.
სამაჯური, ტიპი III.
წამოგმული გველ-ურჩხულის თავებით
მუხურჩა
ძვ. წ. VII ს.

დიადემა
ბრილო
ძვ. წ. VI ს.

ლუგმა

ცალი N2
ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედი

ურბნისი

ლორი ბერდი

მეწამორი

ინსიგნია
ძვ. წ. VII ს.

ძვ. წ. VIII- ს-ის მეორე - VII ს-ის პირველი ნახევარი

დეკორატიული დეტალი I.2.
სატევრის ტარის შესამკობელი დეტალები

ერგეტა I N5

დეკორატიული დეტალი I.3. -
სატევრის ტარის თავზე ჩასასმელი ღილაკები

ცაიში N1

დეკორატიული დეტალი I.1.
სატევრის ტარის სალტე

ცაიში N1

დეკორატიული დეტალი I.4. - ქარქაშის დეკორატიული ლენტი

ცაიში N1

ტაბ.26

დეკორატიული დეტალები II.
დასაკრეფლები, მხედრის გამოსახულებით
ყაზბეგის განძი
ძვ. წ. VI ს.
ხისტრის განძი
მეწამეონი
(ძვ. წ. XII-XI სს)
დეკორატიული დეტალები III. -
გაურკვეველი დანიშნულების, სხვადასხვაგვარი
ბიმბორას განძი
ურეკი
ცალში N2
ცალში N2
ზემო რაჭა
ცალში N1


I
ძვ. წ. I ათ.-ის ბოლოსა და ახ. წ. I ს.-ის
II
ძვ. წ. VIII-ს.-ის ბოლო VII ს.-ის ბოლოსა და ახ.
III
ძვ. წ. VII ს.-ის
IV
ძვ. წ. VI ს.-ის
თავსახვევები
ბეჭი
რგოლი
საყურე
დიადემა
მძივები
ხაკიდი
მძივის გარსაკეთები
სამკაულები
ხმოვანებლები
ფალეოლოგიური ფენომენები
ბრინჯაოს
გაერთიანებული